

**კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი**

**ნინო შენგელია**

**ციფრული პლატფორმების მიერ კონტენტის მართვა და ადამიანის**

**უფლებები**

**სამართლის ფაკულტეტი**

**წარდგენილია სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად**

**სამეცნიერო ხელმძღვანელი: სამართლის დოქტორი სერგი ჯორბენაძე**

**თბილისი, 2022 წელი**

## განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი ჩემი ორიგინალური ნამუშევარია და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნინო შენგელია

16.05.2022

## ანოტაცია

ციფრული კომპანიების გაძლიერება გავლენას ახდენს თანამედროვე საზოგადოების ცხოვრებაზე. დედამიწის მოსახლეობის ერთ მესამედზე მეტი ყოველდღიურად გამოხატავს თავის აზრს სოციალური ქსელების საშუალებით. ერი-სახელმწიფოს მიღმა კონსტიტუციონალიზაციის პროცესი მიმდინარეობს კერძო სექტორში, უფრო ზუსტად, სოციალური მედიის კომპანიებში. მიუხედავად იმისა, რომ ციფრული კონსტიტუციონალიზმის ცნება და მასთან დაკავშირებული დისკურსი კარგად არის დამკვიდრებული საერთაშორისო სამეცნიერო წრეებში, ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ამ საკითხზე ჯერჯერობით მსჯელობა არ მიმდინარეობს.

ციფრული კონსტიტუციონალიზმის არსი მდგომარეობს ქსელურ კომპანიებში ძალაუფლების შებოჭვაში, როგორც სახელმწიფოთა კანონმდებლობით, ასევე თვით სოციალური მედიის კომპანიების ნორმატიული დოკუმენტებით, ანუ რეგულირებით და თვითრეგულირებით. ამავე დროს ისეთი სუპრანაციონალური ორგანიზაცია, როგორცაა ევროკავშირი ნერგავს თანარეგულირების ფორმებსაც.

ციფრულ ტექნოლოგიებსა და საკონსტიტუციო სამართალს შორის ურთიერთქმედება განსაკუთრებით აშკარაა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის საკითხში. სოციალური ქსელების ვირტუალურ სამყაროში ადამიანების აქტიურობამ წარმოშვა ახალი საფრთხეები, განსაკუთრებით გამოხატვის თავისუფლების კუთხით.

ნაშრომში გამოკვლეულია ციფრული სამყაროს განვითარების და გაფართოების შედეგად წარმოქმნილი რისკები, გაანალიზებულია ერი-

სახელმწიფოების და სუპრანაციონალური ორგანიზაციის - ევროკავშირის მიერ მიღებული ზომები ახალი საფრთხეების თავიდან ასაცილებლად. განხილულია ევროპის ქვეყნების ახალი კანონმდებლობა, რომლის მიზანია სოციალური ქსელების რეგულირება, რათა შესაძლებელი იყოს მათი განმენდა სიძულვილის ენისა და ონლაინ ზიანის მომტანი კონტენტისაგან; ევროკავშირის ინიციატივები სოციალურ ქსელებში დემინფორმაციის გავრცელების შესამცირებლად.

ერთ-ერთი საკითხი, რაზეც გამახვილებულია ყურადღება, არის კონსტიტუციური უფლებების გამჭოლი მოქმედება. კონკრეტულად, როგორ მოქმედებს ძირითადი უფლებები კერძო სამართლებრივ ურთიერთობებზე. ე.წ. გამჭოლი დოქტრინის შესაბამისად. ტრადიციული კონსტიტუციონალიზმის კონცეფციაში ძირითადი უფლებების ადრესატი არის სახელმწიფო და დისკურსის საგანს წარმოადგენს ის საკითხი, თუ რამდენად შეიძლება, რომ ძირითადი უფლებების ადრესატი იყოს კერძო კორპორაცია. ეს დისკურსი გამონწვეულია იმით, რომ თანამედროვე ეპოქაში, კერძო უფლებების დარღვევის რისკი მოდის კორპორაციებისგან.

წამოჭრილი საკითხები გლობალური მნიშვნელობისაა და ამავე დროს ეხება საქართველოს, რომლის მოსახლეობის დიდი ნაწილი სოციალური ქსელების მომხმარებელია. საქართველოში ჩატარებული კვლევის მიხედვით იკვეთება, რომ სოციალურ ქსელ „ფეისბუქის“ მომხმარებელთა უფლებები არ არის სათანადოდ დაცული. ამას ხელს უწყობს მრავალი ფაქტორი. ერთი მხრივ, საქართველოში არ არსებობს ონლაინ ზიანის მომტანი კონტენტის მარეგულირებელი კანონმდებლობა, მეორე მხრივ, სოციალური ქსელი, რომელიც მოქმედებს თავისი ბიზნესის ინტერესიდან გამომდინარე, მართავს კონტენტს ისე, რომ არ ითვალისწინებს ისტორიულ, კულტურულ და სოციალურ კონტექსტს. ეს კი არასახარბიელო მდგომარეობაში აყენებს ისეთ ქვეყნებს, როგორიც საქართველოა, რომელშიც ძალზე სუსტია მომხმარებელთა

ინტერესების დაცვის მექანიზმები. ამაზე მეტყველებს საქმეების მწირი რაოდენობა, რომელიც აქვს განხილული ქართულ სასამართლოებს სოციალურ ქსელებში ამა თუ იმ დარღვევასთან დაკავშირებით. თუმცა ჩვენს მიერ გამოკვლეული მასალა ადასტურებს, რომ საქართველოში სოციალურ სივრცეში ხშირია, როგორც დეზინფორმაციის, ასევე ონლაინ ზიანის შემცველი კონტენტი სიძულვილის ენის გამოყენებისა და ძალადობისკენ წაქეზების ჩათვლით, რომელსაც არ არეგულირებს სოციალური ქსელი და სახელმწიფოსგანაც დაუსჯელი რჩება.

ნაშრომში არის მსჯელობა სიძულვილის ენის განსხვავებულ გაგებაზე სხვადასხვა ქვეყანაში, გაანალიზებულია ევროსასამართლოს მიერ განხილული საქმეები, რომლებიც დაკავშირებულია სოციალურ ქსელებში სიძულვილის ენის გამოყენებაზე სახელმწიფოთა რეაგირებასთან.

ასევე განხილულია „ფეისბუქის“ საზედამხედველო საბჭოს მიერ განხილული საქმეები, სადაც არის მსჯელობა კონკრეტულ შემთხვევებში რამდენად შეესაბამება „ფეისბუქის“ გადანყვეტილებები კონტენტის მოდერაციასთან დაკავშირებით, როგორც ამ სოციალური ქსელის „საზოგადოებრივ სტანდარტებს“, ასევე საერთაშორისო ადამიანის უფლებების კანონს.

ნაშრომში გაანალიზებული ევროპის წამყვანი ქვეყნების პრაქტიკა სოციალური ქსელების რეგულირების მხრივ, ისე, რომ დაცული იყოს ბალანსი გამოხატვის თავისუფლებასა და ადამიანის სხვა უფლებებს შორის, კარგ საფუძველს იძლევა მომავალში საქართველოში ანალოგიური საკანონმდებლო მონესრიგებისთვის.

## **Annotation**

The empowerment of technology companies influences the way of life of modern society. More than one-third of global citizens express their thoughts through social networks. Beyond a sovereign state, constitutionalizing processes are taking place in the private sphere, precisely within social media companies. Despite the fact that the concept of digital constitutionalism and the discourse associated with it is well embedded in international academic circles, there is no discourse on this topic in Georgian academic literature so far. The concept of digital constitutionalism is focused on taming social media companies in the framework of not just laws and regulations adopted by a sovereign state but also by the policy documents of social media companies or with regulatory or self-regulatory mechanisms. At the same time, a supranational organization such as the EU is in the process of implementing forms of co-regulation.

The interplay between technologies and constitutional law is particularly evident in the field of protection of fundamental human rights and freedoms. Human actions in a virtual world of social media have given rise to a new set of risks, and challenges, especially in the context of freedom of expression.

The paper looks at the risks arising out of the expansion of the digital world and analyzes the measures taken by sovereign states and supranational organizations, such as the European Union, to prevent the emergence of new threats. The paper discusses new legislation in European countries aimed at regulating social networks and at removing hate speech as well as harmful content online and the EU initiatives to reduce the spread of misinformation on social networks.

One of the issues that have been highlighted is the piercing effect of constitutional rights. Specifically, how fundamental rights affect private legal relationships in accordance with the principle of “piercing the corporate veil”. Within the concept of traditional constitutionalism, the addressee of fundamental rights is a sovereign state, and the subject of the discourse is the extent to which the addressee of fundamental rights may be a private corporation. This discourse stems from the fact that in the modern era, the risk of infringement of private rights comes from private corporations.

The issues discussed in the paper are of global importance and, at the same time, concern Georgia, where a large majority of the population uses social networks. According to a survey conducted in Georgia, the rights of Facebook users are not properly protected. Many factors contribute to this. On the one hand, there is no legislation in Georgia regulating harmful content online; on the other hand, a social network that acts in accordance with its commercial interest manages the content in a way that does not take into account the historical, cultural and local context. This puts countries like Georgia in an unfavourable situation, where the mechanisms for protecting the interests of users are very weak. This is evidenced by a small number of cases that have been heard in Georgian courts on the topic of social networks and violations stemming from social networks. However, based on the research conducted in the scope of this paper in Georgia, content on social media that contains disinformation and online harm is circulating very frequently, including the use of hate speech and incitement to violence, which is unregulated by the social network and goes unpunished by the state.

The paper discusses the different understandings of hate speech in different countries and analyzes the cases heard by the European Court of Human Rights related to the response of states to the use of hate speech on social networks.

Also, the paper discusses cases that are reviewed by Facebook's supervisory board, which analyses in certain instances whether Facebook's decisions regarding content moderation are in line with the social network's policy standards and international human rights law.

The practice of the leading European countries in regulating social networks, analyzed in the paper, in such a way as to maintain a balance between freedom of expression and other human rights, provides a good basis for the adoption of a similar legislative proposal in Georgia in the near future.

## გამოყენებული აბრევიატურები

BBC - British Broadcasting Company - ტელეკომპანია „ბი-ბი-სი“

CJEU - მართლმსაჯულების ევროპული სასამართლო

CDA - Communications Decency Act კომუნიკაციების შესახებ წესიერების კანონი

CSA - Canadian Standards Association - კანადური სტანდარტის ასოციაცია

CSA - Conseil supérieur de l'audiovisuel - საფრანგეთის უმაღლესი აუდიოვიზუალური საბჭო

CSM - Conseil Supérieur de la Magistrature - საფრანგეთის მაგისტრატურის უმაღლესი საბჭო

DFRLab - ატლანტიკური საბჭოს ციფრული გამოძიების კვლევის ლაბორატორია

DSA- Digital Service Act- ციფრული სერვისების კანონი

ERGA - აუდიოვიზუალური მედია სერვისების ევროპული მარეგულირებლების ჯგუფი

ESET - სლოვაკური ინტერნეტ უსაფრთხოების კომპანია

EU- European Union - ევროკავშირი

„GAFA“ - (Google, Apple, Facebook და Amazon) – „გუგლი“, „ეფლი“, „ფეისბუქი“ და „ამაზონი“

GDPR - General Data Protection Regulation - პერსონალურ მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაცია

GRASS - საქართველოს რეფორმების ასოციაცია

ICCPR- სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი

ISFED - International Society for Fair Elections and Democracy - სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

LGBTQ - Lesbian, Gay, Bisexual, Transgendered and Questioning - ლგბტქ

MStV - Medienstaatsvertrag – სახელმწიფო ხელშეკრულება მედიის შესახებ

NetzDG - ქსელის აღსრულების კანონი

PKK - ქურთისტანის მუშათა პარტია

CRRC - Caucasus Research Resource Centre კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი

RWB - Reporters Without Borders - რეპორტიორები საზღვრებს გარეშე

TPLF - ტიგრის ხალხის განმათავისუფლებელი ფრონტი

VVA - Virtual Voice Assistant - ვირტუალური ხმის თანამემნე

VLOP - ძალიან დიდი ონლაინ პლატფორმები

WAM - Women Action and the Media - ქალთა მოქმედებები და მედია

US - United States - ამერიკის შეერთებული შტატები

# სარჩევი

ანოტაცია.....	ii
Annotation.....	v
გამოყენებული აბრევიატურები.....	viii
მადლიერების გვერდი .....	xiii
შესავალი.....	1
I ციფრული ტექნოლოგიის ზემოქმედება საკონსტიტუციო სამართალზე .....	14
1. ციფრული კონსტიტუციონალიზმის კონცეფცია.....	14
2. კონსტიტუციური უფლებების გამჭოლი მოქმედება.....	19
3. ციფრულ უფლებათა ახალი თაობა.....	22
3.1 ციფრული სამყარო გამოხატვის სამყაროა.....	23
3.2 სამყარო ფიზიკური განზომილების გარეშე .....	24
4. სუვერენიტეტისა და დემოკრატიის განახლება.....	25
5. ნორმატიულობის ხელახალი გაანალიზება .....	29
6. სამართლის სუბიექტების საჯარო-სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილეობის ფორმები .....	32
II კონსტიტუციონალიზმი და სოციალური მედია.....	36
1. კონსტიტუციის როლი ციფრულ მედიასა და ელექტრონული კომუნიკაციის პროცესში.....	36
1.1 საჯარო კომუნიკაცია.....	36
1.2 სიტყვის და გამოხატვის თავისუფლება .....	37
1.3 რაოდენობრივი ცვლილებები.....	39
1.4 თვისებრივი ცვლილებები.....	40
1.5 პირადი კომუნიკაცია.....	41
2. შინაარსის კონტროლისა და რეგულირების პრობლემა .....	42
3. შინაარსის მოდერაცია ონლაინ პლატფორმების მიერ .....	45
3.1 გავლენა ადამიანის უფლებებზე .....	48
3.2 ბაზრის დეფორმაცია .....	48
III კონსტიტუციონალიზაციის პროცესი სოციალური მედიაში.....	50
1. საჯარო სფერო და სოციალური მედია .....	50

2. „ფეისბუქის“ მომსახურების პირობები.....	55
3. სოციალური მედიის „მომხმარებელთა უფლებების ბილი“.....	57
4. კონსტიტუციონალიზაციის ახალი მექანიზმები.....	59
5. სოციალური მედიის წარმოქმნა როგორც საკონსტიტუციო წინააღმდეგობების გენეზისი.....	60
6. „მომსახურების “პირობები“ და „უფლებათა ბილი“, როგორც მაკომპენსირებელი კონსტიტუციონალიზმის გამოხატულება.....	65
IV ადამიანის ძირითადი უფლებები და სოციალური მედია.....	68
1. მომხმარებლის უფლებები სოციალური მედიაში.....	68
1.1 სოციალური მედიის პროვაიდერების წინააღმდეგ კერძო სამართალწარმოების სამართლებრივი ბარიერები.....	78
1.2 აშშ-ს კონსტიტუციის პირველი შესწორება სოციალური მედიის ჭრილში.....	80
1.3 პირველი შესწორების ზღვარი სოციალური მედიის შინაარსის რეგულირებაზე.....	82
1.4 ონლაინ სიტყვის თავისუფლების დაცვა პირველი შესწორებით.....	84
1.5 სოციალური მედიის ვებგვერდები: ციფრული საჯარო სივრცე.....	86
1.6 დარღვევები კერძო სამართლის კონტექსტში.....	88
2. ინტერნეტი და გამოხატვის თავისუფლება.....	93
3. ინტერნეტის ბოროტად გამოყენების პრობლემა.....	97
4. სიტუაციის ენა.....	104
4.1 აშშ-ს მიდგომა სიტუაციის ენისადმი.....	108
4.2 ევროკავშირის მიდგომა სიტუაციის ენისადმი.....	109
4.3 სიტუაციის ენა სოციალურ მედიაში.....	110
5. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა.....	112
6. სოციალურ ქსელში სიტუაციის შემთხვევები საქართველოში.....	115
6.1. კულტურული კონტექსტი.....	119
V პლატფორმის პასუხისმგებლობა და ლეგიტიმაცია.....	122
1. ალგორითმების როლი.....	122
1.1. მოდერაციის მონაცემები.....	124
2. სოციალური მედიის პლატფორმების მომსახურების პირობები.....	126
3. პლატფორმების ლეგიტიმაცია.....	129
4. სასამართლო პრაქტიკა პლატფორმებთან მიმართებაში.....	131

4.1. ინგლისის სასამართლო პრაქტიკა .....	131
4.2. საფრანგეთის სასამართლო პრაქტიკა .....	136
4.3. მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს პრაქტიკა.....	136
4.4 საქართველოს სასამართლო პრაქტიკა .....	137
VI სოციალური ქსელების რეგულირება და თვითრეგულირება.....	141
1. ონლაინ კომპანიების რეგულირების საერთაშორისო პრაქტიკა .....	141
1.1 გერმანია .....	144
1.2 საფრანგეთი .....	151
1.3 დიდი ბრიტანეთი .....	154
1.4 დანია.....	156
1.5 ევროკავშირი .....	157
2. დემინფორმაცია ონლაინ სივრცეში საქართველოში .....	161
3. „ფეისბუქის“ საზედამხედველო საბჭო.....	169
3.1. საზედამხედველო საბჭოს მიერ განხილული შემთხვევები .....	172
4. მოდერაციის საერთაშორისო პრაქტიკა .....	183
4.1. შინაარსის მოდერაციის კერძო ინიციატივები - „მე-19 მუხლი“ .....	183
4.2. „ტვიტერის“ პროექტი დემინფორმაციასთან საბრძოლველად .....	185
დასკვნა .....	186
რეკომენდაციები.....	192
დანართები.....	196
დანართი 1 - აშშ-ს წესიერების კანონის 230-ე მუხლი.....	196
დანართი 2 – „ფეისბუქის“ განცხადება უფლებათა და მოვალეობათა შესახებ .....	199
დანართი 3 სოციოლოგიური გამოკითხვა „ჩვენი უფლებები და სოციალური მედია“ .	205
ბიბლიოგრაფია .....	211

## მადლიერების გვერდი

მსურს მადლობა გადავუხადო კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის კანცლერს ბატონ ვახტანგ წიფჩივაძეს, რექტორს პროფესორ კახაბერ კორძაიას, რომელთა დახმარებით შესაძლებელი გახდა ჩამეტარებინა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტისა და დუბლინის „სიტი უნივერსიტეტის“ ერთობლივი სამეცნიერო კონფერენცია, სადაც წარმოვადგინე ჩემი კვლევის შედეგები.

მინდა გამოვხატო მადლიერება სამართლის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის აკადემიკოს მინდია უგრეხელიძის მიმართ, რომელთან თანამშრომლობა, ჩემთვის, როგორც დოქტორანტისთვის საუკეთესო გამოცდილება იყო. მადლობას ვუხდი დოქტორანტურის სამსახურს და მის ხელმძღვანელს ქალბატონ ნინო მინდიაშვილს ყურადღებიანი, გულისხმიერი დამოკიდებულებისთვის და კომპეტენტური რჩევებისთვის.

გულითად მადლობას ვუხდი ჩემს ხელმძღვანელს, პროფესორ სერგი ჯორბენაძეს, რომელმაც სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის ყველა ეტაპზე შესანიშნავი რჩევებით და მეგობრული დამოკიდებულებით ძალიან დიდი დახმარება გამიწია.

ასევე მსურს, მადლობა გადავუხადო ჩემს კოლეგას, დუბლინის „სიტი უნივერსიტეტის“ პროფესორს ედოარდო ჩელესტეს, რომლის სტატიების გაცნობის შემდეგ დავინტერესდი ჩემი საკვლევი თემით და რომელმაც ფასდაუდებელი თანამშრომლობა გამიწია მთელი ჩემი სამეცნიერო-კვლევითი

მუშაობის პერიოდში. მასთან ინტერვიუ და მისი მონაწილეობა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტთან ერთობლივი სამეცნიერო კონფერენციის ორგანიზებაში იყო მართლაც გამორჩეული მომენტი ჩემს სამეცნიერო საქმიანობაში.

დაბოლოს, მადლობას ვუხდი, ჩემს მენტორს DAAD-ის პროგრამის ფარგლებში, ჰუმბოლდტის უნივერსიტეტის პროფესორ ინგოლფ ფერნისს, ჰუმბოლდტის ინტერნეტის და საზოგადოების ინსტიტუტის ასოცირებულ პროფესორს კლარა იგლესიასს, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ადმინისტრაციას სადოქტორო პროგრამაზე სწავლის პერიოდში და დისერტაციაზე მუშაობის დროს შესანიშნავი თანამშრომლობისთვის.

## შესავალი

**ნაშრომის აქტუალობა:** ბოლო რამდენიმე ათეული წლის მანძილზე ციფრული ტექნოლოგიების, განსაკუთრებით სოციალური მედიის განვითარება და არნახული ზრდა შეინიშნება გლობალური მასშტაბით. სოციალური მედიის გამოყენება არის ადამიანების ყოველდღიური საქმიანობა. პოპულარულ სოციალურ ქსელ „ფეისბუქს“ ჰყავს 2 მილიარდზე მეტი მომხმარებელი. იგი ჰყავს სახელმწიფოს, რომლის ვირტუალური „ტერიტორია არის პლატფორმა. მოსახლეობა - მომხმარებლები და აქვს საკუთარი კანონი - „მომსახურების პირობები“.<sup>1</sup>

„მომსახურების პირობები“ იქნებოდა უბრალოდ ხელშეკრულება კერძო მხარეებს შორის, „მასში რომ არ იყოს ჩადებული ტრადიციული კონსტიტუციური ტექსტებისთვის დამახასიათებელი ტერმინები და შინაარსი უფლებების, პრინციპების და მოვალეობების თვალსაზრისით“.<sup>2</sup> „ფეისბუქის“ „განცხადება უფლებათა და მოვალეობათა შესახებ“<sup>3</sup> ისეთ სტილში არის დანერგილი, რომელიც მომხმარებელს უტოვებს შთაბეჭდილებას, რომ ის წარმოადგენს ციფრული სამყაროს კონსტიტუციას.<sup>4</sup>

კრიტიკოსები სულ უფრო ხმამაღლა აუღერებენ აზრს, რომ „ფეისბუქის“ მსგავსად, „ტვიტერი“, „გუგლი“, „მაიკროსოფტი“ და სხვა ტექნოლოგიური

---

<sup>1</sup> Celeste, Edoardo. "Terms of service and bills of rights: new mechanisms of constitutionalisation in the social media environment?." *International Review of Law, Computers & Technology* 33, no. 2 (2019): 122-138.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> Facebook., Statement of Rights and Responsibilities

<https://docs.google.com/spreadsheets/d/1eLXB04SXZEsZpZWf6cmiZd8DYjYk0hYpOwizGAIQjM/edit#gid=0>

<sup>4</sup> Celeste, Edoardo. "Terms of service and bills of rights: new mechanisms of constitutionalisation in the social media environment?." *International Review of Law, Computers & Technology* 33, no. 2 (2019): 122-138.

პლატფორმები შეიცავს სერიოზულ რისკებს, როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის, ასევე დემოკრატიის ფუნქციონირების თვალსაზრისით.

ფიზიკური სამყაროს პარალელურად ვირტუალური სამყაროს წარმოქმნამ ახალი სამართლებრივი სივრცის გაჩენა განაპირობა. ეს სამართლებრივი სივრცე იმართება კერძო კომპანიების მიერ. კერძო კომპანიები წყვეტენ სიტყვის და გამოხატვის თავისუფლების უფლებით სარგებლობის საკითხებს. აშშ-ში „კაპიტოლიუმის ამბოხებას“ მოჰყვა „გუგლის“, „ამაზონის“ და „ფეისბუქის“ მიერ „ტვიტერის“ პარალელური პლატფორმის „პარლერ“-ის დაბლოკვა „ძალადობის ინიცირების“ და „სიძულვილის ენის“ გამოყენების გამო. „ტვიტერის“ ერთპიროვნული გადაწყვეტილებით მაშინ მოქმედ პრეზიდენტს დონალდ ტრამპს სამუდამოდ შეეზღუდა „ტვიტერზე“ აზრის გამოხატვის უფლება. ამ პრეცედენტებმა მსოფლიო საზოგადოებაში კიდევ უფრო მეტი კითხვები გააჩინა ტექნოლოგიურ პლატფორმებზე ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვასთან დაკავშირებით.

საგულისხმოა, რომ აშშ-ში, სადაც დარეგისტრირებულია გიგანტური ტექნოლოგიური კომპანიების უმრავლესობა, იზრდება კრიტიკა პლატფორმების მიმართ. ტრადიციული მიდგომის თანახმად, ტექნოლოგიური კომპანიები თავისუფალი არიან შინაარსის რეგულირების საკითხებში, რადგან ისინი კერძო კომპანიებს წარმოადგენენ და აშშ-ს კონსტიტუციის პირველი შესწორება იცავს მათ მთავრობის ცენზურისგან. კრიტიკოსების აზრით, „ეს შეხედულება მცდარია, რადგან არსებული სამართლებრივი დოქტრინების თანახმად „გუგლის“, „ტვიტერის“ და „ფეისბუქის“ მიმართ ისეთივე დამოკიდებულება უნდა გავრცელდეს, როგორც საჯარო აქტორების მიმართ“.<sup>5</sup>

---

<sup>5</sup> Ramaswamy Vivek, Rubenfeld Jed, Save the Constitution From Big Tech, Wall Street Journal, 11th of January 2021 <https://www.wsj.com/articles/save-the-constitution-from-big-tech->

სოციალური მედიის გაცხადებული მიზანი არის ადამიანების ურთიერთკავშირის ხელშეწყობა, სიტყვის და გამოხატვის თავისუფლების დაცვა. ის ამ ფუნქციას ახორციელებს, თუმცა სოციალური მედიის გიგანტური მასშტაბებით ზრდასთან ერთად იზრდება საფრთხეები, რომელიც ამ პლატფორმებიდან მოდის. ის, რაც უნდა ყოფილიყო თავისუფალი სიტყვის სამოთხე, გადაიქცა სივრცედ, სადაც ვრცელდება ყალბი ინფორმაცია, ხდება სიძულვილის ენის კულტივირება და ძალადობის წაქეზება. შესაბამისად დიდი რისკის ქვეშ დგება ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის საკითხი. ჩამოთვლილი პრობლემების აღმოფხვრა ან შემცირება სერიოზულ გამოწვევად იქცა მსოფლიოსთვის.

საკვლევი თემა არის აქტუალური, რადგან პლატფორმების მიერ შინაარსის მართვის შესაბამისობა ადამიანის უფლებებთან პრობლემური საკითხია, როგორც მთელ მსოფლიოში ასევე საქართველოში. პლატფორმები ინდივიდუალურად არჩევენ კონტენტს ამა თუ იმ მომხმარებლისთვის, მათ წინა აქტივობაზე დაყრდნობით. ისინი სხვადასხვა მომხმარებლისთვის სხვადასხვა შინაარსს არჩევენ ალგორითმული პერსონალიზაციის გზით.<sup>6</sup> პლატფორმებზე კონტენტის მოდერაცია ხდება კორპორატიული და არა საჯარო ინტერესის მიხედვით. თემის აქტუალობიდან გამომდინარე, ამ საკითხზე საყურადღებო მოსაზრებებს გამოთქვამენ როგორც მეცნიერები, ასევე ადამიანის უფლებების დამცველი საერთაშორისო ორგანიზაციების ექსპერტები. ბოლო დროს მათ შორის დამკვიდრდა აზრი, რომ კონტენტის მოდერაცია უნდა ეყრდნობოდეს საერთაშორისო ადამიანის უფლებების კანონს. ამ აზრის პრაქტიკული

---

11610387105?reflink=share\_mobilewebshare&fbclid=IwAR05MFEtlnK3y0w3o5J2e\_Y789kck\_n1hTUKyMwOnSgfbQrZwM3N1rflh9A

<sup>6</sup> იქვე.

განხორციელება დაინტერესებული მხარეების: ევროკავშირის, სახელმწიფოთა და ტექნოლოგიური პლატფორმების თანამშრომლობით არის შესაძლებელი.

**კვლევის საგანი:** სოციალური მედიის ფართოდ გავრცელებამ გამოიწვია ცვლილებები, რამაც წარმოშვა ახალი საფრთხეები ადამიანის უფლებების დაცვისთვის. დებინფორმაცია და სიბუღვილის ენა სოციალური მედიისთვის სერიოზული გამოწვევაა. ეს პრობლემები აქტუალურია საქართველოსთვის, სადაც მოსახლეობის დიდი ნაწილი არის სოციალური მედიის მომხმარებელი. ევროპის დიდი სახელმწიფოები, ისევე როგორც ევროკავშირი პროაქტიულად არიან ჩართული ამ პროცესში. იქმნება რეგულირების, თვითრეგულირების და თანარეგულირების მექანიზმები. კვლევის საგანია ტექნოლოგიური პლატფორმების პასუხისმგებლობა, სასამართლო სისტემის როლი, კონსტიტუციონალიზმის ევოლუცია ციფრული სამყაროს მიერ წარმოქმნილი გამოწვევების დასაძლევად.

**კვლევის მიზანი:** კვლევის მიზანია სოციალური მედიაკომპანიების მიერ კონტენტის მოდერაციით გამოწვეული საფრთხეების გამოკვეთა ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის კუთხით; ადამიანის ძირითადი უფლებების დასაცავად და დასაბალანსებლად ციფრულ სამყაროში კონსტიტუციონალიზმის ღირებულებების ადაპტაციის შესაძლებლობების განხილვა; ონლაინ პლატფორმების რეგულირების შედეგებითი ანალიზი ევროპის იმ ქვეყნების მაგალითზე, რომელთაც მიღებული აქვთ შესაბამისი კანონმდებლობა; სოციალური მედიაკომპანიების პასუხისმგებლობის გამოკვეთა, რათა მათ უზრუნველყონ პლატფორმებზე იმ ძირითადი უფლებების დაცვა, რაც მოქალაქეებს აქვთ თავიანთი ქვეყნების კონსტიტუციით და საერთაშორისო სამართლით გარანტირებული; სოციალური მედიაკომპანიების თვითრეგულირების მექანიზმების ეფექტურობის შეფასება საქართველოში

სოციალური მედიის მომხმარებელთა ძირითადი უფლებების დაცვის თვალსაზრისით; კონტენტის მართვის პროცესში ლოკალური კონტენტის გათვალისწინების შესაძლებლობების განხილვა; რეკომენდაციების შემუშავება სახელმწიფოთა როლზე სოციალური მედიაპლატფორმების რეგულირების პროცესში მონაწილეობასთან დაკავშირებით.

**კვლევის თეორიული საფუძველი:** სოციალური მედიაკომპანიების ძალაუფლების შეზღუდვის საკითხზე სამეცნიერო წრეებში აქტუალური გახდა კონცეფცია „ციფრული კონსტიტუციონალიზმის“ შესახებ. ედოარდო ჩელესტე განმარტავს, რომ „ციფრული კონსტიტუციონალიზმი“ ჩამოყალიბდა, როგორც იდეათა ერთობლიობა, რომლის მიზანია ძირითადი უფლებების დაცვა და ძალაუფლების დაბალანსება ციფრულ სამყაროში.<sup>7</sup> მისი განმარტებით, „ციფრული კონსტიტუციონალიზმი“ ახდენს თანამედროვე კონსტიტუციონალიზმის ღირებულებების ადაპტაციას ციფრულ სამყაროსთან.<sup>8</sup>

ციფრულ კონსტიტუციონალიზმზე არსებული ლიტერატურა არ გვთავაზობს მის ერთგვაროვან განმარტებას.<sup>9</sup> განსაკუთრებით, არ არის გარკვეული ისახავს თუ არა მიზნად ეს კონცეფცია მხოლოდ კერძო კომპანიების უფლებამოსილების შეზღუდვას, თუ მისი მიზანი საჯარო ძალაუფლების შეზღუდვაც არის. ასევე მსოფლიო არ არის ჩამოყალიბებული იმ ინსტრუმენტზე, რომელიც დანერგავს ციფრული კონსტიტუციონალიზმის ღირებულებებს.<sup>10</sup>

**თემის შესწავლის მდგომარეობა:** ნაშრომში გამოყენებული ლიტერატურა მოიცავს, როგორც თეორიულ მსჯელობას, ასევე კონტენტის მოდერაციის საკითხებზე მომუშავე პრაქტიკოსთა მოსაზრებებს.

<sup>7</sup> Celeste, Edoardo. "Digital constitutionalism: a new systematic theorisation." *International Review of Law, Computers & Technology* 33, no. 1 (2019): 76-99.

<sup>8</sup> იქვე.

<sup>9</sup> იქვე.

<sup>10</sup> იქვე.

გაეროს სპეციალური მომხსენებელი აზრის და გამოხატვის თავისუფლების ხელშეწყობასა და დაცვაზე (2014-2020), დევიდ ქეი აღნიშნავს, რომ ხდება საჯარო ფუნქციის, კერძოდ, სიტყვის და გამოხატვის თავისუფლების აუთოსრსინგი და სოციალური მედიაკომპანიები ქმნიან ერთგვარ „პლატფორმების კანონს“, რომელსაც აკლია სიცხადე, თანმიმდევრულობა და ანგარიშვალდებულება. ტექნოლოგიური პლატფორმები წარმოადგენენ იდუმალ მარეგულირებლებს და მიუხედავად საერთაშორისო ორგანიზაციების მოთხოვნებისა, რომ ფიზიკური სამყაროს კანონები ვრცელდებოდეს ციფრულ სამყაროზეც, მაინც ვერ ხერხდება კონტენტის მართვა იმგვარად, რომ ციფრული მედიის მომხმარებელი იყოს დაცული, დეზინფორმაციის, სიძულვილის, შეურაცხყოფის, შევიწროვებისგან.<sup>11</sup>

“სამართლის ანთროპოლოგიის სახელმძღვანელო პრინციპის მიხედვით ფორმალური წესები და არაფორმალური ნორმები, შესაბამისად კანონი და საზოგადოება, განუყოფელია. ეს შეხედულება განსაკუთრებით აქტუალურია სოციალური მედიისთვის, სადაც ფორმალური კანონები და სოციალური ნორმები გაერთიანებულია და ერწყმის ერთმანეთს, და სადაც რეგულაცია უფრო ნორმატიულია, ვიდრე სამართლებრივი. სამართლებრივი პლურალიზმის თვალსაზრისით, სოციალური მედიის კონტენტის რეგულირების ნორმატიული ჩარჩო გადაიქცა „კანონად“, როგორც ფუნქციით ასევე შინაარსით.

12

ერთ-ერთი სერიოზული პრობლემა, რასაც სოციალურ მედიაში აქვს ადგილი, არის სიძულვილის ენა. სიძულვილის ენის შესახებ დებატებში

---

<sup>11</sup> Report of the Special Rapporteur on the promotion and protection of the right to freedom of opinion and expression, Human Rights Council Thirty-eighth session 18 June–6 July 2018 Agenda item 3.

<sup>12</sup>Wilson, Richard Ashby. "The digital ethnography of law: Studying online hate speech online and offline." *Journal of Legal Anthropology* 3, no. 1 (2019): 1-20.

ცენტრალური ადგილი უჭირავს საკითხს, თუ რამდენად უწყობს ხელს სიძულვილის ენა ძალადობას. ონლაინ მომხმარებლების მიერ გამოქვეყნებული სიძულვილის ენა ასახავს სხვადასხვა ქმედებებს: ბრალდებას, ბრძანებას, მუქარას, კრიტიკას, გაჩუმებას, წაქეზებას და ა.შ. თუმცა, ისმის კითხვა: აქვს თუ არა ამ „დისკურსებს“ თუ „ქცევებს“ სათანადო წამახალისებელი ძალა?<sup>13</sup>

რეგულაციების გამკაცრების მომხრეები ხედავენ პირდაპირ კავშირს სიძულვილის ენასა და მისგან გამომწვეულ ძალადობას შორის, სხვები კი ამ არგუმენტებს უარყოფენ. სოციალურ მედიაში გამოქვეყნებული მონაცემები მკვლევრებს საშუალებას აძლევს ემპირიულად შეამოწმონ არის თუ არა სიძულვილის ენის შედეგად გამომწვეული გაზომვადი ზიანი. ეს მონაცემები შეიძლება დაეხმაროს მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის ჩამოყალიბებას სიძულვილის ენის ყველაზე მნიშვნელოვანი ზიანის აღმოსაფხვრელად ზედმეტად ფართო რეგულაციის გარეშე.<sup>14</sup>

სამართლის პროფესორები რიჩარდ უილსონი და მოლი ლენდი ყურადღებას ამახვილებენ კონტექსტის მნიშვნელობაზე სიძულვილის ენის ზუსტად იდენტიფიცირებისათვის. ისინი თვლიან, რომ სოციალური მედიის კომპანიები განსაზღვრავენ სიძულვილის ენას კონკრეტული მესიჯიდან გამომდინარე, მაშინ როდესაც მხედველობაში არ იღებენ მთლიან კონტექსტს. სინამდვილეში კი შეუძლებელია სიძულვილის ენის ზიანის გაგება პოლიტიკური რეალობისა და ძალაუფლების ასიმეტრიის გათვალისწინების გარეშე.<sup>15</sup>

**კვლევის სამეცნიერო სიახლე:** ნაშრომში განვიხილავთ იმ გამომწვევებს, რაც დაკავშირებულია ციფრული მედიაკომპანიების მიერ კონტენტის მართვის

---

<sup>13</sup> Butler, Judith. *Excitable speech: A politics of the performative*. Routledge, 2013.

<sup>14</sup> Wilson, Richard Ashby, and Molly K. Land. "Hate speech on social media: content moderation in context." *Conn. L. Rev.* 52 (2020): 1029.

<sup>15</sup> იქვე.

განხორციელებასთან. ამ პროცესში განუზომლად გაიზარდა დემინფორმაციის, სიძულვილის, მომხმარებელთა შევიწროვების, ისევე როგორც, სიტყვის და გამოხატვის თავისუფლების უსამართლო შეზღუდვის საფრთხე. კერძო კომპანიების როლის ზრდამ, ამ მხრივ, დააკნინა სახელმწიფოს ფუნქცია იყოს ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის გარანტი.

წინამდებარე ნაშრომის სამეცნიერო სიახლეა ის, რომ მასში გამოკვლეულია სოციალური მედიის კომპანიების მიერ კონტენტის მართვის პრაქტიკის შესაბამისობა ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართლის პრინციპებთან და გაანალიზებულია ის პროცესები, რაც ევროპის ქვეყნებსა და საქართველოში მიმდინარეობს ზიანის მომტანი კონტენტის მოდერაციისთვის, ისე რომ არ შეიზღუდოს გამოხატვის თავისუფლება.

**კვლევის მეთოდები:** ნაშრომში გამოყენებულია რაოდენობრივი, თვისებრივი, კომპარატივისტული, ანალიტიკური, ინტერვიუების მეთოდები. მეთოდური კვლევის საფუძველზე მოხდა სოციალური მედიის პლატფორმებზე კონტენტის მართვის პრობლემებზე არსებული სამეცნიერო ლიტერატურის, გაეროს სპეციალური მომხსენებლის აზრის და გამოხატვის თავისუფლების ხელშეწყობისა და დაცვის საკითხებში ანგარიშების, ევროკავშირის შესაბამისი დოკუმენტების შესწავლა. დამუშავდა ევროსასამართლოს და რამოდენიმე ქვეყნის სასამართლოს პრაქტიკა სოციალურ მედიაში კონტენტის მოდერაციის პროცესში ადამიანის ძირითადი უფლებების დარღვევებთან მიმართებაში, ისევე როგორც „ფეისბუქის“ საზედამხედველო საბჭოს, როგორც თვითმარეგულირებელი ორგანოს მიერ განხილული საქმეები. განხილული იქნა საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტების, საქართველოში სოციალური მედიის მომხმარებლების მოსაზრებები. აღნიშნული საქმეების შესწავლა და ინტერვიუების ანალიზი საშუალებას გვაძლევს, ჩამოვაყალიბოთ

რეკომენდაციები საქართველოში სოციალური მედიაპლატფორმების მომხმარებელთა ძირითადი უფლებების დაცვასთან დაკავშირებული გამოწვევების ადეკვატური გადანყვეტილებების მისაღებად.

**ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა:** ნაშრომი შედგება შესავლის, 6 თავის, 29 ქვეთავისა და დასკვნისაგან. ნაშრომის მოცულობაა 187 გვერდი.

**პირველ თავში** გაანალიზებულია ციფრული ტექნოლოგიების ზეგავლენა საკონსტიტუციო სამართალზე, განხილულია „ციფრული კონსტიტუციონალიზმის“ კონცეფცია, რომლის არსი მდგომარეობს სოციალური მედიის პლატფორმების მიერ მოპოვებული ძალაუფლების შეზღუდვაში. პირველი თავის მეორე ქვეთავში გამახვილებულია ყურადღება კონსტიტუციური უფლებების გამჭოლ მოქმედებაზე. კონკრეტულად, როგორ მოქმედებს ძირითადი უფლებები კერძო სამართლებრივ ურთიერთობებზე. ე.წ. გამჭოლი დოქტრინის შესაბამისად. ტრადიციული კონსტიტუციონალიზმის კონცეფციაში ძირითადი უფლებების ადრესატი არის სახელმწიფო და დისკურსის საგანს წარმოადგენს ის საკითხი, თუ რამდენად შეიძლება, რომ ძირითადი უფლებების ადრესატი იყოს კერძო კორპორაცია. ეს დისკურსი გამოწვეულია იმით, რომ თანამედროვე ეპოქაში, კერძო უფლებების დარღვევის რისკი მოდის კორპორაციებისგან. ასევე არის მსჯელობა ტექნოლოგიების განვითარებით გამოწვეული პროცესების ზეგავლენაზე დემოკრატიაზე.

**მეორე თავის პირველ ქვეთავში** გაანალიზებულია ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი კომპონენტები, რომლებიც განაპირობებენ ძირითადი უფლებებისა და ახალი საკომუნიკაციო ფორმების შერწყმას. აღნიშნულია ის რაოდენობრივი და თვისებრივი ცვლილებები, რაც მოიტანა ტექნოლოგიური პლატფორმების განვითარებამ, ადამიანებს შორის სოციალური ინტერაქციის და კომუნიკაციის ხარისხის გაზრდამ. აღნიშნულია, რომ ქსელის მომხმარებლები იკავებენ აქტიურ პოზიციებს და ახალი ტექნოლოგიური პარადიგმები გავლენას

ახდენს საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე, რომელიც წარმოადგენს დემოკრატიის საფუძველს.

**მეორე ქვეთავი** ეხება ინტერნეტის შინაარსის კონტროლის და რეგულირების თემას, იმდენად, რამდენადაც ეს საკითხი გავლენას ახდენს სხვადასხვა ძირითად უფლებათა გამოყენებაზე და განხილვება სიტყვის თავისუფლების და ცენზურის დებატის ჭრილში; განხილულია განსხვავება უკანონო და საზიანო შინაარსს შორის. **მესამე ქვეთავში** გაანალიზებულია შინაარსის მოდერაციის მნიშვნელობა, ფორმები და გავლენა ადამიანის უფლებებსა თუ ბაზრის დეფორმაციაზე.

**მესამე თავში** აღნიშნულია, რომ სოციალურ მედიაში ხდება კონსტიტუციონალიზაციის პროცესი. ტერმინი კონსტიტუციონალიზაცია, წინამდებარე ნაშრომში, გამოიყენება კონსტიტუციისთვის დამახასიათებელი ელემენტების იდენტიფიკაციის, წარმოქმნისა და შექმნის პროცესების დასადგენად.<sup>16</sup>

**მეოთხე თავში** ხაზგასმულია, რომ ციფრულ ტექნოლოგიებსა და საკონსტიტუციო სამართალს შორის ურთიერთქმედება განსაკუთრებით აშკარაა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის საკითხში. სოციალური ქსელების ვირტუალურ სამყაროში ადამიანების აქტიურობამ წარმოშვა ახალი საფრთხეები, განსაკუთრებით გამოხატვის თავისუფლების კუთხით.

**მეოთხე თავის პირველი ქვეთავი** ეხება იმ ცვლილებებს, რაც მოხდა ძირითადი უფლებებისა და ახალი საკომუნიკაციო ფორმების შერწყმის შედეგად. ამ ნაწილში განხილულია აშშ-ს კონსტიტუციის პირველი შესწორებით სიტყვის თავისუფლების დაცვა და მისი ზღვარი სოციალური მედიაპლატფორმებისთვის.

---

<sup>16</sup> Pierre, B. Guy Peters Jon. Handbook of public administration. Sage, 2003.

**მეოთხე თავის მეორე და მესამე ქვეთავები** ეხება ადამიანის უფლებების დარღვევებს და ინტერნეტის ბოროტად გამოყენების პრობლემას.

**მეოთხე თავის მეოთხე და მეხუთე ქვეთავში** გაანალიზებულია სიძულვილის ენა და მისდამი განსხვავებული მიდგომები აშშ-სა და ევროპის ქვეყნებში; განხილულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა სიძულვილის ენასთან დაკავშირებით.

**მეოთხე თავის მეექვსე ქვეთავში** განხილულია სოციალურ ქსელში სიძულვილის შემთხვევები საქართველოში; კულტურული კონტექსტის მნიშვნელობა იმ ზიანის შეფასებისას, რაც შეიძლება მოიტანოს სიძულვილის ენამ.

**მეხუთე თავის პირველ ქვეთავში** საუბარია ალგორითმებზე, როგორც საზიანო შინაარსის გამომვლენ მთავარ ინსტრუმენტზე, თუმცა ალგორითმები, რომლებიც ეფექტურია ტერორიზმის და ბავშვთა პორნოგრაფიის შემცველი შეტყობინებების წინააღმდეგ, ასეთი წარმატებით ვერ მოქმედებს სიძულვილის შეტყობინებებზე.

**მეხუთე თავის მეორე ქვეთავში** განხილულია სოციალური პლატფორმების მომსახურების პირობები, რომელიც მომხმარებლებთან კონტრაქტებს წარმოადგენს. ამ კონტრაქტების მოცულობა და სამართლებრივი თვალსაზრისით კომპლექსური ხასიათი სათანადოდ არ უწყობს ხელს მომხმარებლის დაცულობას.

**მეხუთე თავის მესამე ქვეთავში** განხილულია პლატფორმების პასუხისმგებლობის და ლეგიტიმაციის საკითხები. აღნიშნულია, რომ ერთ-ერთი ძირითადი კრიტიკა პლატფორმების მიმართ არის ლეგიტიმაციის ნაკლებობა. პლატფორმების ლეგიტიმაციის საკითხში პრიორიტეტული შეიძლება იყოს დემოკრატიული პროცედურა, გამჭვირვალობა ან ადამიანის უფლებები.

ამავე თავის მეოთხე ქვეთავში განხილულია ინგლისის, საფრანგეთის, მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს და საქართველოს სასამართლო პრაქტიკა სოციალურ მედიასთან მიმართებით.

**მეექვსე თავი** ეხება პლატფორმების რეგულირების და თვითრეგულირების საკითხებს.

**მეექვსე თავის პირველ ქვეთავში** გაანალიზებული ევროპის წამყვანი ქვეყნების: გერმანიის, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის პრაქტიკა სოციალური ქსელების რეგულირების მხრივ, ისე, რომ დაცული იყოს ბალანსი გამოხატვის თავისუფლებასა და ადამიანის სხვა უფლებებს შორის, კარგ საფუძველს იძლევა მომავალში საქართველოში ანალოგიური საკანონმდებლო მონესრიგებისთვის.

**მეექვსე თავის მეორე ქვეთავი** ეხება ონლაინ სივრცეში დეზინფორმაციის პრობლემას და მის დასაძლევად ევროკავშირისა და სოციალური მედიის პლატფორმების თანარეგულირების ფორმების დანერგვას.

**მეექვსე თავის მესამე ქვეთავში** განხილულია „ფეისბუქის“ საზედამხედველო საბჭოს მიერ განხილული საქმეები, სადაც არის მსჯელობა კონკრეტულ შემთხვევებში რამდენად შეესაბამება „ფეისბუქის“ გადანყვეტილებები კონტენტის მოდერაციასთან დაკავშირებით, როგორც ამ სოციალური ქსელის „საზოგადოებრივ სტანდარტებს“, ასევე საერთაშორისო ადამიანის უფლებების კანონს.

**მეექვსე თავის მეოთხე ქვეთავში** გაანალიზებულია მოდერაციის საერთაშორისო პრაქტიკა, კონტენტის მოდერაციის კერძო ინიციატივები.

**დასკვნაში** ჩამოყალიბებულია რეკომენდაციები, თუ რა უნდა გაკეთდეს საქართველოში სოციალური ქსელების მომხმარებელთა ინტერესების უკეთ დაცვისთვის; ასევე არის რეკომენდაციები სოციალურ ქსელ „ფეისბუქის“ მიმართ, რაც მიზნად ისახავს მისი თანარეგულირების პროცესებში და საზედამხედველო საბჭოს საქმიანობაში იმ ქვეყნების ჩართვას, რომელშიც ეს სოციალური ქსელი

ფუნქციონერებს, რათა ხელი შეეწყოს პლატფორმებზე სიტყვის და გამოხატვის თავისუფლების მეტად დაცვას და საზიანო კონტენტის შემცირებას.

## I ციფრული ტექნოლოგიის ზემოქმედება საკონსტიტუციო სამართალზე

### 1. ციფრული კონსტიტუციონალიზმის კონცეფცია

ციფრულ კონსტიტუციონალიზმზე ფართო სამეცნიერო ლიტერატურა არსებობს. გამომდინარე იქიდან, რომ ამ ლიტერატურის დიდი ნაწილი არ გვთავაზობს საგნის ერთგვაროვან გაგებას, წინამდებარე ნაშრომში მოყვანილია „ციფრული კონსტიტუციონალიზმის“ კონცეფციის მრავალმხრივი განმარტება.

გლობალური კონსტიტუციონალიზმის თემაზე მოღვაწე ახალგაზრდა მეცნიერი, ედოარდო ჩელესტე აცხადებს, რომ ციფრული კონსტიტუციონალიზმის კონცეფცია მომხიბლავია და კარგად აღწერს თანამედროვე ციფრულ სამყაროს კონსტიტუციონალიზმის კონტექსტში<sup>17</sup>. ციფრული კონსტიტუციონალიზმი არის ტერმინი, რომელიც ასახავს თანამედროვე კონსტიტუციონალიზმის დეკლინაციას (გადახრას), რაც ციფრულ გარემოს მოიცავს.

საინტერესოა ამ საკითხზე მომუშავე სხვადასხვა მეცნიერთა თვალსაზრისის გაცნობა.

ბრაიან ფიცჯერალდის აზრით, კონსტიტუციონალიზაცია უნდა მოხდეს კერძო სამართალში<sup>18</sup>. ის იყენებს ტერმინებს „საინფორმაციო სამართალი“ და „საინფორმაციო კონსტიტუციონალიზმი“. ამ ტერმინებში ის მოიაზრებს ინტელექტუალური საკუთრების, კონკურენციის, პირადი ცხოვრების უფლების შესახებ კანონებს და სახელმწიფოებო სამართალს. ის თვლის, რომ სწორედ

---

<sup>17</sup>Celeste, Edoardo. "Terms of service and bills of rights: new mechanisms of constitutionalisation in the social media environment?." *International Review of Law, Computers & Technology* 33, no. 2 (2019): 122-138.

<sup>18</sup>Fitzgerald, Brian. "Software as Discourse-A Constitutionalism for Information Society." *Alternative LJ* 24 (1999): 144.

კერძო სამართალს შეუძლია კერძო აქტორების თვითრეგულირების შესაბოჭად „საკონსტიტუციო“ როლის შესრულება.<sup>19</sup>

პოლ ბერმანი ხედავს პრობლემის გადაწყვეტას საკონსტიტუციო სამართლის განვითარებაში.<sup>20</sup> სოციალური ქსელების მკვლევარი, „ფეისბუქის“ „საზედამხედველო საბჭოს“ წევრი ნიკოლას სუზორი ფიქრობს, რომ კერძო სამართალი უნდა იყოს გაჯერებული საკონსტიტუციო სამართლის პრინციპებით.<sup>21</sup> სუზორის აზრით, კონსტიტუციური ხედვა სასარგებლოა იმისთვის, რათა გავიაზროთ, თუ როგორ და რა ფარგლებში უნდა მოხდეს კერძო აქტორების შებოჭვა. (კერძო აქტორებში სუზორი გულისხმობს, სოციალური მედიაპლატფორმების მთელ სპექტრს, როგორც სოციალურ მედიას, ასევე ონლაინ ფორუმებს და ჩატებს).<sup>22</sup> სწორედ ამისთვის, სუზორმა გამოიყენა ტერმინი „ციფრული კონსტიტუციონალიზმი“, რომელიც შემდგომ გაიზიარეს სხვა მეცნიერებმაც. „ციფრული კონსტიტუციონალიზმი მოითხოვს, რომ ჩვენ განვაავითაროთ ძალაუფლების ბოროტად გამოყენების შებოჭვის ახალი გზები რთულ სისტემაში, რომელიც მოიცავს სხვადასხვა მთავრობას, ბიზნესს და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს.“<sup>23</sup> სხვაგვარად რომ ვთქვათ, ციფრული კონსტიტუციონალიზმი მოიცავს ქსელურ საზოგადოებაში ძალაუფლების განხორციელების შემზღვევების განსაზღვრას.<sup>24</sup>

---

<sup>19</sup> Celeste, Edoardo. "Digital constitutionalism: a new systematic theorisation." *International Review of Law, Computers & Technology* 33, no. 1 (2019): 76-99.

<sup>20</sup> Berman, Paul Schiff. "Cyberspace and the state action debate: The cultural value of applying constitutional norms to private regulation." *U. Colo. L. Rev.* 71 (2000): 1263.

<sup>21</sup> Suzor, Nicolas. "Digital constitutionalism: Using the rule of law to evaluate the legitimacy of governance by platforms." *Social Media+ Society* 4, no. 3 (2018): 2056305118787812.

<sup>22</sup> Suzor, Nicolas Pierre. "Digital constitutionalism and the role of the rule of law in the governance of virtual communities." PhD diss., Queensland University of Technology, 2010.

<sup>23</sup> Suzor, Nicolas P. *Lawless: The secret rules that govern our digital lives*. Cambridge University Press, 2019.

<sup>24</sup> Padovani, Claudia, and Mauro Santaniello. "Digital constitutionalism: Fundamental rights and power limitation in the Internet eco-system." *International Communication Gazette* 80, no. 4 (2018): 295-301.

ფიციტერალდის მსგავსად, სუზორის მოსაზრებით, ვირტუალური საზოგადოებების მართვის მოდელი არის საჯარო და კერძო ძალაუფლების ნაზავი, თუმცა ეს მოდელი არ ასახავს თვითრეგულირებასა და საჯარო სამართალს შორის რაიმე იერარქიას. სუზორის აზრით, საჯარო სამართალი კარგავს თავის ცენტრალურ როლს. შესაბამისად, კერძო კომპანიების მიერ შემუშავებული თვითრეგულირება იკავებს ცენტრალურ პოზიციას. ამავე დროს სუზორი აღნიშნავს, რომ ერთობლივი მმართველობის მცდელობები წარუმატებელია და ამდენად უმნიშვნელოვანესია საჯარო სამართლის მიერ მხოცავი როლის შესრულება.<sup>25</sup>

გილმა, რედეკერმა და გასერმაც, რომლებმაც წამოაყენეს ინტერნეტის „უფლებათა ბილის“ შექმნის იდეა, გაიზიარეს მოსაზრება, რომ „ციფრული კონსტიტუციონალიზმის“ კონცეფციაში მოიაზრება, როგორც საჯარო, ასევე კერძო ძალაუფლების შეზღუდვა.<sup>26</sup>

კვლევის ფარგლებში ჩატარებულ ინტერვიუში ედოარდო ჩელესტე, რომელიც ამჟამად არის Facebook Research-ის მიერ დაფინანსებული პროექტის „ციფრული კონსტიტუციონალიზმი: შინაარსის მართვის სტანდარტის ძიებაში“ მთავარი მკვლევარი, აღნიშნავს:

„ციფრული კონსტიტუციონალიზმი იკვლევს ახალ ინიციატივებს, რომლებიც წარმოიშვება სოციალურ დონეზე ციფრული ხანის უფლებებისა და პრინციპების გამოსახატად. მაგალითები მოიცავს ინტერნეტის ფემინისტურ პრინციპებს (<https://feministinternet.org>), აფრიკის დეკლარაციას ინტერნეტის უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ

---

<sup>25</sup> Celeste, Edoardo. "Digital constitutionalism: a new systematic theorisation." *International Review of Law, Computers & Technology* 33, no. 1 (2019): 76-99.

<sup>26</sup> Redeker, Dennis, Lex Gill, and Urs Gasser. "Towards digital constitutionalism? Mapping attempts to craft an Internet Bill of Rights." *International Communication Gazette* 80, no. 4 (2018): 302-319.

(<https://africaninternetrights.org/about/>) და ევროკავშირის ფუნდამენტური ციფრული უფლებების ქარტიას (<https://digitalcharta.eu>). ჩვენი წინასწარი კვლევა აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტების საერთო რაოდენობა ორასზე მეტს შეადგენს. ამ ინიციატივების თავისებურებაა ის, რომ ისინი ტრადიციული ინსტიტუციონალიზებული პოლიტიკური პროცესების გარეთ გადიან. ისინი შეიძლება ჩაითვალოს იმ საზოგადოებების „ხმის“ გამოხატვად, რომლებიც ტრადიციულ ინსტიტუციურ საშუალებებში ინოვაციური გზავნილის შეთავაზებას ცდილობენ. ამრიგად, ჩვენ გადამწყვეტად მიგვაჩნია იმ სოციალური ფასეულობების ანალიზი, რომლებიც ქვემოდან ზემოთ არის მიმართული და კონსტიტუციის წყაროს წარმოადგენს. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ იმ ნორმების ერთობლიობის მხედველობაში მიღება, რომელიც ასახავს მსოფლიო საზოგადოებების მისწრაფებებს, საბოლოოდ გააძლიერებს ონლაინ პლატფორმების შინაარსის წესების და გადაწყვეტილებების ლეგიტიმურობის დონეს.<sup>27</sup>

ტერმინების „ციფრული“ და „კონსტიტუციონალიზმი“ გაერთიანება არ იწვევს კონსტიტუციონალიზმის ახალ ფორმას. იგი წარმოადგენს ახალ თეორიულ და პრაქტიკულ სფეროს, რომელიც დაფუძნებულია დინამიკურ დიალექტიკაზე, იმაზე, თუ როგორ მოქმედებს ციფრული ტექნოლოგიები კონსტიტუციონალიზმის ევოლუციაზე და საკონსტიტუციო სამართლის რეაქციაზე ციფრული ტექნოლოგიებიდან წარმოქმნილი გავლენების დასაბალანსებლად. როგორც სუბორმა ხაზგასმით აღნიშნა, ციფრული კონსტიტუციონალიზმის

---

<sup>27</sup>შენგელია ნინი, “სოციალური მედიის თანამედროვე გამოწვევები და ციფრული კონსტიტუციონალიზმი“, ინტერვიუ დუბლინის City University-ის სამართლის პროფესორთან ელვარდო კელესტესთან, მედია ლაბი, 3 აგვისტო 2020 <https://medialab.ge/news/sotsialuri-mediis-tanamedrove-gamotsvevebi-da-tsipruli-konstitutsionaliz-1>

პროექტი არის „გადააზრება, თუ როგორ უნდა განხორციელდეს ძალაუფლების შეზღუდვა ციფრულ საუკუნეში“.<sup>28</sup>

ციფრული კონსტიტუციონალიზმი არის თანამედროვე კონსტიტუციონალიზმის რისკების რეპრეზენტაცია, რადგან ციფრული კონსტიტუციონალიზმის პროცესებით შუამავლებმა ანუ ტექნოლოგიურმა კომპანიებმა დიდი ძალაუფლება მოიპოვეს. ციფრულმა ტექნოლოგიებმა მიანიჭა უზარმაზარი ძალაუფლება არა-სახელმწიფო აქტორებს - მულტინაციონალურ კორპორაციებს, რომლებიც ფლობენ ან მართავენ ამ ტექნოლოგიებს და დააკნინა ტრადიციული კონსტიტუციური სუბიექტი ერი-სახელმწიფო. ეს ცვლილებები შეიძლება გლობალურად გავრცელებული იყოს, როგორც კონსტიტუციური წონასწორობის დარღვევა, რომელსაც კონსტიტუციური სისტემა პასუხობს ნორმატიული კონტრზომებით.<sup>29</sup> სხვა საკითხია, რომ ეს კონტრზომები ყოველთვის არ არის ეფექტიანი და საკმარისი.

ტექნოლოგიური კომპანიები აკონტროლებენ უპრეცედენტო რაოდენობის მომხმარებლების ყოველდღიურ ცხოვრებას. სულ უფრო ძლიერდება იმის შესაძლებლობა, რომ ეს არა-სახელმწიფო აქტორები ჩაერევიან ჩვენს ძირითად უფლებებში და ამავე დროს ძალაუფლების ბალანსის არსებული მექანიზმები, რომლებიც დაფუძნებულია ინდივიდისა და ერი-სახელმწიფოს ურთიერთობაზე, აღევატურად ვერ პასუხობენ ამ გარემოებას.<sup>30</sup>

ციფრული კონსტიტუციონალიზმის განხილვა შეუძლებელია სიტყვის და გამოხატვის თავისუფლებასა და სხვა ძირითადი უფლებების დაცვას შორის ბალანსის შესახებ დისკურსის გარეშე.

---

<sup>28</sup>De Gregorio, Giovanni. "The rise of digital constitutionalism in the European Union." *International Journal of Constitutional Law* 19, no. 1 (2021): 41-70.

<sup>29</sup>Celeste, Edoardo. "Digital constitutionalism: a new systematic theorisation." *International Review of Law, Computers & Technology* 33, no. 1 (2019): 76-99.

<sup>30</sup>Ridola, Paolo. "Il costituzionalismo e lo Stato costituzionale." AA. VV. *Passato, presente e futuro del costituzionalismo e dell'Europa (Atti del Convegno, Roma 11-12 maggio 2018)* (2018).

ტექნოლოგიურმა განვითარებამ, ერთი მხრივ, გააძლიერა ინდივიდების მიერ თავიანთი ძირითადი უფლებების გამოყენების შესაძლებლობა, ხოლო მეორე მხრივ, წარმოშვა ახალი საფრთხეები ამავე ძირითადი უფლებებისთვის.<sup>31</sup>

## 2. კონსტიტუციური უფლებების გამჭოლი მოქმედება

ციფრული კონსტიტუციონალიზმის კონცეფციაში მწვავედ დგას ძირითად უფლებათა ე.წ. გამჭოლი მოქმედების საკითხი. ჰორიზონტალური ეფექტი ეხება ძირითად უფლებათა გავლენას სამართლის სუბიექტებზე და არა-სახელმწიფო ორგანოებზე. ვერტიკალური ეფექტის შემთხვევაში, ჩვენ ვსაუბრობთ სამართლებრივ ურთიერთობებში ძირითად უფლებათა გავლენაზე სახელმწიფოს ან მის ორგანოებს და მის დაქვემდებარებაში მყოფ პირებს შორის.

ძირითად უფლებათა ტრადიციული ვერსია არ ითვალისწინებდა მის გავრცელებას კერძო სამართლებრივ ურთიერთობებზე. ტრადიციულად, ძირითად უფლებათა მიზანია დაიცვას ადამიანი სახელმწიფო ხელისუფლების ჩარევისგან. შესაბამისად, ძირითად უფლებათა ადრესატი სახელმწიფოა. სახელმწიფო ვერ იქნება კერძო სამართლებრივი უფლებების ადრესატი. ამჟამად სამეცნიერო წრეებში მიმდინარეობს დისკურსი იმის შესახებ, თუ რამდენად მოქმედებს ძირითადი უფლებები კერძო სამართლებრივ ურთიერთობებზე.

ამ კონტექსტში, აუცილებელია დავეყრდნოთ 1951 წლის გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას,<sup>32</sup> სადაც

---

<sup>31</sup>Celeste, Edoardo. "Digital constitutionalism: a new systematic theorisation." *International Review of Law, Computers & Technology* 33, no. 1 (2019): 76-99.

<sup>32</sup> BVerfGE 7, 198, I. Senate, (1 BvR 400/51), Lüth-decision [1958].

სასამართლო იმსჯელა ძირითად უფლებათა გამჭოლი მოქმედების საკითხზე. ამ გადაწყვეტილებამ კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა შეიძინა ტექნოლოგიური პლატფორმების სამართლებრივი პასუხისმგებლობის დეფიციტის კონტექსტში.

თვალსაჩინოა ძირითად უფლებათა კერძო სამართალში გამჭოლობის აუცილებლობა, თუნდაც „ტვიტერის“ მიერ აშშ-ს ყოფილი პრეზიდენტის დონალდ ტრამპის ანგარიშის დახურვის ლეგიტიმურობის შესახებ მსჯელობის დროს. აშშ-ს კონსტიტუციის პირველი შესწორების ადრესატები არიან სახელმწიფო ორგანოები და არა კერძო სამართლის სუბიექტები.

გერმანული დოქტრინა დემოკრატიულ უფლებათა გამჭოლი მოქმედების შესახებ ასახულია ციფრული კონსტიტუციონალიზმის კონცეფციაში. სწორედ ძირითად უფლებათა გამჭოლი ეფექტის შედეგია ალტერნატიული სამართლებრივი სივრცეების წარმოშობა ერი-სახელმწიფოების მიღმა, რომელიც ციფრული კონსტიტუციონალიზმის პროცესებს განაპირობებს.

ძირითად უფლებათა ტრადიციულმა ვერსიამ საფუძველი ჩაუყარა სახელმწიფოს ლეგიტიმურობის თანამედროვე გაგებას. ამასთან, ზოგიერთ ასპექტში მისი მახასიათებლები შეიცვალა. ცვლილებები, ზოგიერთის აზრით, შეიძლება გავიგოთ, როგორც პარადიგმის ცვლილება ძირითად უფლებათა აღქმისას. თუმცა, არსებითი ცვლილება არ ჩანს ფუნქციებსა და საფუძვლებში.<sup>33</sup>

ძირითად უფლებათა გამჭოლი მოქმედების ეფექტი პრობლემურია, რამდენადაც იგი პირდაპირ არ არის დადგენილი კონსტიტუციაში. როდესაც ძირითადი უფლებები პირდაპირ არის დადგენილი კონსტიტუციით, ამ თვალსაზრისით, კონსტიტუციური უფლებამოსილების განხორციელება დაცული უნდა იყოს. ძირითად უფლებათა სამართლებრივი მოქმედების სფეროს

---

<sup>33</sup> Parker, Christine. "The pluralization of regulation." *Theoretical Inquiries in Law* 9, no. 2 (2008): 349-369.

გათართობა უნდა ემყარებოდეს პოლიტიკურ-სამართლებრივ აქტს და განხორციელდეს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის გზით.

კითხვა ის არის, თუ რა გამართლება აქვს ძირითად უფლებათა გავრცელებას კერძო სამართლის სუბიექტებზე და არის თუ არა ეს ის ძირითადი უფლებები, რომლებიც წარმოადგენს კერძო სამართლის შემადგენელ ნაწილს.<sup>34</sup>

სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, ისმის კითხვა, რომ არის თუ არა ძირითადი უფლებები კერძო სამართლის შემადგენელი ნაწილი, თუ ადამიანის უფლებები კერძო სამართალში მხოლოდ გარედან აღწევს. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი უფლებები მხოლოდ გარედან შიგნით აღწევს კერძო სამართალში, ეს ძირითადი უფლებები მოქმედებს კერძო სამართლებრივ ურთიერთობებზე.

ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი უფლებები კერძო სამართლის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს, მაშინ კერძო სამართალში ეს უფლებები უნდა აღმოცენდეს კერძო სამართლის საზღვრებში, გარე საკონსტიტუციო საფუძვლის არსებობის გარეშე.<sup>35</sup>

ზოგიერთი უფლება, მაგ. სიტყვის და გამოხატვის თავისუფლება, წარმოადგენს ძირითად დემოკრატიულ უფლებას და სწორედ აქედან გამომდინარე, მათ ენიჭებათ განსაკუთრებული სტატუსი კერძო სამართალში.

ძირითად დემოკრატიულ უფლებათა გავრცელება კერძო სამართალზე მეტყველებს დემოკრატიის მნიშვნელოვან ღირებულებაზე და იმაზე, რომ აუცილებელია დემოკრატიის გავრცელება კერძო სამართალში.

ეს საჭიროა იქედან გამომდინარე, რომ 21-ე საუკუნეში, ძირითად უფლებათა დარღვევის საფრთხე არ მოდის მხოლოდ სახელმწიფოებიდან, არამედ მოდის საერთაშორისო კორპორაციებიდანაც.

---

<sup>34</sup> Rödl, Florian. "Fundamental Rights, Private Law, and Societal Constitution: On the Logic of the So-Called Horizontal Effect." *Indiana Journal of Global Legal Studies* 20, no. 2 (2013): 1015-1034.

<sup>35</sup> იქვე.

### 3. ციფრულ უფლებათა ახალი თაობა

დღესდღეობით საყოველთაოდ მიღებულია ადამიანის უფლებათა სხვადასხვა „ტალღებსა“ თუ „თაობებზე“ საუბარი. ამ თაობების შესახებ პირველმა სტრასბურგის ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ინსტიტუტის გენერალურმა მდივანმა კარელ ვასაკმა ისაუბრა. ვასაკმა გამოყო ადამიანის უფლებათა სამი თაობა.

ამჟამინდელ იურიდიულ ლიტერატურაში უკვე ხშირია იმაზე საუბარი, რომ ინფორმაციულმა საზოგადოებამ უფლებათა ახალი სპექტრი გააჩინა, რომელიც ადამიანის უფლებათა მეოთხე თაობას წარმოადგენს. გამოიყოფა ორი სახის უფლება: (i) უფლებები, რომლებიც უკვე აღიარებულია ბევრ ქვეყანაში, მაგალითად, გამოხატვის თავისუფლება, პირადი მონაცემების დაცვის უფლება, კომუნიკაციის საიდუმლოება და სხვა; (ii) უფლებები, რომლებიც გაჩნდა ციფრულ სამყაროში ინტერნეტმომხმარებლის უფლებების დასაცავად.

სხვადასხვა ორგანიზაციებმა უკვე ციფრულად განავითარეს მრავალი პროექტი და მომხმარებელთა უფლებების დაცვისთვის აუცილებელი მექანიზმები. რობერტ გელმანი ერთ-ერთი პირველი ინოვატორთაგანი იყო, რომელმაც 1997 წელს საზოგადოებას წარმოუდგინა „დეკლარაცია კიბერსივრცეში ადამიანის უფლებათა შესახებ“, რომელსაც საფუძვლად ედო 1948 წლის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია. ასევე არსებობს ჯონ პერი ბარლოუს 1996 წლის დეკლარაცია კიბერსივრცეზე დამოკიდებულების შესახებ, სადაც ინტერნეტი წარმოდგენილია, როგორც ადამიანის ჯანმრთელობისა და საზოგადოების განვითარების გზა.<sup>36</sup>

ამჟამად, რომ კიბერსივრცეში ყველაფერი სინამდვილისგან განსახვადდება: ყველაფერი არამატერიალურია, შესაძლებელია ფოტოების

---

<sup>36</sup> Grimmelman, James. "Virtual world feudalism." Yale Law Journal Pocket Part 118 (2009): 126.

რეტუშირება, იდეების გავრცელება შესაძლებელია დიდ არეალზე. ანალოგიური პროცესები მიმდინარეობს უფლებებთან დაკავშირებით, ისინი განიცდიან „დიגיტილიზაციას“. ამ „უფლებათა დიგიტილიზაცია“ სხვა არაფერია, თუ არა მათი მორგება ციფრულ სამყაროზე.<sup>37</sup> ამიტომ, კარგი იქნება თუ ზუსტად განვსაზღვრავთ ციფრული სამყაროს ძირითად მახასიათებლებს. ქვემოთ მოცემულია ციფრული სამყაროს რამდენიმე მახასიათებელი:

### 3.1 ციფრული სამყარო გამოხატვის სამყაროა

ამჟამად, რომ დროის შეგრძნების დაკარგვისა და სივრცის არარსებობის შეგრძნებასთან ერთად ინტერნეტსა და ყველა ციფრულ ტექნოლოგიას ახასიათებს ის, რომ მათი ყველა ელემენტი ადამიანის თვითგამოხატვის შედეგია. ინტერნეტის ერთი ბაიტიც კი არ ცირკულირებს დამოუკიდებლად. ყველაფერი, რაც დიდ ქსელში არსებობს, განპირობებულია ადამიანური ჩარევით.

ციფრული სამყარო ადამიანის გამოხატვის სივრცეა, სადაც მის ყველა მოქმედებას გარკვეულწილად ხედავს საზოგადოება. კიბერსივრცე, უპირველეს ყოვლისა, არის გამოხატვის ხოლო, შემდეგ უკვე კომუნიკაციის საშუალება. ძლიერი ურთიერთკავშირის მქონე ვირტუალურ სამყაროსა და დიდ ქსელში „ვრცელდება ადამიანი“. ამ ყველაფერიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მან, ვინც შედის ვირტუალურ სამყაროში, წინასწარ იცის, რომ მის ქმედებებს

---

<sup>37</sup> Nahon, Karine. "Where there is social media there is politics." In *The Routledge companion to social media and politics*, pp. 39-55. Routledge, 2015.

გარეშე მხარე აღევნებს თვალყურს, რადგან ამ სივრცეში ყველაფერი ხილვადია.

### 3.2 სამყარო ფიზიკური განზომილების გარეშე

ხალხი ხშირად აღნიშნავს იმას, რომ ინტერნეტი არის სამყარო საზღვრების გარეშე. ეს არის „გლობალური სოფელი“, სადაც ყველაფერს ერთმანეთისგან ერთი დანკაპუნება აშორებს.

წარსულში წერილი ადრესატამდე რამდენიმე დღეში, ხმელეთის, ზღვისა თუ ცის გადაკვეთის შემდეგ აღწევდა, ხოლო, დღესდღეობით, შეტყობინება წამის მეთასედეგში იგზავნება: იგი აღარ ექვემდებარება ფიზიკური სივრცის კანონებს და ამავე დროს არის უფასო. ციფრულ ინფორმაციას არ აქვს წონა, მასა, მისი გადაადგილება შეუძლებელია. რა თქმა უნდა, ეს მახასიათებელი შეუთავსებელია იმ სქემასთან, რომელსაც სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემები ადგენდნენ, რომელთა მოქმედების სფეროს საზღვრები მკაცრად დადგენილია დროსა და სივრცეში.

პრობლემა არ აღმოიფხვრება მანამ, სანამ არ შეიცვლება სამოქმედო სქემები. საერთაშორისო კერძო სამართალმა დაიწყო ახალი პრინციპების შემუშავება, რათა გამოერკვია, რა არის ციფრული სამყაროს მოქმედი კანონი, ვინ არის ყველაზე კომპეტენტური მოსამართლე, რომელიც ჩახედულია ამ საკითხში, რომელი პროცედურაა შესაფერისი და ა.შ. ეს პრინციპები ციფრულ სამყაროს აკავშირებს რეალურ სამყაროსთან. მაგალითად, თუკი ინტერნეტში დაირღვა ადამიანის უფლება და მას მიაყენეს შეურაცხყოფა, საჭირო იქნება ამ ადამიანთან პირადად საუბარი, მისი ადგილმდებარეობის გაგება და სხვა ღეტალების გარკვევა.

სივრცითი კრიტერიუმების გამოყენება ცოტათი იძულებითი ხასიათისაა ციფრული მსოფლიოსთვის. უფრო მოსახერხებელია პირადი კრიტერიუმების გამოყენება ციფრული სამართლებრივი ურთიერთობისთვის.<sup>38</sup>

#### 4. სუვერენიტეტისა და დემოკრატიის განახლება

ციფრული რევოლუცია გავლენას ახდენს სახელმწიფოთა სუვერენიტეტზე, მმართველობით რეჟიმებზე და დემოკრატიულ პროცესებზე. პერსპექტივების გაჩენასთან ერთად იგი იწვევს დაძაბულობას.

სახელმწიფოთა ციფრული კონსტიტუციური ავტონომიის პრინციპის შემდეგ გამონვევის წინაშე დადგა სახელმწიფო სუვერენიტეტის კლასიკური კონცეფცია. დელიმიტირებული საზღვრების ფარგლებში ან უკვე შესუსტებული სახელმწიფო სუვერენიტეტის კონცეფცია კიდევ უფრო ვიწროვდება ციფრული რევოლუციის და ქსელების ზრდის ფონზე.

კერძო სექტორის, სამოქალაქო საზოგადოების და მომხმარებლების დაკავშირება ტექნიკოსებთან და სახელმწიფო ორგანოებთან მეტწილად ემყარება რბილ კანონს და ხელს უწყობს ნორმატიულობის წყაროებისა და ფორმების გამრავლებას.

ელკინ-კორენი და ჰაბერი<sup>39</sup> აცხადებენ, რომ ეს მოვლენები იწვევს შემამფოთებელ შედეგებს და ზოგიერთი სახელმწიფოს მიერ „ციფრული სუვერენიტეტის“ მოთხოვნას, რაც მათი აზრით, აუცილებელია მათი ფუნდამენტური ინტერესებისა და სუვერენული უფლებების დასაცავად.

რა თქმა უნდა, სახელმწიფოებმა უნდა დაიცვან თავიანთი პოლიტიკური, დიპლომატიური, ეკონომიკური, თავდაცვისა და უსაფრთხოების ინტერესები და

<sup>38</sup> Grimmelmann, James. "Virtual world feudalism." Yale Law Journal Pocket Part 118 (2009): 126.

<sup>39</sup> Elkin-Koren, Niva, and Eldar Haber. "Governance by proxy: Cyber challenges to civil liberties." Brook. L. Rev. 82 (2016): 105.

უნდა უზრუნველყონ კანონის, საზოგადოებრივი წესრიგისა და თავისუფლებების პატივისცემა. მაგრამ მათ მიერ სუვერენული უფლებების მიღება შეიძლება ჩაითვალოს კონტროლის დამყარების სურვილად, რაც ზიანს აყენებს ლიბერალურ პრინციპებს, რომლებითაც იქმნება ქსელები. „ციფრული სუვერენიტეტის“ ფარული და საკამათო კონცეფცია ეხება არა მხოლოდ სახელმწიფოების მიერ კონტროლს, არამედ კომპანიებისა და მომხმარებლების ჯგუფების მიერ ზემოქმედებას. ზოგისთვის ეჭვქვეშ დგება ციფრულ სამყაროში თვითგამორკვევის, თვითმმართველობისა და არჩევნის თავისუფლების საკითხი, რადგან უფრო მეტად მიჯაჭვული და დამოკიდებულები ვხდებით ქსელებზე. მულტინაციონალური კომპანიები ე.წ. „GAFA“ (Google, Apple, Facebook და Amazon) ანაცვლებენ სახელმწიფოებს უმეტეს სფეროებში. ამბიციური ინდუსტრიული პოლიტიკის წყალობით, ციფრული სუვერენიტეტი უნდა იქნეს განმეორებით მოპოვებული ევროპის მიერ, ქსელების მართვის რეჟიმის რეფორმირების შედეგად, მიზნების და გადაწყვეტილების მიღების პროცესების გარკვევისათვის და „ალგორითმებზე კონტროლის აღსადგენად“.<sup>40</sup>

მუსიანის<sup>41</sup> მტკიცებით, ციფრული სივრცის მართვის სისტემის ხარვეზები, რაც გამოიკვეთა ბოლოდროინდელი სკანდალებით, კითხვებს ბადებს კონსტიტუციონალიზმის პრინციპების (ლეგიტიმურობის, წარმომადგენლობის, ანგარიშვალდებულების, გამჭვირვალობის) გადანაცვლების პერსპექტივასთან დაკავშირებით. „ციფრული კონსტიტუციონალიზმის“ პოტენციალის ასახვა გულისხმობს ციფრულ კომუნიკაციებთან დაკავშირებული პრინციპების, უფლებათა და მოვალეობათა (ნეიტრალიტეტის, ღიაობის, ინტერნეტის თავისუფლების პრინციპის) „კონსტიტუციონალიზაციის“ ჰიპოთეზას, რომლებსაც

---

<sup>40</sup> იქვე.

<sup>41</sup> Musiani, Francesca. "Governance by algorithms." Internet Policy Review 2, no. 3 (2013): 1-8.

დაეთანხმებიან, როგორც პლატფორმების შემქმნელები, ასევე მომხმარებლები.<sup>42</sup>

სუვერენიტეტის გამოხატვისა და დემოკრატიული დებატების შექმნის პროცესებს არღვევს ციფრული ტექნოლოგიების გაჩენა. „ქსელური დემოკრატია“ (ელექტრონული დემოკრატია) სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების განხორციელების ახალ პერსპექტივებს ქმნის (პეტიციის უფლება, ელექტრონული ხმის მიცემა, საჯარო კონსულტაციები, შენატანების მიწოდება, ელექტრონული ანგარიშები რეალურ დროში და ა.შ.).

ეს ინოვაციები უკვე დანერგილია პოლიტიკურ მეცნიერებათა სფეროში, მათ აქვთ პოლიტიკური და ნორმატიული შედეგები, რომლებიც ამჟამად სრულად ექვემდებარება საკონსტიტუციო სამართალს უკვე ინტერნაციონალიზებული კანონის ფარგლებში. მოქალაქეებს მოუწოდებენ უშუალო მონაწილეობა მიიღონ საარჩევნო პროცესებში (ევროკავშირის კონსტიტუციის პროექტის შემუშავება 2004 წელს, ისლანდიაში 2011 წელს, ან შრი-ლანკაში 2016 წლიდან) და საკანონმდებლო პროცესებში (ციფრული რესპუბლიკის კანონის თანაავტორობის გამოცდილება; მოქალაქეთა მიერ ჩასწორებების გაკეთების უფლება; ელექტრონული პარლამენტის პლატფორმების მიერ მოქალაქეთა ჩართვა კანონების შეფასებაში ან კანონების გამარტივებაში; სახალხო საკანონმდებლო ინიციატივა ეროვნულ ან ევროპულ დონეზე და ა.შ.). ეს ყველაფერი ციფრული პლატფორმებისა და სოციალური ქსელების წყალობით შეიქმნა. „ქრაუდსორსინგი“ მარკეტინგის შედეგად არსებული მონაწილეობით წარმოების მეთოდია, რომელიც შესაძლებელს ხდის გადანყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართვის, რაც პირდაპირი დემოკრატიის იდეას ამყარებს. გარკვეული თემების შესახებ „მოქალაქეები“

---

<sup>42</sup> იქვე.

(რომელთა ასაკი და მოქალაქეობა არ არის გადამონმებული) ინფორმირებულები არიან და ნამდვილად მონაწილეობენ პროცესებში. მათ შეიძლება მოუნოდონ კანონმდებლობაში ცალკეული ცვლილებების შესახებ, აზრი გამოთქვან ან შეათვასონ იგი. მათ ასევე შეუძლიათ ხელი შეუწყონ მთავრობის მოქმედებას ან საჯარო სამსახურების მართვას.

ამ ზოგადი ლოგიკის მიხედვით შესაძლებელია მოხდეს უკვე არჩეული თანამდებობის პირების მოქალაქეებთან დაკავშირება, სხვადასხვა აქტორის ჩართვით გადანყვეტილების მიღების პროცესების გაუმჯობესება. უნდა გადაიხედოს შუამავალი ორგანოების, ტრადიციული მედიისა და პოლიტიკური პარტიების როლი. კომუნიკაციის, გამოხატვის, პოლიტიკური მობილიზაციის საშუალებების გამრავალფეროვნებით, მმართველებსა და მართულებს შორის ურთიერთობების შეცვლით ციფრული ინსტრუმენტი ცვლის მოქალაქეთა პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობისა და მმართველებისთვის პოლიტიკის გატარების გზას. ეს ინსტრუმენტი, მრავალი თვალსაზრისით, შეიძლება ჩაითვალოს, როგორც აქტივი დემოკრატიული ქვეყნებისათვის.

ამასთან, დიდი ინტერესისა და პოტენციალის მიუხედავად, ციფრული ინსტრუმენტი ბადებს კითხვებს და ინვესტს შეშფოთებას. უკვე ჩატარებულმა ზოგიერთმა ექსპერიმენტმა აჩვენა შედეგები, რომლებიც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ამ ინსტრუმენტებს. მაგალითად, ისლანდიის კონსტიტუციის ერთობლივად შედგენის პროცესი ვერ შედგა.

მისი წარუმატებლობის მიზეზები ეხება შემდეგს: მომზადებისა და იმპროვიზაციის ნაკლებობა, პროცედურების სირთულე, კონკურენცია პოლიტიკურ კლასსა და მოქალაქეებს შორის (წარმომადგენლობით მეთოდსა და თანამონაწილეობით მეთოდს შორის), დაინტერესებული ინსტიტუტების კონფრონტაცია (არჩეული საკონსტიტუციო ორგანო, უზენაესი სასამართლო, პარლამენტი, ექსპერტები, პოლიტიკური პარტიები და საუნივერსიტეტო

საზოგადოებას კი), არასაკმარისი მედიასაშუალებები. ზოგი გმობს „კლიქტივიზმის“ („clicktivism“) იდეას, რაც საბოლოოდ პოლიტიკურ ჩართულობას გამოხატავს მხოლოდ ვირტუალური და დროული დანკაპუნებით. სხვები შეშფოთებულნი არიან ციფრული მოქალაქეობის მოსახლეობის გარკვეული კატეგორიის მატერიალური ან სოციოლოგიური მიზმების და ჩართვის/გარიყვის პარადოქსული ფენომენის გამო.

შეშფოთების მიზმებს შორისაა კომპარტმენტალიზაციის (გაყოფის) რისკი, სოციალური ქსელების მიერ შემოთავაზებული თვითდახმარების ფენომენის წყალობით გარიყვა, ალგორითმებით კონტროლირებადი ინფორმაციის შერჩევა, ტრადიციული სახელმწიფო და საინფორმაციო ინსტიტუტების გვერდის ავლა და სხვა აქტორების მხარდაჭერა, რომელთა ლეგიტიმურობა და კომპეტენცია არ არის გარანტირებული ან გაკონტროლებული. ვინაიდან ციფრული ტექნოლოგიები მხოლოდ ინსტრუმენტებია, მათი გამოყენების, განვითარების და კონტროლის მეთოდი განსაზღვრავს მათ მომავალ სასარგებლო ან მავნე ზეგავლენას დემოკრატიაზე საშუალო და გრძელვადიან პერიოდში.

## 5. ნორმატიულობის ხელახალი გაანალიზება

როგორც კი ციფრული ტექნოლოგია განახლებს ციფრული სამართლის წარმოების რეჟიმებს, ეს პროცესი სტანდარტის მახასიათებლების თეორიულ და სამართლებრივ ჩარჩოზე აუცილებლად იმოქმედებს. მიუხედავად იმისა, რომ უკვე შესაძლებელია რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინება, ყველაზე აშკარად

ეს ცვლილებები შეეხება სტანდარტის ლეგიტიმურობის ახალ მაჩვენებლებს, რომელიც ციფრული ტექნოლოგიის გამოყენების შედეგად წარმოიშვა.

მართლაც, ახალი ციფრული სტანდარტის შემუშავების პროცესები განაახლებს კონსტიტუციურ დებატებს კონსტიტუციისა და კანონის შემუშავებაზე. მით უფრო, რომ არ არის გამორიცხული, რომ უახლოეს მომავალში, ციფრული პროცესების ინტეგრაცია სავალდებულო გახდეს საკონსტიტუციო და საკანონმდებლო ტექსტების მიღების ყველა პროცედურაში.

რა თქმა უნდა, საკონსტიტუციო სამართალი ითვალისწინებს იმ პროცესებს, სადაც პოლიტიკური თამაში აკმაყოფილებს კანონებს. თუმცა, ციფრული ტექნოლოგია გარდაქმნის ამ პროცესებს, ამდიდრებს მათ ინდივიდების უფრო მეტი მონაწილეობით და საბოლოოდ შესაძლებელს ხდის რეალური ადამიანების ხშირ და აქტიურ ჩართვას. „ქრაუდსორსინგის“ ბოლოდროინდელი გამოცდილება, მისი შეზღუდვების მიუხედავად, აჩვენებს, რომ ციფრული ტექნოლოგიის გავლენით კონსტიტუციის ან კანონის შემუშავება სულ უფრო და უფრო ნაკლებად იქნება კონცენტრირებული პოლიტიკური ძალის ხელში.

საბოლოო ჯამში, ეს პროცესები უფრო დეცენტრალიზებული, დიფუზური და აუცილებლად უფრო კომპლექსური იქნება. თუმცა, ციფრული ტექნოლოგია არ არის მხოლოდ კონსტიტუციური გარდაქმნების ახალი მეთოდი, რომლითაც საჭირო იქნება საპარლამენტო კანონში ცვლილებების შეტანა. ციფრული ტექნოლოგია ეს არის ის ხელსაწყო, რომელიც წარმოქმნის უპრეცედენტო საშუალებას განაახლოს სტანდარტის ლეგიტიმურობის დონე.

ციფრული ტექნოლოგიის გამოყენება უკუაგდებს იმ მუდმივად არსებულ დაბრკოლებებს, რამაც შეუძლებელი გახადა რეალური ადამიანების ინსტიტუციურ პროცესებში ჩართვა. მცირე ტექნიკური ადაპტაციის პირობებში, მომავალში ყველა მოქალაქესა და ინდივიდს, რომელიც ცხოვრობს მოცემულ ტერიტორიაზე, შეიძლება ჰქონდეს პოლიტიკურ პროცესებში

მონაწილეობისთვის აუცილებელი ინსტრუმენტები. ამრიგად, ამ ტიპის პროცესების შედეგად მიღებული ნორმების ლეგიტიმურობის დონე პროცედურული და შეთანხმების კუთხით უფრო მეტად არის დაახლოებული დემოკრატიასთან.

ციფრული ტექნოლოგია ასევე აძლიერებს, პოტენციურად მაინც, სტანდარტის ხარისხს. ციფრულ მექანიზმებს შეუძლიათ გაათავსონ დროებითი კონსულტაციები, რომლებიც ტარდება საპარლამენტო კომიტეტების ან მომხსენებლის მიერ. აგრეთვე, კანონების გამოყენების მონიტორინგი, კანონმდებლობისა თუ საზოგადოებრივი პოლიტიკის შეფასება გამდიდრდება მოქალაქეების, სამიზნე აუდიტორიის ან კონკრეტული პროფესიული სექტორის მასშტაბური გამოკითხვების წყალობით. გარდა ამისა, ციფრული ტექნოლოგია თავიდან ბადავს კითხვებს ნორმატიული სისტემების ურთიერთმიმართების შესახებ.

კერძოდ, შესაბამისი ნორმატიული დონის განმეორების საკითხის შესახებ, უფლებებისა და თავისუფლებების შელახვის თავიდან ასაცილებლად ან რომელიმე სექტორის რეგულირების მიზნით.

ციფრული ტექნოლოგია საჯარო და საერთაშორისო სამართლისთვის გამონვევად იქცა, რადგან რთული ხდება ტერიტორიული მთლიანობის კლასიკური წესების გატარება და კერძო სექტორის მიერ წარმოებულ სტანდარტებთან კონკურენცია. მიუხედავად იმისა, რომ პრობლემა გადაუჭრელი რჩება, უკვე არსებობს რამდენიმე ინიციატივა, რომელიც ერთგვარი გამოსავალია. ესენია: ქსელების შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულების მიღება ან საერთაშორისო მარეგულირებელი მექანიზმის შექმნა.

დაბოლოს, ცნობილი „Big Data“ მეტამონაცემების წყალობით, ციფრული ტექნოლოგია გვთავაზობს ნორმატიული პროცესისა და თავად სტანდარტის სიღრმისეულ ანალიზს. კონსტიტუციური კანონის მონაცემთა მასშტაბური

ავტომატიზებული დამუშავების წყალობით შესაძლებელი ხდება მოსამართლეთა გადანყვეტილებების, ტექსტების, საპარლამენტო დებატების ამომწურავი ანალიზი და შერჩევითი მიდგომის თავიდან აცილება.

რაც შეეხება პრეცედენტულ სამართალს, საფრანგეთის 2016 წლის 7 ოქტომბრის „N 2016-1321 კანონი ციფრული რესპუბლიკისთვის“ ავალდებულებს სასამართლოებს, საზოგადოებისთვის საჯარო გახადონ დოკუმენტები და უზრუნველყონ ცალკეულ პირთა და მათ გადანყვეტილებათა კონფიდენციალობა. მონაცემთა ასეთი ერთობლიობა მოითხოვს ალგორითმების და კომპიუტერული პროგრამების შემუშავებას, რაც მოსამართლეთა გადანყვეტილების უკეთ გაგების, ან თუნდაც წარსული გადანყვეტილებების საფუძველზე ამჟამინდელი ვითარების მიმართულების დადგენის საშუალებას იძლევა. მონაცემთა ერთობლიობა შესაძლებელს ხდის ინტერპრეტაციის თეორიების გაღრმავებას კომპიუტერული მოდელირების საშუალებით.

ასევე შესაძლებელი ხდება პროგნოზირება. პრეცედენტული სამართლის „Big Data“-ს ანალიზი შესაძლებელს გახდის დავის შედეგების პროგნოზირებას. ამასთან, ამ მიდგომას აქვს თავისი საზღვრები. დიდია სამართლებრივი ნორმის გარდაქმნის რისკი, შესაძლებელია ციფრულმა ვერსიამ ზუსტად ვერ გადმოსცეს მოსამართლის მიერ მიღებული გადანყვეტილების მნიშვნელობა და შედეგად, არასწორი ინტერპრეტაცია გაკეთდეს.

## **6. სამართლის სუბიექტების საჯარო-სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილეობის ფორმები**

ციფრული ტექნოლოგია გარდაქმნის ციფრული საკონსტიტუციო სამართლის აქტორების დისკურსის შინაარსს. ფენომენის სიღრმისეული ანალიზი გრძელვადიან პერიოდში შეუძლებელი იქნება მოქმედი სამართლისა

და ურთიერთგადამკვეთი დისციპლინების გარეშე, მაგალითად, ინსტიტუციური სოციოლოგიის სწავლებებისა და კომუნიკაციის სოციოლოგიის გარეშე. გარკვეული სახის დაკვირვებები ამ მიმართულებით უკვე იკვეთება.

ზოგადად, ციფრული ტექნოლოგიების გამოჩენა მოითხოვს გარკვეულ ფორმალურ დისკურსს საკონსტიტუციო სამართალში ჩართული პირებისგან. „მონაცემთა ბაზები“, „ქრაუდსორსინგი“ „ტვიტი“, „უბერიზაცია“, „ალგორითმი“, ამ და სხვა ტერმინთა კონსტიტუციურ კანონში არსებობა ალბათ ათი წლის წინ წარმოდგენელი იქნებოდა. ამიერიდან, პოლიტიკური ძალები, თუ მოსამართლეები მინიმალურ დონეზე მაინც უნდა იცნობდნენ ამ ტექნოლოგიებს, რათა მათი იმპლემენტაციის პროცესში გათავისებული ჰქონდეთ ყველა შედეგი. აღსანიშნავია, რომ კომპანია „უბერთან“ დაკავშირებულია მრავალი პრიორიტეტული კონსტიტუციური საკითხი. ამ კომპანიამ აიძულა საფრანგეთის საკონსტიტუციო საბჭო, იურიდიული და კონსტიტუციური დებატების საფუძველზე, ეკამათა ტაქსის მძღოლებთან ტექნოლოგიური მონაცემების შესახებ. ანალოგიურად, უსაფრთხოების ციფრული იმპერატივები ამჟამად ყველა საკითხს მოიცავს, მაგალითად, მონაცემთა დაცვას ან ელექტრონულ ხმის მიცემას.

ამ საკითხების სამართლებრივად მოგვარება, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს მათ გაგებას და, შესაბამისად, კონსტიტუციურ კანონში ტექნოლოგიური ასპექტების ჩართვას.

ციფრულმა ტექნოლოგიამ გავლენა იქონია პოლიტიკური კომუნიკაციის ტემპზე. ყველასთვის ხელმისაწვდომი ვებგვერდებისა და სოციალური ქსელების წყალობით, ჩამოყალიბდა შეტყობინების წარმოების პირდაპირი და დეცენტრალიზებული სისტემა. პოლიტიკური პარტიის მიღმა, ტრადიციული მედიისგან დამოუკიდებლად, დანესებულებას ან პოლიტიკოსს შეუძლია პირდაპირ მიმართოს დიდ აუდიტორიას.

სოციალური ქსელების მომხმარებელთა, განსაკუთრებით ახალგაზრდების, რაოდენობის მკვეთრი ზრდა მიანიშნებს ციფრული ტექნოლოგიის სრულ სამომავლო პოტენციალზე, როგორც ინფორმაციისა და პოლიტიკის გაცვლის მთავარ საშუალებაზე. ამიტომაც, პოლიტიკური კამპანიები ძალიან დიდ ყურადღებას უთმობენ ციფრულ ტექნოლოგიებს.

მაგალითად, აღსანიშნავია, პრეზიდენტ ტრამპის მიერ „ტვიტერის“ ანგარიშზე განთავსებული ეფექტური და ამავდროულად შოკისმომგვრელი პოსტები აშშ-ის 2020 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს. ე.წ. „კაპიტოლიუმის ამბოხის“ შემდეგ „ტვიტერმა“ სამუდამოდ დახურა ღონაღდ ტრამპის პირადი ანგარიში, რომელსაც 88000000 მიმდევარი ჰყავდა. მსოფლიოში ყველაზე უფრო პოპულარული პერსონა „ტვიტერზე“ კი პრეზიდენტი ბარაკ ობამაა, რომელსაც 120000000 მიმდევარი ჰყავს.<sup>43</sup>

აგრეთვე, საინტერესოა სამთავრობო უწყებებისა და ციფრული ტექნოლოგიების ურთიერთობის ევოლუცია. საგრძნობლად გაიზარდა საფრანგეთის ინსტიტუციების ოფიციალურ გვერდებზე (მაგ. Elysée, CSA, CSM) პრეს-რელიზების, ტვიტებისა თუ საზოგადოებრივი აზრის გავრცელება.

რეალური ევოლუციის ნიშნად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ საფრანგეთის მართლმსაჯულების ინსტიტუტებმა ინტერნეტსა და სოციალურ ქსელებში სულ უფრო მეტად დაუთმეს ადგილი დისკურსს სასამართლო გადაწყვეტილებების ირგვლივ.

ოფიციალური კომენტარების, თემატური ფაილების, პრეს-რელიზების, საინფორმაციო სახის ჩანაწერების, ვიდეოების, ასევე „ტვიტერის“ და „ფეისბუქის“ მზარდი გამოყენების წყალობით, საკონსტიტუციო საბჭომ, სახელმწიფო საბჭომ

---

<sup>43</sup> Boyd, Josh. “The 20 Most Followed Accounts on Twitter.” Brandwatch, November 14, 2021. <https://www.brandwatch.com/blog/most-twitter-followers/>.

და საკასაციო სასამართლომ დაიწყეს ურთიერთქმედება. მათი კომუნიკაცია ძირითადად ციფრული გზით ხდება.

გაზრდილ კომუნიკაციას ცხადყოფს ასევე საფრანგეთის უზენაესი სასამართლოს „ტვიტერის“ ანგარიშების ანალიზიც. სახელმწიფო საბჭოს და საკასაციო სასამართლოს მოსამართლეები რეგულარულად პასუხობენ მათი გამომწერების თხოვნებს, მიუხედავად იმისა, არიან თუ არა ისინი პროფესიონალი იურისტები და ეხმარებიან მათ რიგი საკითხების მოგვარებაში ან ქმედების განხორციელებაში.

თანამედროვეობისადმი აშკარა ადაპტაციის მიღმა, რომელიც მიზნად ისახავს შესაბამისი ინსტიტუტების გამჭვირვალობის უზრუნველყოფას, მოსამართლეების მიერ ქსელში ინსტიტუციური კომუნიკაცია გარკვეულ რისკებთან არის დაკავშირებული. არსებობს ფაქტების დამახინჯების საფრთხე, რომ აღარაფერი ვთქვათ მოსამართლეთა ინსტიტუციური კომუნიკაციის პერსონალიზაციის რისკებზე.

მიუხედავად იმისა, რომ ციფრულ ტექნოლოგიას დიდი პერსპექტივა გააჩნია, არსებობს ანალიზისა და კრიტიკის წილის შემცირების რისკები ყოვლისმომცველი და სტატისტიკური შედეგების სასარგებლოდ. დოქტრინალური დისკურსის გამჭვირვალობაც ყურადსაღებია. მომრავლდა ელექტრონული ჟურნალები და იურიდიული ბლოგები; მეცნიერები აქტიურად არიან ჩართული სოციალურ ქსელებში. „ტვიტერის“ და „ფეისბუქის“ ინდივიდუალური თუ ინსტიტუციური ანგარიშები, საშუალებას იძლევა გაავრცელონ ცოდნა, ხელი შეუწყონ კვლევას, ან გააღვივონ საზოგადოების, განსაკუთრებით კი, მედიის ინტერესი.

## II კონსტიტუციონალიზმი და სოციალური მედია

### 1. კონსტიტუციის როლი ციფრულ მედიასა და ელექტრონული კომუნიკაციის პროცესში

კომუნიკაციის ევოლუცია წარმოადგენს კაცობრიობის ისტორიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს. ამ ტექნიკური წინსვლის შედეგად ადამიანებში ბუნებრივი შესაძლებლობები გაიზარდა. თანამედროვე დროში ადამიანები ხვდებიან ახალ სიტუაციებში, რაც მათ წინაშე წარმოშობს პასუხგაუცემელ კითხვებს.

ამ პროცესში ადამიანის უფლებები წარმოადგენს იმ მოთხოვნების ერთობლიობას, რომელიც უნდა დაკმაყოფილდეს<sup>44</sup>, თუ თანამედროვე ადამიანებს სურთ შეინარჩუნონ დემოკრატია და სამართლის უზენაესობა. ადამიანის ღირსება და ფუნდამენტური უფლებები ერთმანეთთან არის დაკავშირებული და ამგვარად გარდაიქმნება სხვადასხვა შესაძლებლობებში<sup>45</sup>. მათი დაცვა აუცილებელია და თანაცხოვრების პირობებს და სამართლიანობას უზრუნველყოფს.

წინამდებარე ნაშრომში გაანალიზებულია ის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი კომპონენტები, რომლებიც განაპირობებენ ძირითადი უფლებებისა და ახალი საკომუნიკაციო ფორმების შერწყმას.

#### 1.1 საჯარო კომუნიკაცია

იმისთვის, რომ ნათლად გამოვხატოთ წინამდებარე ნაშრომის ძირითადი იდეები, მნიშვნელოვანია კომუნიკაციის პროცესების დიფერენცირება, იმის

---

<sup>44</sup> Floridi, Luciano. "On human dignity as a foundation for the right to privacy." *Philosophy & Technology* 29, no. 4 (2016): 307-312.

<sup>45</sup> იქვე.

მიხედვით, თუ რა არის ამ პროცესების მიზანი: საჯარო თუ კერძო კომუნიკაცია. თითოეულისთვის კანონმდებლობით განსხვავებული პირობებია გასათვალისწინებელი.

## 1.2 სიტყვის და გამოხატვის თავისუფლება

ფუნდამენტური უფლებებიდან გამომდინარე, საჯარო კომუნიკაცია განიხილება ინფორმაციის და სიტყვის თავისუფლების კონტექსტში, რომელიც ამავედროულად უკავშირდება კომუნიკაციის თავისუფლებას. ჰოვარდ-ჰასმანი<sup>46</sup> ამ თავისუფლებებისთვის სამ საფუძველს გვთავაზობს: ინდივიდის უფლება პირადად გამოხატოს საკუთარი თავი, განახორციელოს დემოკრატიული თვითმმართველობა და საზოგადოებამ იკისროს პასუხისმგებლობა ჭეშმარიტების ძიებაში.

პირველი მტკიცება პირდაპირ კავშირშია გამოხატვის თავისუფლებასთან და ასოცირდება ინფორმაციის თავისუფლებასთან.<sup>47</sup> პარალელურად, სხვადასხვა საერთაშორისო წესები თუ რეგულაციები, ისევე როგორც სხვადასხვა სახელმწიფოების კონსტიტუციური წესები და რეგულაციები უზრუნველყოფს ამ თავისუფლებების აღიარებას, მაგალითად: პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-19 მუხლი; ესპანეთის კონსტიტუციის მე-20 მუხლი; ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი; იტალიის კონსტიტუციის 21-ე მუხლი; ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-20 მუხლი; გერმანიის კონსტიტუციის მე-5 მუხლი; და აშშ-ის კონსტიტუციის პირველი შესწორება.

გამოხატვის თავისუფლების პრინციპის ევროპული და ამერიკული ხედვა განსხვავდება ერთმანეთისგან. 1791 წელს რატიფიცირებული აშშ-ს

<sup>46</sup> Howard, Rhoda E. Human rights and the search for community. Routledge, 2018.

<sup>47</sup> იქვე.

კონსტიტუციის 1-ლი შესწორების ძალა და ფარგლები ურყევი რჩება. ამერიკული სამართალი, განსაკუთრებით სიტყვის თავისუფლების პრინციპი, რომელიც უფრო აბსოლუტურია, ვიდრე გამოხატვის თავისუფლების ევროპული პრინციპი, ასახულია სოციალური ქსელების „წესებსა და პირობებში“. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გამოხატვის თავისუფლების პრინციპი სათანადო მოქნილობით შეათვალა. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლში დაფიქსირებული, გამოხატვის თავისუფლება მცირდება შესაძლო შეზღუდვებით, რაც „აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში“. სასამართლო განიხილავს გამოხატვის თავისუფლებას, როგორც დემოკრატიის საყრდენს, ადამიანის განვითარების აუცილებელ პირობას და იცის, როგორ დაამტკიცოს, რომ გამოთქმულმა იდეებმა შეიძლება, ხოლო ზოგჯერ უნდა შეარყიოს ან შეაწუხოს სახელმწიფო ან მისი მოსახლეობის ნაწილი. ეს „პოლიტიკურად არაკორექტული“ გამონათქვამები არის პლურალიზმის, ტოლერანტობისა და გონებაგახსნილობის კონკრეტული ნაყოფი, რომლის გარეშეც არ იარსებებს დემოკრატიული საზოგადოება. შესაბამისად, ლეგიტიმური შეზღუდვები არ შეიძლება დაუწესდეს გამოხატვის თავისუფლებას, თუმცა დაცული უნდა იყოს პროპორციულობის პრინციპი.

სავსებით ნათელია, რომ ინფორმაციის და სიტყვის თავისუფლება ორი განსხვავებული კონცეფცია და უფლებაა. ეს უკანასკნელი საშუალებას აძლევს ინდივიდებს გამოხატონ თავიანთი მოსაზრებები და იდეები სხვადასხვა არხების საშუალებით. პირველი კი უზრუნველყოფს, რომ მოვლენა ან ფაქტი ახალი ამბების სახით გაჟღერდეს.

კოლექტიურ ცხოვრებაში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია ინდივიდთათვის ტრანსცენდენტური საჯარო ინფორმაციის მიწოდება.<sup>48</sup>

თითოეულ თავისუფლებას აქვს ორმაგი პარადიგმა: ინსტიტუციური და ინდივიდუალური. იმის გამო, რომ კონსტიტუციური გარანტია არ შეიძლება შემცირდეს გამოყენებული საშუალებიდან გამომდინარე, ინტერნეტი არ ითვალისწინებს ამ ორმაგი პარადიგმის შეცვლას ან შესწორებას.

შეიძლება ითქვას, რომ ციფრულმა ეპოქამ ორივე თავისუფლებისთვის ახალ შესაძლებლობებს გზა გაუხსნა თვისობრივი და რაოდენობრივი თვალსაზრისით.

### 1.3 რაოდენობრივი ცვლილებები

თანამედროვე პერიოდში ციფრული სამყაროს რეალური შესაძლებლობები თვალსაჩინოა. ინტერნეტი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს იმაზე, თუ როგორი სოციალური ინტერაქციაა ადამიანებს შორის. უფრო მეტიც, სახეზეა კომუნიკაციისთვის გამოყენებული ტექნიკური საშუალებების ზრდა.

ამის მაგალითებია სოციალური მედიის პლატფორმების გამოჩენა, ონლაინ ფორუმები და თემატური კომენტარები სხვადასხვა ვებგვერდებზე. ეს კომუნიკაციის რამდენიმე შესაძლებლობას იძლევა. ანალოგიურად, პლატფორმები, როგორცაა რადიო, ტელევიზია და ტელეფონი ასევე ციფრული გახდა, თუმცა შეინარჩუნა ტრადიციული ფორმატები.

---

<sup>48</sup> Olmedilla, M., M. Rocío Martínez-Torres, and S. L. Toral. "Harvesting Big Data in social science: A methodological approach for collecting online user-generated content." *Computer Standards & Interfaces* 46 (2016): 79-87.

ეს და რამდენიმე სხვა ტიპის კომუნიკაცია მთელს მსოფლიოშია გავრცელებული. ეს პლატფორმები და ქსელები, გარდა იმისა, რომ საკომუნიკაციო ფუნქციას ასრულებენ, უპრეცედენტო სოციალურ და კულტურულ ფენომენად იქცა.

ტრადიციული საკომუნიკაციო არხები შეიძლება იყოს საჯარო ან კერძო. მასებზე გათვლილია ტელევიზია, რადიო ან პრესა, რომელთაც გააჩნიათ ცალმხრივი მახასიათებლები, ხოლო ტრადიციული საშუალებებია: ფაქსი, ტელეფონი ან ფოსტა, - და მათ ორმხრივი მახასიათებლები აქვთ.

ციფრული ტექნოლოგიები, თავის მხრივ, გვთავაზობენ კომუნიკაციის საშუალებებს, რომლებიც მასობრივ ლოგიკურ კომუნიკაციას ინდივიდუალურ სისტემებთან აერთიანებს. აქ მნიშვნელოვანი მახასიათებელია ინტერაქტიულობა, რომლის საშუალებითაც მომხმარებლებს შეუძლიათ თავად ჰქონდეთ კონტროლი შინაარსზე, რომელსაც განათავსებენ.

ეს მახასიათებელი საშუალებას აძლევს ციფრულ სისტემას, რომ ოპერირებდეს მოდელით „მიმღები-მომხმარებელი-გამომცემელი-აღრესატი“.

#### 1.4 თვისებრივი ცვლილებები

რაოდენობრივი ცვლილებების გარდა, შეიძლება შევნიშნოთ სხვადასხვა თვისებრივი ცვლილებები, რომლებიც კომუნიკაციის ახალ ფორმებთან ასოცირდება, რაც ასევე გავლენას ახდენს ადამიანის უფლებებზე.

პირველ რიგში, ციფრულმა ტექნოლოგიებმა გაზარდა კომუნიკაციის ხარისხი, ინფორმაციის ისეთი სისტემების შეთავაზებით, რომელიც აერთიანებს მეტყველებას, ტექსტებსა და სურათებს. მრავალმხრივი მოქმედება საშუალებას აძლევს ქსელის მომხმარებლებს დაიკავონ ინტელექტუალური და აქტიური პოზიციები და არა პასიური, რომლის საშუალებასაც ტრადიციული მედია იძლეოდა.

იმის გამო, რომ ინტერნეტში მომხმარებლების პლატფორმებს საშუალება აქვთ იყვნენ მიმღები და შემქმნელები, ინტერნეტი შეიძლება მრავალმხრივ იყოს კლასიფიცირებული.<sup>49</sup> კომუნიკაციის ავტორი, გამგზავნი, შემქმნელი, მიმღები და გამომცემელი ყველა ერთიანდება საერთო ერთეულში, რომელსაც შეუძლია გამოხატოს თავისი მოსაზრებები ინტერნეტში. ამან ყველას საშუალება მისცა ავტორი ან გამომცემელი გახდეს<sup>50</sup>.

გარდა ამისა, ახალი ტექნოლოგიური პარადიგმები პირდაპირ გავლენას ახდენს საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე, რომელიც წარმოადგენს დემოკრატიის საფუძველს და რომელიც ხშირად არის რთული, მრავალფეროვანი და წინააღმდეგობებით სავსე.<sup>51</sup>

## 1.5 პირადი კომუნიკაცია

კომუნიკაციის საიდუმლოების უფლება იცავს პირად მონაცემებს. მიუხედავად იმისა, რომ ეს უფლება ავტონომიურია, იგი ასოცირდება პირადი ცხოვრების უფლებასთან<sup>52</sup>. ეს უფლება იცავს ყველა კომუნიკაციას, რომელიც ხორციელდება დახურული საშუალებებით და მომხმარებლებს მაღალი მოლოდინები აქვთ ამ მხრივ.

თუმცა, ეს უფლება ირელევანტური ხდება, თუ საკომუნიკაციო არხი არ არის დახურული, არამედ ღიაა. მიუხედავად იმისა, რომ ეს საკომუნიკაციო საიდუმლოება საფოსტო სამსახურის დროიდან იღებს საწყისს, იგი კვლავაც აქტუალურია კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებებისთვის. ამჟამად პირადი

---

<sup>49</sup> Roudometof, Victor. *Glocalization: A critical introduction*. Routledge, 2016.

<sup>50</sup> იქვე.

<sup>51</sup> იქვე.

<sup>52</sup> Steger, Manfred B. *Globalization: A very short introduction*. Vol. 86. Oxford University Press, 2017.

ცხოვრების საიდუმლოება იცავს არა მხოლოდ კომუნიკაციის შინაარსს გასაჯაროებისგან, არამედ მასზე წვდომასაც.<sup>53</sup>

მომხმარებლების უფლებების დარღვევა ხშირად ხდება ინტერნეტში გარკვეული მეთოდებისა და ახალი სტრატეგიების საშუალებით, როგორცაა ვირუსები, ტროას ვირუსი და სხვა მავნე პროგრამები. ამ ტიპის პროგრამული უზრუნველყოფის გამო, არსებობს სხვადასხვა პრევენციული ღონისძიებები, როგორცაა კრიპტოგრაფია, ფაიერვოლი (firewall), პაროლები და ანტივირუსები. ევროკავშირმა, ამ საფრთხეების მოგვარების მიზნით მიიღო პერსონალურ მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაცია GDPR. ეს რეგულაცია მიზნად ისახავს კონტროლის გაუმჯობესებას, როდესაც საქმე ეხება მონაცემთა გამოყენებას.<sup>54</sup>

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ციფრული საკომუნიკაციო საშუალება, რომელსაც მესამე მხარისთვის გამჟღავნებისგან თავის დაღწევა სურს, შესაძლოა აღმოჩნდეს რთულ სიტუაციაში განსხვავებული ინტერპრეტაციების გამო. კერძო სამართლებრივი რეგულაციები ახდენს რეაგირებას განსხვავებულ სამართლებრივ დებულებებზე, მაგრამ ისინი მხოლოდ ნაწილობრივ ეფექტურია.

## 2. შინაარსის კონტროლისა და რეგულირების პრობლემა

ინტერნეტის შინაარსის კონტროლი სპეციფიური თემაა. ეს საკითხი გავლენას ახდენს სხვადასხვა ძირითად უფლებათა გამოყენებაზე და განიხილება სიტყვის თავისუფლების და ცენზურის დებატის ჭრილში. მიუხედავად

---

<sup>53</sup> Olmedilla, M., M. Rocío Martínez-Torres, and S. L. Toral. "Harvesting Big Data in social science: A methodological approach for collecting online user-generated content." *Computer Standards & Interfaces* 46 (2016): 79-87.

<sup>54</sup> General Data Protection Regulation, (EU) 2016/679.

იმისა, რომ ინტერნეტი არ შეიძლება იყოს ისეთი პარადიგმა, რომელსაც არ გააჩნია კონტროლი, ქსელის თავისებურებების გამო მასზე კონტროლის განხორციელება რთულია.<sup>55</sup>

ამრიგად, საჭიროა, რომ ციფრულ სამყაროში ტრადიციული სამართლებრივი პასუხისმგებლობის ცნება იყოს წარმოდგენილი. სისტემამ უნდა შექმნას სამართლებრივი ჩარჩო, მიუხედავად იმისა მომხმარებლების ძირითადი უფლებები სად არის გამოყენებული, ციფრულ თუ რეალურ სამყაროში. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ღრმა ქსელისთვის (deep web), რადგან ცნობილია, რომ მან „შეიკვდლა“ კრიმინალური ჯგუფებისა და პიროვნებების მნიშვნელოვანი ნაწილი, და ცნობილია, რომ ის სტრატეგიულ ინსტრუმენტად გამოიყენება რადიკალური ორგანიზაციების მიერ<sup>56</sup>. ინტერნეტის ეს მხარე საჭიროებს ზედამხედველობას და საერთაშორისო დონეზე კოორდინირებულ მოქმედებებს.<sup>57</sup>

ანალოგიურად, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული საზიანო შინაარსსა და უკანონო შინაარსს შორის განსხვავება. უკანონო ქმედებები არის ქმედებები, რომლებიც კანონის თანახმად უკანონოდ ითვლება, მოიცავს სხვადასხვა სახის დანაშაულებრივ მოქმედებებს. მეორე მხრივ, საზიანო შინაარსი არის ის, რომელიც საზიანოა მოსახლეობის ზოგიერთი სეგმენტისთვის, მაგალითად, მოზარდებისთვის მორალური, სოციალური ან ეთიკური თვალსაზრისით, მაგრამ კანონიერია.

ამასთან, გარკვეულ სიტუაციებში შეიძლება წარმოიშვას ისეთი შემთხვევები, რომ შინაარსი ერთ ქვეყანაში განიხილებოდეს არალეგალურად,

---

<sup>55</sup> Steger, Manfred B. Globalization: A very short introduction. Vol. 86. Oxford University Press, 2017.

<sup>56</sup> Olmedilla, M., M. Rocío Martínez-Torres, and S. L. Toral. "Harvesting Big Data in social science: A methodological approach for collecting online user-generated content." Computer Standards & Interfaces 46 (2016): 79-87.

<sup>57</sup> Roudometof, Victor. Glocalization: A critical introduction. Routledge, 2016.

ხოლო სხვა ქვეყანაში ლეგალურად, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს საქმის წარმოებას, ისევე როგორც ბრალდების წაყენებას ამ პირისათვის.

კულტურებს შორის არსებული განსხვავებები ახალ შინაარსს სძენს მოცემულ საკითხს, რადგან სხვადასხვა კულტურული პერსპექტივა ართულებს საუბარს საყოველთაოდ აღიარებულ კულტურაზე.

ამ თვალსაზრისით, ინტერნეტში თავისუფლების შეზღუდვა არ არის მიზანშეწონილი. ამის საფუძველია, რომ არ შეიზღუდოს ინტერნეტიდან ისეთ ინფორმაციაზე წვდომა, რომელიც სხვა მედიაფორმატში არსებობს. ეს განცხადება გაიმეორა შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ, როდესაც 1997 წლის 26 ივნისს მიიღო გადაწყვეტილება, რომ 1996 წლის კომუნიკაციის წესიერების კანონი (CDA, Communications Decency Act) არაკონსტიტუციური იყო.<sup>58</sup>

1996 წლის კანონში აღინიშნა, რომ უცენზურო ან უხამსი შინაარსი ან მასალები უკანონოდაა გამოცხადებული. ეს აქტი არაკონსტიტუციურად იქნა აღიარებული იმის გამო, რომ იგი ეწინააღმდეგებოდა შეერთებული შტატების კონსტიტუციის პირველ შესწორებას.<sup>59</sup>

საზიანო შინაარსის საკითხზე სწორ რეაქციას არ წარმოადგენს ინტერნეტის კრიმინალიზაცია: გონივრული მეთოდები ამ საკითხის მოსაგვარებლად იქნებოდა თვითრეგულირება და ონლაინ კონტენტის ძიების ფილტრები.

მოძებნილი კონტენტის გაფილტვრის საშუალებით მომხმარებლებს შეუძლიათ დაარეგულირონ ვებგვერდები და შინაარსის ტიპები, რომლებზეც თავად შეეძლებათ წვდომა. მოზარდების შემთხვევაში, ეს საკითხი შეიძლება მშობლებმა მოაგვარონ, რათა გააკონტროლონ ბავშვის ონლაინ ნავიგაცია.

---

<sup>58</sup> Reno v. American Civil Liberties Union, 521 U.S. 844, 1997.

<sup>59</sup> იქვე.

არსებობს ონლაინ შინაარსის ძიების ფილტრების გამოყენების მრავალი გზა, რომელთაგან ზოგი მოიცავს ვებგვერდების წვდომის სარეზერვო ასლების შენახვას, თეთრ სიას (წვდომა ნებადართულია მხოლოდ სიაში მითითებულ ვებგვერდების მისამართებზე), საეჭვო სიტყვების გამოვლენას, ვებგვერდების მონიშვნას ან შავ სიაში განთავსებას (წვდომის შეზღუდვა ამ სიაში აღმოჩენილ ვებგვერდებზე).

თვითრეგულირების მექანიზმი ცხადყოფს ტრადიციული კანონების ინტერნეტში გამოყენების სხვადასხვა გამოწვევებს. ამის მაგალითია სანჩესი საფრანგეთის წინააღმდეგ<sup>60</sup>. პარლამენტის წევრობის კანდიდატი სანჩესი საფრანგეთის სასამართლომ დააჯარიმა მის პოსტზე სხვა მომხმარებლების მიერ გაკეთებული სიძულვილის ენის შემცველი კომენტარებისთვის, რომელიც სანჩესმა არ წაშალა 6 კვირის განმავლობაში. ეს საქმე IV.5 თავში უფრო დეტალურად არის განხილული.

მნიშვნელოვანია უფრო ახალი მულტინაციონალური შეთანხმებების პოვნა, რომლებიც მოიცავს რბილი კანონის ელემენტებს, აღნიშნულ თვითრეგულაციასთან ერთად. გარდა ამისა, ქსელის კონტროლი უსაფრთხოების გლობალური საფრთხეების გამო საჭიროა პროპორციულობის პრინციპის დაცვით.

### **3. შინაარსის მოდერაცია ონლაინ პლატფორმების მიერ**

შინაარსის მოდერაცია არის ინსტრუმენტი, რომლითაც პლატფორმაზე ხდება სპეციფიური შინაარსის მქონე ინფორმაციის ამოღება ან პრევენციის მიზნით ამ ინფორმაციაზე წვდომის შეზღუდვა. ამ პრეროგატივას, როგორც წესი,

---

<sup>60</sup> ECHR Press Release 257 02.09.2021, Politician fined in criminal proceedings for failing to act promptly by deleting comments from his public Facebook account inciting hatred: no violation of the Convention

შეხედულებისამებრ იყენებენ კომპანიები მათი პოლიტიკის მიხედვით ან მომსახურების პირობების გათვალისწინებით.

თუმცა შესაძლებელია ამას ითვალისწინებდეს კანონი, ზოგიერთ შემთხვევაში კი, შინაარსის მოდერაცია ხორციელდება მთავრობების მხრიდან ზენზორის საშუალებით.

კოლუმბიის უნივერსიტეტის „გლობალ თერიდომ ოფ იქსტრემზ“-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ სულ ცოტა 13 ქვეყანამ მიიღო ან მუშაობს გერმანიის NetzDG-ს მსგავსი კანონების მიღებაზე. მათგან „ფრიდომ ჰაუსის“ 2019 წლის მონაცემებით, 5 ქვეყანა არის „არა-თავისუფალი“ (ჰონდურასი, ვენესუელა, ვიეტნამი, რუსეთი და ბელარუსი), 5 არის „ნახევრად თავისუფალი“ (კენია, ინდოეთი, სინგაპური, მალაიზია და ფილიპინები) და მხოლოდ 3 არის თავისუფალი (გაერთიანებული სამეფო, საფრანგეთი და ავსტრალია).<sup>61</sup>

ამ ქვეყნების უმეტესობა პირდაპირ იმონშებს NetzDG-ს, როგორც ონლაინ აზრის გამოხატვის შეზღუდვის გამართლების საფუძველს. ამ ქვეყნებიდან რამდენიმე, მათ შორის ვენესუელა, ვიეტნამი, ინდოეთი, რუსეთი, მალაიზია და კენია პლატფორმებს სთხოვენ კონტენტის ბუნდოვანი კატეგორიების წაშლას, რომლებიც მოიცავს „ყალბ ამბებს“, „რელიგიებზე ცილისწამებას“, „ანტისამთავრობო პროპაგანდას“ და „სიძულვილის ენას“. ამგვარი მოთხოვნები იძლევა შესაძლებლობას პოლიტიკური დისიდენტის წინააღმდეგ მოქმედების.<sup>62</sup>

შინაარსის დაბლოკვისა და გაფილტვრისგან განსხვავებით, შინაარსის მოდერაციის პოლიტიკა ზოგადად საჯარო წესების ერთობლიობაა, რომელიც განსაზღვრავს მომხმარებლების მიერ პლატფორმაზე შინაარსის შექმნას ან

---

<sup>61</sup> Mchangama Jacob, Analysis: The Digital Berlin Wall: How Germany (Accidentally) Created a Prototype for Global Online Censorship, Justitia, 5th of November 2019 <http://justitia-int.org/the-digital-berlin-wall-how-germany-created-a-prototype-for-global-online-censorship/>

<sup>62</sup> იქვე.

გაზიარებას. ეს პოლიტიკა ჩვეულებრივ გვხვდება ხელშეკრულების პირობებში, საზოგადოებრივ წესებში და სხვ.<sup>63</sup>

ლოკალური ფილტრების მსგავსად, შინაარსის მოდერაციის ეფექტურობა ჩვეულებრივ შემოიფარგლება მხოლოდ იმ პლატფორმით, რომელსაც მომხმარებელი იყენებს, მაგალითად, სოციალური ქსელი, პროგრამა, ვებგვერდი და ა.შ. თუმცა, მოდერაციის ტიპისა და პლატფორმის მნიშვნელობიდან გამომდინარე, შინაარსის მოდერაციის ზომების მიღებამ შეიძლება გამოიწვიოს გალიზიანება და მომსახურების დაბალი ხარისხი ან ადამიანის უფლებათა სერიოზული დარღვევა.

მოდერაცია შეიძლება მოიცავდეს გაფრთხილებას, საყვედურს, შინაარსის დაბლოკვას და იმ მომხმარებლების პლატფორმიდან გაძევებას, რომლებიც ქმნიან ან აზიარებენ გარკვეული ტიპის შინაარსს. გარდა ამისა, როდესაც მოდერაციას ავალდებულებს კანონი ან მთავრობა, მისი შედეგები შეიძლება გასცდეს ინტერნეტს და საფრთხე შეუქმნას მომხმარებლებს.

მოდერაცია მოქმედებს სპეციფიკურ პლატფორმაზე, იგი არ სცდება ვირტუალურ სივრცეს, თუკი მსხვილი მასშტაბის დაბლოკვასთან არ გვაქვს საქმე. იგი ამცირებს ხელმისაწვდომობის ხარისხს, შინაარსის მრავალფეროვნებას და შესაძლოა მომხმარებელთა შორის ერთგვარი უთანასწორობის მიზეზიც გახდეს.<sup>64</sup>

შინაარსის მოდერაციის გავლენა დიდწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ხდება მისი აღსრულება და როგორ შეიძლება მან გავლენა მოახდინოს კონკრეტულ ჯგუფებსა თუ გლობალურ საზოგადოებებზე. ეს დამოკიდებულია

---

<sup>63</sup> Pettrachin, Andrea. "Towards a universal declaration on internet rights and freedoms?." International Communication Gazette 80, no. 4 (2018): 337-353.

<sup>64</sup> Braman, Sandra, and Stephanie Roberts. "Advantage ISP: Terms of service as media law." New media & society 5, no. 3 (2003): 422-448.

პლატფორმის მომხმარებელთა რიცხვზე, რომელსაც ეხება შინაარსის მოდერაცია. გარდა ამისა, შინაარსის მოდერაციის ფორმები განსხვავებულია, ვინაიდან ერთია კომენტარის მომხმარებლისგან დამალვა, მეორე კი გამონერის გაუქმება. შინაარსის მოდერაცია ხშირად იწვევს ადამიანის უფლებების დარღვევას ან ბაზრის დეფორმაციას.

### 3.1 გავლენა ადამიანის უფლებებზე

მოდერაციის პოლიტიკა ზღუდავს თვითგამოხატვის უფლებას. ამასთან, აუცილებელია გვახსოვდეს, რომ პლატფორმები კომუნიკაციის კერძო სივრცეებია და მათ გააჩნიათ უფლება შემოგვთავაზონ საკუთარი წესები, მათ შორის ზოგიერთი შინაარსი დაუქვემდებარონ ცენზურას.

მაგალითად, თუ მომხმარებელი ქმნის ანგარიშს სოციალურ ქსელში, სადაც აკრძალულია პორნოგრაფიის ატვირთვა და მას ამის გაკეთება სურს, შინაარსის წაშლის ფაქტი მნიშვნელოვნად არ აზიანებს აღნიშნული მომხმარებლის უფლებებს, რადგან მას შეუძლია აირჩიოს სხვა პლატფორმა, სადაც ეს მოქმედებები დაშვებულია.

ამასთან, როდესაც მოდერაციის პოლიტიკა გამოყენების მკაცრ წესებს მოიცავს, ხოლო პლატფორმა გამიზნულია მომხმარებელთა დიდ რაოდენობაზე, გამოხატვის თავისუფლებაზე გავლენა აქტუალური ხდება. ამ თვალსაზრისით, მიუხედავად იმისა, რომ კომპანია კერძო საკუთრებაშია, მას შესაძლებელია მოსთხოვონ ადამიანის უფლებების დაცვა ისე, რომ გათვალისწინებული იყოს საზოგადოების სტანდარტებიც. მოდერაცია შესაძლოა აუცილებელი იყოს ეროვნული სამართლიდან ან მთავრობის მიერ დაკისრებულ ვალდებულებიდან თუ პირდაპირი იძულებიდან გამომდინარე.

### 3.2 ბაზრის დეფორმაცია

შინაარსის მოდერაციის გარკვეულმა პოლიტიკამ, განსაკუთრებით თუ ის დაწესებულია მთავრობის ან სხვა სუბიექტების მიერ, შეიძლება გამოიწვიოს ბაზრის დეფორმაცია. შესაძლოა, ეს შეეხოს მხოლოდ თვითონ პლატფორმას, რომელიც ნაკლებად მიმზიდველი გახდება კონკურენტების ფონზე.

შეიძლება ითქვას, რომ პლატფორმების მთელ კატეგორიაზე გავლენას ახდენს მოდერაციის ვალდებულებები. ეს ასევე ნიშნავს იმას, რომ პლატფორმები, რომლებსაც არ აქვთ შესაბამისი რესურსები შინაარსის მოდერაციის უზრუნველსაყოფად, ვერ შეძლებენ ბაზარზე გასვლას.<sup>65</sup>

თითქმის ყველა პლატფორმას, რომელიც მომხმარებელს სთავაზობს პროდუქტებს ან მომსახურებას ინტერნეტით, აქვს საკუთარი გამოყენების წესები და პირობები, რომლებიც პლატფორმის გამოყენების სურვილის შემთხვევაში მომხმარებლებმა უნდა დაიცვან.

პოლიტიკა მისაღები შინაარსის შესახებ „ფეისბუქზე“, „იუთუბზე“ თუ „ტვიტერზე“ მუდმივად განხილვადი და სადავო საკითხია. სხვადასხვა აკადემიური სივრცის წარმომადგენლები თვლიან, რომ ეს წესები ძალიან ტოლერანტულია გარკვეული ტიპის შინაარსის მიმართ, სხვები კი აცხადებენ, რომ ისინი აყენებენ ზედმეტ შეზღუდვებს ინფორმაციის თავისუფალი გავრცელებისთვის. ანალოგიურად, ზოგიერთ ქვეყანაში არსებობს კანონები, რომლებიც ამ ტიპის კომპანიებს გარკვეული პოლიტიკის გატარებისკენ მოუწოდებს, რომელიც ძირითადად შეეხება ისეთი უკანონო ქმედებებს, როგორებიცაა საავტორო უფლებების დარღვევა, პორნოგრაფია და ა.შ.

---

<sup>65</sup> Ingram, M. "The downside of Facebook as a public space: Censorship." (2011).

### III კონსტიტუციონალიზაციის პროცესი სოციალური მედიაში

#### 1. საჯარო სფერო და სოციალური მედია

საჯარო სფერო ფუნქციონირებს, როგორც ფუნქციონალურ და მოქმედების სისტემებს, კერძო სექტორებსა და პოლიტიკურ სისტემებს შორის არსებული შუალედური რგოლი.<sup>66</sup> საჯარო სფეროში პოლიტიკური და სოციალური მოვლენების კომენტირება, დაკვირვება და შერჩევა ხდება საზოგადოების კონტექსტში მათი შესაბამისობის მიხედვით.<sup>67</sup>

იურგენ ჰაბერმასის ნაშრომების პოპულარული იდეა არის ის, რომ მაღალფუნქციური საზოგადოებრივი სფერო პოტენციური დემოკრატიული მმართველობის პირობას წარმოადგენს. ჰაბერმასის ნაშრომის „ფაქტებსა და ნორმებს შორის“ თვალსაჩინო თემაა კავშირი პროფესიულ ჟურნალიზმს, მასმედიასა და თავისუფალ პრესას, ისევე როგორც ლიბერალურ კონსტიტუციონალიზმსა და დემოკრატიულ ანგარიშვალდებულებას შორის.<sup>68</sup>

ჰაბერმასის ადრეული ნაშრომები უფრო ნაკლებად არის ტელეოლოგიური ხასიათის. მისი ერთ-ერთი ცნობილი ნაშრომი „საჯარო სფეროს სტრუქტურული ტრანსფორმაცია“ აღწერს, თუ როგორ შეცვალა მედიატექნოლოგიისა და მედიაბიზნესის განვითარებამ სამოქალაქო საზოგადოება და განმანათლებლობის ეპოქის „ყავის სახლების“ ლიბერალური კულტურა, გახადა ის მედიაზე ორიენტირებული, რომელიც მაუწყებლობებისა და გაზეთების სახით არსებობს.<sup>69</sup>

---

<sup>66</sup> Abbasi, Sara. "Internet as a Public Space for Freedom of Expression: Myth or Reality?." Available at SSRN 3064175 (2017).

<sup>67</sup> Hunsaker, Amanda, and Eszter Hargittai. "A review of Internet use among older adults." *New Media & Society* 20, no. 10 (2018): 3937-3954.

<sup>68</sup> Habermas, Jürgen. *Between facts and norms: Contributions to a discourse theory of law and democracy*. John Wiley & Sons, 2015.

<sup>69</sup> იქვე.

მისი ნაშრომებიდან შეიძლება გავიგოთ, რომ საზოგადოებრივი სფეროს სტრუქტურა ადვილად ექვემდებარება გავლენებს და არ არის მყარი; ის მედიის მიერ არის შექმნილი. მას საზოგადოება იყენებს კომუნიკაციისთვის და საზოგადოებრივი სფეროს ნებისმიერი ტრანსფორმაცია მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პოლიტიკურ სამყაროზე.

ახალი ტიპის მედია არა მხოლოდ ახლებური პოლიტიკური კამპანიებისთვის გამოიყენება, არამედ მედიის ახალი ტიპი სახეს უცვლის საჯარო დებატების სტრუქტურას და პოლიტიკის უფრო ახალი ფორმების განვითარებას უწყობს ხელს.<sup>70</sup>

ჰაბერმასი აღნიშნავს მასმელით გამოწვეული ცვლილებების ორაზროვნებას: მაუწყებლობამ, გაზეთებმა და რადიომ თანამედროვე მასობრივი დემოკრატიების პარალელურად ფაშიზმის განვითარებას მისცა საშუალება.<sup>71</sup> ბევრმა მეცნიერმა გამოიყენა ჰაბერმასის თეორიული ჩარჩოები ციფრული ხანის კონტექსტში და განავითარა მსჯელობა, რომ სოციალური მედიის ზრდა ხელს შეუწყობს საზოგადოებრივი სფეროს სტრუქტურულად გარდაქმნას ან საჯარო სფეროს დანაწევრებაში შეიტანს წვლილს.<sup>72</sup>

არაერთი კვლევით შეათვალა სოციალური მედიის პოლიტიკა, იყო მცდელობა იმის დემონსტრირების, რომ ფინანსური ინტერესებისა და ტექნოლოგიური მზაობის მიხედვით, სოციალური მედია სიტყვის გამოხატვის კონკრეტულ ფორმებს წაახალისებს, სხვებს კი აჩუმებს, ყოფს და ქმნის აუდიტორიებს; ამრიგად, თანდათანობით ცვლის თანამედროვე ხალხის კომუნიკაციის მეთოდებს არა მხოლოდ საზოგადოებრივ საკითხებზე, არამედ

---

<sup>70</sup> იქვე.

<sup>71</sup> იქვე.

<sup>72</sup> Batorski, Dominik, and Ilona Grzywińska. "Three dimensions of the public sphere on Facebook." *Information, Communication & Society* 21, no. 3 (2018): 356-374.

პირად თემებზე.<sup>73</sup> მიუხედავად ამისა, რთულია განვსაზღვროთ სოციალური მედიის კონკრეტული ეფექტები პოლიტიკაზე. მეცნიერები უპირისპირდებიან ერთმანეთს ამ საკითხში, რაც ე.წ. „ფილტრის ბუმის“ გავლენით და თვითონ ამ ფენომენით აიხსნება.<sup>74</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ სოციალური მედიის პლატფორმები შეიძლება გამოყენებულ იქნეს მოქალაქეებსა და პოლიტიკოსებს შორის პირდაპირი კომუნიკაციის, პოლიტიკური რეკლამის, საარჩევნო ჩარევის, მთავრობის საზოგადოებასთან ურთიერთობის მცდელობების ან საარჩევნო დებატების საშუალებად.<sup>75</sup>

ამ კონტექსტში, ზოგი ამ პლატფორმებს ინფორმაციის იარაღად თვლის. მეორე მხრივ, სტრუქტურული ტრანსფორმაციის ცნება გამოხატავს არა პირდაპირ და აშკარა გავლენის ტიპებს, არამედ დიფუზურ და ძლიერ ტიპებს, სადაც უფრო ახალი მედიის ტიპები ცვლის საზოგადოებრივი დიალოგის სტრუქტურასა და სტილს, რაც სხვადასხვა პოლიტიკურ ქცევაში აისახება. ჰაბერმასის მიხედვით, ცვლილების მიმართულება მთლიანად არ არის განსაზღვრული ახალი მედიუმის დიზაინით; ის ეყრდნობა მის გამოყენებას და ამ გამოყენების კონტექსტს.<sup>76</sup>

ამასთან, როდესაც მთელ მსოფლიოში, წინა წლების განმავლობაში პოლიტიკური ზემოქმედების შემთხვევებს შეისწავლი, ამ აღმოჩენების

---

<sup>73</sup> Tsesis, Alexander. "Terrorist speech on social media." *Vand. L. Rev.* 70 (2017): 651. Qin, Jie. "Hero on Twitter, traitor on news: How social media and legacy news frame Snowden." *The international journal of press/politics* 20, no. 2 (2015): 166-184. Qin, Jie. "Hero on Twitter, traitor on news: How social media and legacy news frame Snowden." *The international journal of press/politics* 20, no. 2 (2015): 166-184.

<sup>74</sup> იქვე.

<sup>75</sup> იქვე.

<sup>76</sup> Habermas, Jurgen. *The structural transformation of the public sphere: An inquiry into a category of bourgeois society.* MIT press, 1991.

განზოგადება საკმაოდ რთული ხდება.<sup>77</sup> სოციალური მედია სტაბილური დემოკრატიების კონტექსტში გამოიყენება სხვადასხვა მიზნების გამო და გავლენას ახდენს პოლიტიკაზე იმის მიხედვით, თუ რამდენად მყიფეა საზოგადოება.

„ფეისბუქის“ დაარსებიდან რამოდენიმე წელში მისმა დამფუძნებელმა, მარკ ცუკერბერგმა იგი ხალხმრავალ ერს შეადარა.<sup>78</sup> ამჟამად, ამ ტიპის ასოციაცია არასაკმარისია: Statista-ს მიხედვით, „ფეისბუქს“ 2.9 მილიარდი ყოველთვიურად აქტიური მომხმარებელი ჰყავდა 2021 წლის ბოლოს<sup>79</sup>, რაც ბევრად აღემატება მსოფლიოს ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანი ერის მოსახლეობას (1,39 მილიარდს).

ეს სტატისტიკა კიდევ უფრო აძლიერებს „ფეისბუქის“, როგორც უზარმაზარი ქვეყნის ანალოგიას. „ფეისბუქი“ არის ორგანიზაცია თავისი მომხმარებლებით, ტერიტორიით, პლატფორმით, კანონმდებლობით, რაც „მომსახურების პირობებშია“ ჩამოყალიბებული. ეს დოკუმენტი „ფეისბუქის“ სამყაროში „ციფრული კონსტიტუციის“ როლს ასრულებს.

ცუკერბერგის სიტყვებში<sup>80</sup> იგრძნობა ისეთივე რიტორიკული ტონი, როგორც დამახასიათებელია კომპანიის „მომსახურების პირობებისთვის“. სამართლებრივი თვალსაზრისით „მომსახურების პირობები“ მოქმედებს, როგორც ხელშეკრულება კერძო სამართლის სუბიექტებს შორის; ამასთან, ცუკერბერგის მიერ წარმოდგენილი პირობების გაგება შეიძლება, როგორც

---

<sup>77</sup> Abbasi, Sara. "Internet as a Public Space for Freedom of Expression: Myth or Reality?." Available at SSRN 3064175 (2017).

<sup>78</sup> Grimmelmann, James. "Facebook and the social dynamics of privacy." Iowa Law Review 95, no. 4 (2009): 1-52.

<sup>79</sup> Statista. Facebook MAU worldwide 2022 | Statista. <<https://www.statista.com/statistics/264810/number-of-monthly-active-facebook-users-worldwide/>,5.03.2022> [Accessed 12 May 2022].

<sup>80</sup> Grimmelmann, James. "Facebook and the social dynamics of privacy." Iowa Law Review 95, no. 4 (2009): 1-52.

ძირითადი კანონის, რომელიც უნივერსალურად იცავს მისი მომხმარებლების უფლებებს.

ეს გრძნობა უფრო ძლიერდება კომპანიის „უფლებების და მოვალეობების შესახებ განცხადების“ გაცნობისას. უფრო მეტიც, კომპანია თავის “პრინციპებში” ჩამოთვლის თავისუფლებებისა და უფლებების დეკალოგს (10 მცნებას); დოკუმენტაცია ჩაანაცვლებს ტერმინს „თქვენ“ (you) და მის ნაცვლად იყენებს განზოგადებულ „ადამიანს“ და „ხალხს“.<sup>81</sup>

ამასთან, ფორმების ეს კონკრეტული შეთავსება, რომელიც არეგულირებს საკონსტიტუციო სფეროს და სოციალურ მედიას, არ არის იზოლირებული შემთხვევა. ეს კიდევ უფრო აშკარაა მთელ რიგ უახლეს დოკუმენტებში ამ საკითხის შესახებ.<sup>82</sup> ამ დოკუმენტებს, რომლებიც შემდგომში მოხსენიებულ იქნება, როგორც „სოციალური მედიის მომხმარებელთა უფლებების ბილი“, (იხ. 2.3 ქვეთავში) თავისთავად არ გააჩნიათ რაიმე სახის სამართლებრივად მბოჭავი ღირებულება და მხოლოდ არასამთავრობო ორგანიზაციების ან თავად ინდივიდთა შექმნილ პროდუქტს წარმოადგენს.

მეორე მხრივ, მათი შინაარსი კონსტიტუციის ტრადიციული ინსტრუმენტების მსგავსად მიზნად ისახავს უფლებების ერთობლიობის ჩამოყალიბებას სოციალური მედიის მომხმარებლებისთვის და ვალდებულებების ერთობლიობის შექმნას სოციალური მედიის პლატფორმებისთვის.

---

<sup>81</sup> About.fb.com. 2022. Company Info | Meta. <<https://about.fb.com/company-info/>> [Accessed 12 May 2022].

<sup>82</sup>Smarr, Joseph, Marc Canter, Robert Scoble, and Michael Arrington. "A bill of rights for users of the social web." Retrieved from URL: <http://www.template.org> (2007); Opsahl Kurt, Bills of Privacy Rights for Social Network Users, Electronic Frontier Foundation, 19th of May 2010, <https://www.eff.org/deeplinks/2010/05/bill-privacy-rights-social-network-users>; Sterling Bruce, The Ello Bill of Rights for Social Network Users, Wired, 1st of July 2015, <https://www.wired.com/beyond-the-beyond/2015/07/ello-bill-rights-social-network-users/>

ზოგიერთი ოპონენტის აზრით, ე.წ. „საკონსტიტუციო სტილი“, უბრალოდ არის სოციალური ქსელების მართვის თვითნებობის ლეგიტიმაციის მეთოდი, ან უბრალოდ მარკეტინგის ინსტრუმენტი, რომელიც ემყარება საზოგადოდ კონსტიტუციის ცნებასთან დაკავშირებულ წინასწარ შექმნილ აზრს. მეორე მხრივ, შესაძლებელია ვარაუდი, რომ ამ დოკუმენტებში ჩამოყალიბებული იდეები სოციალური მედიის გარემოში ასრულებს კონსტიტუციის ფუნქციას.

## 2. „ფეისბუქის“ მომსახურების პირობები

სოციალური მედიის პოპულარული პლატფორმების მომსახურების პირობების ზედაპირული დაკვირვებით, შესაძლებელია „ფეისბუქის“ მომსახურების პირობებში კონკრეტული კონფიგურაციის იდენტიფიცირება. კომპანია არის ერთადერთი სოციალური ქსელის პლატფორმა, რომელმაც თავისი მომსახურების პირობების დოკუმენტს დაარქვა „განცხადება უფლებათა და მოვალეობათა შესახებ“, - ტერმინი, რომელიც ასახავს ეროვნული კონსტიტუციონალიზმის განზომილებას, სადაც ჩამოყალიბებულია თითოეული მოქალაქის პასუხისმგებლობა და უფლებები. თავად განცხადების თანახმად, კომპანიამ იგი ჩამოაყალიბა საკუთარ პრინციპებზე დაყრდნობით.<sup>83</sup>

„ფეისბუქის“ პრინციპები წარმოადგენს წესების სისტემას, რომელიც შეიცავს ათ პრინციპს, რაც კომპანიის საქმიანობას წარმართავს მისი უცვლელი მიზნის მისაღწევად: „გახადოს სამყარო უფრო ღია და გამჭვირვალე“.

კომპანიის ათი პრინციპი საკმაოდ დეტალურადაა აღწერილი და მოიცავს ინდივიდუალური უფლებების ერთობლიობას: პირადი ცხოვრების საიდუმლოების დაცვა, საკუთარი ინფორმაციის ფლობა, ინფორმაციის

---

<sup>83</sup> Abbasi, Sara. "Internet as a Public Space for Freedom of Expression: Myth or Reality?." Available at SSRN 3064175 (2017).

წვდომისა და გაზიარების ინსტრუმენტების ფლობა, უფლება, რომ არ იყოს წაშლილი ვებგვერდიდან, ფლობდეს ღია სტანდარტებსა და პლატფორმებს, ჰქონდეს უფასო წვდომა ვებგვერდზე, განთავსებული ჰქონდეს ინდივიდუალური დოკუმენტით დაფიქსირებული მოვალეობები და უფლებები, ჰქონდეს პასუხისმგებლობა და უფლებები, რომლებიც შეესაბამება კომპანიის პრინციპებს, მონაწილეობას იღებდეს განცხადების ან პრინციპების რედაქტირებაში, ჰქონდეს უნიკალური მომსახურება, რომელიც ხელმისაწვდომია ყველასათვის მსოფლიოში; ასევე ჰქონდეს თავისუფლებების ერთობლიობა: რეპუტაციის და ნდობის მოპოვების, ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და გაზიარების, და ინტერნეტით დაკავშირების. აღსანიშნავია, რომ პრინციპებში გამოყენებული ზოგადი ტერმინები, როგორცაა „ხალხი“ და „ნებისმიერი ადამიანი“, ქმნის შთაბეჭდილებას, თითქოს ზოგიერთი პრინციპი (იხ. “ფეისბუქი“, განსაკუთრებით „პირველი პრინციპი“)<sup>84</sup> ჩამოყალიბებულია, როგორც უნივერსალური, ყველა ადამიანისთვის, მიუხედავად იმისა, იყენებს თუ არა ის „ფეისბუქს“, როგორც მედიუმს.<sup>85</sup>

„ფეისბუქის“ პირობები, განსხვავდება სოციალური მედიის სხვა პლატფორმების ხელშეკრულებებისგან. კომპანია ამჟღავნებს სურვილს, რომ მისი პირობები უფრო საკონსტიტუციო სტილში იყოს ჩამოყალიბებული. ფორმალურად კომპანია „მომსახურების პირობებში“ არ იყენებს ტრადიციულ ხელშეკრულების ლექსიკას. ფაქტობრივად, „ფეისბუქმა“ თავის პლატფორმაზე დანერგა ტრადიციული კონსტიტუციური პრინციპები, როგორცაა პირად

---

<sup>84</sup> About.fb.com. 2022. Company Info | Meta. <<https://about.fb.com/company-info/>> [Accessed 12 May 2022].

<sup>85</sup> Celeste, Edoardo. "Terms of service and bills of rights: new mechanisms of constitutionalisation in the social media environment?." *International Review of Law, Computers & Technology* 33, no. 2 (2019): 122-138.

მონაცემთა დაცვა, პირადი ცხოვრების საიდუმლოების დაცვა და გამოხატვის თავისუფლება.

კომპანია შეეცადა დემოკრატიული პროცესისკენაც გადაედგა ნაბიჯი. 2009 წელს კომპანიამ გამოაცხადა, რომ თუ იგი დაისახავდა მიზნად ცვლილებებს, იგი მას განახორციელებდა იმ შემთხვევაში, თუ აქტიურ მომხმარებელთა 30% მისცემდა ხმას კონკრეტულ ცვლილებას. მაგრამ, როდესაც „ფეისბუქმა“ კენჭისყრაზე დააყენა საკამათო ცვლილება პირად მონაცემებთან დაკავშირებით, კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო აქტიურ მომხმარებელთა მხოლოდ 1%-მა.<sup>86</sup> ამ მოვლენამ აჩვენა, რომ ზემოხსენებული 30% არარეალური ბარიერი იყო. მიუხედავად ამ წარუმატებელი მცდელობისა, ეს მაგალითი ცხადყოფს, რომ კომპანია გვთავაზობს დემოკრატიის იდეას. მას აქვს მცდელობა, რომ მისმა მომხმარებლებმა მიიღონ მონაწილეობა კომპანიის პირობების განსაზღვრის პროცესში.

### 3. სოციალური მედიის „მომხმარებელთა უფლებების ბილი“

თავიანთ ნაშრომში გილმა, რედეკერმა და გასერმა<sup>87</sup> შეარჩიეს ოთხი დოკუმენტი, რომელსაც უწოდეს სოციალური მედიის პლატფორმებისთვის „მომხმარებელთა უფლებების ბილი“. ამ ოთხეულში შედის „რა არის სოციალური ქსელის მომხმარებელთა უფლებათა ბილის შემდეგ?“<sup>88</sup> „სოციალური ქსელის მომხმარებელთა უფლებების ბილი“<sup>89</sup> „ ელოს

---

<sup>86</sup> Suzor, Nicolas. "Digital constitutionalism: Using the rule of law to evaluate the legitimacy of governance by platforms." *Social Media+ Society* 4, no. 3 (2018): 2056305118787812.

<sup>87</sup> Redeker, Dennis, Lex Gill, and Urs Gasser. "Towards digital constitutionalism? Mapping attempts to craft an Internet Bill of Rights." *International Communication Gazette* 80, no. 4 (2018): 302-319.

<sup>88</sup> Pincus, Jon, What next for the Social Network Users' Bill of Rights?. *Tales From the Net/Liminal States*, 10<sup>th</sup> of March 2011 <http://www.talesfromthe.net/jon/?p=2596>

<sup>89</sup> Smarr, Joseph, Marc Canter, Robert Scoble, and Michael Arrington. "A bill of rights for users of the social web." Retrieved from URL: <http://www.template.org> (2007).

სოციალური ქსელის მომხმარებელთა უფლებების ბილი“<sup>90</sup> და „პირადი ცხოვრების უფლებათა ბილი სოციალური ქსელების მომხმარებელთათვის“.<sup>91</sup>

ეს დოკუმენტები არ არის რაიმე სამართლებრივი ღირებულების მქონე, მაგრამ ისინი ბოლო ათწლეულის განმავლობაში არასამთავრობო ორგანიზაციების ან ინდივიდების მიერ არის გამოქვეყნებული და ერთგვარ სახელმძღვანელოს წარმოადგენს.

„ფეისბუქის“ განცხადების მსგავსად, ამ სტატიებში იყენებენ ლექსიკას, რომელიც აშკარად საკონსტიტუციო სტილისთვის არის დამახასიათებელი; მაგალითად, ოთხივე დასახელებაში გამოყენებულია სიტყვათა შეთანხმება „უფლებათა ბილი“. იმის მაგივრად, რომ კონსტიტუციური ზოგადი პრინციპების ნუსხა ჩამოაყალიბონ, ეს ტექსტები სპეციფიურ საკითხებს ეხება.<sup>92</sup>

როგორც მათი სათაურებიდან, ასევე იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ, ნაშრომებში განსაკუთრებული ყურადღება არის გამახვილებული სოციალური მედიის მომხმარებლებზე, აშკარაა, რომ ეს დოკუმენტები შემოიფარგლება მხოლოდ სოციალური მედიის გარემოთი. გამოყენების არეალის ეს შეზღუდვა გავლენას ახდენს მათ შინაარსზე.

უფლებები, რომლებსაც ამ ტიპის დოკუმენტაცია აყალიბებს, თემატურად კავშირშია, როგორც დევისი უწოდებს, მომხმარებლის მონაცემების თავისუფლებებთან;<sup>93</sup> 2014 წელს დევისმა ემპირიულად გაანალიზა სხვადასხვა მომხმარებლის შეთავაზებები უფლებათა ბილისთვის და გამოყო ათი პრინციპი,

---

<sup>90</sup> Sterling Bruce, The Ello Bill of Rights for Social Network Users, Wired, 1st of July 2015, <https://www.wired.com/beyond-the-beyond/2015/07/ello-bill-rights-social-network-users/>

<sup>91</sup> Opsahl Kurt, Bills of Privacy Rights for Social Network Users, Electronic Frontier Foundation, 19th of May 2010, <https://www EFF.org/deeplinks/2010/05/bill-privacy-rights-social-network-users>

<sup>92</sup> Redeker, Dennis, Lex Gill, and Urs Gasser. "Towards digital constitutionalism? Mapping attempts to craft an Internet Bill of Rights." International Communication Gazette 80, no. 4 (2018): 302-319.

<sup>93</sup> იქვე.

რომელთაგან თითოეული გადმოცემული იყო სხვადასხვა უფლებებისა და თავისუფლებების სახით.<sup>94</sup>

დაბოლოს, არსებითად ეს სტატიები, არა მხოლოდ მომხმარებლებს სთავაზობს უფლებისა და თავისუფლებების ერთობლიობას, ასევე აკისრებს ვალდებულებების ერთობლიობას კერძო სოციალური მედიის ქსელის ჰოსტინგკომპანიებს. როგორც „ფეისბუქის“ პრინციპები და განცხადება, ასევე სოციალური მედიის მომხმარებლების ოთხივე კანონპროექტი კონსტიტუციონალიზმის სტილში არის შედგენილი. მოვალეობებთან, უფლებებთან და პრინციპებთან მიმართებაში ამ სტილთან დაკავშირებული ტერმინოლოგია არის გამოყენებული.

#### 4. კონსტიტუციონალიზაციის ახალი მექანიზმები

კონსტიტუციონალიზაცია, წინამდებარე ნაშრომის კონტექსტში, არის ტერმინი, რომელიც გამოიყენება კონსტიტუციისთვის დამახასიათებელი ელემენტების იდენტიფიკაციის, წარმოქმნისა და შექმნის პროცესების დასადგენად.<sup>95</sup> ეს კონცეფცია გამოიყენება სამართლის სხვადასხვა დისციპლინებში.

ბოლო წლებში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა საერთაშორისო სამართალსა და ევროკავშირის სამართალზე.<sup>96</sup> საკონსტიტუციო ცნება ასახავს 1789 წლის საფრანგეთის სამოქალაქო და ადამიანის უფლებების დეკლარაციის მე-16 მუხლს, სადაც ნათქვამია, რომ საზოგადოებას, რომელშიც

---

<sup>94</sup> Davies, Todd. "Digital rights and freedoms: A framework for surveying users and analyzing policies." In International Conference on Social Informatics, pp. 428-443. Springer, Cham, 2014.

<sup>95</sup> Pierre, B. Guy Peters Jon. Handbook of public administration. Sage, 2003.

<sup>96</sup> Klabbers, Jan, Anne Peters, and Geir Ulfstein. The constitutionalization of international law. OUP Oxford, 2011.

არ არის ხელისუფლება დანაწილებული და ძირითადი უფლებები გარანტირებული, არ აქვს კონსტიტუცია.<sup>97</sup>

აქედან გამომდინარე, კონსტიტუციის ცნება, ამ ინტერპრეტაციის თანახმად, შეიძლება განისაზღვროს ორი მნიშვნელოვანი ფუნქციით: (1) ძალაუფლების ბალანსი; და (2) ადამიანის უფლებების დაცვა.

კონსტიტუციური თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, რომ „უფლებების ბილი“ და „მომსახურების პირობები“ შეიძლება თეორიულად წარმოადგენდეს კონსტიტუციონალიზაციის მექანიზმებს სოციალურ ქსელებში. ამის მიუხედავად, შესაძლოა არსებობდეს მთელი რიგი ხარვეზები, რაც აფერხებს კონსტიტუციონალიზაციის პროცესს.

## **5. სოციალური მედიის წარმოქმნა როგორც საკონსტიტუციო წინააღმდეგობების გენგისი**

გლობალური კონსტიტუციონალიზმი არის თეორიული ხასიათის კომპოზიცია, რომელიც არსებითი კონცეფციის გარშემო ბრუნავს.<sup>98</sup> ეს კონცეფცია წარმოადგენს კონსტიტუციური ბუნების მქონე ნარატივს, რომელიც შედგება ისეთი ღირებულებებისგან, როგორცაა: ძალაუფლების დაბალანსება, სამართლის უზენაესობა, ძირითად უფლებათა დაცვა, - და ამ ფასეულობათა

---

<sup>97</sup> Conseil-constitutionnel.fr. 1789. Declaration of Human and Civic Rights. [online] Available at: <[https://www.conseil-constitutionnel.fr/sites/default/files/as/root/bank\\_mm/anglais/cst2.pdf](https://www.conseil-constitutionnel.fr/sites/default/files/as/root/bank_mm/anglais/cst2.pdf)> [Accessed 1 May 2021].

<sup>98</sup> Klabbbers, Jan, Anne Peters, and Geir Ulfstein. The constitutionalization of international law. OUP Oxford, 2011.

დასახმარებლად მექანიზმების ან ინსტიტუციების ერთობლიობას, რომელიც შეიძლება არსებობდეს ეროვნული დონის მიღმა ანუ საერთაშორისო დონეზე.<sup>99</sup>

თავდაპირველად, თეორია შეიქმნა იმისთვის, რომ გარკვეული ორგანიზაციების ხელშეკრულებები მათ კონსტიტუციებად ქცეულიყო, მაგალითად, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ან ევროკავშირის.<sup>100</sup> შესაბამისად, კონსტიტუცია გამოყენებულია, როგორც მიდგომა, რომელიც იწვევს სხვადასხვა სამეცნიერო სკოლებისთვის ერ-სახელმწიფოთა მიღმა კონსტიტუციონალიზაციის მრავალფეროვანი პერსპექტივის გაჩენას.<sup>101</sup>

საინტერესოა, რომ დამუშავდა თეორია ინტერნეტთან დაკავშირებული გარკვეული ფენომენის შესახებ. ღრიმიოტუსი<sup>102</sup> აცხადებდა, რომ ინტერნეტი არის სისტემა, სადაც თანამედროვე პრივატიზაციისა და გლობალიზაციის პროცესები უპირისპირდება სახელმწიფოზე დაფუძნებულ კონსტიტუციურ ჩარჩოებს.<sup>103</sup> ამის შემდეგ, კონსტიტუციონალიზაციის ალტერნატიული პროცესები განვითარდა თვითრეგულირების კერძო სუბიექტების მეშვეობით. ამასთან, კონსტიტუციონალიზაციის ახალი ტიპები წარმატებული არ იქნებოდა, თუ არ გადახედავდნენ და განაზოგადებდნენ კონსტიტუციურ ნორმებს, რომლებიც ემყარება სახელმწიფოზე ორიენტირებულ განზომილებებს, ახალი

---

<sup>99</sup> Leite Gonçalves, Guilherme, and Sérgio Costa. "The global constitutionalization of human rights: Overcoming contemporary injustices or juridifying old asymmetries?." *Current Sociology* 64, no. 2 (2016): 311-331.

<sup>100</sup>Noesselt, Nele. "Contested global order (s): Rising powers and the re-legitimation of global constitutionalization." *International Journal of Constitutional Law* 14, no. 3 (2016): 639-656; Peters, Anne. "Constitutionalization" in d'Aspremont, Jean, and Sahib Singh, eds. *Concepts for international law: contributions to disciplinary thought*. Edward Elgar Publishing, 2019.

<sup>101</sup> Deplano, Rossana. "Questioning Unstated Assumptions of International Constitutionalism." *J. Phil. Int'l L.* 4 (2013): 99.

<sup>102</sup>Drymiotou, Elena. *Human Rights, Constitutional Law and Belonging: The Right to Equal Belonging in a Democratic Society*. Routledge, 2018.

<sup>103</sup> Priban, Jiri. "The concept of law in global societal constitutionalism." *Exploring the 'Legal' in Socio-Legal Studies* (2015).

მულტინაციონალური სოციალური გარემოს მახასიათებლების გათვალისწინებით.<sup>104</sup>

უატის<sup>105</sup> თანახმად, გლობალური კონსტიტუციონალიზმის მნიშვნელოვანი თემები, ანუ ინდივიდუალური უფლებების აღიარება, ძალაუფლების შეზღუდვა და მთავრობათაშორის კონტროლზე უარის თქმა აღიარებულია ინტერნეტის მართვის ჭრილში, როგორც ინტერნეტის თავისუფლების კონსოლიდაცია და ინტერნეტის პრინციპების განვითარება.

თავის მხრივ, უატმა<sup>106</sup> აღნიშნა, რომ ინსტიტუციონალიზებული ჩარჩოს არარსებობა დამაკმაყოფილებელი შედეგების მიღწევის გარანტიას არ იძლევა ინდივიდუალური უფლებების აღსრულებისა და გადანაცვტილების მიმღების პასუხისმგებლობის საკითხებთან დაკავშირებით.

სანტანიელო, პალადინო, ქატონე და დაიანა<sup>107</sup> ამტკიცებენ, რომ მიმდინარე საერთაშორისო საკითხები მოითხოვს საერთაშორისო მარეგულირებელ ჩარჩოებს; ამ მხრივ, ინტერნეტში ორივე ზემოხსენებული მოვლენა დაფიქსირდა, რადგან ის ძლიერდება ინტერასტრუქტურულად და ასევე იზრდება გადანაცვტილების მიღების გამჭვირვალებობა.

ის სთავაზობს საერთაშორისო საზოგადოებას სხვადასხვა საშუალებებს დემოკრატიული გზით მონაწილეობისთვის. ამ სახით ინტერნეტის მართვა უზრუნველყოფს განვითარებულ გარემოს, სადაც შეიძლება მოხდეს ახალი ნორმების, არასამთავრობო პროცესების შეფასება მომავალში გამოყენების

---

<sup>104</sup> Schneiderman, David. "On Suffering and Societal Constitutionalism: At the Border of International Investment Arbitration and Human Rights." *Boundaries of State, Boundaries of Rights Human Rights, Private Actors, and Positive Obligations*, edited by Tsvi Kahana and Anat Scolnicov (Cambridge University Press, 2016) (2016).

<sup>105</sup> Watt, Horatia Muir. "When Societal Constitutionalism Encounters Private International Law: Of Pluralism, Distribution, and 'Chronotopes'." *Journal of Law And Society* 45 (2018): S185-S203.

<sup>106</sup> იქვე.

<sup>107</sup> Santaniello, Mauro, Nicola Palladino, Maria Carmela Catone, and Paolo Diana. "The language of digital constitutionalism and the role of national parliaments." *International Communication Gazette* 80, no. 4 (2018): 320-336.

მიზნით, რათა მიღწეულ იქნეს ინდივიდთა გაძლიერება და მრავალდონიანი კონსტიტუციური ფორმით გლობალური მმართველობის მექანიზმების ლეგიტიმაცია.<sup>108</sup>

რედეკერი, გილი და გასერი<sup>109</sup> საუბრობენ, რომ საერთაშორისო სამართალმა შემოგვთავაზა ტრადიციული ინდივიდუალური უფლებების ჩარჩო, რომელიც აღარ არის საკმარისი თანამედროვე სისტემური საკითხების გადასაწყვეტად, მაგალითად, საერთაშორისო მეთვალყურეობასთან დაკავშირებით. კერძოდ, ამ მიდგომას აქვს ხარვეზები, რის გამოც ვერ ახერხებს თანამედროვე ძირითად უფლებათა საფრთხეებზე ადეკვატური პასუხის გაცემას - საფრთხეებზე, რომელიც არ შემოიფარგლება მხოლოდ სახელმწიფო და ცალკეულ აქტორთა ურთიერთკავშირით.<sup>110</sup>

გლობალური კომუნიკაციის სისტემებთან დაკავშირებულმა თანამედროვე საერთაშორისო საკითხებმა შეიძლება მოითხოვოს კონსტიტუციური რეაგირება, რომელიც გადალახავს სამართლებრივ-სუბიექტივისტურ და სახელმწიფოებრივ რედუქციონიზმს.<sup>111</sup>

ამ ნაშრომიდან იკვეთება, რომ გლობალური კონსტიტუციონალისტის პერსპექტივიდან ინტერნეტის ეკოსისტემაში არსებობს კონკრეტული ხშირად განმეორებადი თემები, როგორცაა: ინტერნეტის გლობალური განზომილება, რომელიც სცდება სახელმწიფოზე ორიენტირებულ განზომილებას და მარეგულირებელი გადანაცვტილებების მიღებას საჭიროებს; ინდივიდუალური

---

<sup>108</sup> იქვე.

<sup>109</sup> Redeker, Dennis, Lex Gill, and Urs Gasser. "Towards digital constitutionalism? Mapping attempts to craft an Internet Bill of Rights." *International Communication Gazette* 80, no. 4 (2018): 302-319.

<sup>110</sup> იქვე.

<sup>111</sup> Fischer-Lescano, Andreas. "Struggles for a global Internet constitution: protecting global communication structures against surveillance measures." *Global Constitutionalism* 5, no. 2 (2016): 145-172; Redeker, Dennis, Lex Gill, and Urs Gasser. "Towards digital constitutionalism? Mapping attempts to craft an Internet Bill of Rights." *International Communication Gazette* 80, no. 4 (2018): 302-319.

ფუნდამენტური უფლებების დაცვა კერძო აქტორის საფრთხეებისგან; ინდივიდთა გაძლიერება, ხოლო სხვა აქტორების უფლებამოსილების შეზღუდვა.

გარდა ამისა, სოციალური მედია აღარ წარმოადგენს ფუნდამენტური უფლების, კერძოდ გამოხატვის თავისუფლების განსაკუთრებულ უზრუნველსაყოფ საშუალებას.<sup>112</sup> იგი ასევე არის მედიუმი, რომელსაც სახელმწიფოები, ინდივიდები და კერძო ორგანიზაციები იყენებენ მუქარისა და უკანონო ქმედებების განხორციელების მიზნით.<sup>113</sup>

ამ სიტუაციაში, ინდივიდებს აქვთ სუსტი მექანიზმები, რომ შეცვალონ დომინანტი აქტორის ძალაუფლება: სახელმწიფოების, რომლებიც ინარჩუნებენ ტრადიციულ შესაძლებლობებს ხელჰყონ ფუნდამენტური უფლებები, სოციალური მედიის ორგანიზაციების, რომლებიც პლატფორმაზე მომხმარებელთა ქცევის არბიტრები გახდნენ<sup>114</sup> და ყველა კერძო ორგანიზაციის, მაგ. რეკლამის მიმწოდებლის, რომელსაც შეუძლია გამოიყენოს მომხმარებელთა პირადი მონაცემები პროდუქტის ან მომსახურების გაყიდვის მიზნით.<sup>115</sup>

ეს კომპონენტები წარმოაჩენენ იმ გზას, რომლითაც სოციალური მედია, ძალაუფლების ბალანსისა და ძირითადი უფლებების დაცვაზე გავლენის

---

<sup>112</sup> Tsesis, Alexander. "Free Speech Constitutionalism." U. Ill. L. Rev. (2015): 1015.

<sup>113</sup> Tushnet, Mark. "The possibility of illiberal constitutionalism." Fla. L. Rev. 69 (2017): 1367.

<sup>114</sup> MacKinnon, Rebecca, Elonnai Hickok, Allon Bar, and Hae-in Lim. *Fostering freedom online: The role of internet intermediaries*. UNESCO Publishing, 2015; Powers, Shawn M., and Michael Jablonski. *The real cyber war: The political economy of internet freedom*. University of Illinois Press, 2015; Romanosky, Sasha, Martin C. Libicki, Zev Winkelman, and Olesya Tkacheva. *Internet Freedom Software and Illicit Activity: Supporting Human Rights Without Enabling Criminals*. Rand Corporation, 2015.

<sup>115</sup> Abbasi, Sara. "Internet as a Public Space for Freedom of Expression: Myth or Reality?." Available at SSRN 3064175 (2017); Beckerlegge, Gwilym. "Computer-mediated religion: Religion on the Internet at the turn of the twenty-first century." In *Religion Today: Tradition, Modernity and Change*, pp. 219-264. Routledge, 2017; Hunsaker, Amanda, and Eszter Hargittai. "A review of Internet use among older adults." *New Media & Society* 20, no. 10 (2018): 3937-3954.

მოხდენის საშუალებით, გვთავაზობს კონსტიტუციური ფარდობითი წონასწორობის შეცვლას.

## 6. „მომსახურების“ „პირობები“ და „უფლებათა ბილი“, როგორც მაკომპენსირებელი კონსტიტუციონალიზმის გამოხატულება

კონსტიტუციონალიზმის საპასუხო მოქმედება, რომელიც მოიაზრება სახელმწიფოზე ორიენტირებულ პარადიგმაში, გულისხმობს სახელმწიფოს მიერ სოციალური მედიის ორგანიზაციების გაკონტროლებას სამართლებრივი მონესრიგებით. ამ ინსტრუმენტის მაგალითი შეიძლება იყოს 2017 წლის გერმანიის „ქსელის აღსრულების კანონი“.

აღნიშნული კანონის საფუძველზე სოციალური მედია ვალდებულია გარკვეულ ვადაში ამოიღოს უკანონო შინაარსი პლატფორმიდან.<sup>116</sup> მიუხედავად კრიტიკისა, რომელიც მიმართულია კანონის მოქმედებაზე ევროკავშირის რეგულაციების<sup>117</sup> სანააღმდეგოდ, და ამასთან გამოხატვის თავისუფლებაზე საზიანო ზემოქმედების გამო,<sup>118</sup> კანონის საბოლოო მიზანი იყო, რომ სოციალური მედიის პლატფორმები ემორჩილებოდნენ იმ რეგულაციებს, რომლებიც გერმანიის კანონმდებლობის თანახმად იცავს პიროვნების ძირითად უფლებებს. ამ საკითხს დეტალურად შევხებით VI ნაწილში.

მეორე მხრივ, სოციალური მედიის გარემოს სამი ძირითადი მახასიათებელი აქვს; უპირველეს ყოვლისა, მისი საერთაშორისო განზომილება, კერძო ორგანიზაციების, როგორც ახალი, სახელმწიფოს გარდა არსებული,

<sup>116</sup>Schmitz, Sandra, and Christian M. Berndt. "The German Act on Improving Law Enforcement on Social Networks (NetzDG): A Blunt Sword?." Available at SSRN 3306964 (2018).

<sup>117</sup>Celeste, Edoardo. "Digital constitutionalism: a new systematic theorisation." *International Review of Law, Computers & Technology* 33, no. 1 (2019): 76-99.

<sup>118</sup>Schmitz, Sandra, and Christian M. Berndt. "The German Act on Improving Law Enforcement on Social Networks (NetzDG): A Blunt Sword?." Available at SSRN 3306964 (2018); Celeste, Edoardo. "Digital constitutionalism: a new systematic theorisation." *International Review of Law, Computers & Technology* 33, no. 1 (2019): 76-99.

დომინანტური ძალის გაძლიერება და კერძო აქტორების არსებობა, რომლებიც საფრთხეს უქმნიან ინდივიდუალურ უფლებებს.

კონსტიტუციონალიზმის ტრადიციული ინსტრუმენტები, რომლებიც ეროვნულ დონეზე შემუშავებული, ფოკუსირდება მოქალაქეებსა და სახელმწიფოებს შორის ურთიერთობაზე. ამასთანავე, ისინი საერთოდ არ განიხილავენ გარეშე ძალას, რომელიც მათ იურისდიქციას სცდება. მსგავს სიტუაციებში, კონსტიტუციონალიზაციის მაკომპენსირებელი პროცესები შეიძლება წარმოიშვას სახელმწიფოების მიღმა, როგორც პასუხი სახელმწიფოზე ორიენტირებული კონსტიტუციის მექანიზმების ნაკლოვანებებზე.<sup>119</sup>

სოციალურ მედიაში კონსტიტუციონალიზაციის პროცესები, შეიძლება ჩაითვალოს, როგორც სანინალმდეგო რეაქცია სახელმწიფოზე ორიენტირებული კონსტიტუციის წარუმატებლობაზე, სოციალური მედიის გარემოში არსებული პრობლემების მოგვარებისას.

ისეთი დოკუმენტები, როგორიცაა „სოციალური მედიის მომხმარებელთა უფლებების ბილი“ და სოციალური მედიის პლატფორმების „მომსახურების პირობები“ ყურადღებას ამახვილებს სოციალური მედიის ორგანიზაციებსა და მათ მომხმარებლებს შორის ურთიერთობაზე. ეს ნიშნავს, რომ ტრადიციულმა კონსტიტუციონალიზმმა, რომელიც სახელმწიფოზე ორიენტირებული, ვერ შეძლო ამ გამოწვევებზე შესაფერისი პასუხების უზრუნველყოფა.

დაბოლოს, თუ ინდივიდი შეადარებს „სოციალურ მედიაში მომხმარებლების უფლებების შესახებ ბილის“ მახასიათებლებს და სოციალური მედიის „მომსახურების პირობებს“, პირველი შეიძლება წარმოიდგინოთ, როგორც მედიუმი, რომელიც ამ უკანასკნელის წარუმატებლობის

---

<sup>119</sup> Abbasi, Sara. "Internet as a Public Space for Freedom of Expression: Myth or Reality?." Available at SSRN 3064175 (2017).

კომპენსაციისთვის გამოიყენება მიკერძოებულობისა და დემოკრატიული მონაწილეობის აშკარა ნაკლებობის გამო.

ამ გზით, „სოციალური მედიის მომხმარებლების უფლებების ბილი“ შეიძლება ფუნქციონირებდეს, როგორც კონსტიტუციონალიზმის საწინააღმდეგო რეაქცია, რათა დაუპირისპირდეს სოციალური მედიის „მომსახურების პირობების“ ნაკლოვანებებს და სახელმწიფოზე ორიენტირებულ კონსტიტუციონალიზმს.

## IV ადამიანის ძირითადი უფლებები და სოციალური მედია

### 1. მომხმარებლის უფლებები სოციალური მედიაში

„ფეისბუქის“ მიერ ვებგვერდზე დემოკრატიის თემაზე ჩატარებული ექსპერიმენტი ცხადყოფს არსებულ განსხვავებებს სამართლებრივ რეალობასა და სოციალურ ღირებულებებს შორის. სამართლებრივად „მომსახურების პირობები“ სახელშეკრულებო დოკუმენტია, რომელიც ძირითად სამომხმარებლო გარიგებას ადგენს: მომხმარებელი ეთანხმება ვებგვერდის პირობებს მასზე წვდომის სანაცვლოდ.<sup>120</sup>

სამართლებრივი კავშირი მომხმარებლებსა და მიმწოდებელს შორის, არის იგივე კავშირი, რაც მყიდველსა და კომპანიას შორის, და არა მოქალაქეებსა და სახელმწიფოს შორის.<sup>121</sup> სამართლებრივი თვალსაზრისით, ლოგიკური არ არის საუბარი მომხმარებლის უფლებებზე, თუკი მყიდველს არ შეუძლია ხელშეკრულებაში შესწორებების შეტანა.<sup>122</sup> ჩვენი კვლევის ფარგლებში საქართველოში „ფეისბუქის“ მომხმარებელთა შორის ჩატარებული გამოკითხვის შედეგების მიხედვით მომხმარებელთა 54% აცხადებს, რომ არ იცნობს „ფეისბუქის“ „მომსახურების პირობებს“, მაშინ როდესაც „ფეისბუქზე“ ანგარიშის გახსნისას, თითოეულ მათგანს დადასტურებული აქვს, რომ იცნობენ

---

<sup>120</sup>McBride, Pauline. "The" new public" criterion after Svensson: the (ir) relevance of website terms and conditions." *Intellectual Property Quarterly* 2017, no. 3 (2017): 262-285; Vidhayasai, Tya, Sonthida Keyuravong, and Thanis Bunsom. "Investigating the Use of Google Translate in " Terms and Conditions" in an Airline's Official Website: Errors and Implications." *PASAA: Journal of Language Teaching and Learning in Thailand* 49 (2015): 137-169.

<sup>121</sup> იქვე.

<sup>122</sup>Vidhayasai, Tya, Sonthida Keyuravong, and Thanis Bunsom. "Investigating the Use of Google Translate in " Terms and Conditions" in an Airline's Official Website: Errors and Implications." *PASAA: Journal of Language Teaching and Learning in Thailand* 49 (2015): 137-169; MacPhail, John, and Bea Stathy. "Contract law:'I Agree': Are lawyers exposing themselves to risk by accepting Government website terms?." *Bulletin (Law Society of South Australia)* 38, no. 11 (2016): 43-45.

„მომსახურების პირობებს“. ამკარაა, რომ ანგარიშის გახსნისას ეს დასტური მექანიკურად არის მიცემული.

48.9% აცხადებს, რომ დაურეპორტებიათ „ფეისბუქზე“ მათთვის მიუღებელი შინაარსი. მათი 69% აცხადებს, რომ „ფეისბუქს“ არ წაუშლია მათ მიერ დარეპორტებული შინაარსი.<sup>123</sup>

სახელშეკრულებო მომსახურების პირობები ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი ორგანული ნაწილია. ისინი საკონსტიტუციო დოკუმენტაციას წარმოადგენს თავისი მნიშვნელობით და ამ დოკუმენტაციის მიხედვით მართვა ისევე ხდება, როგორც საჯარო სივრცის მართვა. „მომსახურების პირობების“ დოკუმენტაცია მათ ოპერატორებს მნიშვნელოვანი ძალით აღჭურავს.

ეს დოკუმენტები კორპორატიული, დიდი პლატფორმებისთვის იწერება იმ ფორმით, რომლის მიზანია პლატფორმის პროვაიდერების კომერციული ინტერესების დაცვა. ბრამანისა და რობერტის მსგავსი კვლევები ცხადყოფს, თუ როგორ კრძალავს ინტერნეტსერვისის პროვაიდერების ხელშეკრულებები შინაარსს, რომელიც დაცულია კონსტიტუციით და უარყოფს კონსტიტუციის სტანდარტებს საკუთარი რეგულაციების განხორციელების სასარგებლოდ.<sup>124</sup>

შეერთებული შტატების კონტექსტში, კონსტიტუციური უფლებების ენას კერძო პარადიგმაში არავითარი გამოყენება არ აქვს; კონსტიტუციის კანონი მოქმედებს ძირითადად საჯარო ორგანიზაციებისა და სახელმწიფო აქტორების ქმედებებისთვის, სადაც თავად სახელმწიფო უშუალოდ მონაწილეობს.<sup>125</sup>

ეს ნიშნავს, რომ კონსტიტუციური უფლებები - სიტყვის და შეკრების თავისუფლება, დემოკრატიულ პროცესებში მონაწილეობის უფლება და

---

<sup>123</sup> სოცილოგიური გამოკითხვა.

<sup>124</sup> Braman, Sandra, and Stephanie Roberts. "Advantage ISP: Terms of service as media law." *New media & society* 5, no. 3 (2003): 422-448.

<sup>125</sup> იქვე.

შესაბამისი პროცესის მოთხოვნები - არ გამოიყენება კერძო აქტორების მიმართ და გამოიყენება მხოლოდ სახელმწიფო აქტორების მიმართ.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთმა მეცნიერმა, როგორც არიან შოუ, შეფა, ფიდელერი და მეიენი განაცხადეს, რომ კონსტიტუციის წესები შეიძლება გამოყენებულ იქნეს ისეთი კვაზი-საჯარო ფორუმისთვის, როგორცაა სოციალური მედია, კანონმდებლობა ჯერ ამ მხრივ არ განვითარებულა.<sup>126</sup>

შესაბამისად, გასაჩივრების შემთხვევაში მომხმარებლები მინიმალურ კომპენსაციას იღებენ პლატფორმებისგან. ონლაინ პლატფორმების მომხმარებლები განიხილებიან, როგორც კლიენტები, რომლებიც ნებაყოფლობით ეთანხმებიან კერძო კომპანიის პირობებს. მომხმარებლები, ამ პირობების მიღების შემდეგ, კანონის შესაბამისად, ვალდებული არიან დაიცვან ისინი. პასუხი, რაც მომხმარებლის შემფოთებას იწვევს, პლატფორმებისგან არის: „თუ არ მოგწონთ, დატოვეთ ის“.<sup>127</sup>

პლატფორმებს დიდი ძალისხმევა სჭირდებათ, რათა თავიდან აიცილონ მესამე მხარის წინაშე პასუხისმგებლობის საკითხი იმ მოქმედებებისთვის, რასაც აკეთებენ მომხმარებლები პლატფორმაზე.

ისინი ამას აღწევენ იმის ჩვენებით, თუ რამდენად მცირეა მათი მხრიდან მომხმარებლების რეგულირების ხარისხი. თავს სრულიად ნეიტრალურ მედიუმად აჩვენებენ; როგორც საუბრის ხელშემწყობი საშუალებები და შინაარსის მატარებლები, ეს ორგანიზაციები ცდილობენ, რომ თავიდან აიცილონ

---

<sup>126</sup> Shaw, Adrienne. "The Internet is full of jerks, because the world is full of jerks: What feminist theory teaches us about the Internet." *Communication and Critical/Cultural Studies* 11, no. 3 (2014): 273-277; Shefa, Mason C. "First Amendment 2.0: Revisiting Marsh and the Quasi-Public Forum in the Age of Social Media." *U. Haw. L. Rev.* 41 (2018): 159; Fiedler, Anke, and Michael Meyen. "A quasi-public sphere: Letters to the editor in the German Democratic Republic." *Javnost-The Public* 22, no. 2 (2015): 181-195.

<sup>127</sup>Fried, Barbara H. "If you don't like it, leave it": The problem of exit in social contractarian arguments." *Philosophy & public affairs* 31, no. 1 (2003): 40-70; Suzor, Nicolas. "Digital constitutionalism: Using the rule of law to evaluate the legitimacy of governance by platforms." *Social Media+ Society* 4, no. 3 (2018): 2056305118787812.

პასუხისმგებლობა იმაზე, თუ როგორ გამოიყენებენ მათ სისტემებს და როგორ იმოქმედებენ მათი მომხმარებლები.<sup>128</sup>

მითი ონლაინ პლატფორმების ნეიტრალურობის შესახებ ღრმად ფესვებგადგმულია ტექნოლოგიების სამყაროში. პლატფორმები ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ისინი მომხმარებლების მეტყველებას გადასცემენ რედაქტირების გარეშე. შესაბამისად ისინი ასრულებენ ისეთივე როლს, როგორც ინჟინრები, რომელთა მოვალეობაა ინფრასტრუქტურის შექმნა და საზოგადოებისთვის ინსტრუმენტების შეთავაზება. შემდეგ უკვე საზოგადოების პასუხისმგებლობაა, თუ როგორ გამოიყენებს ის ამ ინსტრუმენტებს.<sup>129</sup>

აღგორითმები და არქიტექტურა, რომლებსაც ისინი იყენებენ, აყალიბებს როგორც მათი მომხმარებლების კომუნიკაციას ფორმას, ასევე ინფორმაციას, რასაც მომხმარებლებს უჩვენებენ. მაშინ როდესაც მათი გამოყენების პირობები და პოლიტიკა ფორმალურად ნეიტრალური ხასიათისაა, შერჩევითი აღსრულება მათ უფლებამოსილებას აძლიერებს.<sup>130</sup> მათი მართვის უწყვეტი პროცესები ჩამოყალიბებულია სოციალური ნორმების და რთული სოციოტექნიკური, სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურების ურთიერთქმედებით.<sup>131</sup>

---

<sup>128</sup> Huber, Thomas L., Thomas Kude, and Jens Dibbern. "Governance practices in platform ecosystems: Navigating tensions between cocreated value and governance costs." *Information Systems Research* 28, no. 3 (2017): 563-584; De Brasi, Leandro. "Democratic governance of information technologies: The need for citizen competence." *IEEE Technology and Society Magazine* 38, no. 1 (2019): 51-57.

<sup>129</sup> Chander, Anupam, and Vivek Krishnamurthy. "The myth of platform neutrality." *Geo. L. Tech. Rev.* 2 (2018): 400.

<sup>130</sup> De Brasi, Leandro. "Democratic governance of information technologies: The need for citizen competence." *IEEE Technology and Society Magazine* 38, no. 1 (2019): 51-57.

<sup>131</sup> Hsu, Meng-Hsiang, Shih-Wei Tien, Hsien-Cheng Lin, and Chun-Ming Chang. "Understanding the roles of cultural differences and socio-economic status in social media continuance intention." *Information Technology & People* (2015).

მომხმარებლის შუამავლობის სისტემები არ შეიძლება იყოს ნეიტრალური რაიმე ფორმით.<sup>132</sup> შესაბამისად, მომსახურების ხელშეკრულების დოკუმენტების პირობები უნდა ასრულებდეს ორმაგ მოვალეობას. პირველი მოვალეობაა, რომ მომხმარებლებს ჰქონდეთ სრული დისკრეცია გააკონტროლონ პლატფორმის მუშაობის და გამოყენების წესი.

მეორე მოვალეობაა კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება, თუ როგორ იყენებს პლატფორმა მის ქცევის მაკონტროლებელ უფლებებს სხვა მიზნებისათვის - მაგალითად, მთავრობების მიმართ, რომლებიც ცდილობენ ცენზურის ქვეშ მოაქციონ შინაარსი ან უთვალთვალონ თავად მომხმარებლებს, მესამე პირების და საავტორო უფლებების მფლობელების მიმართ, რომელთაც აქვთ კონკრეტული წუხილები; პირობები დგინდება ისე, რომ უარი თქვან პასუხისმგებლობაზე.

ეს ორმაგი ბუნება შენარჩუნებულია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს ორგანიზაციები მთლიანად კერძო სფეროს მიეკუთვნება. მიუხედავად იმისა, რომ სოციალური მედიის პლატფორმებს გააჩნიათ იურიდიული უფლება და ტექნიკური შესაძლებლობა დაარეგულირონ სისტემების გამოყენების წესი, მათ არ ეკისრებათ სამართლებრივი ან მორალური პასუხისმგებლობა მათი მომხმარებლების ქცევასა ან მოქმედებაზე.

ეს განსხვავება მოქმედებს იმ მოსაზრებით, რომ სოციალური მედიის მომხმარებლები არიან რაციონალური და მთლიანად ავტონომიური აქტორები ლიბერალურ ბაზარზე. ეს პირები თავიანთ თანხმობას უცხადებენ სოციალური

---

<sup>132</sup>Suzor, Nicolas. "Digital constitutionalism: Using the rule of law to evaluate the legitimacy of governance by platforms." *Social Media+ Society* 4, no. 3 (2018): 2056305118787812; Suzor, Nicolas, Tess Van Geelen, and Sarah Myers West. "Evaluating the legitimacy of platform governance: A review of research and a shared research agenda." *International Communication Gazette* 80, no. 4 (2018): 385-400.

მედის ორგანიზაციებს მათი წვდომის ფასად, ამასთან კისრულობენ პირად პასუხისმგებლობას.

ეს განცხადება საშუალებას აძლევს პლატფორმებს, რომ იყოს მთლიანად კერძო ბიზნესი. მათზე ყურადღება გამახვილდა, იმდენად რამდენადაც თანამედროვე ადამიანებმა გაიაზრეს ის, რომ პლატფორმები მნიშვნელოვან როლს ასრულებს ყოველდღიური აქტივობების მართვაში.<sup>133</sup>

ინდივიდუალური უფლებების დაცვა ონლაინ სამყაროს საზღვრებში, ხდება საერთაშორისო შემფოთების საკითხი.<sup>134</sup> Guardian- ის მიერ გამოქვეყნებული სტატიის თანახმად, ბერნერ-ლიმ მოუწოდა „ვების მაგნა ქარტას“ შექმნისკენ<sup>135</sup> ინდივიდუალური უფლებების დაცვის მიზნით; შეიქმნა კამპანია ინიციატივით „Web We Want“. ეს ინიციატივა იყენებს მანამდე შექმნილ ინიციატივებს და მათ ეფუძნება, კერძოდ, გლობალური ქსელის ინიციატივას<sup>136</sup> და ინტერნეტის პრინციპებისა და უფლებების კოალიციას<sup>137</sup>.

სუპრანაციონალური ერთეულების, სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფების და ერი-სახელმწიფოების კამპანიების დიდი ნაწილი ასახავს მოწოდებებს, რომლებიც ლიბერალურ, კლასიკურ პრიორიტეტებს მიეკუთვნება: პირადი ცხოვრების უფლებები, დეცენტრალიზებული

---

<sup>133</sup> Fisk, Nathan W. Framing internet safety: The governance of youth online. MIT Press, 2016.

<sup>134</sup> Suzor, Nicolas. "Digital constitutionalism: Using the rule of law to evaluate the legitimacy of governance by platforms." Social Media+ Society 4, no. 3 (2018): 2056305118787812; Suzor, Nicolas, Tess Van Geelen, and Sarah Myers West. "Evaluating the legitimacy of platform governance: A review of research and a shared research agenda." International Communication Gazette 80, no. 4 (2018): 385-400.

<sup>135</sup> Hern Alex, Tim Berners-Lee on 30 years of the world wide web: 'We can get the web we want', The Guardian, 12th of March 2019, <https://www.theguardian.com/technology/2019/mar/12/tim-berners-lee-on-30-years-of-the-web-if-we-dream-a-little-we-can-get-the-web-we-want>

<sup>136</sup> Global Network Initiative, Protecting and Advancing Freedom of Expression and Privacy in Information and Communication Technologies, Annual Report, 2012, <https://globalnetworkinitiative.org/wp-content/uploads/2016/10/GNI-Annual-Report-2012.pdf>

<sup>137</sup> Forum, Internet Governance. "IRPC Charter." Internet Rights and Principles Coalition, 3/12/2021. <http://internetrightsandprinciples.org/site/charter/>.

უფლებამოსილება, გამოხატვის თავისუფლება და ფორმალური თანასწორობა (ე.ი. ქსელის ნეიტრალიტეტი).<sup>138</sup>

ზოგადად, ეს ინიციატივები მიმართულია სახელმწიფო აქტორების ჩარევის წინააღმდეგ: მაგ., რამდენიმე მთავრობის მოთხოვნის, რომ გამოაქვეყნონ და შეაგროვონ ინფორმაცია მომხმარებლების საქმიანობასთან დაკავშირებით, შეზღუდონ აკრძალულ ინფორმაციაზე წვდომა და შექმნან ტექნოლოგიები და ქსელები, ხელი შეუწყონ სამართლის აღსრულებას და ზედამხედველობას. ამის საპირისპიროდ, წნეხი გაუმჯობესებული მმართველობისთვის, როგორც წესი, ნაკლებად თვალსაჩინოა და ძირითადად დასულია შუამავლების შიდა თვითმმართველობის პრაქტიკაზე.

ეს იწვევს შუამავლების მიერ შინაარსის რეგულირების პრაქტიკის და მომსახურების პირობების შესრულების კიდევ უფრო გასაიდუმლოებას.<sup>139</sup> მხოლოდ რამდენიმე ძირითადი ინსტიტუტი და უფლებების დეკლარაცია მიიღეს იმისათვის, რომ ინტერნეტსერვისის მიმწოდებლების ყურადღება გამახვილდეს შიდა პროცედურებსა და პოლიტიკის პროცედურულ ლეგიტიმურობაზე.<sup>140</sup>

პირველ რიგში, ისინი ფოკუსირდებოდნენ პირადი ცხოვრების უფლებებზე და გამოხატვის თავისუფლებაზე.<sup>141</sup> მომხმარებლებს, რომლებიც ზრუნავენ იმაზე, თუ როგორ რეგულირდება მათი შინაარსი, ძლიერი ადგილობრივი

<sup>138</sup>Bourreau, Marc, Frago Kourandi, and Tommaso Valletti. "Net neutrality with competing internet platforms." *The Journal of Industrial Economics* 63, no. 1 (2015): 30-73; Graber, Christoph B. "Bottom-Up constitutionalism: The case of net neutrality." *Transnational Legal Theory* 7, no. 4 (2016): 524-552.

<sup>139</sup> Santaniello, Mauro, Nicola Palladino, Maria Carmela Catone, and Paolo Diana. "The language of digital constitutionalism and the role of national parliaments." *International Communication Gazette* 80, no. 4 (2018): 320-336.

<sup>140</sup> Micheal Yilma, Kinfe. "Digital privacy and virtues of multilateral digital constitutionalism—preliminary thoughts." *International Journal of Law and Information Technology* 25, no. 2 (2017): 115-138.

<sup>141</sup>Suzor, Nicolas. "Digital constitutionalism: Using the rule of law to evaluate the legitimacy of governance by platforms." *Social Media+ Society* 4, no. 3 (2018): 2056305118787812; Suzor, Nicolas, Tess Van Geelen, and Sarah Myers West. "Evaluating the legitimacy of platform governance: A review of research and a shared research agenda." *International Communication Gazette* 80, no. 4 (2018): 385-400.

მმართველობებისა და ლობისტური ჯგუფებისგან განსხვავებით, არ აქვთ გავლენა მათ მიერ გამოყენებულ პლატფორმებზე, ისევე როგორც პლატფორმის პოლიტიკაზე. ეს საკითხი გართულებულია სამოქალაქო საზოგადოების შიგნით არსებული კონფლიქტებით, სადაც არ არის მიღწეული კონსენსუსი იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად მოითხოვენ მომხმარებლები დაცვას მათ მიერ გამოყენებული პლატფორმების გადანყვეტილებებისგან.

უფლებების ენისა და პლატფორმების პასუხისმგებლობის გამოხატული კონცეფციების დეფიციტი კიდევ უფრო რთულს ხდის იმ წუხილების გამოხატვას, რომელიც შეიძლება ჰქონდეს როგორც პლატფორმებს, ისე მომხმარებლებს.<sup>142</sup>

მომხმარებელთა უფლებების ენის შესახებ მოთხოვნილება მზარდია. თუ თანამედროვე გაზიარებული სოციალური გარემო იმართება ციფრული და ონლაინ მედიის პლატფორმების მიერ, მაშინ უწყვეტი გამონვევაა მომხმარებელთა უფლებების ჩამოყალიბება და ამ უფლებების დაცვის უზრუნველყოფა.

გარკვეული თვალსაზრისით, სოციალური მედიის გარემო შეიძლება ჩაითვალოს, როგორც კვაზი-საჯარო გარემო, სადაც პირადისა და საზოგადოებრივის ლიბერალური დიფერენციაცია საკმარისი არ არის მომხმარებლის გამოცდილებისა და ურთიერთობების სათანადო გაგებისთვის.<sup>143</sup>

მომსახურების პირობებს არ გააჩნია ეფექტური ბაზარი, და მის შემქნელ ორგანიზაციებს მომხმარებელთან შედარებით იმდენად არააპროპორციული

---

<sup>142</sup> Micheal Yilma, Kinfe. "Digital privacy and virtues of multilateral digital constitutionalism—preliminary thoughts." *International Journal of Law and Information Technology* 25, no. 2 (2017): 115-138.

<sup>143</sup> Santaniello, Mauro, Nicola Palladino, Maria Carmela Catone, and Paolo Diana. "The language of digital constitutionalism and the role of national parliaments." *International Communication Gazette* 80, no. 4 (2018): 320-336.

ძალაუფლება გააჩნიათ, რომ მომხმარებლებისთვის აღნიშნულ პირობებზე მოლაპარაკების საშუალებები ძალზე შეზღუდულია.<sup>144</sup>

რადგანაც მმართველ კერძო ორგანოებს საქმე აქვთ ადამიანის ძირითად უფლებათა სუბიექტებთან, თუკი შეიქმნებოდა წესების სისტემა, ეს ფასეულობები იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მხოლოდ ხელშეკრულების დონეზე ვერ დარჩებოდა.

როდესაც მომხმარებლები ეძებენ სოციალური კონტრაქტების გადამონმების გზებს, რომლებიც მათი პლატფორმებთან ურთიერთობის საფუძველია, კერძო კომპანიების გავლენასთან დაკავშირებული შეშფოთება კვლავაც იზრდება.

ეს შეშფოთება გამოიხატება იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ მოქმედებს ძალაუფლება ისეთ საკითხებში, როგორებიცაა, კონტენტის მიკერძოებული ზედამხედველობა, ალგორითმების შერჩევა, შევიწროებასა და ბოროტად გამოყენებაზე რეაგირება და ცენზურასთან დაკავშირებული საკითხები.<sup>145</sup>

ზოგიერთ შემთხვევაში, მომხმარებელთა ჯგუფების მიერ მდგრადმა და ორგანიზებულმა მოქმედებებმა აჩვენა მათი ეფექტურობა, რაც გამოიხატა სოციალური მედიის კომპანიის მიერ მომსახურების პირობების შეცვლაში.<sup>146</sup> ამასთანავე, რადგან არ არსებობს მომხმარებელთა შორის შეთანხმება, შეიძლება თუ არა მათი ინტერესები მოხსენიებულ იქნეს უფლებებად და შესაბამისად, მოპოვებულ იქნეს უპირატესობა მომსახურების პირობებზე, ეს

---

<sup>144</sup> Micheal Yilma, Kinfe. "Digital privacy and virtues of multilateral digital constitutionalism—preliminary thoughts." *International Journal of Law and Information Technology* 25, no. 2 (2017): 115-138.

<sup>145</sup> იქვე.

<sup>146</sup> Santaniello, Mauro, Nicola Palladino, Maria Carmela Catone, and Paolo Diana. "The language of digital constitutionalism and the role of national parliaments." *International Communication Gazette* 80, no. 4 (2018): 320-336.

ძალისხმევა ძირითადად იზოლირებულად ხორციელდება და საკითხის გადანწყვეტა ჭიანურდება.

ციფრული კონსტიტუციონალიზმის პროექტი წარმოადგენს ახალი გზის ძიებას, თუ როგორ შეიძლება ძალაუფლების განხორციელება ციფრული სამყაროს კონტექსტში ლეგიტიმური გახდეს.<sup>147</sup> სამართლის უზენაესობის პრინციპია, რომ წესები ზღუდავს უფლებამოსილების განხორციელებას.

უფრო მეტიც, კონსტიტუციონალიზმი ცდილობს ამ შეზღუდვების განსაზღვრას. ამრიგად, კონსტიტუციონალიზმი ციფრული სამყაროსთვის მონოღებულაია შექმნას შეზღუდვები ქსელური საზოგადოების საზღვრებში უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით. ამ ტიპის კონსტიტუციონალიზმი მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე დგას.

საჭიროა განისაზღვროს, თუ როგორი მმართველობით უნდა დაიცვან ფასეულობები ონლაინ სამყაროში.<sup>148</sup> ეს საკითხი სულ უფრო აქტუალური ხდება. უნდა შემუშავდეს და იდენტიფიცირება მოხდეს სამართლებრივი, სოციალური და ტექნიკური მიდგომების, რაც ხელს შეუწყობს ონლაინ მმართველობის ლეგიტიმურობის გაუმჯობესებას.<sup>149</sup> სატელეკომუნიკაციო მომხმარებლების კონსტიტუციური უფლებების დაცვა დიდი ხნის განმავლობაში წარმოადგენდა პრობლემას და ახლა კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდა, რადგან ბევრი ინცესს

---

<sup>147</sup>Padovani, Claudia, and Mauro Santaniello. "Digital constitutionalism: Fundamental rights and power limitation in the Internet eco-system." *International Communication Gazette* 80, no. 4 (2018): 295-301; Celeste, Edoardo. "Terms of service and bills of rights: new mechanisms of constitutionalisation in the social media environment?." *International Review of Law, Computers & Technology* 33, no. 2 (2019): 122-138.

<sup>148</sup> Padovani, Claudia, and Mauro Santaniello. "Digital constitutionalism: Fundamental rights and power limitation in the Internet eco-system." *International Communication Gazette* 80, no. 4 (2018): 295-301.

<sup>149</sup> Mann, Monique, Angela Daly, Michael Wilson, and Nicolas Suzor. "The limits of (digital) constitutionalism: Exploring the privacy-security (im) balance in Australia." *International Communication Gazette* 80, no. 4 (2018): 369-384.

იმ როლის გაცნობიერებას, რომელსაც ციფრული მედია პლატფორმები ასრულებენ, როგორც საკომუნიკაციო შუამავლები.<sup>150</sup>

საკონსტიტუციო თეორიასა და სამართალში არსებული დაყოფა კერძო და საჯარო სფეროს შორის პრობლემური ხდება ციფრულ სამყაროში, სადაც დგება საკითხი, რომ სამართლებრივი მონესრიგება მხოლოდ სახელმწიფოს მოვალეობა არ არის.<sup>151</sup> ონლაინ გარემოს რეგულაციები, ისევე როგორც მათი მოქმედების წესი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მათი მომხმარებლის ძირითად უფლებებზე.<sup>152</sup> ამ ფაქტის აღიარებამ ციფრული პლატფორმის უკეთესი ფორმით მართვის და ონლაინ-მმართველობისა და საკონსტიტუციო უფლებების გადაკვეთის ახლებურად გააზრება განაპირობა.<sup>153</sup>

ამრიგად, საჭიროა გავიგოთ, თუ როგორ დავიცვათ კონსტიტუციური უფლებები და ღირებულებები, როდესაც მმართველობა დეცენტრალიზებული გახდება.<sup>154</sup>

## 1.1 სოციალური მედიის პროვაიდერების წინააღმდეგ კერძო სამართალწარმოების სამართლებრივი ბარიერები

---

<sup>150</sup> Greenstein, Shane, Martin Peitz, and Tommaso Valletti. "Net neutrality: A fast lane to understanding the trade-offs." *Journal of Economic Perspectives* 30, no. 2 (2016): 127-50.

<sup>151</sup> Seifert, Jeffrey W. "A primer on e-government: Sectors, stages, opportunities, and challenges of online governance." Library of Congress Washington DC Congressional Research Service, 2003; Boatright, John R. "Ethics and corporate governance: Justifying the role of shareholder." *The Blackwell guide to business ethics* (2017): 38-60.

<sup>152</sup> Bache, Ian, Ian Bartle, and Matthew Flinders. "Multi-level governance." In *Handbook on theories of governance*. Edward Elgar Publishing, 2016; Boatright, John R. "Ethics and corporate governance: Justifying the role of shareholder." *The Blackwell guide to business ethics* (2017): 38-60.

<sup>153</sup> Collins, Hugh. *Transnational governance and constitutionalism*. Hart Publishing, 2004; Williams, Logan DA, and Thomas S. Woodson. "Enhancing socio-technical governance: targeting inequality in innovation through inclusivity mainstreaming." *Minerva* 57, no. 4 (2019): 453-477; De Brasi, Leandro. "Democratic governance of information technologies: The need for citizen competence." *IEEE Technology and Society Magazine* 38, no. 1 (2019): 51-57.

<sup>154</sup> Suzor, Nicolas. "Digital constitutionalism: Using the rule of law to evaluate the legitimacy of governance by platforms." *Social Media+ Society* 4, no. 3 (2018): 2056305118787812.

აშშ-ს თანამედროვე ფედერალური კანონმდებლობის თანახმად, სოციალური მედიის პლატფორმების მომხმარებლები ორი ბარიერის წინაშე დგანან, როდესაც ცდილობენ სარჩელი შეიტანონ პლატფორმის პროვაიდერის წინააღმდეგ მომხმარებლის მიერ შექმნილი შინაარსის შეზღუდვის გამო. პირველი არის ის, რომ ეს სარჩელები გამოიყენება მხოლოდ პლატფორმის გადანყვეტილების წინააღმდეგ, რომ ნაშალოს შინაარსი და არა დაუშვას იგი, რადგან მაშინ სოციალური მედიის პლატფორმები წინააღმდეგობაში მოდიან აშშ-ს კონსტიტუციის პირველ შესწორებასთან.<sup>155</sup>

ამასთან, სახელმწიფოებრივი მოქმედებების დოქტრინა გვთავაზობს, რომ სიტყვის თავისუფლება და მისი დაცვა არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც ინდივიდს ზიანს აყენებს კერძო სტრუქტურა, არამედ, მაშინ როდესაც ინდივიდს ზიანს აყენებს სახელმწიფო სტრუქტურა.<sup>156</sup>

მეორე საკანონმდებლო ბარიერი არის ის, რომ კომუნიკაციების წესიერების კანონის 230-ე მუხლი უზრუნველყოფს ინტერაქციული კომპიუტერული სერვისების პროვაიდერებს ფართო იმუნიტეტით.<sup>157</sup>

კომუნიკაციების წესიერების კანონის 230 მუხლის c ქვეპუნქტის ნაწილი 1 უზრუნველყოფს სერვისის პროვაიდერებს იმუნიტეტით სარჩელისგან, რომელიც პროვაიდერს აკისრებს პასუხისმგებლობას იმ ინფორმაციის გამოქვეყნებაზე,

---

<sup>155</sup> Gillette, Felix. "Section 230 Was Supposed to Make the Internet a Better Place. It Failed." Bloomberg.com. Bloomberg, 7/08/2019, <https://www.bloomberg.com/news/features/2019-08-07/section-230-was-supposed-to-make-the-internet-a-better-place-it-failed>.

<sup>156</sup> Suzor, Nicolas. "Digital constitutionalism: Using the rule of law to evaluate the legitimacy of governance by platforms." *Social Media+ Society* 4, no. 3 (2018): 2056305118787812.

<sup>157</sup> U.S. Code § 230. Protection for private blocking and screening of offensive material. Cornell Law School, Legal Information Institute, <https://www.law.cornell.edu/uscode/text/47/230> [Last Accessed: 08/11/2019]; Robertson Adi, Why the Internet's Most Important Law Exists and how People are still Getting it Wrong, *The Verge*, 21/06/2019, <https://www.theverge.com/2019/6/21/18700605/section-230-internet-law-twenty-six-words-that-created-the-internet-jeff-kosseff-interview>; Gillette, Felix. "Section 230 Was Supposed to Make the Internet a Better Place. It Failed." Bloomberg.com. Bloomberg, 7/08/2019, <https://www.bloomberg.com/news/features/2019-08-07/section-230-was-supposed-to-make-the-internet-a-better-place-it-failed>.

რომელიც გაკეთდა ინფორმაციული შინაარსის შემქმნელის მიერ. ამით სოციალური მედიის სფეროში ვებგვერდები იხსნიან პასუხისმგებლობას შინაარსის კონტინგზე<sup>158</sup>.

ამის საპირისპიროდ, ამ ქვეყნის მეორე ნაწილი ვებგვერდებს სთავაზობს იმუნიტეტს, თუ ისინი კეთილსინდისიერად მოქმედებენ, რათა შეზღუდონ შინაარსი, რომელიც მომხმარებლებმა ან მიმწოდებლებმა ჩათვალეს „საეჭვოდ, უხამსად, შემავინროებელად, შეურაცხმყოფლად, ზედმეტად ძალადობრივად, სიბინძურედ ან გარყვნილად“.<sup>159</sup>

ამრიგად, შეერთებული შტატების ფედერალური კანონმდებლობა არ სთავაზობს მომხმარებლებს, რომლებსაც სურთ სოციალური მედიის პლატფორმის გადანყვეტილებების შეწინააღმდეგება, შინაარსის შეზღუდვის ან აკრძალვისთვის საჭირო რესურსებს. უფრო მეტიც, მან შეიძლება შეამციროს ან აღმოფხვრას ამ პლატფორმების პასუხისმგებლობა გარკვეულ სიტუაციებში.

## 1.2 აშშ-ს კონსტიტუციის პირველი შესწორება სოციალური მედიის ჭრილში

შეერთებული შტატების კონსტიტუციის შესწორების პირველი პუნქტი, რომელიც სიტყვის თავისუფლებას ეხება, აცხადებს, რომ „კონგრესმა არ უნდა მიიღოს კანონი... სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის თაობაზე“<sup>160</sup> და მეთოთხმეტე შესწორებით,<sup>161</sup> იგი ვრცელდება ყველა შტატზე. ამრიგად, კონსტიტუციის სხვა გარანტიების მსგავსად, პირველი შესწორება მოქმედებს

---

<sup>158</sup> იქვე.

<sup>159</sup> იქვე.

<sup>160</sup> The Bill of Rights, National Archives, 15/12/1791, <<https://www.archives.gov/files/legislative/resources/education/bill-of-rights/images/handout-3.pdf>>

<sup>161</sup> About America: The Constitution of the United States of America with Explanatory Notes, US Department of State, The World Book Encyclopedia, World Book, Inc., 2004.

მხოლოდ იმ სიტუაციებში, როდესაც სასამართლო სარჩელი შეტანილია სამთავრობო სტრუქტურების ქმედებების წინააღმდეგ.<sup>162</sup>

უზენაესი სასამართლოს განმარტებით, რომლის ციტირებას ახდენს კონვიცი,<sup>163</sup> მიუხედავად იმისა, რომ ზოგადი ან ნორმატიული აქტი გარკვეულ შემთხვევებში უზრუნველყოფს ანაზღაურებას და აძლიერებს თავისუფლების დაცვას იმ ფიზიკური პირებისა ან კერძო ორგანიზაციებისგან, რომლებიც ცდილობენ სხვისი თავისუფლების გამოხატვის შეზღუდვას, კონსტიტუცია თავად არ ითვალისწინებს ამგვარ ანაზღაურებას ან დაცვას.

მეორე მხრივ, გარკვეულ სიტუაციებში უზენაესმა სასამართლომ დაუშვა სარჩელი პირველი შესწორების საფუძველზე, რომ განეხილა დაცული სიტყვის კერძო სტრუქტურების მიერ შეზღუდვის საქმე.

გარდა ფაქტობრივი სიტუაციებისა, როდესაც კომპანიები იყენებენ უფლებამოსილებას, რომელიც ექსკლუზიურად და ტრადიციულად მთავრობის ხელშია, უზენაესმა სასამართლომ მიუსადაგა პირველი შესწორება კერძო პირებს, თუ მათ აქვთ მთავრობასთან საკმარისად ახლო ურთიერთობა.<sup>164</sup>

მსგავსი შემთხვევები შეიძლება გაჩნდეს მაშინ, როდესაც კერძო პირი ექვემდებარება სახელმწიფო რეგულაციებს; თუმცა, თავად სახელმწიფო რეგულაციები არასაკმარისია სახელმწიფო ქმედებების მოთხოვნის დასადგენად.<sup>165</sup> ამრიგად, კერძო მხარეების საქმეში ჩნდება კითხვა, არის თუ არა ურთიერთობა კერძო აქტორსა და სახელმწიფოს შორის იმდენად მსგავსი, რომ კერძო აქტორების ანუ ამ შემთხვევაში პლატფორმების ქმედებები ჩაითვალოს, როგორც თავად სახელმწიფოების ქმედებები.

---

<sup>162</sup> Konvitz, Milton R. *Fundamental Rights: history of a constitutional doctrine*. Routledge, 2017.

<sup>163</sup> იქვე.

<sup>164</sup> Fisk, Catherine L. "A progressive labor vision of the First Amendment: Past as prologue." *Columbia Law Review* 118, no. 7 (2018): 2057-2094.

<sup>165</sup> იქვე.

აშშ-ს უზენაეს სასამართლოზე უფრო დაბალმა ინსტანციებმა მიიღეს გადაწყვეტილებები წარსულში, რომ პირველი შესწორება არ უკრძალავს სოციალური მედიის პლატფორმების ოპერატორებს, რომ შეზღუდონ თავიანთი მომხმარებლების მიერ განთავსებული შინაარსი.

საპირისპიროდ, თავად უზენაეს სასამართლოს არ უმსჯელია საჯაროდ ამ თემასთან დაკავშირებით და არ გამოუთქვამს თავისი მოსაზრებები. უნდა აღინიშნოს, რომ რამდენიმე იურისტმა იმსჯელა იმის შესახებ, რომ სასამართლომ უნდა განიხილოს სოციალური მედიის პლატფორმები, როგორც სახელმწიფო აქტორის თანასწორი სტრუქტურა, იმ შემთხვევაში მაინც, როდესაც ისინი ანალოგიურად იქცევიან.<sup>166</sup>

### 1.3 პირველი შესწორების ზღვარი სოციალური მედიის შინაარსის რეგულირებაზე

სოციალური მედიის პლატფორმების მიერ ონლაინ შინაარსის მართვასთან დაკავშირებული პრობლემების შესაბამისად, კანონმდებლებისა და კომენტატორების მიერ შემოთავაზებულ იქნა კანონმდებლობა სოციალური მედიის პლატფორმის მომხმარებელთა სიტყვის თავისუფლების უზრუნველსაყოფად.<sup>167</sup> ამავედროულად, პლატფორმებს მოეთხოვებათ რიგ

---

<sup>166</sup> Fisk, Catherine L. "A progressive labor vision of the First Amendment: Past as prologue." *Columbia Law Review* 118, no. 7 (2018): 2057-2094, Konvitz, Milton R. *Fundamental Rights: history of a constitutional doctrine*. Routledge, 2017..

<sup>167</sup> Shefa, Mason C. "First Amendment 2.0: Revisiting Marsh and the Quasi-Public Forum in the Age of Social Media." *U. Haw. L. Rev.* 41 (2018): 159.

შემთხვევებში კონტენტის გარკვევა, ამოღება ან ამ კონტენტის განსხვავებული აქცენტებით კომუნიკაცია მომხმარებელთან.<sup>168</sup>

როგორც აღნიშნულია ამ ნაშრომში, პირველი შესწორება დაუშვებელია ისეთ დავებთან, რომელიც წარმოიქმება კერძო პირებს შორის.<sup>169</sup> ამიტომ, ფედერალური კანონმდებლობა, შეიძლება ჩაითვალოს ისეთ ურთიერთობად, რომელზეც გავრცელდება აშშ-ს კონსტიტუციის პირველი შესწორება.<sup>170</sup> გარდა ამისა, ცვლილებაში ნათქვამია, რომ „კონგრესმა არ უნდა მიიღოს კანონი... სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის მიზნით“.<sup>171</sup> როდესაც დადგინდება, რომ გადადგმული ნაბიჯები სახელმწიფოს ქმედებებია, უნდა ვიმსჯელოთ შემდეგ საკითხზე: რამდენად იცავს პირველი შესწორება სოციალური მედიის პლატფორმების გადანაცვლებას კონტენტის მოდერაციის შესახებ.

აქვე რელევანტური კითხვაა, თუ როდის შეძლებენ სოციალური მედიის პლატფორმები დაამტკიცონ, რომ მთავრობის რეგულაციები არღვევს მათ სიტყვის თავისუფლებას.

მაგალითად, თუ ვებგვერდის შემქმნელი შინაარსის ჰოსტინგს აკეთებს საკუთარ, მის მიერ შექმნილ პლატფორმაზე, მაშინ შემქმნელს შეუძლია სიტყვის თავისუფლების გამოყენების დროს დაეყრდნოს პირველ შესწორებას<sup>172</sup>.

---

<sup>168</sup> MacPhail, John, and Bea Stathy. "Contract law: 'I Agree': Are lawyers exposing themselves to risk by accepting Government website terms?." *Bulletin (Law Society of South Australia)* 38, no. 11 (2016): 43-45; Beckerlegge, Gwilym. "Computer-mediated religion: Religion on the Internet at the turn of the twenty-first century." In *Religion Today: Tradition, Modernity and Change*, pp. 219-264. Routledge, 2017; Abbasi, Sara. "Internet as a Public Space for Freedom of Expression: Myth or Reality?." Available at SSRN 3064175 (2017).

<sup>169</sup>The Bill of Rights, National Archives, 15/12/1791, <<https://www.archives.gov/files/legislative/resources/education/bill-of-rights/images/handout-3.pdf>>

<sup>170</sup> Suzor, Nicolas. "Digital constitutionalism: Using the rule of law to evaluate the legitimacy of governance by platforms." *Social Media+ Society* 4, no. 3 (2018): 2056305118787812.

<sup>171</sup> იქვე.

<sup>172</sup> Campbell, Richard, Christopher R. Martin, Bettina Fabos, and Shawn Harmsen. *Media essentials: A brief introduction*. Bedford/St. Martin's, 2013.

სოციალური მედიის სერვისების პლატფორმებს შეუძლია თქვას, რომ ისინი სიტყვის თავისუფლების უფლებას იყენებენ, როდესაც ირჩევენ, თუ მომხმარებლის მიერ შექმნილი კონტენტის გამოქვეყნება შესაძლებელია მათ ვებგვერდზე და, როდესაც იღებენ გადაწყვეტილებებს იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება ამ კონტენტის პრეზენტაცია.<sup>173</sup>

#### 1.4 ონლაინ სიტყვის თავისუფლების დაცვა პირველი შესწორებით

ერთი მხრივ, პირველი შესწორება იცავს სიტყვის თავისუფლებას. მეორე მხრივ, მისი გარანტიები არ გამოიყენება ყველა შემთხვევაში ერთნაირად. ანალოგიურად, მთავრობის ყველა რეგულაცია, რომელიც ეხება სოციალური მედიის ვებგვერდზე განთავსებულ კონტენტს, არ შეიძლება შეფასდეს ერთნაირად, რამდენადაც არსებობს მრავალი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს მოცემულ კონკრეტულ საქმეში სასამართლოს მსჯელობაზე.

უპირველეს ყოვლისა, სასამართლომ შეიძლება კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს კონკრეტული ქმედება, რომელიც შეიძლება შესაბამისად განხილულ იქნეს, როგორც ქცევა, ან როგორც სიტყვა.<sup>174</sup>

კანონმდებლობა უშვებს ქცევის ან ქმედებით დატვირთული სიტყვის განხილვას.<sup>175</sup> ამასთან, სიტყვის იდენტიფიცირება მარტივი საქმე არ არის.

ქვედა ინსტანციის სასამართლოები თვლიან, რომ მას შემდეგ, რაც ისინი უზრუნველყოფენ ინფორმაციას, რომლის გაგებაც ადამიანებს შეუძლიათ,

---

<sup>173</sup> Guiora, Amos, and Elizabeth A. Park. "Hate speech on social media." *Philosophia* 45, no. 3 (2017): 957-971.

<sup>174</sup> Tufts, Shannon Howle, Willow S. Jacobson, and Mattie Sue Stevens. "Status update: Social media and local government human resource practices." *Review of Public Personnel Administration* 35, no. 2 (2015): 193-207.

<sup>175</sup> იქვე.

კომპიუტერული პროგრამები და კოდები შეიძლება დაცულ იქნეს პირველი შესწორების საფუძველზე.<sup>176</sup>

გარკვეულ სიტუაციებში სასამართლოებმა დაადგინეს, რომ დომენების სახელები შეიძლება ჩაითვალოს ისეთი ტიპის გამოხატვად, რომელიც დაცულია სიტყვის თავისუფლებით.<sup>177</sup>

კონტენტი, რომელიც გამოიყენება კომერციული მიზნებისათვის ან კომერციული ხასიათისაა, პირველი შესწორების დაცვას ნაკლებად იმსახურებს. კომერციულ სიტყვად შეიძლება ჩაითვალოს ის რეკლამები, რომლებიც განთავსებულია ან გამოჩნდება სოციალური მედიის პლატფორმებზე.<sup>178</sup>

ამასთან, კონკრეტულმა გამოხატვამ ან სიტყვამ, შესაძლოა უფრო მაღალი ხარისხის დაცვა მიიღოს, თუ ის არ არის კომერციული ხასიათის და მოიცავს გარკვეულ პოლიტიკურ იდეებს, უფლებებს და ა.შ.<sup>179</sup> ასევე შესაძლებელია, რომ სიტყვის გამოხატვის თავისუფლების გარკვეული კატეგორიები (როგორცაა, კომერციულ საკითხებზე სიტყვის თავისუფლება პოლიტიკურ საკითხებზე სიტყვის თავისუფლებასთან შედარებით), სარგებლობდეს უფრო ნაკლები დაცვით აშშ-ს პირველი შესწორების ფარგლებში.<sup>180</sup>

ამ ნაკლებად დაცული გამოხატვის მაგალითს წარმოადგენს ისეთი კონტენტი, რომელიც ძალადობრივ ქმედებებს ემსახურება - უკანონო

---

<sup>176</sup> Guiora, Amos, and Elizabeth A. Park. "Hate speech on social media." *Philosophia* 45, no. 3 (2017): 957-971.

<sup>177</sup> Campbell, Richard, Christopher R. Martin, Bettina Fabos, and Shawn Harmsen. *Media essentials: A brief introduction*. Bedford/St. Martin's, 2013.

<sup>178</sup> Adler, Jonathan H. "Compelled Commercial Speech and the Consumer Right to Know." *Ariz. L. Rev.* 58 (2016): 421.

<sup>179</sup> იქვე.

<sup>180</sup> O'Connor, Kimberly W., Gordon B. Schmidt, and Michelle Drouin. "Suspended because of social media? Students' knowledge and opinions of university social media policies and practices." *Computers in Human Behavior* 65 (2016): 619-626.

ქმედებების ადვოკატირება.<sup>181</sup> ამრიგად, ძალადობის შემცველი კონტენტი, რომელიც უფრო ხშირად სოციალურ მედიაში იყრის თავს, ნაკლებად ექცევა პირველი შესწორების დაცვის ქვეშ.

## 1.5 სოციალური მედიის ვებგვერდები: ციფრული საჯარო სივრცე

სოციალური მედიის მომხმარებლებს პლატფორმები სთავაზობენ ორიგინალური შინაარსის შექმნას. ამ კონტექსტში აღნიშნულ პლატფორმებს შეუძლიათ მიიღონ გადაწყვეტილება შინაარსის პრეზენტაციის შესახებ, სურთ თუ არა პლატფორმებს შინაარსის განთავსება და სურთ თუ არა ცვლილებების შეტანა შინაარსში მის განთავსებამდე.<sup>182</sup>

რამდენად ექვემდებარება პირველ შესწორებას მსგავსი ტიპის შინაარსის რედაქტირება საკმაოდ რთული საკითხია. სააპელაციო სასამართლო, რომლის ციტირებას ახდენს შვარცუელდერი,<sup>183</sup> აცხადებს, რომ შეამავლები (პლატფორმები ამ შემთხვევაში) რომლებიც მოქმედებენ, როგორც შუა რგოლი და სხვის შინაარსს აზიარებენ, პირველი შესწორებით გათვალისწინებული დაცვის ქვეშ მოიაზრებიან, თუ ისინი მონაწილეობას იღებენ ამ შინაარსის რედაქციაში.

არსებობს მოსაზრება, რომ პირველი შესწორება იცავს სოციალური მედიის პლატფორმების გამოქვეყნების გადაწყვეტილებებს.<sup>184</sup> დისკურსი აკადემიურ წრეებში ბოლო დრომდე პირველ რიგში იყო გამახვილებული იმ საკითხებზე, თუ შეიძლება, რომ ალგორითმები, რომლებსაც ონლაინ საძიებო

---

<sup>181</sup> იქვე.

<sup>182</sup> ElSherief, Mai, Vivek Kulkarni, Dana Nguyen, William Yang Wang, and Elizabeth Belding. "Hate lingo: A target-based linguistic analysis of hate speech in social media." In Proceedings of the International AAAI Conference on Web and Social Media, vol. 12, no. 1. 2018.

<sup>183</sup> Swartzwelder, Sara. "Taking orders from Tweets: Redefining the First Amendment boundaries of executive speech in the age of social media." First Amend. L. Rev. 16 (2017): 538.

<sup>184</sup> Oermann, Markus, Martin Lose, Jan-Hinrik Schmidt, and Katharina Johnsen. "Approaching social media governance." (2016).

სისტემები იყენებენ ძიების შედეგების მისაღწევად, სათანადოდ იქნეს დახასიათებული, როგორც საძიებო სისტემის სიტყვა.<sup>185</sup>

ბრაჩა აცხადებდა, რომ საძიებო სისტემების საქმიანობა აკმაყოფილებდა, ყოველ შემთხვევაში, პირველი შესწორების კვალიფიკაციის ერთ კრიტერიუმს: საძიებო სისტემები აქვეყნებენ შესაბამის მისაღებ და გასაგზავნ შეტყობინებებს.<sup>186</sup> ელშერიფი, კულკარნი, ნჯენიმ, უანგი და ბელდინგი ამტკიცებენ, რომ ძიების შედეგების რანჟირება არ არის იგივე, რაც იდეების კომუნიკაცია, რომელიც დაცულია პირველი შესწორებით, შინაარსი უნდა იქნეს არჩეული და მორგებული თვითონ იმ მხარის მიერ (პლატფორმების), როგორც მისი საკუთარი შინაარსი.<sup>187</sup> ამის მიუხედავად, სასამართლო გადაწყვეტილებების ნაკლებობის გამო, მკვლევრები ზოგადად მსჯელობენ იმ საკითხზე, შეიძლება თუ არა დაცული იქნეს პლატფორმების მიერ გამოქვეყნების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებები პირველი შესწორების საფუძველზე განხილული საქმეების ანალოგიით.<sup>188</sup>

კლონიკი ამტკიცებდა, რომ არსებობს სამი პოტენციური ჩარჩო იმისთვის, რომ სასამართლოებმა გააანალიზონ სოციალური მედიის პლატფორმებზე შინაარსის მოდერაციის შესაძლებლობები. პირველი იქნებოდა ამ პლატფორმების მცირე ორგანიზაციებად განხილვა<sup>189</sup>. ამის ფონზე ამ ვებგვერდებს განიხილავდნენ, როგორც სახელმწიფო აქტორებს, რომლებსაც ეხება პირველი შესწორება. მეორე არის პლატფორმების განხილვა, როგორც

---

<sup>185</sup> Mustafaraj, Eni, and P. Takis Metaxas. "From obscurity to prominence in minutes: Political speech and real-time search." (2010); Bracha, Oren. "The Folklore of Informationalism: The Case of Search Engine Speech." *Fordham L. Rev.* 82 (2013): 1629.

<sup>186</sup> იქვე.

<sup>187</sup> ElSherief, Mai, Vivek Kulkarni, Dana Nguyen, William Yang Wang, and Elizabeth Belding. "Hate lingo: A target-based linguistic analysis of hate speech in social media." In *Proceedings of the International AAAI Conference on Web and Social Media*, vol. 12, no. 1. 2018.

<sup>188</sup> Klonick, Kate. "The new governors: The people, rules, and processes governing online speech." *Harv. L. Rev.* 131 (2017): 1598.

<sup>189</sup> იქვე.

სამაუნყებლო მედიის, რისთვისაც სასამართლომ დაუშვა სიტყვის თავისუფლების უფრო მკაცრი რეგულირება იმის გათვალისწინებით, რომ სამაუნყებლო მედიას დიდი გავლენა აქვს საზოგადოებაზე.<sup>190</sup>

დაბოლოს, ეს ვებგვერდები შესაძლოა განხილული იქნეს, როგორც ახალი რედაქტორები, რომლებიც მიიღებენ პირველი შესწორების სრულ დაცვას სარედაქციო გადანყვეტილებებში.<sup>191</sup>

სასამართლო საქმეების ანალოგიის პრინციპი არ შეიძლება ითვალისწინებდეს სოციალური მედიის სხვადასხვა პლატფორმებს და აგრეთვე მათ მიერ განხორციელებულ განსხვავებულ აქტივობებს. მაგალითად, ერთმა პლატფორმამ შეიძლება განახორციელოს სარედაქციო კონტროლი მომხმარებლების მიერ შექმნილ შინაარსზე, ხოლო სხვებმა მხოლოდ გამოაქვეყნონ შექმნილი შინაარსი. ამრიგად, იმის დადგენა, თუ რა კონტექსტში განიხილება კონკრეტული შემთხვევა ძალიან რთულია.

## 1.6 დარღვევები კერძო სამართლის კონტექსტში

### 1.6.1 სამოქალაქო უფლებების დარღვევა ონლაინ

ინტერნეტმა საშუალება მისცა ჩამოყალიბებულიყო ახალი საზღვრები, სადაც სხვადასხვა ადამიანს აქვს იმ ფორმით მონაწილეობის შესაძლებლობა, რომელიც წარმოუდგენელი იყო წარსულში. რეგულირების პოლიტიკა ცდილობს მიჰყვეს ტექნოლოგიურ პროგრესს. თუმცა, ინოვაციების ზოგადად სწრაფი ტემპისა და პოლიტიკის შემუშავების ნელი ტემპის გამო ეს მცდელობები ხშირად წარუმატებელია<sup>192</sup>. უფრო მეტიც, შეერთებული შტატები არ

---

<sup>190</sup> იქვე.

<sup>191</sup> იქვე.

<sup>192</sup> Deflem, Mathieu, and Shannon McDonough. "The fear of counterterrorism: Surveillance and civil liberties since 9/11." *Society* 52, no. 1 (2015): 70-79.

არეგულირებს არსებულ შინაარსს ისეთ ციფრულ პლატფორმებზე, როგორებიცაა: „ამაზონი“, „ფეისბუქი“ და „გუგლი“. კომუნიკაციების ფედერალური კომისია, რომელიც პასუხისმგებელი იყო კომუნიკაციების რეგულირებაზე, იყენებს მხოლოდ მსუბუქ მარეგულირებელ მიდგომას და მედიაგიგანტებს და ტექნოლოგიურ კომპანიებს აძლევს კონტენტის რეგულირების უფლებამოსილებას.

ამიტომ აშშ-ში ჩამოყალიბდა ონლაინ მედია პლატფორმები, ისეთი ძლიერი და არარეგულირებადი ორგანიზაციები, რომლებიც საჯარო კონტროლის მიღმა არიან. თანამედროვე ტექნოლოგიების რეგულირების ინსტრუმენტები და მიდგომები არასაკმარისია საზოგადოების ინტერესების დაცვისა და ხელშეწყობისთვის. შედეგად ხშირად ირღვევა აფრო-ამერიკელების სამოქალაქო უფლებები და თავისუფლებები ონლაინ სამყაროში. არსებობს ხუთი სფერო, სადაც აფრო-ამერიკელები კვლავაც აწყდებიან პრობლემებს ტექნოლოგიური ინოვაციების საშუალებით ადამიანის უფლებებსა და სამოქალაქო უფლებებთან მიმართებაში: სამართლის აღსრულება, ხმის მიცემა, განათლება, საცხოვრებლით უზრუნველყოფა და დასაქმების თანასწორობა.

### **1.6.2 ამომრჩეველთა დათრგუნვა და შერჩევა რასობრივ ნიადაგზე**

მაშინ როდესაც 1965 წლის ხმის მიცემის უფლებების კანონმა და მეთხუთმეტე შესწორებამ მოშალა სამართლებრივი ბარიერები და მოქალაქეებს მისცა ხმის მიცემის უფლება მათი სქესის, რასისა და კანის ფერის მიუხედავად, რუსეთის მცდელობამ გავლენა მოეხდინა 2016 წლის არჩევნებზე, გამოიწვია აფრო-ამერიკული საზოგადოების მიერ თავის შეკავება არჩევნებში

მონაწილეობაზე.<sup>193</sup> რუსეთის ინტერნეტკვლევის სააგენტომ გამოიყენა სტრატეგიები აფრო-ამერიკელი ამომრჩევლების ხმის ბლოკირებისთვის „იუთუბზე“, „ტვიტერზე“, „ინსტაგრამსა“ და „ფეისბუქზე“.

ეს ითვალისწინებდა აპათიის გაზრდას, დემინფორმაციის გავრცელებას და პროპაგანდას. ამ სტრატეგიამ შელახა აფრო-ამერიკელი მოქალაქეების არჩევნებში მონაწილეობის უფლება.<sup>194</sup> რუსეთის ინტერნეტკვლევის სააგენტომ შეძლო „ფეისბუქის“ რეკლამების შექმნა და მათი გამოყენება პოლიტიკურად დამუხტული მიზნობრივი რეკლამირებისთვის რასობრივი შერჩევის საფუძველზე, რამაც მოახერხა, რომ უზრუნველყო საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი სოციალური ნარატივების გავრცელება სამიზნე ჯგუფებზე.<sup>195</sup>

Pew Research Center-ის მიერ გამოქვეყნებული 2017 წლის ანგარიშის თანახმად, აფრო-ამერიკელი მოქალაქეების აქტივობის მაჩვენებელი მკვეთრად დაეცა 2016 წელს, პირველად ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში.<sup>196</sup> ციფრული მედიის პლატფორმებმა გადამწყვეტი როლი ითამაშა დემინფორმაციის გავრცელებაში, რითაც შეასუსტეს აფრო-ამერიკელი მოქალაქეების ელექტორალური ძალა და ხელი შეუწვეს დონალდ ტრამპის კამპანიის წარმატებას.

### 1.6.3 მიკერძოება კორპორატიულ ალგორითმებში

„ფეისბუქის“ და რამდენიმე ციფრული ტექნოლოგიის კომპანიის წინააღმდეგ აღიძრა საქმე სესხის, საცხოვრებლით უზრუნველყოფისა და

---

<sup>193</sup> Santoro, Michael A. "Business and human rights in historical perspective." *Journal of Human Rights* 14, no. 2 (2015): 155-161.

<sup>194</sup> იქვე.

<sup>195</sup> Deflem, Mathieu, and Shannon McDonough. "The fear of counterterrorism: Surveillance and civil liberties since 9/11." *Society* 52, no. 1 (2015): 70-79.

<sup>196</sup> Pew Research Center, Black voter turnout rate declined sharply in 2016, dropping below that of whites, 11/05/2017, [https://www.pewresearch.org/fact-tank/2017/05/12/black-voter-turnout-fell-in-2016-even-as-a-record-number-of-americans-cast-ballots/ft\\_17-05-10\\_voter-turnout/](https://www.pewresearch.org/fact-tank/2017/05/12/black-voter-turnout-fell-in-2016-even-as-a-record-number-of-americans-cast-ballots/ft_17-05-10_voter-turnout/)

დასაქმების რეკლამებში დისკრიმინაციის არამართლზომიერი პრაქტიკის საფუძველზე. მიზნობრივი მარკეტინგის პრაქტიკა და პოლიტიკა, რომელსაც ეს ორგანიზაციები იყენებენ - ადრეული ფედერალური მთავრობის ქირავნობისა და დეველოპერების საცხოვრებლის რასისტული პრაქტიკის მსგავსი - საშუალებას აძლევს, გამორიცხონ გარკვეული ჯგუფები კონკრეტული რეკლამების ნახვისაგან.<sup>197</sup>

კომპანიები იყენებენ მიზნობრივი რეკლამების სისტემებს, რათა გამორიცხონ გარკვეული საზოგადოებები სახლის რეკლამირების ნახვისაგან მათი ეთნიკური წარმომავლობის გამო.<sup>198</sup>

სამართლიანი საცხოვრებლის კანონი და 1964 წლის სამოქალაქო უფლებების კანონის VII მუხლი იცავს პირებს დისკრიმინაციული დამოკიდებულებისგან მათი დამსაქმებლების მხრიდან, ასევე სახლის ყიდვის ან ქირაობის დროს საცხოვრებელთან დაკავშირებულ საქმიანობაში მონაწილეობისას და იზოთეკის აღებისას. ონლაინ რეკლამირების მიმდინარე პრაქტიკებს ასევე შეუძლიათ ხელი შეუწყონ აფრო-ამერიკულ საზოგადოებაში სისტემური უთანასწორობის გაღრმავებას სიმდიდრისა და მათი შემოსავლის წყაროზე დაყრდნობით.

„ფეისბუქმა“, რომელსაც ჰქონდა მსგავსი დარღვევები, მიაღწია შეთანხმებას სამოქალაქო უფლებების ჯგუფებთან სასამართლოს გარეშე. „ფეისბუქი“ აცხადებს, რომ იგი განახორციელებს ქმედებებს, რომელიც ხელს შეუწყობს ამ ტიპის დისკრიმინაციის თავიდან აცილებას, „მესინჯერზე“, „ინსტაგრამსა“ და „ფეისბუქზე“ საკრედიტო, საცხოვრებელი და დასაქმების რეკლამირების

---

<sup>197</sup> Davis, Judy Foster. "Selling whiteness?—A critical review of the literature on marketing and racism." *Journal of Marketing Management* 34, no. 1-2 (2018): 134-177.

<sup>198</sup> იქვე.

ცალკეული პორტალის შექმნით<sup>199</sup>. უფრო მეტიც, კომპანიაში აცხადებენ, რომ პორტალი არ მისცემს მომხმარებლებს სხვა მომხმარებლების დაბლოკვის შესაძლებლობას კულტურული, გენდერული და ასაკობრივი დამოკიდებულების საფუძველზე.<sup>200</sup>

---

<sup>199</sup> Tufekci, Zeynep. "Algorithmic harms beyond Facebook and Google: Emergent challenges of computational agency." *Colo. Tech. LJ* 13 (2015): 203.

<sup>200</sup> იქვე.

## 2. ინტერნეტი და გამოხატვის თავისუფლება

ინტერნეტი საშუალებას აძლევს პირებს თავისუფლად დააფიქსირონ თავიანთი პოზიცია და იდეები. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, ამჟამად მსოფლიოს მოსახლეობის 49.732%-ს (თითქმის 4 მილიარდს) ინტერნეტი აქვს.<sup>201</sup> 2000 წელს ეს რიცხვი 6.734%-ს შედგენდა (იმ დროისთვის მსოფლიოს მოსახლეობის 4 მილიონი).<sup>202</sup>

მიუხედავად ამისა, მთელს მსოფლიოში სახელმწიფოებმა მხოლოდ 2016 წელს ორმოცდაათჯერ გაათიშეს ინტერნეტი, რამაც შეზღუდა სიტყვის თავისუფლება და შეანელა ეკონომიკა.<sup>203</sup>

2011 წლის ივლისში, ანას მარაგი, სირიელი ბლოგერი, დააპატიმრეს მას შემდეგ, რაც მან სირიის პრეზიდენტს ბაშარ ალ-ასადს ქვეყნის დატოვება მოსთხოვა.<sup>204</sup>

მიუხედავად იმისა, რომ მისთვის ბრალი არ წაუყენებიათ რაიმე დანაშაულისათვის, ბლოგერი რჩებოდა პატიმრობაში. როგორც ირანში, ისე სირიაში, ძალიან ბევრი ონლაინ აქტივისტი მოკლეს, დააპატიმრეს, სცემეს ან მიაყენეს შეურაცხყოფა მოქალაქეების ორგანიზებისთვის და საკუთარი შეხედულების გამოხატვისთვის.<sup>205</sup> ერთ-ერთი, ყველაზე გახმაურებული საქმეა რუსი ბლოგერის ალექსეი ნავალნის, რომელიც 2011 წელს ციხეში ჩასვეს, მას შემდეგ რაც საპროტესტო აქციებში მონაწილეობა მიიღო რუსეთში ჩატარებულ

---

<sup>201</sup> World Bank, Individuals using the Internet (% of population), 2019, <<https://data.worldbank.org/indicator/it.NET.user.ZS>> [09.12.2020]; World Bank, Population, total, 2019, <<https://data.worldbank.org/indicator/SP.POP.TOTL>> [09.12.2020].

<sup>202</sup> იქვე.

<sup>203</sup> Kamen Matt, Governments shut down the internet more than 50 times in 2016, Wired, 3rd of January 2017, <https://www.wired.co.uk/article/over-50-internet-shutdowns-2016>

<sup>204</sup> Clinton, Hillary Rodham. "Internet Freedom and Human Rights." Issues in Science and Technology 28, no. 3 (2012): 45-52.

<sup>205</sup> იქვე.

არჩევნებთან დაკავშირებით.<sup>206</sup> ალსანიშნავია, რომ ნავალნი ხელახლა იქნა დაპატიმრებული 2021 წელს. 2022 წლის მარტში, რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრის დღეებში, რუსეთის კომუნიკაციების მარეგულირებელმა დაბლოკა „ფეისბუქი“ და „ტვიტერი“. „როსკომნადზორმა“ ეს იმით ახსნა, რომ „ფეისბუქმა“ თავის პლატფორმაზე შეზღუდა რუსულ მედიაზე წვდომა. ალსანიშნავია, რომ საუბარი იყო რუსეთის სახელმწიფოს პროპაგანდისტულ საშუალებებზე „რაშა თუდღი“ და „რია ნოვოსტი“.

ჩინეთში ათეულობით ორგანიზაციამ ხელი მოაწერა ოფიციალურ დაპირებას და ვალდებულებას საკუთარი დისციპლინის, თვითმართველობისა და თვითშეზღუდვის გაუმჯობესების შესახებ.<sup>207</sup> ეს ვალდებულება ფისკალური პასუხისმგებლობის შესახებ რომ ყოფილიყო, იგი მოხდებოდა გლობალური კონსენსუსით და მიიღებდა მხარდაჭერას,<sup>208</sup> მაგრამ ვალდებულება ეხებოდა ონლაინ სერვისებს, რომელსაც ჩინეთის მოსახლეობა იღებს.

ორგანიზაციები შეთანხმდნენ, რომ დაექვემდებარებოდნენ იმ მკაცრ რეგულაციებს, რომლებიც მთავრობამ დააწესა ინტერნეტით სარგებლობისთვის<sup>209</sup>. ეს ინციდენტები, ისევე როგორც მრავალი სხვა, შეგვახსენებს თუ რა ძალაუფლებას ანიჭებს მომხმარებლებს ინტერნეტი და რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს ამ პროცესებს. ეს ბრძოლა თავისთავად ეხება არა მხოლოდ მათ, ვინც ადამიანის უფლებებისთვის ბრძოლის წინა ხაზზეა, არამედ

---

<sup>206</sup> Laruelle, Marlene. "Alexei Navalny and challenges in reconciling "nationalism" and "liberalism"." *Post-Soviet Affairs* 30, no. 4 (2014): 276-297.

<sup>207</sup> Clothey, Rebecca A., Emmanuel F. Koku, Erfan Erkin, and Husenjan Emat. "A voice for the voiceless: online social activism in Uyghur language blogs and state control of the Internet in China." *Information, Communication & Society* 19, no. 6 (2016): 858-874.

<sup>208</sup> Wright, Teresa. "Political discourse on the Internet in China: A multifarious virtual space." In *Political Participation in Asia*, pp. 133-150. Routledge, 2017.

<sup>209</sup> Clothey, Rebecca A., Emmanuel F. Koku, Erfan Erkin, and Husenjan Emat. "A voice for the voiceless: online social activism in Uyghur language blogs and state control of the Internet in China." *Information, Communication & Society* 19, no. 6 (2016): 858-874.

ყველა თანამედროვე ადამიანს. პირველ რიგში იმიტომ, რომ ისინი ვალდებულნი არიან ხელი შეუწყონ ადამიანის ძირითადი თავისუფლებებისა და უფლებების გაძლიერებას მთელს მსოფლიოში.

კომპანია „გუგლი“ მკაცრად გააკრიტიკეს ჩინეთში საქმიანობის დაწყების დროს, რადგან მან მიიღო ჩინეთის მთავრობის მოთხოვნები შინაარსის ცენზურის შესახებ, რასაც შეიძლებოდა მოეხდინა დემოკრატიულად განწყობილი ოპოზიციის პროვოცირება. „გუგლი“ ირწმუნებოდა, რომ სჯობდა ჩინელებისთვის შეეთავაზებინათ რაიმე მომსახურება მაინც, ვიდრე არათფერი<sup>210</sup>.

თუმცა, რამდენიმე წლის შემდეგ, განხორციელდა თავდასხმა „გუგლის“ ელექტრონული ფოსტის სერვერებზე ჩინეთის მთავრობის ოფიციალური პირების მიერ, სადაც ჩინეთის ადამიანის უფლებათა დაცვის აქტივისტთა ინფორმაცია მოპარული აღმოჩნდა.<sup>211</sup>

ამან გამოიწვია კომპანიის მიერ ჩინეთის დატოვება და მისი მომსახურების ჰონგ-კონგისთვის შეთავაზება.<sup>212</sup> ეს შეტევა სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა აქტივისტებს, მათ ოჯახებს და მათ კონტაქტებს. მათ, ვინც ჩინეთის მთავრობის წინააღმდეგ რაიმე ტიპის მობილიზაციას ახდენდა, ჩინეთის პოლიცია ხშირად ესხმოდა თავს და აკავებდა<sup>213</sup>.

ცენზურის ანუ გამოხატვის თავისუფლების აკრძალვის კარგი მაგალითია იმავე რეგიონში ვიდეო თამაშის Blitzchung-ის შეჩერება<sup>214</sup>. Business Insider-ის სტატიის თანახმად, ჩინელი Hearthstone-ის მოთამაშე დააკავეს მას შემდეგ, რაც იგი

---

<sup>210</sup> Efrati Amir, Gorman Siobhan, Google mail hack blamed on China. The Wall Street Journal, 2nd of June 2011, <https://www.wsj.com/articles/SB10001424052702303657404576359770243517568>

<sup>211</sup> იქვე.

<sup>212</sup> იქვე.

<sup>213</sup> იქვე.

<sup>214</sup> Wood Charlie, The banned 'Hearthstone' gamer at the centre of a China censorship furore spoke out for the first time after Blizzard reduced his ban, Business Insider, 14<sup>th</sup> of October 2019, <https://www.businessinsider.com/blizzard-reduces-pro-hong-kong-hearthstone-player-blitzchung-ban-2019-10>

გამოჩნდა თავის სტრიმზე, სადაც ატარებდა ბუნებრივ აირსაწინააღმდეგო ნიღაბს და ყვიროდა: „გაათავისუფლე ჰონგ-კონგი, ჩვენი საუკუნის რევოლუცია!“. ამ საკითხთან დაკავშირებით მსჯელობამ ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ Blitzchung-ის შეჩერებით, კომპანია Blizzard-მა ჩინეთის მთავრობის მიმართ ფავორიტიზმი გამოხატა.<sup>215</sup>

ინტერნეტი ბუნებით არ არის კონკურენტული ან შეზღუდული. ერთი მომხმარებლის მიერ ინტერნეტის გამოყენება არ ამცირებს მეორე მომხმარებლის მიერ გამოყენების შანსებს. ამის გარდა, ინტერნეტი უფრო ღირებული ხდება იმ მომხმარებლების რაოდენობის გამო, რომლებიც მასში თავიანთ იდეებს გამოხატავენ. მილიარდობით ადამიანი მათი არჩევნის მიხედვით აზიარებს და ეძებს ინფორმაციას, აუმჯობესებს ცოდნის ხელმისაწვდომობას, აცოცხლებს საზოგადოებრივ დებატებს და უზრუნველყოფს სიახლეებს, რაც შეუძლებელი იყო ათიოდე წლის წინ.

თუმცა ინტერნეტის ეს მნიშვნელობა მცირდება, როდესაც კომუნიკაცია შეჩერებულია, იდეები იბლოკება, ინდივიდუალური არჩევნის შეზღუდვა ხდება და ინფორმაცია იშლება. დღეს მომხმარებლები და სამოქალაქო სექტორი არ იზურებს ძალისხმევას, რათა შეინარჩუნოს ინტერნეტში დაშვებული ძირითადი თავისუფლებები.

ამ უფლებების შენარჩუნებამ შეიძლება გავლენა იქონიოს მომავალ თაობებზე. მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად თითქმის ოთხ მილიარდ ინდივიდს აქვს ინტერნეტთან წვდომა, სავარაუდოდ, ეს რიცხვი მომავალ წლებში ორჯერ გაიზრდება<sup>216</sup>.

ამრიგად, თანამედროვე მომხმარებლების და სხვა სტეიკჰოლდერების მოქმედებები და მათ მიერ გაკეთებული დაპირებები განსაზღვრავს, შეძლებს თუ

---

<sup>215</sup> იქვე.

<sup>216</sup> Wallace, Patricia. The psychology of the Internet. Cambridge University Press, 2015.

არა მეტი ინდივიდი ინტერნეტზე წვდომას მომავალში<sup>217</sup> და მთელს მსოფლიოში სხვებთან დაკავშირებას; ან განვითარდება საპირისპირო სცენარი. ეს ყოვლისმომცველი ქსელი დაკარგავს თავისუფლებას, რომელსაც ის ამჟამად უზრუნველყოფს.<sup>218</sup> საჭიროა კოორდინირებული ქმედებები, რათა უზრუნველყოფილი იყოს ის თავისუფლება, რომლის პოტენციალი აქვს ინტერნეტს. ასევე მნიშვნელოვანია საერთაშორისო დისკურსის გაღრმავება საერთო პრინციპებზე, შესაბამისი პარტნიორების მონაწილეობით, რათა ერთად მოხდეს შესაძლო გამოწვევებთან გამკლავება და ინტერნეტი გახდეს უფასო, საიმედო, ღია, უსაფრთხო და ინტერაქტიული ყველასთვის. ეს ძალისხმევა არ გულისხმობს ერთჯერად ქმედებას, არამედ ის მოითხოვს უწყვეტ მუშაობას.<sup>219</sup>

### 3. ინტერნეტის ბოროტად გამოყენების პრობლემა

სხვადასხვა ინტერნეტკომპანიის მიერ შემუშავებული შინაარსის მართვის წესები კომპლექსური და ხშირად სადავოა. ყველა შუამავალი არის ზენოლის ქვეშ, რომ შეცვალონ თავიანთი წესები სხვადასხვა და ხშირად ურთიერთსაინააღმდეგო დათქმებით.<sup>220</sup>

გამოიკვეთა აშკარად მზარდი ტენდენცია ინტერნეტში მომხმარებლების შეურაცხყოფის, შევიწროების და სიძულვილის ენის ფართოდ გავრცელების. გასული ათწლეულის განმავლობაში ინტერნეტში სოციალური სივრცის წესებმა და ტექნიკურმა დიზაინმა ხელი შეუწყო სიძულვილის გავრცელებას იმგვარად,

---

<sup>217</sup> World Bank, Individuals using the Internet (% of population), 2019, <<https://data.worldbank.org/indicator/it.NET.user.ZS>>

<sup>218</sup> Abbasi, Sara. "Internet as a Public Space for Freedom of Expression: Myth or Reality?." Available at SSRN 3064175 (2017).

<sup>219</sup> Wallace, Patricia. The psychology of the Internet. Cambridge University Press, 2015.

<sup>220</sup> Fischer-Lescano, Andreas. "Struggles for a global Internet constitution: protecting global communication structures against surveillance measures." Global Constitutionalism 5, no. 2 (2016): 145-172.

რომ იგი ზიანს აყენებს არა მხოლოდ მომხმარებლებს, არამედ აზიანებს მედიის საერთო ხარისხს. ინტერნეტკომპანიები დიდი ზეწოლის ქვეშ არიან, გააკეთონ მეტი, რომ მოხდეს ძალადობის შემცირება ინტერნეტში და დაიცვან მონყვლადი მომხმარებელთა ჯგუფები ზიანისგან, დევნისა ან სიტყვის თავისუფლების შეზღუდვისგან.<sup>221</sup>

ამასთან, ცვლილების განხორციელება მოითხოვს არა მხოლოდ რთულ დისკურსს ამ თემებზე, არამედ არსებული მოხმარების პირობების ახლებურ გააზრებას.

ძალადობა და შევიწროება ფართოდ არის გავრცელებული ინტერნეტში. ელშერიფის, კულკარნის, ნგუინის, ვანგისა და ბელდინგის თანახმად, უმცირესობათა ჯგუფები და ქალები, მხოლოდ ონლაინ აქტიურობის გამო, უცხო პირების მუქარისა და ძალადობის სამიზნე ხდებიან.<sup>222</sup>

Amnesty International-ის მიერ 18-დან 55 წლამდე ასაკის ქალებში ჩატარებულმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ თითქმის მეოთხედმა (23%) თქვა, რომ ისინი ონლაინ ძალადობის მსხვერპლი არიან, ხოლო გამოკითხულთა 41% –მა თქვა, რომ თქვობენ, რომ ისინი ფიზიკური რისკის ქვეშ იმყოფებოდნენ ონლაინ ყოფნის გამო.<sup>223</sup>

ონლაინ ძალადობის დაზარალებულთა თითქმის 60%-მა თავი რასიზმის, სექსიზმის, ჰომოფობიის ან ტრანსფობიის მსხვერპლად გამოაცხადა.<sup>224</sup> ამერიკელთა დაახლოებით 40% იყო ონლაინ შევიწროების მსხვერპლი და 18%

---

<sup>221</sup> Fisk, Nathan W. Framing internet safety: The governance of youth online. MIT Press, 2016.

<sup>222</sup> ElSherief, Mai, Vivek Kulkarni, Dana Nguyen, William Yang Wang, and Elizabeth Belding. "Hate lingo: A target-based linguistic analysis of hate speech in social media." In Proceedings of the International AAAI Conference on Web and Social Media, vol. 12, no. 1. 2018.

<sup>223</sup> Amnesty International, Amnesty reveals alarming impact of online abuse against women, Amnesty International 20/11/2017, <https://www.amnesty.org/en/latest/news/2017/11/amnesty-reveals-alarming-impact-of-online-abuse-against-women/>

<sup>224</sup> იქვე.

სერიოზული მუქარის, დევნის და სექსუალური შევიწროების მსხვერპლი, Pew Research Center-ის 2017 წლის ანგარიშის თანახმად.<sup>225</sup>

იგივე ანგარიშის მიხედვით, ამერიკაში ათიდან დაახლოებით ერთი სოციალურ მედიაში შევიწროებული იყო გარეგნობის, რასის, ეთნიკურობის ან სქესის გამო.<sup>226</sup> გამოკითხული ამერიკელების თითქმის 80% ამბობს, რომ ციფრული კომპანიები პასუხისმგებლები არიან, რომ რეაგირება მოახდინონ მათი ქსელების ფარგლებში განხორციელებულ შევიწროებაზე.<sup>227</sup>

ქალები და უმცირესობათა წარმომადგენლები ხშირად უფრო მგრძობიარენი არიან შევიწროების მიმართ.<sup>228</sup> ჟურნალისტები, პოლიტიკოსები და აქტივისტები განსაკუთრებით შეშფოთებულნი არიან ინტერნეტის ბოროტად გამოყენების გამო, ხოლო ძალადობა კიდევ უფრო უარესია იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც განიცდიან დისკრიმინაციის მრავალფეროვან ფორმებს.<sup>229</sup> მთელ მსოფლიოში ფემინისტების და LGBT+ აქტივისტების გამოკითხვის თანახმად, 75%-მა თქვა, რომ ისინი ონლაინ შევიწროების მსხვერპლნი არიან, ხოლო 63%-ს მიუღია მუქარის შემცველი კომენტარები.<sup>230</sup>

---

<sup>225</sup> Duggan, Maeve. "Online Harassment 2017." Pew Research Center: Internet, Science & Tech, September 18, 2020. <https://www.pewinternet.org/2017/07/11/online-harassment-2017/>.

<sup>226</sup> იქვე.

<sup>227</sup> იქვე.

<sup>228</sup> Duggan, Maeve. "Online Harassment 2017." Pew Research Center: Internet, Science & Tech, 18/09/2020. <https://www.pewinternet.org/2017/07/11/online-harassment-2017/> Amnesty International, Amnesty reveals alarming impact of online abuse against women, Amnesty International 20/11/2017, <https://www.amnesty.org/en/latest/news/2017/11/amnesty-reveals-alarming-impact-of-online-abuse-against-women/>

Pew Research Center, Black voter turnout rate declined sharply in 2016, dropping below that of whites, 11/05/2017, [https://www.pewresearch.org/fact-tank/2017/05/12/black-voter-turnout-fell-in-2016-even-as-a-record-number-of-americans-cast-ballots/ft\\_17-05-10\\_voter-turnout/](https://www.pewresearch.org/fact-tank/2017/05/12/black-voter-turnout-fell-in-2016-even-as-a-record-number-of-americans-cast-ballots/ft_17-05-10_voter-turnout/)

Guiora, Amos, and Elizabeth A. Park. "Hate speech on social media." *Philosophia* 45, no. 3 (2017): 957-971.

<sup>229</sup> იქვე.

<sup>230</sup> Kahn Ellen, Johnson Ashland, Lee Mark, Miranda Liam, Puhl Rebecca, Ryan Watson, LGBTQ Youth Report 2018, Human Rights Campaign, 2018, <https://assets2.hrc.org/files/assets/resources/2018-YouthReport-0514-Final.pdf>; Abreu, Roberto L., and Maureen C. Kenny. "Cyberbullying and LGBTQ

საქართველოში სოციალურ მედიაში იკვეთება ტენდენცია გენდერული და იდენტობის ნიშნით ადამიანების მიმართ ნეგატიური ინფორმაციის გავრცელების, რომლის შეკავების მექანიზმები ძალზე სუსტია.

საქართველოს სახლხო დამცველის სპარლამენტო ანგარიშებში აღნიშნულია, რომ საქართველოში ხშირია კიბერმუქარა და კიბერბულინგი ქალების და ლგბტ+ უფლებადამცველების წინააღმდეგ.

2018 წლის ანგარიშში სახლხო დამცველი აკრიტიკებს სამართალდამცავ უწყებებს და აღნიშნავს, რომ რეაგირება არ არის ეფექტიანი და არ შეესაბამება პრობლემის მასშტაბურობას.

განსაკუთრებით აქტიურდებიან ჰომოფობიური ჯგუფები ჰომოფობიასა და ტრანსფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით. 2018 წელს სახლხო დამცველის ანგარიშში მოხვდა 3 საქმე: კიბერმუქარა ანტიჰომოფობიური აქციის მონაწილე პირზე, კიბერმუქარა აქტივისტზე, რომელიც ღიად უჭერდა მხარს ცნობადი სახის მიერ ანტიჰომოფობიური მესიჯების გაუღერებას. და კიბერმუქარა ქალი უფლებადამცველის მიმართ, მის მიერ სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის უფლებების შესახებ საგანმანათლებლო ვიდეოების ჩანერისა და გამოქვეყნების გამო.<sup>231</sup>

ეს ტენდენცია გაგრძელდა და აისახა სახლხო დამცველის 2019 წლის ანგარიშშიც, სადაც აღნიშნულია: „საქართველოს სახლხო დამცველმა შეისწავლა საქმე, სადაც „თბილისი პრაიდის“ ორგანიზატორები, ჩატარებული კვირეულის შემდეგ, კიბერმუქარის მსხვერპლები გახდნენ და სოციალურ ქსელებსა თუ სხვა სივრცეებში სიცოცხლის მოსპობის მუქარებს იღებდნენ.

---

youth: A systematic literature review and recommendations for prevention and intervention." Journal of Child & Adolescent Trauma 11, no. 1 (2018): 81-97.

<sup>231</sup> საქართველოს სახლხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2018, 184.

განხორციელებული მუქარის ფაქტზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, დაზარალებულის სტატუსი სამ პირს მიენიჭა, თუმცა სისხლის სამართლებრივი დევნა კონკრეტული პირის მიმართ ამ დრომდე არ დაწყებულა და არც შემაჯამებელი გადანწყვეტილება მიუღიათ.<sup>232</sup>

ანალოგიური სიტუაციაა მსოფლიოშიც. გავრცელებული ძალადობრივი თავდასხმები უმცირესობებათა უფლებებს ზღუდავს.<sup>233</sup> ძალადობის მსხვერპლები ხშირად თავს აღწევენ დევნას თავიანთი გვერდების გაუქმებით და ნაკლები ინფორმაციის გამოქვეყნებით. დღეს ინტერნეტის ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრობლემა ისაა, რომ მისი მრავალი ღია სივრცე, სოციალური მედიის პლატფორმებიდან დაწყებული ონლაინ თამაშებით დამთავრებული, ტოქსიკური გახდა.<sup>234</sup>

სოციალური ქსელის ყველაზე მნიშვნელოვანი წესები სოციალურ მედიაში კრძალავს ძალადობის გამოყენებას, მაგრამ ძალზე დიდი იმედგაცრუებაა ძალადობის მსხვერპლთა შორის, რომელთა საჩივრები მუდმივად უგულებელყოფილია. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ავტორებს აქვთ გვერდები დაბლოკილი, ისინი ჩვეულებრივ სწრაფად ბრუნდებიან ახალი ფსევდონიმებით.

პრობლემის მასშტაბის გათვალისწინებით, მიზანმიმართული შეტევის ფარგლებში ათასობით ადამიანს შეიძლება გაეგზავნოს ძალადობის შემცველი შეტყობინებები, რაც ნიშნავს, რომ ცალკეული მომხმარებლების დარეპორტება მხოლოდ შეზღუდულ გავლენას ახდენს ძალადობის საერთო დონეზე.

ის ინსტრუმენტები, რომლებიც ადამიანებთან ურთიერთობის დასახმარებლად შეიქმნა, უწყობს ხელს მათ ბოროტად გამოყენებას და

---

<sup>232</sup> იქვე.

<sup>233</sup> Abreu, Roberto L., and Maureen C. Kenny. "Cyberbullying and LGBTQ youth: A systematic literature review and recommendations for prevention and intervention." *Journal of Child & Adolescent Trauma* 11, no. 1 (2018): 81-97.

<sup>234</sup> Stecklow Steve, Why Facebook is losing the war on hate speech in Myanmar. Reuters Investigates, 15/08/2018, <<https://www.reuters.com/investigates/special-report/myanmar-facebook-hate/>>

სიძულვილის რისკების გაზრდას. 2017 წლის წერილში 19 სამოქალაქო უფლებათა ორგანიზაციის კოალიციამ, რომლებიც წარმოადგენს აფრო-ამერიკელებს, LGBTQ და მუსლიმ საზოგადოებებს, „ფეისბუქი“ შეუწყნარებლობის წახალისებაში დაადანაშაულა.<sup>235</sup>

ორგანიზაციებმა გამოთქვეს ღრმა იმედგაცრუება. მრავალი წლის განმავლობაში ისინი შეშფოთებულნი იყვნენ „ფეისბუქზე“ სიძულვილის ჯგუფების დიდი რაოდენობით არსებობითა და ორგანიზებით.<sup>236</sup>

„ფეისბუქის“ რეკლამის განთავსების მექანიზმები რეკლამის ავტორებს სამიზნე აუდიტორიების დამახასიათებელი თვისებების არჩევის საშუალებას აძლევს, რაც გამოყენებულ იქნა სიძულვილის ენის გავრცელების მიზნით და ადამიანების ჯგუფებზე თავდასხმის უშუალოდ მობილიზაციისთვის 2016 წლის აშშ-ს საპრეზიდენტო არჩევნების დროს.

კიდევ ერთი ცნობილი მაგალითი დაფიქსირდა 2015 წელს, როდესაც პიროვნებამ, ვინც თავი გამოჩენილ ფემინისტად წარმოადგინა, „ტვიტერის“ რეკლამის მექანიზმის გამოყენებით, თავდასხმა განახორციელა ტრანსგენდერ მომხმარებლებზე სიძულვილის ენის შემცველი მესიჯებით, სადაც მათ თვითმკვლელობისკენ მოუწოდებდა.<sup>237</sup>

სარეკლამო მასალები შექმნილია იმისთვის, რომ კომპანიებს ჰქონდეთ დახვეწილი ინსტრუმენტები საზოგადოებასთან უკეთესი კომუნიკაციისთვის და არა დისკრიმინაციის ან სიძულვილის ენის გასავრცელებლად, მაგრამ ეს ინსტრუმენტები არასოდეს გამოიყენებოდა ნეიტრალურ ასპექტში.

ფუნდამენტურად არათანაბარ საზოგადოებებში ტექნოლოგიების გამოყენება სოციალურ უთანასწორობას უსვამს ხაზს. პლატფორმები მსგავსი

<sup>235</sup> Klein, Adam. "Hate speech in the information age." In *Fanaticism, racism, and rage online*, pp. 25-39. Palgrave Macmillan, Cham, 2017.

<sup>236</sup> იქვე.

<sup>237</sup> Guiora, Amos, and Elizabeth A. Park. "Hate speech on social media." *Philosophia* 45, no. 3 (2017): 957-971.

პრობლემების წინაშე დგანან. ადრე, „ტვიტერმა“ წარადგინა თავისი მმართველობის სტილი. „ტვიტერი“ შექმნილია, რომ იყოს სწრაფი, გახსნილი და რთულად გასაკონტროლებელი პლატფორმა.

„ტვიტერი“ ამარტივებს ახალი ანგარიშების რეგისტრაციის პროცესს და აყალიბებს სტანდარტებს სისტემისთვის, სადაც ყველა მომხმარებელს შეუძლია ერთმანეთთან დალაპარაკება საჯარო დომენის გამოყენებით.

იმ შემთხვევაში, თუ ზემოხსენებული სისტემა გამართულად მუშაობს, ეს არის ახალი ამბების სასიამოვნო ქსელი და მოსაზრებების სწრაფი გაზიარების პლატფორმა. მაგრამ ეს არის ასევე ქსელი, რომელშიც ხშირია ბოროტად გამოყენების და შეურაცხყოფის შემთხვევები. თუმცა, ძალადობის მსხვერპლები მარტივად ვერ საუბრობენ ძალადობის კონტექსტზე.

მოძალადეებს ზოგჯერ შეუძლიათ ნაშალონ შეტევითი მუქარები მათი მსხვერპლის მიერ წაკითხვის შემდეგ, იქამდე სანამ ამას მოდერატორი ნახავს. ქალთა მოქმედებებისა და მედიის (WAM!) კვლევის ანგარიშმა იმუშავა იმ ადამიანებთან, ვინც „ტვიტერზე“ ძალადობა დაარეპორტა, როგორც „უფლებამოსილმა რეპორტიორმა“.<sup>238</sup>

ერთ-ერთი მთავარი დასკვნა ის არის, რომ მენეჯმენტი ეფექტურად უნდა მუშაობდეს, რადგან „შეინწროებული მომხმარებლები ხშირად ცხოვრობენ რთულ სიტუაციებში, რომელთა საჭიროებების მოგვარება შესაძლებელია მხოლოდ ინფორმაციის მრავალჯერადი გაცვლის გზით“.<sup>239</sup>

თუმცა, იმის გამო, რომ პლატფორმის შინაარსის მოდერაციის სისტემები ძალიან სწრაფად უნდა განვითარდეს, ისინი არ არის შექმნილი სირთულეების და ნიუანსების მოსაგვარებლად. პლატფორმები ხშირად აცხადებენ, რომ ისინი ცდილობენ გამოხატვის თავისუფლება დაიცვან.

---

<sup>238</sup> Suzor, Nicolas P. Lawless: The secret rules that govern our digital lives. Cambridge University Press, 2019.

<sup>239</sup> იქვე.

პრაქტიკაში ეს ნიშნავს, რომ რასისტული და სექსისტური კომენტარები დასაშვებია ონლაინ და ხშირად სატირისა და ირონიის ფორმით არის შენიღბული.<sup>240</sup> განსაკუთრებით აქტიურობენ რასიზმთან და სექსიზმთან მებრძოლი აქტივისტები, რადგან პლატფორმის გადანყვეტილებები შეურაცხყოფელი იუმორის შემწყნარებლობის შესახებ მიუთითებს იმაზე, რომ მისაღებია „კარგი მოსაზრებების“ ქონა.<sup>241</sup> ნიკოლას სუზორი ამტკიცებს, რომ სიძულვილის ენა შენიღბულად ნორმალიზებულია.<sup>242</sup>

მეორე მხრივ, ზოგიერთი მკვლევარი შიშობს, რომ რასისტული შინაარსის გავრცელება ხელს უშლის ლეგიტიმურ დისკურსს და მსჯელობას და შესაბამისად, ნაკლებ სავარაუდოა რომ გამოიწვევს თვისობრივ ცვლილებებს.<sup>243</sup>

გამოხატვის თავისუფლების არგუმენტებმა მოიცვა მსოფლიოს წამყვანი სოციალური მედიის პლატფორმები. ამასთან, ონლაინ გაზიარებული სივრცეებიდან ბევრი გახდა ტოქსიკური და გადაივსო ძალადობით, რაც ასევე გამოხატვის თავისუფლების თვალსაზრისით ფუნქციონირებს მონყვლადი ჯგუფებისა და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების ხმების გასანეიტრალებლად.

#### 4. სიძულვილის ენა

---

<sup>240</sup> იქვე.

<sup>241</sup> იქვე.

<sup>242</sup> იქვე.

<sup>243</sup> Swartzwelder, Sara. "Taking orders from Tweets: Redefining the First Amendment boundaries of executive speech in the age of social media." *First Amend. L. Rev.* 16 (2017): 538; Tsesis, Alexander. "Terrorist speech on social media." *Vand. L. Rev.* 70 (2017): 651; Suzor, Nicolas, Tess Van Geelen, and Sarah Myers West. "Evaluating the legitimacy of platform governance: A review of research and a shared research agenda." *International Communication Gazette* 80, no. 4 (2018): 385-400.

საერთაშორისო ადამიანის უფლებების კანონის თანახმად, დემოკრატიულ საზოგადოებაში ღია დებატებს ამავე დროს უნდა ახლდეს მონწყვლად საზოგადოებებზე თავდასხმების პრევენციის ვალდებულება. აზრის გამოხატვის თავისუფლება იზღუდება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში. სახელმწიფოებს შეუძლიათ შეზღუდონ „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის“ მე-19 (2) მუხლში ჩამოყალიბებული აზრის გამოხატვის თავისუფლება, მხოლოდ იმ მიზნით, რაც ჩამოყალიბებულია 19 (3) მუხლში:

ა) სხვა პირთა უფლებებისა და რეპუტაციის დასაცავად;

ბ) სახელმწიფო უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და ზნეობის დასაცავად.

აზრის გამოხატვის თავისუფლების ნებისმიერი შეზღუდვა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს: ა) კანონიერება, ბ) ლეგიტიმურობა გ) აუცილებლობა და პროპორციულობა.

გამოხატვის თავისუფლება მჭიდროდ არის დაკავშირებული სიძულვილის ენასთან.

„სიძულვილის ენის“ განმარტება ბუნდოვანია და მას სხვადასხვა კონტექსტში განსხვავებულად იყენებენ. ხშირია შემთხვევები, როცა გამოთქმას „სიძულვილის ენა“ მთავრობები იყენებენ არასასურველი ოპონენტების დასათრგუნად, ზოგჯერ „სიძულვილის ენა“ გამოიყენება უხამსი გამონათქვამის მნიშვნელობით. თუმცა „სიძულვილის ენას“ რეალური ზიანის მოტანა შეუძლია საზოგადოებებისა და ადამიანთა ჯგუფებისთვის. „სიძულვილის ენა“ განსაკუთრებით ხიფათის შემცველია, თუ მას შეუძლია ძალადობისკენ წაქეზება ან მარგინალური ჯგუფების გაჩუმება.

„სიძულვილის ენის“ განმარტების ბუნდოვანება იწვევს იმას, რომ ზოგჯერ სიტყვის და გამოხატვის თავისუფლება გადადის „სიძულვილის ენაში“. 1966

წლის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-20 მუხლის თანახმად „ყოველგვარი ეროვნული, რასობრივი ან რელიგიური შუღლის გაღვივებისაკენ მიმართული გამოსვლა, რაც წარმოადგენს დისკრიმინაციის, მტრობის ან ძალადობის წაქეზებას, უნდა აიკრძალოს კანონით“.<sup>244</sup>

1965 წლის “საერთაშორისო კონვენციის რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოსაფხვრელად”, თანახმად, მე-4 ა მუხლში ნათქვამია: „კანონით დასჯად ქმედებად უნდა გამოცხადდეს რასობრივ უპირატესობასა და სიძულვილზე დაფუძნებული იდეების ყოველგვარი გავრცელება, რასობრივი დისკრიმინაციის ნებისმიერი წაქეზება ისევე, როგორც ძალადობის ყველა აქტი ან ასეთი აქტების წაქეზება ნებისმიერი რასის ან სხვა ფერის ან ეთნიკური წარმოშობის პირთა ჯგუფის წინააღმდეგ და ასევე, რასისტული მოქმედებების ნებისმიერი დახმარების, მათ შორის ფინანსური დახმარების პირობები“.<sup>245</sup>

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის მიხედვით „სიძულვილის ენა მოიაზრებს გამოხატვის ყველა ფორმას, რომელიც ავრცელებს, აქეზებს, ხელს უწყობს ან ამართლებს რასობრივ შუღლს, ქსენოფობიას, ანტისემიტიზმს ან შეუწყნარებლობაზე დაფუძნებულ შუღლის სხვა ფორმებს, ნაციონალიზმის, ეთნოცენტრიზმის, დისკრიმინაციისა და უმცირესობათა ან მიგრანტთა მიმართ გამოხატული მტრობის ჩათვლით“.<sup>246</sup>

„სიძულვილის ენა“ განსაკუთრებით დამკვიდრებულია სოციალურ მედია პლატფორმებზე. მას სერიოზული ზიანის მოტანა შეუძლია, როგორც ინდივიდების, ასევე საზოგადოებებისთვის.

<sup>244</sup> საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, 1966.

<sup>245</sup> საერთაშორისო კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოსაფხვრელად, 1965.

<sup>246</sup> ევროპის საბჭო, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია სიძულვილის ენაზე No. R(97) 20., 1997.

ჩვენი კვლევის ფარგლებში ჩატარდა „ფეისბუქის“ მომხმარებლების გამოკითხვა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 15- დან 55+ ასაკის საქართველოს 72 მოქალაქემ. კვლევის მიზანი იყო „ფეისბუქის“ მომხმარებელთა ინფორმირებულობის და დამოკიდებულების გარკვევა სიძულვილის ენის, დეზინფორმაციის, ასევე, პლატფორმების და სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხების მიმართ. კვლევა მოიცავდა საქართველოს დიდი ქალაქების, მუნიციპალური ცენტრების და სოფლის მოსახლეობას, რომელიც არის „ფეისბუქის“ აქტიური მომხმარებელი. კვლევა ჩატარდა 2022 წლის თებერვალში.<sup>247</sup>

საქართველოში „ფეისბუქის“ მომხმარებელთა გამოკითხვის შედეგად მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით შემდეგი სურათი იკვეთება: მომხმარებელთა 59.7% თვლის, რომ სიძულვილის ენა ეხება რელიგიას, იდენტობას, ფიზიკურ მონაცემებს, 43.1% გენდერს. 65.3%-ის აზრით, სიძულვილის ენა არის რასისტული გამონათქვამები, ხოლო ყველაზე მაღალი 80.6% სიძულვილის ენად მიიჩნევს უხამს გამონათქვამებს (შეურაცხყოფა, ლანძღვა).<sup>248</sup>

72.2% თვლის, რომ პოლიტიკური პარტიები სიძულვილის ენას ხშირად იყენებენ, 44.4%-ის აზრით, სამართლებრივი ჩარჩო საქართველოში არ უზრუნველყოფს ცილისმწამებლური ონლაინ კონტენტისგან, სიძულვილის ენისგან ან დეზინფორმაციისგან დაცვას, 43.1% თვლის, რომ სოციალურ მედიაში საზოგადოება უკიდურესად პოლარიზებულია.<sup>249</sup>

გაეროს ყოფილი სპეციალური მომხსენებელი გამოხატვის თავისუფლების წახალისების და დაცვის საკითხზე ფრენკ ლა რუ (2008-2014)

---

<sup>247</sup> შენგელია ნინო, 2022, სოციოლოგიური გამოკითხვა „ჩვენი უფლებები და სოციალური მედია“, Google Forms.

<sup>248</sup> იქვე.

<sup>249</sup> იქვე.

თვლის, რომ საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკურ თავისუფლებებზე ჩამოყალიბდა იმგვარად, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მომავალში ტექნოლოგიური განვითარების შედეგების შეთავსება. ის აღნიშნავს: „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-19 მუხლი და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი შემუშავებული იყო იმისთვის, რომ მოიცავდეს და მოერგოს სამომავლო ტექნოლოგიურ განვითარებას, რომლის მეშვეობითაც ინდივიდებს შეუძლიათ გამოიყენონ ეს უფლება“.<sup>250</sup> შესაბამისად, სიძულვილის ენისადმი იგივე მიდგომები უნდა იყოს გამომუშავებული ონლაინ სფეროში, რაც არის ფიზიკურ სამყაროში.

არსებობს სიძულვილის ენისადმი ორი ტიპის მიდგომა: ევროპული და ამერიკული.

#### 4.1 აშშ-ს მიდგომა სიძულვილის ენისადმი

დემოკრატიული ქვეყნების უმეტესობას აქვს სიძულვილის ენის საწინააღმდეგო კანონები, თუმცა, მიუხედავად აშშ-ში მიმდინარე დებატებისა, აშშ-ის უზენაესი სასამართლო დღემდე თავს არიდებს სიძულვილის ენის კონსტიტუციური განმარტების მიღებას. ანუ სიძულვილის ენა არ არის ფორმალურად დადგენილი, როგორც პირველი შესწორების გამონაკლისი. თუმცა, „მყისიერი უკანონო ქმედებებისკენ წაქეზება“ არ ექვემდებარება პირველი შესწორების დაცვას. უზენაესი სასამართლოს მიერ 1969 წელს საქმეზე „ბრანდენბურგი ოჰაიოს წინააღმდეგ“ გამოტანილი ერთსულოვანი გადაწყვეტილების თანახმად, გამოხატვის თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ მაშინ, როდესაც ის მიზნად ისახავს უკანონო ქმედებების

---

<sup>250</sup> La Rue, Frank. "Report of the Special Rapporteur on the promotion and protection of the right to freedom of opinion and expression." (2011).

დაუყოვნებლივ წაქეზებას და როდესაც არსებობს დიდი ალბათობა, რომ ასეთ ქმედებებს მოჰყვება შესაბამისი შედეგები.<sup>251</sup>

სტროსენი ამტკიცებს, რომ არ არსებობს „სიტუაციის ენის“ მკაფიო და თანმიმდევრული განმარტება.<sup>252</sup> არსებობს რამდენიმე არგუმენტი აშშ-ში სიტუაციის ენის შესახებ კანონის მიღების საწინააღმდეგოდ. უპირველეს ყოვლისა, თუ მიღებული იქნება, როგორც იურიდიული ტერმინები „ძალადობის წაქეზება“ ან „არაკანონიერი ქმედებების წაქეზება“, ეს იქნება ფართო განმარტება, რომელსაც შეუძლია მოიცვას ყველა სახის სიტყვა, მათ შორის პოლიტიკური. მეორეც, სიტუაციის ენის შესახებ ფართო კანონების მიღებამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას პოლიტიკური სიტყვის მომავალს, რაც იქნება საფრთხე დემოკრატიისთვის. არ არსებობს მტკიცებულება იმისა, რომ ქვეყნებში, სადაც არსებობს სიტუაციის ენის შესახებ კანონები, როგორცაა გერმანია და საფრანგეთი, ნაკლებია სიტუაციის ენა და მესამე, მაშინაც კი, თუ არსებობს კორელაცია სიტუაციის ენის შესახებ კანონების მიღებასა და სიტუაციის ენის შემცველი შინაარსის შემცირებას შორის, მიზანი არ ამართლებს საშუალებებს, რადგან იწვევს უმცირესობათა ჯგუფების, განსხვავებული შეხედულებების მქონე ინდივიდების გაჩუმებას და საბოლოოდ ეს პროცესები მიდის დემოკრატიის ეროზიამდე.

#### 4.2 ევროკავშირის მიდგომა სიტუაციის ენისადმი

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი იცავს სიტყვის თავისუფლებას. დაცვის ხარისხი, რომელსაც ეს მუხლი გვთავაზობს,

<sup>251</sup> Brandenburg v. Ohio, 395 U.S. 444, 89 S. Ct. 1827, 23 L. Ed. 2d 430 (1969)

<sup>252</sup> Strossen, Nadine, "HATE: Why We Should Resist It with Free Speech, Not Censorship (2018)" Oxford University Press, (2018). *Books*. 53.

დამოკიდებულია კონტექსტზე. ასევე მნიშვნელობა აქვს არის თუ არა იგი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. პოლიტიკური გამოსვლა სარგებლობს მაღალი დაცვით. პოლიტიკური გამოსვლა გულისხმობს პოლიტიკური დებატების, საარჩევნო კამპანიის, პოლიტიკური პარტიების კრიტიკისა და სახელმწიფო ხელისუფლების წინააღმდეგ გამოთქმულ გამოსვლებს. ხშირად პოლიტიკური დებატები სავსეა მკაცრი გამონათქვამებით, რომელიც შეიძლება შეესაბამებოდეს სიძულვილის ენას, მაგრამ მაინც ის სარგებლობს სიტყვის თავისუფლების დაცვით, რადგან ის ემსახურება დემოკრატიული პროცესების გაძლიერებას. ამასთანავე, ევროპის ბევრ ქვეყანაში, მათ შორის გერმანიაში, საფრანგეთში, დანიასა და ნიდერლანდებში, სიძულვილის ენა კრიმინალიზებულია.

#### 4.3 სიძულვილის ენა სოციალურ მედიაში

სიძულვილის ენა ფართოდ გამოიყენება ინტერნეტში და ის თითქმის უკონტროლო მოვლენაა. ეს პრობლემა კიდევ უფრო გამწვავდა სოციალური მედიის გაძლიერების გამო. „ფეისბუქის“ „საზოგადოებრივი სტანდარტები“ სიძულვილის ენას ამგვარად განსაზღვრავს: „პირდაპირი შეტევა ადამიანზე — და არა კონცეფციასა თუ ინსტიტუციაზე — მისი დაცული მახასიათებლების საფუძველზე — რასა, ეთნიკურობა, ეროვნული წარმომავლობა, შებლუდული შესაძლებლობა, რელიგიური კუთვნილება, კლასი, სექსუალური ორიენტაცია, სქესი, გენდერული იდენტობა და სერიოზული დაავადება“.<sup>253</sup>

ასევე აღნიშნულია, რომ “შეტევას განვსაზღვრავთ, როგორც ძალადობრივ ან ადამიანის ღირსების შემლახველ გამოთქმებს, მავნე სტერეოტიპებს, დამამცირებელ განცხადებებს, შეურაცხყოფის გამოხატვას,

<sup>253</sup> Facebook Community Standards

<[https://www.facebook.com/communitystandards/hate\\_speech](https://www.facebook.com/communitystandards/hate_speech)> [Last Accessed: 08/01/2022]

ზიზღს ან უარყოფას, გინებას და გარიყვისკენ ან გამოყოფისკენ მონოდებას. ჩვენ ვკრძალავთ მავნე სტერეოტიპების გამოყენებას, რომელსაც განვსაზღვრავთ, როგორც ადამიანის ღირსების შემლახველ შედარებას, რომელიც ისტორიულად გამოიყენებოდა კონკრეტულ ჯგუფებზე შეტევითების, მათი დაშინებისა თუ გარიყვისთვის და რომელიც ხშირად უკავშირდება ძალადობას პლატფორმის გარეთ. ჩვენ ასაკს დაცულ მახასიათებლად ვთვლით მაშინ, როცა ის მოცემულია სხვა დაცულ მახასიათებელთან ერთად. ჩვენ ვიცავთ ლტოლვილებს, მიგრანტებს, ემიგრანტებსა თუ თავშესაფრის მაძიებელთ მძიმე შეტევებისგან; თუმცა, დაშვებულია კომენტარები და კრიტიკა ემიგრაციულ პოლიტიკაზე. ანალოგიურად, ჩვენ ვიცავთ ზოგიერთ ისეთ მახასიათებლებს, როგორცაა ოკუპაცია, როცა ეს მითითებულია დაცულ მახასიათებლებთან ერთად<sup>254</sup>.

„ფეისბუქის“ სიძულვილის ენის განმარტება საკმაოდ ფართოა და რა თქმა უნდა უფრო ფართო, ვიდრე „იუთუბსა“ და „ტვიტერზე“. 2018 წელს დევიდ ქეიმ, სპეციალურმა მომხსენებელმა აზრისა და გამოხატვის თავისუფლების ხელშეწყობისა და დაცვის საკითხებში წარმოადგინა „ანგარიში კონტენტის მოდერაციის შესახებ“. ამ ანგარიშში ხაზგასმული იყო, რომ სოციალური მედიის პლატფორმები უნდა დაყრდნობოდნენ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის სტანდარტებს. ეს აზრი, ნაწილობრივ გათვალისწინებულია. მაგალითად, ასეთ სტანდარტებს ეყრდნობა „ფეისბუქის“ საზედამხედველო საბჭო.

დევიდ ქეის მიერ გამოქვეყნებულ 2019 წლის ანგარიშში მან გააკრიტიკა სოციალური მედიის კომპანიები სიძულვილის ენის გამოყენების გამო. მან თქვა, რომ „კომპანიები სერიოზულად არ იღებენ თავიანთ პასუხისმგებლობას ადამიანის უფლებების პატივისცემაზე... სწორედ მათ პლატფორმებზე

---

<sup>254</sup> იქვე.

ვრცელდება სიძულვილის შემცველი შინაარსი, რომელიც გამოწვეულია ბიზნეს მოდელით და ალგორითმული ინსტრუმენტებით, რომლებიც აფასებენ ყურადღებას და ვირუსულობას. მათ აქვთ დიდი გავლენა ადამიანის უფლებებზე და, მიუხედავად ამისა, ყველა ვერ ახერხებს ადამიანის უფლებათა კანონმდებლობაში დაფუძნებული პოლიტიკის არტიკულაციას, როგორც მათ მოუწოდებს გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები ბიზნესისა და ადამიანის უფლებების შესახებ.”<sup>255</sup>

## 5. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა

სოციალური მედიის კომპანიების მიერ სიძულვილის ენის მართვაში შესაძლოა პოზიტიური როლი შეასრულოს პრეცედენტულმა სამართალმა. ამ მხრივ, უმნიშვნელოვანესია ევროსასამართლოს მიერ განხილული საქმეები. ამ საქმეების გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე შესაძლოა სოციალური მედიის კომპანიებმა დახვეწონ მიდგომები მათ პლატფორმებზე გამოქვეყნებულ სიძულვილის შემცველ შინაარსთან დაკავშირებით.

Üçdağ v. Turkey

2021 წლის 31 აგვისტოს სასამართლომ განიხილა საქმე „უსდაგი თურქეთის წინააღმდეგ“. მოსარჩელე იყო საჯარო მოხელე, რომელიც იმამად მუშაობდა ადგილობრივ მეჩეთში. იგი თურქეთის სასამართლომ დამნაშავედ სცნო „ფეისბუქზე“ გამოქვეყნებული ორი პოსტის გამო. სადავო პოსტები მოიცავდა ორ ფოტოს. პირველ ფოტოზე გამოსახულ ადამიანებს ეცვათ PKK ქურთისტანის

---

<sup>255</sup> Report of the Special Rapporteur on the promotion and protection of the right to freedom of opinion and expression, 9.10, 2019.

მუშათა პარტიის წევრების ფორმის მსგავსი ტანსაცმელი, ხოლო მეორეზე ჩანდა ხალხი, რომელიც მონაწილეობდა დემონსტრაციაში და იდგა ცეცხლის წინ. ეს პოსტი გააზიარა „ფეისბუქის“ ორმა მომხმარებელმა.

სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-10 მუხლის (გამოხატვის თავისუფლების) დარღვევას და რომ მოსარჩელის დადანაშაულებით ტერორისტული ორგანიზაციის სასარგებლოდ პროპაგანდის გავრცელებაში ბრალდებით, მის „ფეისბუქზე“ სადავო შინაარსის გამოქვეყნების გამო, ადგილობრივმა სასამართლომ დაარღვია ბალანსი მოსარჩელის გამოხატვის თავისუფლებასა და ლეგიტიმურ მიზნებს შორის, როგორცაა ეროვნული უსაფრთხოების და ტერიტორიული მთლიანობის დაცვა და დანაშაულისა და უწყისობის პრევენცია.<sup>256</sup>

Beizaras and Levickas v. Lithuania

მოსარჩელე იყო 2 ახალგაზრდა მამაკაცი, რომლებიც რომანტიულ ურთიერთობაში იყვნენ. ერთ-ერთმა მათგანმა გამოაქვეყნა „ფეისბუქში“ ფოტო, სადაც ისინი კოცნიდნენ ერთმანეთს, რამაც გამოიწვია ასობით კომენტარი. კომენტარები ასახავდნენ სიძულვილის შემცველ გამონათქვამებს ზოგადად ლგბტ თემის მიმართ და მუქარას კონკრეტულად ამ წყვილის მიმართ. მოსარჩელები აღნიშნავდნენ, რომ იმის გამო, რომ მათ უარი ეთქვათ გამოძიებაზე, მათ აღარ დარჩათ თავიანთ ქვეყანაში დაცვის შესაძლებლობა. სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-14 მუხლის (დისკრიმინაციის აკრძალვა) და ასევე მე-8 მუხლის (პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება) დარღვევას, სექსუალური ორიენტაციის ნიადაგზე, რასთან დაკავშირებითაც ლიეტუვას მთავრობამ ვერ უზრუნველყო დასაბუთება,

---

<sup>256</sup> ECHR Press Release. Factsheet – Hate speech, Press Unit, (02.2022), [https://www.echr.coe.int/documents/fs\\_hate\\_speech\\_eng.pdf](https://www.echr.coe.int/documents/fs_hate_speech_eng.pdf)

რომელიც აჩვენებდა, რომ განსხვავებული მოპყრობა იყო თავსებადი კონვენციის სტანდარტებთან.<sup>257</sup>

Sanchez v. France

1 სექტემბერი 2021.

2022 წლის 17 იანვარს განსახილველად გადაეცა დიდ პალატას.

მოსარჩელე იყო პარლამენტის წევრობის კანდიდატი ნაციონალური ფრონტიდან, რომელმაც დაწერა „ფეისბუქზე“ პოსტი. ამ პოსტის ქვეშ მომხმარებლებმა გააკეთეს შემდეგი კომენტარები: „ნიმი გადაიქცა ალჟირად, არ არის ქუჩა, ქაბაბის მაღაზიისა და მეჩეთის გარეშე; ნარკორეალიზატორები და მეძავეები მეფობენ“. სხვა მომხმარებელმა დაამატა სამი სხვა კომენტარი მუსლიმების მიმართ, როგორცაა ბრალდებები, რომ მუსლიმები ყიდიან თავიანთ ნარკოტიკებს პოლიციის ჩარევის გარეშე და რომ ისინი ქვეებს ესვრიან „თეთრების“ კუთვნილ მანქანებს. საფრანგეთის სასამართლომ დააჯარიმა სანჩესი ამ კომენტარებისთვის და დაადგინა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ის არ იყო ავტორი, ის იყო "ძირითადი დამნაშავე", რადგან მან კომენტარები 6 კვირის განმავლობაში დატოვა, სანამ მათ ამოიღებდა სოციალური პლატფორმა.

ევროსასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა მე-10 მუხლი. სასამართლომ ხაზი გაუსვა პოლიტიკოსების როლს სიძულვილის ენის დაძლევაში, მოსარჩელის მიერ კომენტარების მოხსნის დაგვიანებასა და მის პასუხისმგებლობას ამ კომენტარების მიმართ. მან მხარი დაუჭირა Féret v Belgium-ის ტექსტს, რომელიც ხაზს უსვამს, რომ სიძულვილის გაღვივება სულაც

---

<sup>257</sup> იქვე.

არ მოითხოვს ძალადობის კონკრეტული აქტის მონოდებას, რომ თავდასხმები შეიძლება შეიცავდეს, მაგალითად, შეურაცხყოფას ან დაცინვას.<sup>258</sup>

- მოსამართლე მოურუ-ვიქსტრომის განსხვავებული მოსაზრება

განსხვავებული მოსაზრება გამოთქვა მოსამართლე მოურუ-ვიქსტრომმა. მან ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ საქმეში დელფი ესტონეთის წინააღმდეგ<sup>259</sup> დიდი პალატამ განასხვავა დიდი ახალი ამბების პორტალები, რომლებიც მუშაობენ კომერციული მიზნებისთვის (როგორცაა Delfi) და სხვა ტიპის ინტერნეტ ფორუმები, რომელიც სავარაუდოდ, აქვეყნებს კომენტარებს მომხმარებლებისგან ან სოციალური მედიის პლატფორმებისგან, სადაც პროვადერი არ აწარმოებს რაიმე შინაარსს და სადაც კონტენტის მიმწოდებელი შეიძლება იყოს ინდივიდი, რომელიც თავისუფალ დროს მართავს საიტს ან ბლოგს.[პარ. 115-116]

ცხადი იყო, რომ განმცხადებლის ფეისბუქის ანგარიში შეიძლება მოხვდეს მეორე კატეგორიაში, მაგრამ უმრავლესობამ არ განმარტა, რატომ არ გამოიყენა ეს ჩარჩო. მან დაასკვნა: „იმის დადგენა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-10 მუხლი, ანგარიშის მფლობელს აკისრებს კონტროლის ძალიან მძიმე მოვალეობას, რადგან მას ემუქრება სისხლისსამართლებრივი დევნა. არსებობს რისკი, რომ ასეთი შიში ანგარიშის მფლობელს აქცევს ნამდვილ მაკონტროლებად და კედელზე დანერგილი სიტყვების ცენზორადაც კი“.<sup>260</sup>

## 6. სოციალურ ქსელში სიტყვილის შემთხვევები საქართველოში

---

<sup>258</sup> იქვე.

<sup>259</sup> Delfi As v. Estonia, 2015 E.C.H.R. 586 (2015)

<sup>260</sup> Columbia University, Sanchez v. France, Case Summary, 02/09/2021, <https://globalfreedomofexpression.columbia.edu/cases/sanchez-v-france/>

ცნება „სიძულვილი“ მოიაზრებს უფრო მეტს, ვიდრე რელიგიური შეხედულებების გმობას, მიუღებლობას, კრიტიკას, დაცინვას ან შეურაცხყოფას. ამ მხრივ, ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს ღვთისგმობა (blasphemy), რელიგიური შეურაცხყოფა (religious insult) და რელიგიური სიძულვილი (religious hatred). ეს უკანასკნელი ქმედების ყველაზე ძლიერი ფორმაა, რომელსაც შეიძლება (თუმცა არ არის აუცილებელი), თან ახლდეს რელიგიური ჯგუფის წარმომადგენელთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის ან ძალადობის გამოწვევის განზრახვა.<sup>261</sup> რელიგიური შეურაცხყოფისა და რელიგიური სიძულვილის შეზღუდვა იცავს პირებს, რომელთაც აქვთ გარკვეული რელიგიური რწმენა.<sup>262</sup>

რელიგიურ კონტექსტში სიძულვილის ენა გულისხმობს არა მხოლოდ შეურაცხყოფას, დაგმობას, კრიტიკას, დაცინვას რელიგიური შეხედულებების გამო, არამედ ქმედებებს, რომლებიც მიზნად ისახავს რელიგიური ჯგუფების მიმართ ძალადობის ან დისკრიმინაციის წაქეზებას. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადგენს, რომ როდესაც კრიტიკა შეიცავს რელიგიური ადამიანების გრძნობების შეურაცხყოფას, სახელმწიფოს აქვს დადებითი ვალდებულება, დაიცვას რელიგიური ჯგუფების გრძნობები, რათა უზრუნველყოს მათი რელიგიური უფლებების დაცვა.

საქართველოს „ფეისბუქის“ მომხმარებელთა შორის არაერთგზის გამოიწვია ცხარე დებატები პოსტებმა, რომლებიც აღძრავენ დისკუსიას რელიგიურ კონტექსტში გამოხატვის თავისუფლებასა და სიძულვილის ენას შორის ზღვარის გავლებაზე.

---

<sup>261</sup> ცხვედიანი თინათინ, სიძულვილის ენა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში, 2013, გვ.308.

<sup>262</sup> თამარ მსხვილიძე, „სიძულვილის ენის დილემა, სად გადის ზღვარი დაცულ და აკრძალულ გამოხატვას შორის?“, „სამართალი და მსოფლიო“, 2018, #10, გვ.36

2017 წელს ქართველმა მხატვარმა ლია უკლებამ დახატა სურათი, რომელზეც ნაჩვენებია ფეხმძიმე ღვთისმშობელი. ღვთისმშობელს თავზე პისტოლეტი აქვს მიბჯენილი. ნახატი გავრცელდა სოციალურ მედიაში და გამოიწვია დებატები უფლებადამცველებს შორის, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ეს იყო მხოლოდ გამოსატვის ფორმა. მეორე მხრივ, მომხმარებელთა ნაწილი თვლიდა, რომ ეს იყო ღია თავდასხმა ეკლესიაზე, შეურაცხყოფა და დამამცირებელი ქცევა. ქართული ეკლესიის ისტორიიდან გამომდინარე საჭიროა ასეთი პოსტების კონკრეტულ კულტურულ-ისტორიულ კონტექსტში განხილვა. “ფეისბუქზე” არაერთგზის შეტყობინების მიუხედავად, ნახატის გავრცელება სოციალურ მედიაში არ შეიზღუდა და არც სათანადო განმარტება მოჰყოლია „ფეისბუქის“ მხრიდან.

აღსანიშნავია ისიც, რომ თავის მხრივ ეკლესიასაც ჰყავს აგრესიულად განწყობილი მხარდამჭერი ჯგუფები, რომლებიც არ შემოიფარგლებიან მხოლოდ სოციალურ მედიაში სიძულვილის ენის გამოყენებით, არამედ სწორედ სოციალური მედიის საშუალებით აორგანიზებენ სხვადასხვა აქციებს, რომლებიც გადაიზრდება მათი იდენტობიდან გამომდინარე ან განსხვავებული შეხედულებების მქონე ადამიანების დარბევასა და ფიზიკურ შეურაცხყოფაში. 2019 წლის ნოემბერში აგრესიული ქმედებები მოჰყვა ქართულ-შვედური ფილმის პრემიერას „და ჩვენ ვიცეკვეთ“, რომელიც ქართული ცეკვის მოცეკვავე ჰომოსექსუალი მამაკაცების სიყვარულზეა. საზოგადოების ნაწილმა და რელიგიურმა ჯგუფებმა ეს აღიქვეს, როგორც შეურაცხოვა. სოციალურ ქსელში ამ საკითხზე გააქტიურდა სიძულვილის ჯგუფებსა და პრორუს აქტორებთან დაკავშირებული გვერდები საზოგადოებრივი აზრის მობილიზების მიზნით. გავრცელდა ბევრი ყალბი ინფორმაცია, რამაც გამოიწვია ფილმის წინააღმდეგ საზოგადოებრივი აზრის მობილიზაცია და ხალხის ნაქეზება, რომ ჩაემალათ

პრემიერა. ფილმის პრემიერაზე დასწრების მსურველთა და ფილმის აკრძალვის მომხრეთა შორის ატეხილ შეხლა-შემოხლაზე დაშავდნენ ადამიანები.

აღნიშნულ შემთხვევაში „ფეისბუქზე“ არ მოხდა შეზღუდვა სიძულვილის ჯგუფების ამკარა წამქეზებლური პოსტების, რამაც ხელი შეუწყო ადამიანებისთვის ფიზიკური ზიანის მიყენებას.

2021 წლის 5 ივლისს „ღირსების მარში“-ს მონაწილეთა წინააღმდეგ სოციალურ ქსელში გაჩაღდა კამპანია. სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების (ISFED), საქართველოს რეფორმების ასოციაციის (GRASS), ატლანტიკური საბჭოს ციფრული გამოძიების კვლევის ლაბორატორიის (DFRLab) მიერ ჩატარებული ტრადიციული და სოციალური მედიის მონიტორინგის შედეგების მიხედვით, „ღირსების მარშის“ მონაწილეთა ჯგუფები წინასწარ მთელი კვირის მანძილზე მიმართავდნენ სიძულვილის ენას და ავრცელებდნენ მუქარის შემცველ გზავნილებს. მათ მოახდინეს აგრესიული ხალხის ორგანიზება, რის შედეგადაც დაშავდა არერთი ადამიანი და მათ შორის უურნალისტები.<sup>263</sup>

ზოგიერთი კონფლიქტი სოციალურ ქსელში ასახავს დაპირისპირებას ეთნიკურ ნიადაგზე. რიგ შემთხვევებში ეს კონფლიქტები საკმაოდ სერიოზულ სახეს იღებს და სიძულვილის ენა გადადის ძალადობისკენ წაქეზებაში. ამის მაგალითია 2020 წლის მარტში განვითარებული სიტუაცია, როდესაც ეთნიკური აზერბაიჯანელებით დასახლებულ მარნეულის მუნიციპალიტეტში გავრცელდა კორონავირუსი. მაშინ საქართველოს სხვა ქალაქებსა და რეგიონებში ეპიდემია ჯერ არ იყო მასობრივად გავრცელებული. სოციალურ ქსელში გაჩნდა

<sup>263</sup> ISFED, სიძულვილის ენა, მუქარა და დემინფორმაციული გზავნილები „ღირსების მარშის“ წინ, 2/07/2021,

<https://www.isfed.ge/geo/blogi/sidzulvilis-ena-muqara-da-dezinformatsiuli-gzavnilebi-ghirsebis-marshis-tsin>

საქართველოს მოქალაქე აზერბაიჯანელების მიმართ აგრესიული ქსენოფობიური მოსაზრებების შემცველი კომენტარები: „უნდა ჩაყარო ყველა ციხეში“, „ჩახოცეთ“, „არტყმევინეთ თავი“ და ა.შ. ქსენოფობიური პოსტების ავტორები ხაზს უსვამდნენ იმ გარემოებას, რომ საქართველოს მოქალაქე აზერბაიჯანელებმა არ იციან ქართული ენა და არ აქვთ სურვილი მისი სწავლის. აგრესიამ ისეთი მასშტაბი მიიღო, რომ სოციალურ ქსელში აზერბაიჯანელმა ახალგაზრდებმა წამოიწიეს კამპანია #არადისკრიმინაციას, „ვიცი ქართული ენა. არ ვარლვევ სახელმწიფოს მიერ დადგენილ შეზღუდვებს, ვრჩები სახლში!“

მსგავსი შემთხვევები საკმაოდ ხშირია „ფეისბუქში“. თუმცა სიძულვილის ენის ამგვარი გამოვლინებები უპასუხოდ რჩება, როგორც „ფეისბუქის“ ასევე სახელმწიფოს მხრიდან, მიუხედავად იმისა, რომ ადგილი აქვს ძალადობისკენ წაქეზებას. ისინი მხოლოდ აისახება სხვადასხვა ვოჩდოგების ან სახალხო დამცველის ანგარიშებში.

## 6.1. კულტურული კონტექსტი

2022 წლის თებერვალში სოციალურ ქსელში გავრცელდა ვიდეო, რომელშიც ჩანს, რომ ტრადიციულ ქართულ ცეკვას „სვანური“, რომელსაც მამაკაცები ასრულებენ, ცეკვავს ვარდისფერ კაბაში ჩაცმული მამაკაცი. ცეკვა „სვანური“ ქართული ფოლკლორის შესანიშნავი ნიმუშია და საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობისთვის ეროვნული იდენტობის ნაწილად არის აღქმული. შესაბამისად, მისმა ასეთმა ინტერპრეტაციამ გამოიწვია „ფეისბუქის“ მომხმარებელთა აღშფოთება და მრავალი მუქარის შემცველი კომენტარი.

საქართველოს კულტურის სამინისტრომ განცხადება გაავრცელა „ფეისბუქში“ გამოქვეყნებულ ვიდეორგოლთან დაკავშირებით, სადაც აღნიშნულია, რომ „სოციალური ქსელის მეშვეობით გავრცელებული ვიდეო, რომელშიც

ხელყოფილია სვანური ცეკვა აბსოლუტურად მიუღებელი ფორმით“<sup>264</sup> მონიშნავს, რომ საჭიროა შემუშავდეს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ახალი მექანიზმები და ამ საკითხზე იმუშავეს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო.

ამ შემთხვევაში „ფეისბუქის“ და „იუთუბის“ მხრიდან არ ყოფილა არავითარი რეაგირება, რაც ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ კულტურულ-ისტორიული და სოციალური კონტექსტის გათვალისწინება არ წარმოადგენს სოციალური ქსელების პრიორიტეტს, რაც სოციალური ქსელების მომხმარებელთა ნაწილში იწვევს უკმაყოფილებას და აღვივებს უსამართლობის გრძნობას.

კონტექსტის მნიშვნელობას ხაზი გაუსვა ამერიკელმა მოსამართლემ ოლივერ უენდელ ჰოლმსმა ჯერ კიდევ 1919 წელს საქმეში Schenck v. United States. ჰოლმსმა შეცვალა ზედმეტად ფართო „ცუდი ტენდენციის“ სტანდარტი უფრო მკაცრი, მკაფიო „ახლანდელი საფრთხის ტესტით“ და საკითხი ასე დააყენა: „სიტყვები გამოიყენება თუ არა ისეთ ვითარებაში და არის თუ არა ისეთი ხასიათის, რომ შექმნას აშკარა და ახლანდელი საფრთხე, რომ ისინი მოიტანენ არსებით ბოროტებას.“<sup>265</sup> უილსონი და ლენდი აღნიშნავენ, რომ ჰოლმსის ხაზგასმა სიტყვის მოქმედებების გარემოებებზე და მათ “არსებით ბოროტებასთან” სიახლოვეზე, უნდა გავიგოთ, როგორც ინსტრუქცია, რათა განვიხილოთ სიტყვა მისი გამოყენების კონტექსტში.<sup>266</sup>

დღევანდელი რეკომენდაციაში აღნიშნავს, რომ „სიძულვილის ენის წესების ნებისმიერი აღსრულება გულისხმობს კონტექსტს და იმ ზიანის შეფასებას ,

<sup>264</sup> Ministry of Culture Sports and Youth of Georgia, Statement, 19/02/2022, Facebook Page, <https://www.facebook.com/MinistryofCultureSportandYouth/posts/256169026699127>

<sup>265</sup> Schenck v. United States, 249 U.S. 47, 39 S. Ct. 247, 63 L. Ed. 470 (1919).

<sup>266</sup> Wilson, Richard Ashby, and Molly K. Land. "Hate speech on social media: content moderation in context." Conn. L. Rev. 52 (2020): 1029.

რომელსაც კონტენტი აყენებს მომხმარებლებს და საზოგადოებას“. <sup>267</sup>ადამიანის უფლებათა კანონმდებლობა მოითხოვს, რომ სიტყვის ნებისმიერი შეზღუდვა იყოს ლეგიტიმური და იმ მიზნების პროპორციული, რომლებსაც ისინი ემსახურებიან. პროპორციულობის განსაზღვრა კი მოითხოვს სიტყვის შეფასებას კონტექსტში.<sup>268</sup>

ამ მსჯელობიდან გამომდინარე, შეიძლება ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ სოციალური ქსელების კომპანიების ერთ-ერთი ნაკლოვანი მხარე არის, სწორედ თანამშრომლობის მინიმალური ფორმები იმ ქვეყნებთან, სადაც მათი მომხმარებლების დიდი ნაწილი ცხოვრობს. ქვემოთ, ჩვენ განვიხილავთ დიდი პლატფორმების და ევროკავშირის თანამშრომლობის გამოცდილებას თანარეგულირების მხრივ, თუმცა ასეთი თანამშრომლობა არ ვრცელდება ევროკავშირის გარეთ. აღსანიშნავია ისიც, რომ თუ ქვეყანა დაიკავებს პროაქტიულ პოზიციას, შესაძლოა იყოს თანამშრომლობის რეალური პერსპექტივა.

---

<sup>267</sup> Kaye David, Report of the Special Rapporteur on the Promotion and Protection of the Right to Freedom of Opinion and Expression (2018) A/HRC/38/35. 58(d)

<sup>268</sup> Wilson, Richard Ashby, and Molly K. Land. "Hate speech on social media: content moderation in context." *Conn. L. Rev.* 52 (2020): 1029.

## V პლატფორმის პასუხისმგებლობა და ლეგიტიმაცია

### 1. ალგორითმების როლი

ალგორითმები სულ უფრო ხშირად გამოიყენება საზიანო ან არალეგალური შინაარსის გამოსავლენად. მოდერატორები სწრაფად თანხმდებიან აშკარად ტერორისტულ, ძალადობრივ, სიძულვილის შემცველ შინაარსზე, მაგრამ შინაარსის კვალიფიკაცია უფრო რთულია დიდ ნაცრისფერ ზონაში, სადაც აშკარა აღარ არის შესაბამისობის დადგენა. მოდერატორები იყოფიან საკითხზე „აკრძალვა თუ არა?“. ამ კითხვაზე პასუხი მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით შეიძლება გაიყოს.

ამ კონტექსტში, სამართლიანობის ტენდენცია აჩენს კითხვებს. 2019 წლის 3 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, CJEU მართლმსაჯულების ევროპულმა სასამართლომ განსაზღვრა, რომ სასამართლომ ევროკავშირის ქვეყანაში შეიძლება მოსთხოვოს სოციალურ ქსელს წაშალოს არა მხოლოდ არალეგალურად მიჩნეული კონტენტი, არამედ ნებისმიერი „იდენტური ან ექვივალენტური“ კონტენტი, ისე რომ არ დაელოდოს დარეპორტებას მის შესახებ. ეს შეზღუდვა უნდა გავრცელდეს გლობალურ დონეზე.

ამ ინტერპრეტაციის მიღმა, რომელიც აფართოებს გამონაკლისს ჰოსტების მიერ კონტენტის ზოგადი არა-მონიტორინგის პრინციპთან მიმართებით, შეგვიძლია შევნიშნოთ "იდენტური ან ექვივალენტური" კონტენტის ბუნების შედარებითი უზუსტობა. ტექსტი შეიძლება შეიცვალოს სიმბოლოების შეცვლით. როდის აღარ იქნება ის იდენტური ან ექვივალენტური? რაც შეეხება ფოტოს, შეიძლება შეიცვალოს ჩარჩო, ფერები. ამ შემთხვევაში როდემდე ჩაითვლება ის იდენტურად ან ექვივალენტურად?

სასამართლოს მსჯელობა არსებითად გამართლებულია მისი სურვილით, დაანესოს ამკრძალავი ნორმა, რომელიც ეფექტიანად აიცილებს თავიდან უკანონო ქმედების განმეორებას. თუმცა, უკანონო ქმედება „თავისთავად მომდინარეობს არა გარკვეული ტერმინების გამოყენებიდან, არამედ იმ ფაქტით, რომ ამ შინაარსით გადმოცემული შეტყობინება კვალიფიცირებულია როგორც უკანონო“, როგორცაა, მაგ. ცილისმწამებლური შენიშვნები. აქედან გამომდინარე, კიდევ უფრო ფართო ინტერპრეტაცია გამოიწვევს პლატფორმების მიერ „ანალოგიით“ კონტენტის დაბლოკვას. შემდეგ ჩნდება კითხვა ამ ანალოგიების ავტომატურად შეფასების შესახებ. ეს არის ის, რასაც დღეს გამოვლენის ალგორითმები აკეთებენ, კვალიფიკაციის პასუხისმგებლობა მოგვიანებით ეკისრება მოდერატორებს.

ალგორითმებს შეუძლია ადამიანის არჩევანის „გასწორება“. მათ ასევე გააჩნიათ სწრაფი რეაგირების შესაძლებლობა მანამ, სანამ ზიანის მომტან კონტენტს დაინახავს ინტერნეტის მომხმარებელი. ამიტომ ალგორითმები, სავარაუდოდ, სულ უფრო მეტად გახდება მთავარი ინსტრუმენტი საზიანო შინაარსის გამოვლენისა და მოდერატორების ქმედებების პრიორიტეტიზაციისთვის. თუმცა ისინი უკვე ეფექტურია ტერორიზმისა და ბავშვთა პორნოგრაფიის შემცველი შეტყობინებების წინააღმდეგ. აღმომჩენი ალგორითმები უფრო დიდ გამოწვევებს აწყდებიან სიძულვილის შეტყობინებებზე, ვიდრე ყალბ ამბებზე. ამ ორ სფეროში, კვალიფიკაცია უფრო რთულია და მნიშვნელოვანი. ალგორითმებისგან არ უნდა ველოდოთ აბსოლუტურ სიმართლეს შემდეგი მიზეზების გამო:

- ასეთი ჭეშმარიტება არ არსებობს;
- ალგორითმებს აკლია არსებითი კონტექსტური ელემენტები შინაარსის ჭეშმარიტი ბუნების შესაფასებლად და

- ალგორითმები ჯერ კიდევ სრულყოფას საჭიროებს.

ალგორითმების დასახვეწად აუცილებელი პირობაა მათი შედეგების მუდმივი გაზომვა და შეფასება.

### 1.1. მოდერაციის მონაცემები

ალგორითმები ეფუძნება მოსამზადებელ ფაზაში ადამიანების მიერ შედგენილ მონაცემებს. ამიტომ, ალგორითმებით მოდერაციის ხარისხი ძირითადად დამოკიდებულია მონაცემების ხარისხზე და ადამიანებზე, რომლებიც ქმნიან ამ მონაცემებს. ეს არის ადამიანის არჩევანი, რომელიც წარმართავს მოდერაციის ალგორითმების მუშაობას. ამიტომ, ეს მონაცემები,“ რომლებიც წარმოადგენენ „ზოგადი ინტერესის მონაცემებს“ ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველასთვის, განსაკუთრებით მკვლევრებისთვის და მცირე ბიზნესისთვის, რომლებიც პრობლემების წინაშე დგანან და ვერ ახერხებენ მის მიღებას.

უნდა აღინიშნოს, რომ პლატფორმებს ზოგჯერ სურთ მონაცემების გაზიარება, მაგრამ ძირითადად მათთვის სირთულეს წარმოადგენს ამ მონაცემებზე წვდომის გახსნა. მაგალითად, „ფეისბუქმა“ დაამყარა პარტნიორობა მკვლევრებთან. თუმცა, 2019 წლის სექტემბერში ეს მკვლევრები დაემუქრნენ ამ პარტნიორობის განწყვეტით, რადგან მათ არ მიუწვდებოდათ ხელი მონაცემებზე. ეჭვს ბადებს ასევე მკვლევრების გამოხატვის თავისუფლება, როდესაც ისინი მჭიდროდ არიან დამოკიდებული პლატფორმებზე მონაცემების მოპოვების მხრივ და ზოგჯერ ფინანსურადაც.

ალგორითმები და მათი მოსამზადებელი მონაცემები, რომლებზეც დამოკიდებულია შინაარსის შეფასება, მონაწილეობენ საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში და შესაბამისად არსებობს მათი რეგულირების აუცილებლობა.

გასათვალისწინებელია შემდეგი მომენტები:

გამჭვირვალობა: პლატფორმებს უნდა მოეთხოვოთ გამჭვირვალობა ალგორითმული დამუშავებისა და მათი მომზადებისთვის გამოყენებული მონაცემების შესახებ.

ზედამხედველობა: მარეგულირებელმა უნდა აკონტროლოს ეს ალგორითმები, რათა აღმოაჩინოს ხარვეზები ან ექსცესები, შემდეგ გაათხოვოს პლატფორმა. ამოცანა რთულია და მარეგულირებლისგან ძლიერ უნარებს მოითხოვს. ის ასევე შეიძლება ეფუძნებოდეს მომხმარებელთაგან მონაცემების შეგროვებას და მკვლევარების მუშაობას.

თანადიზაინი: პლატფორმები უკვე ეწევიან მოდერაციას. თუ თემა დელიკატურია, შესაძლოა ჩაერთონ სხვა აქტორებიც მნიშვნელოვანი არჩევანის გაკეთებაში.

აჩქარება: პრობლემის არსი არის ის, რომ ინტერნეტმომხმარებლის მიერ პლატფორმაზე განთავსებული კონტენტი შეიძლება გახდეს ვირუსული და სწრაფად მიაღწიოს ათასობით ან მილიონობით ადამიანს. რა თქმა უნდა, შემქმნელი რჩება ინტერნეტის მომხმარებელი. მაგრამ პლატფორმა საშუალებას აძლევს ვირუსულობას, მაუწყებელი მომხმარებლების საშუალებით, რომლებიც იყენებენ კრეატიულ მომხმარებელს. უფრო მეტიც, პლატფორმა ხელს უწყობს კიდევ მას ამ შინაარსის „აჩქარებით“, მაგალითად, სარეკომენდაციო სისტემის მეშვეობით. პლატფორმა ძირითად როლს ასრულებს ინფორმაციის გავრცელებაში და შეიძლება ჰქონდეს მნიშვნელოვანი გავლენა საზოგადოებრივ აზრზე. პლატფორმები დიდი ხანია უარს ამბობენ ამ

პასუხისმგებლობაზე. დღეს ეს უკვე შეუძლებელია: მათი ალგორითმები და ციფრული მონაცემები, რომლებზეც ისინი არიან დაფუძნებული პასუხისმგებელია გავრცელების მასშტაბზე. სარეკომენდაციო ალგორითმები უნდა დაექვემდებარონ გამჭვირვალობის, ზედამხედველობისა და ერთობლივი დიზაინის საერთო მცდელობას. (Gorwa, Binns & Katzenbach, 2020).

## 2. სოციალური მედიის პლატფორმების მომსახურების პირობები

უფრო და უფრო მეტი მომხმარებელი იყენებს სხვადასხვა მედიასაშუალებებს და ავრცელებს ინფორმაციას ფოტოებით, კომენტარებით თუ ადგილების რეკომენდაციებით. ყოველ ჯერზე, როდესაც მომხმარებელი ვებგვერდს სტუმრობს, კითხულობს სტატიას ან ინონებს მას, იგი ტოვებს კვალს, ინფორმაციას, რომლის დამუშავება შესაძლებელია დემოგრაფიული თვალსაზრისით, კომერციული მიზნებისთვის ან თუნდაც კიბერშეტევისთვის.

ამ ყველაფრის მიუხედავად, ყოველ ჯერზე ახალი ციფრული სერვისის გამოყენებისას მომხმარებელი იშვიათად კითხულობს მომსახურების პირობებს და კონფიდენციალობის დებულებებს. ამიტომაცაა, რომ პირადი ინფორმაცია უკვე აღარაა პირადი და ხელმისაწვდომია მესამე მხარისთვის - პლატფორმისა ან მასთან დაკავშირებული კომპანიისთვის, რომელმაც შეიძლება ინფორმაცია გამოიყენოს კორპორაციული თუ კომერციული მიზნებისთვის. „ნიუ-იორკ ტაიმის“ მიხედვით, ინტერნეტის მომხმარებელს საშუალოდ 76 სამუშაო დღე სჭირდება მის მიერ არჩეული ციფრული სერვისების გამოყენების ყველა წესისა და პირობის გასაცნობად. მარტო 9 საათია საჭირო „ამაზონის“ პირობების გასაცნობად. „ფეისბუქის“ მონაცემთა პოლიტიკის მთლიანი ტექსტი 4800 სიტყვას მოიცავს, რაც Word-ის დოკუმენტის დაახლოებით 14 გვერდია<sup>269</sup>.

<sup>269</sup> Editorial Board, How the Silicon Valley Puts the ‘Con’ in Consent, New York Times, 2019 <<https://www.nytimes.com/2019/02/02/opinion/internet-facebook-google-consent.html>> [02.09.2020].

რაც შეეხება მომსახურების პირობებს, მისი პირველი ნაწილი მოიცავს 3400 სიტყვას და იგი იყოფა კიდევ ათ დამატებით ხელშეკრულებად, სადაც მიმოხილულია ყველაფერი პლატფორმის საშუალებით გადახდის რეგულაციებიდან დაწყებული მუსიკის გამოყენების წესებით დამთავრებული. „ფეისბუქის“ მომხმარებელმა ასევე უნდა წაიკითხოს „ფეისბუქის“ სტანდარტები, რომლის შესავალი ნაწილი შედგება 600-ზე მეტი სიტყვისგან და მოიცავს დამატებით ექვს ნაწილს.<sup>270</sup>

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, შეიძლება დავასკვნათ, რომ ეს ხელშეკრულებები იმისთვის არის შედგენილი, რომ არავინ წაიკითხოს, როგორც ბანკის ან ტელეფონის ხელშეკრულებების შემთხვევაშია, ისინი იმისთვის არის შექმნილი, რომ ადამიანმა ბრმად „მოაწეროს ხელი“ და არ ჰქონდეს რაიმეს შეცვლის საშუალება. როგორც „ნიუ-იორკ თაიმსი“ აღნიშნავს, მომხმარებლისთვის შეუძლებელია მარკ ცუკერბერგთან ამ წესების შეცვლაზე მოლაპარაკება და ანალოგიურად არც „ვოთსაფთან“ და „ინსტაგრამთან“, რადგან ისინი ერთი და იმავე ჯგუფის წევრები არიან.<sup>271</sup>

მომხმარებელთა კონტრაქტები წლიდან წლამდე უფრო რთულად წასაკითხი ხდება. ისინი არა მარტო უფრო ვრცელი, არამედ სამართლებრივი თვალსაზრისით უფრო კომპლექსური ხდება, რადგან ყოველ ჯერზე ემატება ახალი პუნქტები. ხშირად ცალკეული ქვეყნის კანონმდებლობა არ განმარტავს იმას, თუ რას ნიშნავს სოციალური ქსელი თუ მათი სერვისი ჩვენთვის, რაც ცალკეულ შემთხვევებში გაურკვეველობას იწვევს.

ჰარვარდის უნივერსიტეტმა ჩაატარა კვლევა, რომლითაც გააანალიზა 2005 წლიდან 2015 წლამდე „ფეისბუქის“ კონფიდენციალობის პოლიტიკაში

<sup>270</sup> Frosio, Giancarlo F. "Reforming intermediary liability in the platform economy: A European digital single market strategy." *Nw. UL Rev. Online* 112 (2017): 18.

<sup>271</sup> Grimmelmann, James. "Virtual world feudalism." *Yale Law Journal Pocket Part* 118 (2009): 126.

შეტანილი ცვლილებების ევოლუცია. კვლევამ აჩვენა, რომ 10 წლის განმავლობაში მომხმარებლები თავიანთ მონაცემებზე უფლებებს ეტაპობრივად კარგავდნენ, სოციალური ქსელის გამჭვირვალობა კი ნელ-ნელა იკლებდა. ეს ყველაფერი მიუთითებს იმაზე, რომ საზოგადოება უფრო ფხიზლად უნდა იყოს. ანალოგიური სიტუაციაა ყველა სხვა ციფრული სერვისის შემთხვევაში, რომლებიც ვალდებული არიან შეადგინონ მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომი მომსახურების პირობები. ბოლო წლებში ამოქმედდა ზომები (მაგალითად, GDPR მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაცია ევროპაში), რომელთა მიხედვით, კომპანიები ვალდებული არიან წარმოადგინონ ანგარიში იმის შესახებ თუ როგორ გამოიყენებენ მომხმარებლის მიერ მინოდებულ პირად მონაცემებს.

ანგარიშის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პუნქტია კონფიდენციალობა. დღესდღეობით, მომხმარებელზე, რომელიც კონფიდენციალობის პარამეტრების მეშვეობით ცდილობს ცვლილება შეიტანოს სოციალური ქსელის პირად გვერდზე, შესაძლოა გავლენა იქონიოს ვებგვერდის თითოეულმა ცვლილებამ თუ განახლებამ, რაც იძულებულს გახდის მომხმარებელს, გადახედოს არჩეულ პარამეტრებს იმის დასადასტურებლად, რომ მან აირჩია ის პარამეტრი, რომელიც თავიდანვე იყო მისთვის გამიზნული.

გასაკვირი არ არის ის, რომ პუბლიკაციები, რომლებიც ადრე ხელმიუწვდომელი იყო (ყველასთვის ან ნაწილობრივ), გახდა საჯარო ან პირიქით. ამის მიზეზი შეიძლება იყოს ვებგვერდის პოლიტიკის ცვლილება ან უბრალოდ სისტემის მიერ მომხმარებელთა ჯგუფებისა თუ „მეგობრების“ მართვის ცვლილება.

ამიტომაც, ESET (სლოვაკური ინტერნეტ უსაფრთხოების კომპანია) მომხმარებელს მოუწოდებს გაიარონ მუდმივი ტრენინგი ინტერნეტში პირადი ინფორმაციის დაცვის შესახებ.

უპირველეს ყოვლისა, საჭიროა იმის ცოდნა, რომ არასოდეს იქნება საკმარისი პლატფორმაზე პუბლიკაციის, ფოტოსა თუ ინფორმაციის გამოქვეყნებისას ფუნქციაზე „არ ვეთანხმები“ დაჭერა. შეტყობინებები, როგორც წესი, მუდმივად ჩანს ქსელებში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ისინი ახორციელებენ თავიანთი კონფიდენციალობის პოლიტიკის განახლებას, მაგრამ ამას რეალური ჩარევის სახე არ ექნება.<sup>272</sup>

### 3. პლატფორმების ლეგიტიმაცია

სოციალური მედიის პლატფორმების ერთ-ერთი ყველაზე დიდი კრიტიკა არის მათი ლეგიტიმაციის ნაკლებობა. ეს საკითხი დისკუსიის საგანი გახდა ამერიკის 2020 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინა პერიოდში, სადაც ორივე საპრეზიდენტო კანდიდატი ღიად საუბრობდა, წესიერების კანონის 230-ე მუხლის იმუნიტეტის მოხსნაზე სოციალური მედიის პლატფორმებისთვის.

ჩნდება არაერთი კითხვა. მათ შორის რა შეიძლება ჩავთვალოთ პლატფორმების ლეგიტიმაციის წყაროდ. ჰუმბოლდტის ინტერნეტის და საზოგადოების ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორი კლარა იგლესიას კვლერი აღნიშნავს: „შუამავლებს გააჩნიათ დიდი კონტროლი პლატფორმებზე განთავსებულ შინაარსზე. კერძო კომპანიები იღებენ გადაწყვეტილებას, თუ რა ინფორმაცია უნდა იყოს ხელმისაწვდომი მილიარდობით ადამიანისთვის და რა პრიორიტეტით. მსგავსი ტიპის გადაწყვეტილებებს ტრადიციულად იღებდნენ დემოკრატიულად არჩეული ინსტიტუციები სუვერენულ სახელმწიფოებში, რომლებიც ოპერირებენ დემოკრატიული ჩარჩოს ფარგლებში“.<sup>273</sup>

---

<sup>272</sup> Crawford, Adam. "Networked governance and the post-regulatory state? Steering, rowing and anchoring the provision of policing and security." *Theoretical criminology* 10, no. 4 (2006): 449-479.

<sup>273</sup> შენგელია ნინი, ინტერვიუ კლარა იგლესიას კვლერთან: არჩევნები და დეზინფორმაცია, ალტერბრიჯი, სექტორ 3, ციფრული დემოკრატიის ცენტრი, 16/11/2020, <https://www.facebook.com/60501604/posts/10101835493917876/?d=n>

დემოკრატიული მთავრობის ლეგიტიმაცია მოდის სხვადასხვა წყაროებიდან, როგორცაა, მაგალითად სამოქალაქო მონაწილეობა ან დემოკრატიული პროცედურა. ანუ კანონები მიიღება წინასწარ განსაზღვრული პროცედურის მიხედვით და ეს პროცედურა არის ლეგიტიმაციის ერთ-ერთი წყარო.<sup>274</sup>

როგორ უნდა გადავთარგმნოთ ჩვენ ეს ყველაფერი კიბერსივრცეში და როგორ მოვარგოთ ციფრულ პლატფორმებს? უკვე არსებობს გარკვეული ტიპის ძალისხმევა, რომ ლეგიტიმაცია მოდიოდეს სუვერენული სახელმწიფოს საზღვრებს მიღმა, ჩვენ ამის მცდელობას ვხედავთ საერთაშორისო სამართალში, გლობალურ საჯარო სამართალში, ისევე როგორც სხვა სამართლებრივ სივრცეებში. ჩვენ საერთაშორისო არენაზეც ვხედავთ იგივე ტიპის ლეგიტიმაციას: სამოქალაქო მონაწილეობა და დემოკრატიული პროცედურა. ეს ლეგიტიმაციის სხვადასხვა ფორმებია.

ეს მიმართულებები ყოველთვის თან სდევს დისკურსს სოციალური მედიის პლატფორმების ლეგიტიმაციის შესახებ. ზოგიერთი მეცნიერი პრიორიტეტს ანიჭებს დემოკრატიულ პროცედურას, ზოგი გამჭვირვალობას და ზოგიც კი ადამიანის უფლებებს.

კლარა ივლესიასის ხედვა არის, რომ შეუძლებელია მხოლოდ ლეგიტიმაციის ერთი წყაროს მოძიება, მაგალითად, მხოლოდ ადამიანის უფლებები ან მხოლოდ გამჭვირვალობა. ის აღნიშნავს, რომ „ადამიანის უფლებების კონცეფციაც დისკურსის საგანია და სხვადასხვა მნიშვნელობა ენიჭება სხვადასხვა ქვეყნებში. ივლესიასი ამბობს: „ჩემს ერთ-ერთ ბოლო ნაშრომში მე განვიხილე ჩემი ხედვა პროფესორ ვივიენ შმიდტის თეორიაზე დაყრდნობით, რომელმაც თქვა, რომ ლეგიტიმაციას უნდა შევხედოთ სამი ასპექტით: მიმდინარე (საზოგადოებრივი აქტივობა), გამომდინარე (შედეგი) და

---

<sup>274</sup>იქვე.

შუალედური (დემოკრატიული პროცედურის ფორმა). ეს ძალიან კარგად ერგება თანამედროვე მმართველობის კონცეფციას და ეს არის მიღებული სტანდარტი, როდესაც ვსაუბრობთ სოციალური მედიის პლატფორმების ლეგიტიმაციის წყაროებზე.<sup>275</sup>

ნიკოლას სუზორი პლატფორმების მმართველობის ლეგიტიმურობას უკავშირებს სამართლის უზენაესობის ღირებულებებს. სამართლის უზენაესობა არის დასავლურ ლიბერალურ თეორიაში დამკვიდრებული კონცეფცია, რომელიც ამაგრებს მმართველობის ლეგიტიმურობას. სუზორი აღნიშნავს, რომ სამართლის უზენაესობის ღირებულებები - თანხმობა, პროგნოზირებადობა და პროცედურული სამართლიანობა - კარგი მმართველობის ძირითადი ლიბერალური ღირებულებებია. მიუხედავად იმისა, რომ სამართლის უზენაესობა ისტორიულად შემოიფარგლებოდა საჯარო სფეროთი, იგი თვლის, რომ ეს ღირებულებები იძლევა სასარგებლო გზამკვლევს იმის გასაგებად, თუ რა როლს თამაშობენ კერძო ონლაინ პლატფორმები სოციალური ცხოვრების მართვაში. სამართლის უზენაესობის ღირებულებები იძლევა ინსტრუმენტს „ციფრული კონსტიტუციონალიზმის“ პროექტის წინსვლისთვის, რომელიც ცდილობს ციფრულ ეპოქაში მმართველობის ლეგიტიმაციის შესაბამისი სტანდარტების არტიკულაციას და რეალიზებას.<sup>276</sup>

#### 4. სასამართლო პრაქტიკა პლატფორმებთან მიმართებაში

##### 4.1. ინგლისის სასამართლო პრაქტიკა

---

<sup>275</sup> იქვე.

<sup>276</sup> Suzor, Nicolas. "Digital constitutionalism: Using the rule of law to evaluate the legitimacy of governance by platforms." *Social Media+ Society* 4, no. 3 (2018): 2056305118787812.

დაზარალებულ მხარეს შეუძლია უჩივლოს ყველა პირველად გამომქვეყნებელს. თუმცა ზოგჯერ რთულია გამომქვეყნებლის ვინაობის იდენტიფიკაცია.

2013 წლის დეფამაციის კანონის მიხედვით მომხმარებელს, რომელმაც იცის, რომ მან გააზიარა დეფამაციური მასალა და ამბობს უარს, რომ ის წაშალოს, დაეკისრება პასუხისმგებლობა.<sup>277</sup> თუ მეორად გამომქვეყნებელს გააჩნია რაიმე ტიპის კონტროლი ცილისწამების შემცველი მასალის შინაარსზე, მაშინ ის ავტომატურად გახდება პირველადი გამომქვეყნებელი.<sup>278</sup>

ის იქნება მეორადი გამომქვეყნებელი, თუ ის პასიურად უზიარებს შინაარსს სხვა მომხმარებლებს. სასამართლო გარკვეული ტიპის ტესტს იყენებს, რომ დაადგინოს არის თუ არა გამომქვეყნებელი პირველადი გამომქვეყნებელი. ამ ტესტში შედის მომხმარებლის ცოდნის კრიტერიუმი და შინაარსზე კონტროლის კრიტერიუმი. შესაბამისად ნებისმიერი მომხმარებელი/სერვისპროვაიდერი ან ვებგვერდის ოპერატორი შესაძლებელია გახდეს პირველადი გამომქვეყნებელი. თუმცა, როგორც სასამართლო პრაქტიკა მიუთითებს, სასამართლო სერვისის პროვაიდერებს იშვიათად მიიჩნევენ პირველად გამომქვეყნებლად.

ინტერნეტში ცილისწამებისას გამომცემლის ვინაობა, უმეტეს შემთხვევაში, აშკარაა: (1) თუ ტრადიციული მედიაა - გამომცემელი ჟურნალისტია, (2) თუ ბლოგი - გამომცემელი ბლოგის ავტორია, (3), თუ სოციალური მედიაა - გამომცემელი იდენტიფიცირებული მომხმარებელია.

მოსარჩელეს შეუძლია აღძრას სარჩელი ამ პირველადი ბრალდებების წინააღმდეგ შესაძლო ცილისწამების შემთხვევაში. ამასთან, ზოგიერთ შემთხვევაში, როდესაც გამომცემელი არ არის ცნობილი - ანონიმურია,

---

<sup>277</sup> Defamation Act 2013 (5).

<sup>278</sup> Vaziri Ali, Social media and online issues: Defamation and Privacy, Lewis Silkin, 20/07/2015, <https://www.lewissilkin.com/en/insights/social-media-and-online-issues-defamation-and-privacy>

მიუწვდომელია - უგულებელყოფს სასამართლოს ბრძანებას (უცხოელი მოპასუხე), მოსარჩელეს შეუძლია სარჩელი შეიტანოს მეორადი გამომცემლის წინააღმდეგ (ჰოსტების ან საძიებო სისტემების წინააღმდეგ)<sup>279</sup>.

თამიზის საქმეში, მოსამართლე ედიმ<sup>280</sup> გადანყვიტა, რომ „გუგლი“ შესაძლოა არ იყოს მასალის გამომქვეყნებელი თავის პლატფორმაზე. რიჩარდსონის<sup>281</sup> და „გუგლი“ ესპანეთის<sup>282</sup> საქმეებში სასამართლო მსჯელობა აგრეთვე მიუთითებს, რომ „გუგლი“ არ აღიქმება, როგორც გამომქვეყნებელი, არამედ მხოლოდ მონაცემთა შემგროვებელია იმიტომ, რომ ყველანაირი ოპერაციები „გუგლის“ საძიებო სისტემებში ხორციელდება ამერიკის „გუგლის“ მიერ. შესაბამისად, „გუგლი“ ესპანეთი არის უფრო დისტრიბუტორი, ვიდრე გამომქვეყნებელი. ზღვარი უნდა გაივლოს დისტრიბუტორსა და გამომქვეყნებელს შორის, რადგან ისინი სხვადასხვა წესებით რეგულირდებიან.<sup>283</sup>

დეფტეროს 2017 წლის საქმეში, „გუგლმა“ თქვა, რომ ის არ არის დეფამაციური მასალის გამომქვეყნებელი, ვინაიდან მას არავითარი გავლენა არ აქვს შინაარსზე.<sup>284</sup> ტრადიციული გამომქვეყნებელი აგებს პასუხს მისი სარედაქციო პოლიტიკის გამო. „გუგლი“ კი ემიჯნება შინაარსს და ამბობს, რომ ის არ არის გამომქვეყნებელი და შესაბამისად მას უნდა ჰქონდეს იმუნიტეტი ისევე, როგორც ინტერნეტსერვისის მიმწოდებლებს.<sup>285</sup> თუმცა, შესაძლოა ისინი გასცდნენ პირველადი გამომქვეყნებლის საზღვრებს, თუ არ დაემორჩილებიან

---

<sup>279</sup> Perry, Ronen, and Tal Z. Zarsky. "Who Should Be Liable for Online Anonymous Defamation." *U. Chi. L. Rev. Dialogue* 82 (2015): 162.

<sup>280</sup> *Tamiz v. Google Inc.*, 2013 E.W.C.A. Civ 68, 2012 E.W.H.C. 449 (2013).

<sup>281</sup> *Richardson v. Facebook*, 2015 E.W.H.C. 3154 (2015).

<sup>282</sup> *Google Spain SL, Google Inc. v. Agencia Española de Protección de Datos (AEPD), Mario Costeja González*, 2014 Case C. 131 (2014).

<sup>283</sup> Defamation Act 2013 (5).

<sup>284</sup> *Defteros v. Google LLC*, 2020 V.S.C. 219 (2020).

<sup>285</sup> *Google Inc v. Trkulja*, 342 A.L.R. 504, 2016 V.S.C.A. 333 (2016).

სასამართლო შეტყობინებას შინაარსის წაშლის შესახებ.<sup>286</sup> თუ შინაარსი არ წაიშლება გონივრულ ვადაში, შესაძლოა „გუგლის“ მსგავს საძიებო სისტემას უჩივლონ, როგორც გამომქვეყნებელს.

„ტვიტერმა“ მისცა უფლებამოსილება თავის მომხმარებლებს, რომ გამოთქვან აზრი სხვადასხვა საკითხზე, შესაბამისად ყველა არის პოტენციური გამომქვეყნებელი, როდესაც საქმე ეხება სოციალურ მედიას.<sup>287</sup>

მაქალთაინის საქმეში, მოპასუხეს დაეკისრა პასუხისმგებლობა დეფამაციური ტვიტისთვის და სასამართლო მსჯელობაში დადგინდა, რომ ემოჯის და ფოტოს გამოყენება საკმარისია იმისთვის, რომ მომხმარებელი მოიაზრობდეს სოციალურ მედიაში გამომქვეყნებლად.<sup>288</sup>

მაკდონალდის საქმეში, მოსარჩელემ მიიღო 76,000 ფუნტი სტერლინგის ოდენობით კომპენსაცია, თუმცა იგი დარჩა დაუკმაყოფილებელი, რადგან მოპასუხები იყვნენ ორი უსახსრო ადამიანი, რომელთაც არ შეეძლოთ მოსარჩელისთვის კომპენსაციის ანაზღაურება.<sup>289</sup>

მსგავს სცენარებში, მოსარჩელეს სურვილი აქვს, რომ უჩივლოს ინტერნეტ პროვაიდერებს ან ვებგვერდის ოპერატორებს,<sup>290</sup> როგორცაა „ფეისბუქი“ ან „ტვიტერი“, რომელზეც ხდება ცილისწამების შემცველი მასალის განთავსება. ამ კომპანიებს აქვთ რესურსი და შეუძლიათ მიყენებული ზიანის ანაზღაურება, თუმცა ქვეყნების უმეტესობა იცავს სერვისის პროვაიდერებს მსგავსი სარჩელის წინააღმდეგ.<sup>291</sup>

საძიებო სისტემებს შესაძლოა პასუხისმგებლობა დაეკისროთ ასეთი

---

<sup>286</sup> იქვე.

<sup>287</sup> Pelletier, Nicole. "The emoji that cost \$20,000: Triggering liability for defamation on social media." Wash. UJL & Pol'y 52 (2016): 227.

<sup>288</sup> McAlpine v Bercow [2013] EWHC 1342 (QB).

<sup>289</sup> McDonalds Corp v Steel (No. 4) [1995] 3 AER 615.

<sup>290</sup> Bunt v. Tilley, 2006 E.W.H.C. 407 (2006).

<sup>291</sup> Directive on electronic commerce 2000/31/EC .

სარჩელისთვის მონაცემების დაცვის კუთხით.<sup>292</sup> აგრეთვე სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ „გუგლს“ შესაძლოა დაეკისროს პასუხისმგებლობა, როგორც გამომქვეყნებელს, „ბლოგერის პლატფორმას“.<sup>293</sup> სოციალურ მედიასთან დაკავშირებულ სარჩელში, თუ მოპასუხე უცნობია, მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს ვებგვერდის ოპერატორს. დაზარალებულებს ასევე შეუძლიათ შეეცადონ სათანადო ცილისწამების შემცველი შინაარსის ამოღებას საძიებო სისტემებიდან (Google, Hotmail და Yahoo)<sup>294</sup> ან სხვა სოციალური ქსელებიდან. „გამოხატვის თავისუფლების“<sup>295</sup> ფარის გამოყენებით, საძიებო სისტემები იოლად არ შლიან მასალას ძიების შედეგებიდან.<sup>296</sup>

ამასთან, თუ ისინი მიიღებენ დეტალურ და ყოვლისმომცველ განხილვას საქმის ფაქტობრივ/იურიდიულ საფუძველზე, მათ შეუძლიათ იმოქმედონ შესაბამისად.<sup>297</sup> მას შემდეგ, რაც ინტერნეტსერვისის პროვაიდერი მიიღებს შეტყობინებას მასალის წაშლის შესახებ, ისინი ვალდებული არიან იმოქმედონ შეტყობინების შესაბამისად.<sup>298</sup>

დადგენილია, რომ თუ ვებგვერდის ოპერატორმა უკვე მიიღო ცილისწამებლური შინაარსის შესახებ შეტყობინება, მას არ შეეძლება ისარგებლოს ცილისწამების შესახებ 2013 წლის კანონის მეხუთე მუხლის იმუნიტეტით.

---

<sup>292</sup> Google Spain SL, Google Inc. v. Agencia Española de Protección de Datos (AEPD), Mario Costeja González, 2014 Case C. 131 (2014).

<sup>293</sup> Tamiz v. Google Inc, 2013 E.W.C.A. Civ 68, 2012 E.W.H.C. 449 (2013).

<sup>294</sup> Gallardo, Kristine. "Taming the internet pitchfork mob: Online public shaming, the viral media age, and the communications decency act." Vand. J. Ent. & Tech. L. 19 (2016): 721.

<sup>295</sup> Erdos, David. "Data protection and the right to reputation: Filling the "gaps" after the defamation act 2013." The Cambridge Law Journal 73, no. 3 (2014): 536-569.

<sup>296</sup> Communications Decency Act, Section 230(c).

<sup>297</sup> Kerr, Julia. "What Is a Search Engine: The Simple Question the Court of Justice of the European Union Forgot to Ask and What It Means for the Future of the Right to Be Forgotten." Chi. J. Int'l L. 17 (2016): 217.

<sup>298</sup> Tamiz v. Google Inc, 2013 E.W.C.A. Civ 68, 2012 E.W.H.C. 449 (2013).

#### 4.2. საფრანგეთის სასამართლო პრაქტიკა

არაერთი შემთხვევაა, როდესაც სასამართლოებმა გამოიტანეს განაჩენი, რომ სერვისის პროვაიდერებს უნდა შეეზღუდათ მომხმარებლებისთვის წვდომა ქსელებზე გერმანიასა და საფრანგეთში არის კანონები, რომლებიც ნაცისტური სიმბოლოების საზოგადოებრივ გამოყენებას და ანტისემიტურ სიძულვილს კრძალავს. ერთ-ერთი გახმაურებული სასამართლო დავა ეხებოდა ნაცისტური განწყობების გაღვივებას და სიძულვილის ენას.<sup>299</sup> ვებგვერდ „იაჰუს“ საფრანგეთში უჩივლეს, რადგან ის მის მომხმარებლებს აძლევდა საშუალებას გაეზიარებინათ ნაცისტური შინაარსის შემცველი მასალა. კომპანია თავის მხრივ ამტკიცებდა, რომ, რადგან ეს იყო შეერთებულ შტატებში დაფუძნებული ორგანიზაცია, მისი მენეჯმენტის რეგულირება მხოლოდ მას ეხებოდა. შესაბამისად, საფრანგეთის რეგულაციების გამოყენება მის მიმართ არ შეიძლებოდა<sup>300</sup>.

საფრანგეთის უზენაესმა სასამართლომ უარყო ეს არგუმენტი იმ მოტივით, რომ კომპანიის მეშვეობით ნაცისტური სიმბოლიკის შემცველი აუქციონი ხელმისაწვდომი იყო მთელ მსოფლიოში; ამრიგად, კომპანიას მოეთხოვებოდა, რომ აეკრძალა მსგავსი ტიპის ვებგვერდის ჰოსტინგი, რათა ის არ ყოფილიყო ხელმისაწვდომი ფრანგი მომხმარებლისთვის.<sup>301</sup>

#### 4.3. მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს პრაქტიკა

ევროპული მართლმსაჯულების სასამართლომ დავა გადაწყვიტა ავსტრიის მწვანეთა პარტიის ლიდერის ვეა გლავისინგ-პიშჩეკის სასარგებლოდ,

---

<sup>299</sup> ElSherief, Mai, Vivek Kulkarni, Dana Nguyen, William Yang Wang, and Elizabeth Belding. "Hate lingo: A target-based linguistic analysis of hate speech in social media." In Proceedings of the International AAAI Conference on Web and Social Media, vol. 12, no. 1. 2018.

<sup>300</sup> იქვე.

<sup>301</sup> იქვე.

რომელიც უჩიოდა „ფეისბუქს“, რადგან დარეპორტების მიუხედავად, „ფეისბუქმა“ არ მოხსნა მის მიმართ შეურაცხმყოფელი და ცილისწამებლური პოსტები. ევროპული მართლმსაჯულების სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ კომენტარები უნდა წაშლილიყო არა მხოლოდ ავსტრიაში, არამედ გლობალურად, რამაც გამოიწვია შემფოთება იმ საკითხზე, რომ ერთი ქვეყნის მთავრობას არ უნდა ჰქონდეს უფლება, წაშალოს შინაარსი სხვა ქვეყანაში.<sup>302</sup>

#### 4.4 საქართველოს სასამართლო პრაქტიკა

2019 წლის მარტში უზენაესმა სასამართლომ პირველად იმსჯელა საქართველოში სოციალურ ქსელებში ოფიციალური ორგანოს მიერ გამოხატვის თავისუფლების შესაძლო შეზღუდვის შესახებ. საქმე ეხებოდა იურისტ გიორგი ნონიაშვილის კომენტარს, რომელიც მან დაწერა სამინისტროს ოფიციალურ „ფეისბუქის“ გვერდზე გამოქვეყნებულ განცხადებაზე. სამინისტროს განცხადების შინაარსი ეხებოდა თამაზ ახობაძისთვის განაცდურის ანაზღაურებას, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით ევალებოდა იუსტიციის სამინისტროს. იუსტიციის სამინისტრო თავის განცხადებაში ამბობდა, რომ მზად იყო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებისთვის. ამ განცხადებაზე გააკეთა კომენტარი ნონიაშვილმა, რომელიც სამინისტრომ წაშალა.

გიორგი ნონიაშვილმა ამის გამო იუსტიციის სამინისტროს თბილისის საქალაქო სასამართლოში უჩივლა. იურისტი ამტკიცებდა, რომ კომენტარის წაშლით და სამინისტროს გვერდის მიერ მისი ანგარიშის დაბლოკვით, სახელმწიფომ მისი

---

<sup>302</sup>Pepper E. Carolyn., Monitoring online content: the impact of *Eva Glawischnig-Piesczek v Facebook Ireland Limited*, Reed Smith Client Alerts, Reed Smith, 3/10/2019, <https://www.reedsmith.com/en/perspectives/2019/11/monitoring-online-content-the-impact-of-eva-glawischnig-piesczek-v-facebook>

გამოხატვის თავისუფლება შეზღუდა, ვინაიდან, ნონიაშვილის განმარტებით, საბიუჯეტო ორგანოების მხრიდან სოციალური ქსელების მართვა ადმინისტრაციულ უფლებამოსილებას წარმოადგენს.<sup>303</sup>

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ ეს საკითხი კერძო დავად შეაფასა და მიიჩნია, რომ მისი განსჯადობის საკითხი არ იყო. არც საქალაქო საქმეთა კოლეგიამ არ მიიჩნია ეს საქმე თავის კომპეტენციად. უზენაესმა სასამართლომ ეს დავა დაუქვემდებარა ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და განჩინებაში აღნიშნა: „ განსახილველ შემთხვევაში პოტენციურად სახეზეა იუსტიციის სამინისტროს მხრიდან მოსარჩელის საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლითა და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით გარანტირებული გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა“. აღსანიშნავია, რომ უზენაეს სასამართლოს საქმის შინაარსზე არ უმსჯელია, მაგრამ ასეთი განჩინების გამოტანა და საქმის ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისთვის დაბრუნება მნიშვნელოვან პრეცედენტს წარმოადგენს.

2022 წლის თებერვალში თბილისის საქალაქო სასამართლომ ცილისწამების შესახებ დავაზე პრეცედენტული გადაწყვეტილება მიიღო. მოსარჩელე არ არის თანამდებობის პირი. ის მუშაობს საჯარო სამსახურში, საქმე არ არის პოლიტიკური შინაარსის. საქმე ეხება შესაძლო ცილისწამების შემცველ განცხადებას მოსარჩელის არაქონებრივ უფლებებთან დაკავშირებით. მოსარჩელის უფლებებს JG Counselors-ის მმართველი პარტნიორი, ადვოკატი სერგი ჯორბენაძე იცავს.

---

<sup>303</sup> რადიო თავისუფლება, უზენაესმა სასამართლომ გამოიტანა განჩინება Facebook-იდან კომენტარის წაშლაზე, 7/08/2019, <https://www.radiotavisupleba.ge/a/30096375.html>

ეს საქმე არის პრეცედენტული, რადგან პირველი შემთხვევაა, როდესაც საქართველოს სასამართლომ ცილისწამების საქმეზე გაითვალისწინა მოსარჩელის შუამდგომლობა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე სარჩელის უზრუნველყოფის სახით მოპასუხეს დაავალა „ფეისბუქზე“ გავრცელებული საჯარო პოსტის „მხოლოდ მე-ზე“ (მხოლოდ ავტორისთვის გამოსაჩენად) გადაყვანა, „იუთუბზე“ განთავსებული ვიდეოს საჯაროობის შეზღუდვა და „ფეისბუქის“ ანგარიშის წაშლის აკრძალვა.

ერთ-ერთი საფრთხე, რაც შეიძლება ამ პრეცედენტით შეიქმნას, არის ის, რომ ამ პრაქტიკამ არ გამოიწვიოს სოციალურ ქსელში გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა. აღსანიშნავია, რომ მსგავსი გადაწყვეტილება არ უნდა იქნას გამოყენებული ისეთ დავებზე, რომელთა მიმართაც საზოგადოებრივი ინტერესი არსებობს.<sup>304</sup>

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტმა ბ.ნ.-მ „ფეისბუქის“ ჯგუფში, რომელსაც ჰყავს მრავალრიცხოვანი წევრები უხამსი სიტყვებით მოიხსენია ლექტორი გ.გ, რომელმაც უჩივლა სტუდენტს. 2019 წლის 25 სექტემბერს სასამართლომ სტუდენტი სამართალდამრღვევად ცნო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლის საფუძველზე, რაც წვრილმან ხულიგნობას გულისხმობს. სასამართლომ ამავე დროს სტუდენტი სახდელისგან განთავისუფლა და შენიშვნა მისცა.

მიუხედავად იმისა, რომ უხამსი გამონათქვამები გამოყენებული იყო მრავალრიცხოვან დახურულ ჯგუფში, ეს პრეცედენტი შეიცავს გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფრთხეს.

---

<sup>304</sup> კურტანიძე ირმა, ფეისბუქ პოსტის Only me-ზე გადაყვანა - რას ნიშნავს სასამართლოს გადაწყვეტილება? მედია ჩეკერი, 18.02.2022, <https://www.mediachecker.ge/ka/mediagaremo/article/91145-feisbuq-postis-only-me-ze-gadayvana-ras-nishnavs-sasamarthlos-gadatsyveteleba>

შესაძლებელია, სტუდენტის მიერ გამოყენებული კონკრეტული სიტყვა მართლაც მიუღებელი იყოს საზოგადოების ან მისი გარკვეული ნაწილისათვის, მაგრამ გამოხატვის თავისუფლება იცავს არა მხოლოდ იმ ინფორმაციას, რასაც გულგრილად ხვდებიან ან ნეიტრალურად მიიჩნევენ სხვა ადამიანები, არამედ ასევე იმ იდეასა და ინფორმაციასაც, რასაც საზოგადოება ან მისი გარკვეული ნაწილი შეურაცხყოფლად, ამაღელვებლად ან შოკისმომგვრელადაც კი მიიჩნევს. ასეთია პლურალიზმის, ტოლერანტობის და აზრთა მრავალფეროვნების მოთხოვნები დემოკრატიულ საზოგადოებაში.<sup>305</sup>

---

<sup>305</sup> ლაზარე ჯიბლაძე, გორამვილი vs. ნაჭყებია, Humanrights.ge, 14/08/2019, <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=19928&lang=geo>

## VI სოციალური ქსელების რეგულირება და თვითრეგულირება

### 1. ონლაინ კომპანიების რეგულირების საერთაშორისო პრაქტიკა

ზემოთ განხილული საკითხები ნათლად აჩვენებს, რომ მიუხედავად იმისა, რა პოზიტიური ფუნქციის შესრულება შეუძლია სოციალურ მედიას ადამიანის უფლებების დაცვის მხრივ, მას მაინც ბევრი ნაკლოვანი მხარე აქვს. შესაბამისად, ევროპის სახელმწიფოებში განიხილება ციფრული სამყაროს დარეგულირების არაერთი პროექტი.

დღევანდელი აყალიბებს რეკომენდაციას სახელმწიფოთათვის რეგულირების შესახებ. „ჯკვიანური რეგულირება და არა მკაცრ შეხედულებებზე დაფუძნებული რეგულაცია, უნდა იყოს ნორმა, რომელიც ორიენტირებულია კომპანიის გამჭვირვალობისა და გამოსწორების უზრუნველყოფაზე, რათა საზოგადოებამ შეძლოს არჩევანის გაკეთება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ჩაერთოს და ჩაერთოს თუ არა ონლაინ ფორუმებში.

სახელმწიფოები უნდა ცდილობდნენ კონტენტის შეზღუდვას მხოლოდ დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლო ხელისუფლების გადანყვეტილების და კანონიერების, აუცილებლობისა და ლეგიტიმურობის სათანადო პროცესის და სტანდარტების შესაბამისად. სახელმწიფოებმა თავი უნდა შეიკავონ ინტერნეტ შუამავლებისთვის არაპროპორციული სანქციების დანესებისგან, იქნება ეს მძიმე ჯარიმები თუ თავისუფლების აღკვეთა, გამოხატვის თავისუფლებაზე მათი მნიშვნელოვანი ეფექტის გათვალისწინებით<sup>306</sup>“.

ბოლო ორი წლის განმავლობაში, მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ტრანსფორმაციულმა პროცესებმა საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე

---

<sup>306</sup> Kaye David, Report of the Special Rapporteur on the Promotion and Protection of the Right to Freedom of Opinion and Expression (2018) A/HRC/38/35.

ინსტიტუტების თვისობრივად განსხვავებულ ეტაპს, როგორც ზოგადად, ისე სამართლებრივი რეგულაციის მხრივ.

პასუხისმგებლობა პლატფორმის გამოყენებისას ნიშნავს კანონების შემოღებას, რათა გარანტირებული იყოს ადამიანების მიერ სხვადასხვა პლატფორმების ანგარიშვალდებული და გონივრული გამოყენება.

ევროპაში მრავალი საკანონმდებლო რეგულაცია იქნა შემოღებული, პლატფორმის მიერ პასუხისმგებლობის აღების უზრუნველსაყოფად. ეს ფრაგმენტაცია შეიმჩნევა საკანონმდებლო დონეზეც, თითოეული წევრი სახელმწიფო არსებითად აწესებს საკუთარ კანონს იმ სექტორისთვის, რომელიც ყველაზე ხშირად უგულებელყოფს ზღვარს, ან მათთვის, ვინც ამ განსხვავებებით სარგებლობს.

დღეს ევროკავშირს სურს შეიმუშაოს უფრო განსხვავებული სტრატეგია. უცხოელი აქტორების კონკურენციის პარალელურად, ევროკომისიამ თავის პოლიტიკას ახალი მიმართულება მისცა: სტრატეგიული ავტონომია და ციფრული სუვერენიტეტი. პროცესში მონაწილეობენ პროგრამის სულისჩამდგმელი, ევროკომისიის პრეზიდენტი ურსულა ფონ დერ ლეიენი და კომისიის წევრები, მარგრეტ ვესტაგერი (კონკურენცია და ციფრული ევროპა) და ტიერი ბრეტონი (შიდა ბაზარი).<sup>307</sup>

„ჩვენ მომავალი ათწლეული უნდა გავხადოთ ევროპის ციფრულ ათწლეულად“<sup>308</sup>, - განაცხადა ქალბატონმა ფონ დერ ლეიენმა 2020 წლის 16 სექტემბერს ბრიუსელში სიტყვით გამოსვლისას. 7,6 მილიარდია გამოყოფილი ციფრული სფეროსთვის და დამატებით გამოიყოფა ხარჯები მომავალში თინანსური ჩარჩოს დასახვენად, ევროპული გეგმით გათვალისწინებული 750

<sup>307</sup> Radin, Margaret Jane. "Boilerplate today: The rise of modularity and the waning of consent." Michigan Law Review 104, no. 5 (2006): 1223-1234.

<sup>308</sup> European Commission, State of the Union Address by President von der Leyen at the European Parliament Plenary, 16<sup>th</sup> of September 2020 [https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/SPEECH\\_20\\_1655](https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/SPEECH_20_1655)

მილიარდი ევროს 20%-ით ასევე დაათინანსდება ეს სექტორი ყველა წევრ ქვეყანაში.<sup>309</sup>

ევროკომისია ცდილობს გაუმკლავდეს ამერიკის და ჩინეთის ტექნოლოგიურ კომპანიებს (Google, Apple, Facebook, Amazon, Microsoft, Alibaba, Huawei, Baidu, Tencent, Xiaomi) და დაიცვას ევროკავშირის ინტერესები. მას სურს მოარგოს ეს კომპანიები ევროპულ რეგულაციებს და აირიდოს მათი ბოროტად მოხმარება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ისინი გავლენას ახდენენ საზოგადოების თავისუფლებაზე, დემოკრატიაზე თუ კიბერუსაფრთხოებაზე. ბრიუსელი განსაკუთრებით ყურადღებით ეკიდება ჩინური კომპანიების მოქმედებებს.

კომისია ცდილობს უკეთესად გააკონტროლოს დიდი ციფრული პლატფორმების მზარდი საქმიანობა, ებრძოდეს დეზინფორმაციას თუ უზრუნველყოს პერსონალური მონაცემების მართვა, თუნდაც ეს გულისხმობდეს არა მხოლოდ კომპანიის დაჯარიმებას, არამედ უფრო მკაცრ ზომებს. საჭიროების შემთხვევაში, ევროკომისია ხსენებულ კომპანიებს აიძულებს დაუთმონ ზოგიერთი აქტივობა შიდა ბაზარზე.<sup>310</sup>

ციფრული ტექნოლოგიები ახდენს გავლენას კონსტიტუციონალიზმის ევოლუციაზე, რაც გამოიხატება კონსტიტუციური სამართლის რეაქციაზე იმ ძალაუფლების წინააღმდეგ, რასაც ციფრული ტექნოლოგიები ფლობენ. შესაბამისად, ძლიერდება ციფრული სამყაროს კონსტიტუციონალიზაციის პროცესი. ეს პროცესი სხვადასხვაგვარად მიმდინარეობს სხვადასხვა ქვეყანაში, თუ სუპრანაციონალურ ორგანიზაციაში. წინამდებარე თავში განხილულია ციფრული სამყაროს კონსტიტუციონალიზაციის პროცესში არსებული

---

<sup>309</sup> იქვე.

<sup>310</sup> Hart, Herbert Lionel Adolphus, Herbert Lionel Adolphus Hart, Joseph Raz, and Leslie Green. The concept of law. Oxford university press, 2012.

გამონწვევები და ონლაინ პლატფორმების რეგულირების საკითხები გერმანიის, საფრანგეთის, ინგლისის და ევროკავშირის მაგალითზე.

## 1.1 გერმანია

### 1.1.1 NetzDG - ქსელის აღსრულების კანონი

NetzDG - ქსელის აღსრულების კანონი, რომელიც 2018 წლის 1 იანვრიდან შევიდა ძალაში ავალდებულებს სოციალური ქსელის პროვაიდერებს უზრუნველყონ სისტემა, რომელიც გაუმკლავდება პრეტენზიებს უკანონო კონტენტთან დაკავშირებით. თუ კონტენტი „აშკარად“ არამართლზომიერია, ის 24 საათის განმავლობაში უნდა დაიბლოკოს სოციალური ქსელის პროვაიდერის მიერ.<sup>311</sup> სხვა არალეგალური კონტენტი უნდა დაიბლოკოს საჩივრის მიღებიდან შვიდი დღის განმავლობაში. შვიდი დღის ვადა შეიძლება გაგრძელდეს იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელს, რომელმაც ატვირთა შინაარსი, შესაძლებლობა ექნება უპასუხოს საჩივარს, ან თუ თვითრეგულირებადი ორგანოა ჩართული.<sup>312</sup>

არაკანონიერი კონტენტი არის კონტენტი, რომელიც გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ გარკვეულ დანაშაულებს მოიცავს. მათ შორისაა, სიძულვილის ნაქვებება, შეურაცხყოფა და ცილისწამება. კანონი ასევე მოიცავს ნახევარწლიან საანგარიშო ვალდებულებას და მოთხოვნას გერმანიის ფარგლებს გარეთ არსებული სოციალური ქსელის პროვაიდერის მიმართ, რომ ჰყავდეს უფლებამოსილი წარმომადგენელი გერმანიაში.<sup>313</sup>

---

<sup>311</sup>Achten, Nele. “Social Media Content Moderation: The German Regulation Debate.” Lawfare, 31/10/2019. <https://www.lawfareblog.com/social-media-content-moderation-german-regulation-debate>.

<sup>312</sup>იქვე.

<sup>313</sup>იქვე.

### 1.1.2 NetzDG-ს კრიტიკა

ამ კანონის მიღებამდე ბევრი სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელი და ციფრული ტექნოლოგიის ასოციაცია აკრიტიკებდა ქსელის აღსრულების კანონს. მათი აზრით, ხელისუფლება და არა კერძო კომპანიები უნდა იღებდნენ გადაწყვეტილებას ონლაინ კონტენტის კანონიერების შესახებ. ასევე კრიტიკის საგანი გახდა ის ვადები, რა ვადებშიც უნდა იმოქმედონ პროვაიდერებმა იმისთვის, რომ შეათვასონ ან წაშალონ უკანონო კონტენტი.<sup>314</sup>

კრიტიკოსები ღელავდნენ იმ ფაქტზე, რომ სოციალური ქსელის პროვაიდერებს სიფრთხილის მიზნით შეეძლოთ წაეშალათ ან დაებლოკათ კონტენტი, რომელიც ახლოს არის უკანონობის ზღვართან, მაგრამ კანონის ფარგლებში რჩება. გერმანიის ბუნდესტაგში მოსმენისას, ექსპერტებმა ხაზი გაუსვეს იმ რისკებს, რამაც შეიძლება აიძულოს კერძო კომპანიები, რომ ზედმეტად დაბლოკონ კონტენტი, ვიდრე გარისკონ და შემდგომ დაჯარიმდნენ.<sup>315</sup>

იმუამინდელმა იუსტიციის და მომხმარებლების უფლებების დაცვის მინისტრმა, ჰეიკო მასმა, დაიცვა კანონპროექტი NetzDG (ქსელების აღსრულების კანონი). მასის აზრით, კანონი არ შელახავდა ადამიანის ძირითად უფლებებს და კრიმინალური შინაარსის გავრცელება არ უნდა ხდებოდეს სიტყვის თავისუფლების მანიპულაციის ხარჯზე.<sup>316</sup>

2018 წლის იანვარში, მას შემდეგ რაც ძალაში შევიდა NetzDG, „ფეისბუქმა“ და „ტვიტერმა“ დაბლოკეს გამოქვეყნებები და ანგარიშები, ძირითადად მემარჯვენე ფრთის წარმომადგენლების, ისევე როგორც ჟურნალისტების მიერ

---

<sup>314</sup>იქვე.

<sup>315</sup>იქვე.

<sup>316</sup>იქვე.

გაკეთებული სატირული კომენტარები. ნაშლილი ტვიტები ეხებოდა გერმანიაში ლტოლვილების მიგრაციის საკითხს.<sup>317</sup>

ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტის პროფესორმა ინგოლფ ფერნისმა ჩვენთან ინტერვიუში კითხვაზე, თუ საიდან მოდის პლატფორმების ლეგიტიმაცია, აღნიშნა, რომ პლატფორმების ლეგიტიმაცია მოდის მათი ბიზნესის წარმატებიდან, მაგრამ არსებობს რისკი, რომ ბოროტად იქნეს გამოყენებული მომხმარებელთა ერთგულება. ამასთანავე, როგორი რეაქციაც არ უნდა ჰქონდეთ სახელმწიფოებს პლატფორმების მხრიდან არსებულ დარღვევებზე NetzDG-ს ჩათვლით, ეს მათ რეალურ ზარალს ვერ აყენებს. თუკი „გუგლს“ აქვს 2 მილიარდის შემოსავალი (და არა ბრუნვა) ყოველ 3 თვეში მისთვის 50 მილიონი ევროს ჯარიმა არაფერს არ წარმოადგენს. ასევე არის „ფეისბუქი“, რომელიც თვითონ აკეთებს შეფასებას, არის თუ არა კონკრეტული შინაარსი „დანაშაულებრივი“ ხასიათის (მაგ. სიძულვილის ენა, ბომბის შექმნის რეცეპტი და ა.შ.) გერმანული კანონმდებლობიდან გამომდინარე.

შესაბამისად, მათ აქვთ დამატებითი ძალაუფლება. „NetzDG არის ეროვნული კანონი, მაგრამ საყურადღებოა, რომ პუტინის აზრით, ეს შესანიშნავი იდეა“. ბუნებრივია ავტორიტარულ რეჟიმებს ხიბლავთ რეგულირების იდეა, რაც მიუთითებს იმაზე, თუ რამდენად დიდ სიფრთხილეს მოითხოვს სოციალური ქსელების რეგულირების შემოღება ამა თუ იმ ქვეყანაში.<sup>318</sup>

Reporters Without Borders-ის დირექტორის, კრისტიან მირის აზრით, გერმანიის კანონი შეიძლება იყოს მაგალითი სხვა ავტორიტარული რეჟიმებისთვის, რომ იგივე ტიპის კანონები მიიღონ.

---

<sup>317</sup> იქვე.

<sup>318</sup> შენგელია ნინი, მრგვალი მაგიდა: გლობალური კონსტიტუციონალიზმი და სამართლებრივი ჩარჩო სოციალური მედიისთვის, ალტერბრიჯი, სექტორ 3, ციფრული დემოკრატიის ცენტრი, 9/12/2020, <<https://fb.watch/2okDapAUDu/>>

### 1.1.3 გამჭირვალობის ანგარიში სოციალური ქსელის პროვაიდერებისგან

პირველი ამომწურავი ანგარიში საჩივრების შესახებ გამოიყენა 2018 წლის ივლისში, 6 თვის შემდეგ, რაც კანონი ძალაში შევიდა. „იუთუბმა“ და „ტვიტერმა“ დაარეპორტეს დაახლოებით 200,000-ზე მეტი მომხმარებლის საჩივარი.<sup>319</sup> ამავდროულად „ფეისბუქმა“ განაცხადა, რომ მიღებული ჰქონდა მხოლოდ 800 საჩივარი. საჩივრების 70% -ში, არ იქნა წაშლილი დარეპორტებული შინაარსი, რადგან კომპანიების აზრით, შინაარსი არ არღვევდა NetzDG და არც კომპანიის სამომხმარებლო წესებს და პირობებს.<sup>320</sup>

„იუთუბის“ გამჭირვალობის ანგარიშმა განმარტა, რომ ამოღებული შინაარსის უდიდესი ნაწილი არღვევდა კომპანიის მომსახურების პირობებს NetzDG-ს არარსებობის შემთხვევაშიც კი. თუმცა, შინაარსი, რომელიც ეხებოდა სიძულვილის ენას, პოლიტიკურ ექსტრემიზმს, ტერორიზმს და ცილისწამებას ხშირად არ მოიაზრებოდა, როგორც შინაარსი, რომელიც არღვევდა „იუთუბის“ მომსახურების პირობებს, მაგრამ ამოღებულ იქნა, რადგან მოექცა NetzDG-ს თარგლებში. „იუთუბმა“, „ფეისბუქმა“ და „ტვიტერმა“ ასევე დაარეპორტეს, რომ კომპანიებს ესაჭიროებოდათ 48 საათზე მეტი იმისთვის, რომ გადაეწყვიტათ გასაჩივრებული შინაარსის კანონიერება. მწვანეთა პარტიამ, ისევე როგორც Reporters Without Borders, კიდევ ერთხელ გამოთქვა შეშფოთება ზედმეტი ცენზურის გამო.<sup>321</sup>

მას შემდეგ, რაც დაიწყო ქსელის აღსრულების კანონის მოქმედება, მომხმარებლებს, ვისაც სჯერა, რომ მათი შინაარსი უსამართლოდ იქნა

---

<sup>319</sup> Achten, Nele. “Social Media Content Moderation: The German Regulation Debate.” Lawfare, 31/10/2019. <https://www.lawfareblog.com/social-media-content-moderation-german-regulation-debate>.

<sup>320</sup> იქვე.

<sup>321</sup> იქვე.

წაშლილი სოციალური ქსელის პროვაიდერების მიერ, შეუძლიათ გასაჩივრება გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 1004 მუხლით.<sup>322</sup>

ზოგიერთ შემთხვევაში გერმანულმა სასამართლოებმა იმსჯელეს, რომ სოციალური ქსელის პროვაიდერებს შეეძლოთ შინაარსის წაშლა გერმანიის კანონმდებლობის მიხედვით იმ შემთხვევაში, თუ ეს შინაარსი მოდიოდა წინააღმდეგობაში სოციალური ქსელების პროვაიდერების სამომხმარებლო სტანდარტებთან, მაგრამ არ იყო არალეგალური გერმანიის შიდა კანონმდებლობის მიხედვით. სასამართლოს მოსაზრებით ეს აგრეთვე აუცილებელია იმისთვის, რომ სოციალური ქსელის პროვაიდერებმა შეინარჩუნონ მოქნილობა.<sup>323</sup>

რამდენიმე სასამართლო გადაწყვეტილების მიხედვით გამოვლინდა, რომ შინაარსის წაშლა, როდესაც ის არღვევდა მხოლოდ პლატფორმის სტანდარტებს, იყო უკანონო და შესაბამისად სოციალური ქსელის პროვაიდერებს ეკისრებოდათ წაშლილი შინაარსის აღდგენა. კიოლნის რეგიონალურმა სასამართლომ იმსჯელა, რომ „ფეისბუქის“ სტანდარტების მიხედვით კომპანიას ყოველთვის აქვს უფლება, რომ წაშალოს შინაარსი, თუ ის არღვევს სტანდარტს, თუმცა ის არ არის ვალდებული, რომ შინაარსი წაშალოს. თუ სოციალური ქსელის პროვაიდერს ექნებოდა უფლება, რომ წაეშალა შინაარსი მხოლოდ ქსელის სტანდარტის დარღვევის მიზეზით, მაშინ სახელმწიფოსთვის შეუძლებელი იქნებოდა ონლაინ შინაარსის კონტროლი.<sup>324</sup>

მიუხედავად კრიტიკისა, კანონი რჩება ძალაში, ვინაიდან ის ითვლება, როგორც სწორი ნაბიჯი სიძულვილის ენასთან ბრძოლაში.

---

<sup>322</sup>იქვე.

<sup>323</sup>იქვე.

<sup>324</sup> Achten, Nele. “Social Media Content Moderation: The German Regulation Debate.” Lawfare, 31/10/2019. <https://www.lawfareblog.com/social-media-content-moderation-german-regulation-debate>.

#### 1.1.4 Medienstaatsvertrag - MStV / სახელმწიფო ხელშეკრულება მედიის შესახებ

2018 წლის ივლისში, გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელა საკითხზე, რომელიც ეხებოდა საჯარო მედიის დაფინანსებას. სასამართლომ განმარტა შემდეგი: „მედიის გაციფრულება და განსაკუთრებით ფოკუსირება ინტერნეტქსელებზე და პლატფორმებზე, რომელიც მოიცავს სოციალურ მედიას, დასაბამს აძლევს ტენდენციებს, რომელიც, თავის მხრივ, ახდენს შინაარსის პროვაიდერის, შინაარსის გამავრცელებლების და შუამავლების მონოპოლიზაციას. შესაბამისად, ეს სერვისები არ ასახავს საზოგადოებრივი აზრის მრავალფეროვნებას, არამედ მხოლოდ მორგებულია ბიზნესმოდელის ლოგიკაზე, რომელიც ცდილობს, რომ მაქსიმალურად გაახანგრძლივოს დრო, რომელსაც მომხმარებლები ხარჯავენ მათ ვებგვერდზე“.<sup>325</sup>

გერმანიაში, მედიარეგულაცია მრავალფეროვნების კუთხით მხოლოდ ეხებოდა ტრადიციულ მედიასაშუალებებს. „გერმანიის მედიაკონცენტრაციის კანონი“ პრაქტიკულად შეუსაბამოა ციფრული სამყაროსთვის.<sup>326</sup>

პოზიტიური მრავალფეროვნების წესები მაუწყებლებისთვის არ მოიცავს მედიაშუამავლებს და პლატფორმებს. NetzDG არის პირველი კანონი, რომელიც გერმანიის მასშტაბით არეგულირებს სოციალურ მედიას, თუმცა ეს კანონი კონკრეტულად არ ზრუნავს საზოგადოებრივი აზრის მრავალფეროვნების გაღვივებაზე.

ახალი ხელშეკრულება მედიასთან Medienstaatsvertrag - MStV შევიდა ძალაში 2020 წლის 7 ნოემბერს. ახალი რეგულაციის ფარგლებში, სამიზნე

---

<sup>325</sup> Kalbhenn Christopher. “New Diversity Rules for Social Media in Germany.” Centre for Media Pluralism and Freedom, June 29, 2020. <https://cmpf.eui.eu/new-diversity-rules-for-social-media-in-germany/>.

<sup>326</sup> იქვე.

აუდიტორია გაზრდილია და მოიცავს „მედიაშუამავლებს“. ახალი ვალდებულებები კიდევ უფრო ამკაცრებს გამჭვირვალობის და დისკრიმინაციისგან დაცვის უფლების მოთხოვნას მედიაშუამავლებისგან. 93-ე მუხლის მიხედვით, იმისთვის, რომ მოხდეს „აზრის მრავალფეროვნების უზრუნველყოფა“, მედიაშუამავლების პროვაიდერებმა უნდა დატოვონ ინფორმაცია ადვილად ამოცნობადი, პირდაპირ და მუდმივად ხელმისაწვდომი.<sup>327</sup>

მთავარია პირველი კრიტერიუმი, რომელიც განსაზღვრავს შინაარსის ხელმისაწვდომობას და დარჩენას. მეორე ცენტრალური კრიტერიუმი არის შინაარსის სელექცია, პრეზენტაცია და მისი ხაზგასმით აღნიშვნა გამოყენებად ალგორითმში. უნდა მოხდეს ალგორითმების გამჭვირვალობის მიღწევა.<sup>328</sup>

სახელმწიფო ხელშეკრულება მედიის შესახებ არის პირველი მცდელობა, რომ მოხდეს აზრის მრავალფეროვნების გარანტირებულად მორგება ციფრულ სამყაროზე. რთულია იმის განსაზღვრა, თუ რამდენად წარმატებული იქნება ეს შეთანხმება. თუმცა ეს არის გაბედული ნაბიჯი იმ გამონწვევების დასაძლევად, რომელიც არსებობს ციფრული მედიის ეპოქაში. ეს ხელშეკრულება მოიცავს შუამავლებს: „მედიაპლატფორმას“, „მომხმარებლის ინტერფეისს“, „მედიაშუამავალს“ და „ვიდეო გაზიარების სერვისს“. ეს ნიშნავს, რომ ყველა ციფრული პლატფორმა შეუერთდა ტრადიციულ მედიას, რადგან მედიის შინაარსის პროვაიდერები ახლა ექვემდებარებიან რეგულირებას. ამ ხელშეკრულების მიხედვით 14 სახელმწიფო მედიაადმინისტრაცია გაუწევს პლატფორმების ოპერატორებს ზედამხედველობას, მათ შორის მათაც,

---

<sup>327</sup> იქვე.

<sup>328</sup> იქვე.

რომლებიც უცხოეთში არიან დაფუძნებული, თუკი ისინი გერმანიაში გამოყენებას ისახავენ მიზნად.<sup>329</sup>

## 1.2 საფრანგეთი

2018 წლის ნოემბერში საფრანგეთის პარლამენტმა მიიღო „ცრუ ინფორმაციის გავრცელების წინააღმდეგ კანონი“, რომელიც მოსამართლეებს აძლევს უფლებამოსილებას, რომ საარჩევნო კამპანიის დროს მიიღონ გადაწყვეტილება ყალბი ახალი ამბების მყისიერად მოხსნის შესახებ.<sup>330</sup>

კრიტიკოსების აზრით, კანონს, რომელიც მიმართულია „ინფორმაციის მანიპულირების“ წინააღმდეგ, შეუძლია დაანესოს ცენზურა და საფრთხე შეუქმნას დემოკრატიას. ევროპაში ეს არის პირველი მცდელობა იმისა, რომ ოფიციალურად მოხდეს ყალბი ამბების აკრძალვა. არჩევნებამდე სამი თვის განმავლობაში კანდიდატებს და პოლიტიკურ პარტიებს შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს ყალბი ინფორმაციის შესაჩერებლად.<sup>331</sup>

კანონის მიხედვით, საფრანგეთის ეროვნული მაუწყებლობის სააგენტო უფლებამოსილია დაუყოვნებლივ შეუჩეროს მაუწყებლობა უცხო ქვეყნის მიერ კონტროლირებად საინფორმაციო საშუალებას, რომელიც გამიზნულად გაავრცელებს ყალბ ახალ ამბავს. გარდა ამისა, პირს, რომელიც კანონს დაარღვევს, შესაძლოა ერთი წლით თავისუფლება აღეკვეთოს ან ჯარიმის სახით, 75 000 ევრო დაეკისროს.<sup>332</sup>

---

<sup>329</sup> Die Medienanstalten, Interstate Media Treaty (Medienstaatsvertrag) from 14 / 28 April 2020 in force since 7 November 2020 Section 1 (8).

<sup>330</sup> Fiorentino Michael-Ross, France passes controversial 'fake news' law, EuroNews, 22<sup>nd</sup> of November 2018, <https://www.euronews.com/2018/11/22/france-passes-controversial-fake-news-law>

<sup>331</sup> იქვე.

<sup>331</sup> იქვე.

<sup>332</sup> იქვე.

ყალბი ახალი ამბავი სამი კრიტერიუმით განისაზღვრება მოსამართლის მიერ:<sup>333</sup> 1. იგი უნდა იყოს გაცხადებული; 2. განზრახ ვრცელდებოდეს დიდი მასშტაბით; 3. გამოიწვიოს მშვიდობის დარღვევა ან რისკის ქვეშ დააყენოს არჩევნების შედეგები.

საფრანგეთმა სცადა კიდევ უფრო გაემკაცრებინა სოციალური ქსელების რეგულაცია. 2020 წლის მაისში საფრანგეთის ეროვნულმა ასამბლეამ მიიღო კანონი სიძულვილის ენის შესახებ, რომლის მიხედვითაც ონლაინ პლატფორმები უნდა დაჯარიმდნენ: 1. წლიური შემოსავლის 4%-ით, თუ ისინი ერთ საათში არ წაშლიან მათი პლატფორმებიდან კონტენტს, რომელიც ხელს უწყობს პედოფილიას ან ტერორიზმს;<sup>334</sup> 2. 1.36 მილიონი აშშ დოლარით, თუ ისინი არ წაშლიან „აშკარად უკანონო“ სიძულვილის შემცველ გამოქვეყნებებს, რომელიც ხელს უწყობს რასიზმს ან ანტისემიტიზმს.<sup>335</sup>

ამ რეგულაციის მიხედვით, საფრანგეთის აუდიო-ვიზუალურ მარეგულირებელს ეძლეოდა უფლება, რომ დააჯარიმებინა სოციალური პლატფორმა თუ მას ექნებოდა ზემოთ ჩამოთვლილი სერიოზული და მუდმივი დარღვევები.<sup>336</sup>

მთავრობის სურვილის საწინააღმდეგოდ საკონსტიტუციო საბჭომ უარყო ეს გადაწყვეტილება, რადგან მიიჩნია, რომ ვადები საკითხების შესასწავლად ონლაინ პლატფორმებისთვის იყო არარეალურად მცირე და მათ ჯარიმებისგან თავის არიდების მიზნით შეეძლოთ წაეშალათ ლეგალური შინაარსიც. ასევე საკონსტიტუციო საბჭომ ჩათვალა, რომ მხოლოდ ონლაინ პლატფორმები

---

<sup>333</sup> Lenoire Theophile, Challenges of Content Moderation, Institut Montaigne, 14/06/2019, <https://www.institutmontaigne.org/en/blog/challenges-content-moderation>

<sup>334</sup> Schechner Sam, “France Threatens Big Fines for Social Media With Hate-Speech Law”, The Wall Street Journal, 13th of May 2020, <https://www.wsj.com/articles/france-threatens-big-fines-for-social-media-with-hate-speech-law-11589398472>

<sup>335</sup> იქვე.

<sup>336</sup> იქვე.

მოსამართლის მონაწილეობის გარეშე ვერ იქნებოდნენ პასუხისმგებელი კონტენტის ანალიზზე.

საკონსტიტუციო საბჭომ ასევე არ სცნო კანონის ის მუხლი, სადაც საუბარი იყო ერთ საათში ბავშვთა პორნოგრაფიის და ტერორისტული პროპაგანდის შემცველი შინაარსის ჩამოხსნაზე. საკონსტიტუციო საბჭოს აზრით, ამ შემთხვევაშიც მცირე დროის განმავლობაში და დამოუკიდებელი კრიტიკული შესწავლის გარეშე საფრთხე ექმნებოდა გამოხატვის თავისუფლებას.

## **2.1 საფრანგეთის მარეგულირებლის გამოძიების „ფეისბუქთან“ თანამშრომლობის შედეგები**

2019 წლის დასაწყისში, ფრანგი ოფიციალური პირების ჯგუფმა, სახელმწიფოს მოთხოვნის საფუძველზე და „ფეისბუქის“ მხარდაჭერით, შეისწავლა, თუ როგორ ხდებოდა სიძულვილის შემცველი კონტენტის მოდერაცია სოციალურ ქსელებში და, კერძოდ, „ფეისბუქში“. ამ დაკვირვების საფუძველზე, ჯგუფმა ჩამოაყალიბა მოდერაციის სტრუქტურა, რომელიც აპირებს გასცდეს „ფეისბუქის“ ჩარჩოს.

რეკომენდებულია სამი სახელმძღვანელო პრინციპი:

1. დაცული უნდა იქნეს შესაბამისობის ლოგიკა, სადაც მარეგულირებელი ზედამხედველობას უწევს პრევენციული და მაკორექტირებელი ღონისძიებების განხორციელებას სოციალურ ქსელებში.

2. ფოკუსირება სისტემურ მოთამაშეებზე ისე, რომ არ მოხდეს ახალი ევროპელი მოთამაშეებისთვის ბარიერის შექმნა.

3. უზრუნველყოფილი იქნეს რეგულირების ფუნქცია „სწრაფ რეაქცია“, რათა თავიდან იქნეს აცილებული „ნაადრევი მოძველება“.

საჯარო მარეგულირებელი პოლიტიკა უზრუნველყოფს ინდივიდუალური თავისუფლებებისა და პლატფორმების მოქმედების თავისუფლებას.

იგი განხორციელდება სრული გამჭვირვალობით დამოუკიდებელი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სახელმწიფოს სხვადასხვა შტოებთან პარტნიორობით და სამოქალაქო საზოგადოების ეფექტური მონაწილეობით. ხელისუფლება დაარეგულირებს წამყვანი სოციალური ქსელების ანგარიშვალდებულებას და შინაარსის მოდერაციის ფუნქციების გამჭვირვალობის საკითხს. სოციალური ქსელი არ იქნება ერთადერთი ორგანო, რომელიც გაუწევს კონტენტს რეგულირებას. ის ითანამშრომლებს სახელმწიფო სამსახურებთან და ეროვნულ სასამართლოებთან. მეორე მხრივ, ის აქტიურად მიიღებს მონაწილეობას ევროპის მარეგულირებელთა ქსელში.

მთავრობა მისი მარეგულირებელი უფლებამოსილების ფარგლებში დაადგენს ისეთ პრინციპებს, როგორიცაა სოციალური ქსელისა და მისი წევრების მთლიანობის დაცვის ვალდებულება და მარეგულირებელი ჩარჩო, როგორიცაა ვალდებულებების ამოქმედების საზღვრების ან ვალდებულებების გამჭვირვალობის პირობების ჩამოყალიბება.

ამ ჯგუფის მუშაობა მიზნად არ ისახავდა ამომწურავი კვლევის ჩატარებას. ზოგიერთი საკითხი დეტალურად არ არის შესწავლილი, როგორიცაა მარეგულირებელი სქემის კონკურენტული ზემოქმედების ანალიზი სოციალური ქსელებისთვის და კონტენტის გაცვლა სოციალურ ქსელებში კერძო შეტყობინებების სერვისებში (მათ შორის, ისეთ შეტყობინების სერვისებში, როგორიცაა Telegram ან WhatsApp). სოციალური ქსელები, რომლებიც არ თანამშრომლობენ (4chan, 8chan და ა.შ.), არ ექვემდებარებიან კლასიკურ ეკონომიკურ რაციონალიზმს და ის ქსელები, რომლებიც უცხო სახელმწიფოების მიერ არის კონტროლირებადი და მათი სტრატეგიის გამტარებელი მხედველობაში არ იქნა მიღებული.

### 1.3 დიდი ბრიტანეთი

დიდი ბრიტანეთის მთავრობა აპირებს მიიღოს „ონლაინ უსაფრთხოების კანონი“. კანონის ძირითადი მიზანია ონლაინ შინაარსის მოდერაციის უფრო მკაცრი წესების შემოღება. არალეგალური შინაარსი, როგორცაა ტერორისტული შინაარსის შემცველი ტექსტები, ბავშვთა სექსუალური შევიწროება, თვითმკვლელობის პოპულარიზაცია დაექვემდებარება ამოღებას. ასევე კანონპროექტში 2022 წელს აისახა საკითხები, რომელიც უკავშირდება, ისეთ სისხლის სამართლის დანაშაულებს, როგორცაა, ოჯახური ძალადობა, გაუპატიურებისა და მკვლელობის მუქარა.

კანონპროექტი მიზნად ისახავს დაავალდებულოს პლატფორმები დაიცვან მომხმარებლები არალეგალური კონტენტისგან და მიიღონ ზომები საზიანო შინაარსის (თუნდაც ლეგალური) დარეპორტებისა და ამოღებისთვის. ახლა კომპანიები იძულებული არიან ამოიღონ ასეთი კონტენტი მომხმარებელთა მიერ დარეპორტების შემდეგ, მაგრამ კანონპროექტი მათ ავალდებულებს იყონ პროაქტიულები.<sup>337</sup> კანონპროექტი ასევე მოიცავს მთავრობისთვის დამატებითი უფლებების მინიჭებას, რათა მეორადი კანონმდებლობით ჩამოაყალიბოს უფრო დეტალური წესები საზიანო შინაარსის ისეთი სერიოზული კატეგორიების შესახებ, როგორცაა ბავშვთა სექსუალური შევიწროება, ტერორიზმი და ძალადობა.

კომპანიები, რომლებიც დაექვემდებარებიან ამ კანონს იყოფა 2 კატეგორიად მათი სიდიდის და იმ რისკების მიხედვით, რასაც მათი ონლაინ ყოფნა შეიცავს. პირველი კატეგორიის კომპანიებს, როგორცაა „ფეისბუქი“, „გუგლი“ და სხვ. მოეთხოვებათ ამოიღონ თუნდაც ლეგალური, მაგრამ საზიანო შინაარსი. საზიანო შინაარსის განსაზღვრება ასეთია: „შინაარსი, რომელიც

---

<sup>337</sup> Online Safety Bill strengthened with new list of criminal content for tech firms to remove as a priority, GOV.UK, 04.02.2022 < <https://www.gov.uk/government/news/online-safety-law-to-be-strengthened-to-stamp-out-illegal-content>>

შეიცავს ინდივიდებზე სერიოზული ფიზიკური ან ფსიქოლოგიური საზიანო გავლენის გონივრულად პროგნოზირებად რისკს“.

კანონის აღსრულებაზე პასუხისმგებელი იქნება მედია და კომუნიკაციების მარეგულირებელი „ოფკომი“. სანქციებად შეიძლება გამოყენებულ იქნეს ჯარიმა 18 მილიონი ფუნტი ან კომპანიის წლიური ბრუნვის 10%. ასევე მარეგულირებელს შეუძლია შეუწყვიტოს პროვაიდერს წვდომა ძირითად სერვისებზე. სერიოზული დარღვევების შემთხვევაში, „ოფკომს“ შეუძლია დაბლოკოს კომპანია ბრიტანეთის ტერიტორიაზე.

ამ ეტაპზე ბრიტანეთის მთავრობამ უარი თქვა ადრე გაჟღერებულ წინადადებაზე კრიმინალური სანქციების დაწესების შესახებ კომპანიების ხელმძღვანელ აღმასრულებელ პოზიციაზე მყოფი პირების მიმართ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ვერ შეასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას. მთავრობა ამ სანქციების შემოღებას აპირებს მეორადი კანონმდებლობით იმ ხელმძღვანელ აღმასრულებელ პირთა მიმართ, რომლებიც სრულად, ზუსტად და დროულად ვერ უპასუხებენ მარეგულირებლის მოთხოვნებს.

#### 1.4 დანია

დანიაში 2021 წლის დეკემბერში გამოქვეყნდა კანონპროექტი სოციალური მედიის რეგულირების შესახებ. კანონპროექტის თანახმად, ძალიან დიდმა ონლაინ პლატფორმებმა (VLOP) ამკარად არალეგალური კონტენტი 24 საათში უნდა ამოიღოს, ხოლო სხვა არალეგალური კონტენტი 7 დღის განმავლობაში. გარდა ამისა, იქნება სოციალური მედიის თანამშრომლობის ფორუმი, სადაც სოციალური მედიის უმსხვილესი კომპანიების წარმომადგენლები და დანიის ხელისუფლება განიხილავენ ისეთ საკითხებს, როგორცაა არალეგალური და

მაგნე შინაარსის გავრცელება.<sup>338</sup>

## 1.5 ევროკავშირი

ევროკავშირი აქტიურად ებრძვის დეზინფორმაციას. ევროპული საბჭოს გადანყვეტილების შემდეგ 2015 წლის მარტში ევროკავშირში შეიქმნა სტრატეგიული კომუნიკაციების სამუშაო ჯგუფი რუსეთის მიერ გავრცელებულ დეზინფორმაციასთან საბრძოლველად.<sup>339</sup> 2018 წლის ოქტომბერში ონლაინ პლატფორმების მიერ ხელი მოეწერა ქცევის კოდექსი. ხელმოწერათა შორის არიან „ფეისბუქი“, „გუგლი“, „ტვიტერი“ და „მოზილა“, მოგვიანებით შეუერთდა „ტიკ-ტოკი“. კოდექსი არ არის მბოჭავი იურიდიული ძალის მქონე და აღქმულია, როგორც თვითრეგულირების მექანიზმი.<sup>340</sup>

ავტომატური ბოტები მკაფიოდ უნდა იქნეს გამოკვეთილი. კომპანიებმა უნდა განახორციელონ ინვესტიცია ტექნოლოგიებში, რომელიც ეხმარება ინტერნეტმომხმარებლებს მიიღონ ინფორმირებული გადაწყვეტილებები ყალბი ინფორმაციის მიღებისას (მაგ. სანდოობის ინდიკატორები/წდობის მარკერები, ანგარიშების მექანიზმები).

ავთენტური ინფორმაციის პრიორიტეტიზაცია ან შესაბამისი და ავთენტური ინფორმაციის მოძიების გაადვილება არის ის ვალდებულებები, რომლებიც პირდაპირ კავშირშია ყალბი ანგარიშების დახურვასთან.

სხვა ვალდებულებები, როგორცაა კონტენტის მოდერაციის პრაქტიკის გაუმჯობესება, დასპონსორებული პოსტების ვინაობის გამჟღავნება და

---

<sup>338</sup>Lund Jesper, The DSA Proposal and Denmark, DSA Observatory, 7/01/2022 <<https://dsa-observatory.eu/2022/01/07/the-dsa-proposal-and-denmark>>

<sup>339</sup>European Commission, Code of Practice on Disinformation one year on: online platforms submit self-assessment reports, 29/10/2019, [https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/STATEMENT\\_19\\_6166](https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/STATEMENT_19_6166)

<sup>340</sup>იქვე.

დახარჯული თანხების გამჟღავნება, ანაზღაურებაზე და განთავსებაზე უარის თქმა იმ ანგარიშებიდან ან ვებსაიტებიდან, რომლებიც მუდმივად ავრცელებენ დეზინფორმაციას, შეიძლება იყოს გზა უფრო მეტი გამჭვირვალობისკენ. (Witt, Suzor და ჰაგინსი, 2019).

ევროკომისია აკვირდებოდა სხვადასხვა დაინტერესებული მხარის საქმიანობას ყოველთვიურად ევროპის არჩევნებამდე (2019 წლის იანვრიდან მაისამდე).

ინტერნეტის ღიაობა და კომუნიკაცია გაიზარდა, მაგრამ დეზინფორმაცია კვლავ დომინირებდა. ონლაინ პლატფორმების მიერ შექმნილი თვითშეფასების ანგარიშები არ იძლევა საკმარის ინფორმაციას განხორციელებული აქტივობების ეფექტისა და დამოუკიდებელი შეფასების მექანიზმების შესახებ.

მაგალითად, აუდიოვიზუალური მედია სერვისების ევროპული მარეგულირებლების ჯგუფმა (ERGA) მოამზადა შეფასების ანგარიში, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ საჭირო იყო დამატებითი ხელმომწერები, განსაკუთრებით ყველა ძირითადი პლატფორმიდან და რომ დაპირებები იყო ძალიან თართო (როგორც შინაარსით, ასევე სტრუქტურის თვალსაზრისით) (Gillespie, 2020).

ERGA თვლის, რომ ყველა ონლაინ პლატფორმა უნდა იცავდეს ერთსა და იმავე სტანდარტებს და რომ უკეთესი განმარტებები, პროცედურები და დაპირებებია საჭირო ამის განსახორციელებლად. ევროპის კვლევისა და მმართველობის ასოციაცია ამბობს, რომ თვითრეგულირება უნდა ჩანაცვლდეს თანარეგულირებით ონლაინ დეზინფორმაციასთან საბრძოლველად.

ევროკომისიისთვის განხორციელებული კვლევის ფარგლებში, VVA (Virtual Voice Assistant) 2020-მა გააანალიზა ონლაინ პლატფორმების მომსახურების პირობები/გამოყენების პირობები და საზოგადოებრივი სტანდარტები/სახელმძღვანელოები, რომელიც არის პრაქტიკის კოდექსთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გარანტია. თუმცა, კოდექსის ხელმომწერები

იძულებით არ უნდა ასრულებდნ თვითრეგულირების კოდექსის მიერ დაკისრებულ ვალდებულებებს. აღსანიშნავია, რომ ვალდებულებები არ მოიცავს ყველა დაინტერესებულ მხარეს; ვალდებულებები განსხვავებულად ვრცელდება სხვადასხვა ონლაინ პლატფორმებზე და ქვეყნებზე და არ არის საკმარისი სიცხადე კოდექსის მასშტაბსა და კრიტიკული ცნებების განმარტებასთან დაკავშირებით.

VVA-ს რეკომენდაციაა, რომ ხელმომწერებმა გამოიყენონ ერთი და იგივე ტერმინოლოგია და, რომ მათ მიერ გადადგმული ნებისმიერი ნაბიჯი იყოს მაქსიმალურად მკაფიო. ამის შედეგად, გამარტივდება ვალდებულებების შესრულებისა და მონიტორინგის პროცესი და სასურველი შედეგებისა და შესრულების ძირითადი ინდიკატორების განსაზღვრაც უფრო გამჭვირვალე გახდება. VVA-ს რეკომენდაცია მიმოიხილავს გზებს, იმისთვის რომ გამარტივდეს ქცევის კოდექსის აღსრულება და ასევე ხაზს უსვამს, როგორც კოდექსის უპირატესობებს, ასევე ნაკლოვანებებს, განიხილავს პოტენციურ შედეგებსა და თანარეგულირების ზომებს.

2019 წელს ევროკომისიამ გამოაქვეყნა ქცევის კოდექსის მიხედვით პირველი თვითშეფასების ანგარიში, რომელიც წარმოადგინეს „ფეისბუქმა“, „გუგლმა“, „მაიკროსოფტმა“, „მოზილამ“, „ტვიტერმა“ და სხვა ხელმომწერებმა.<sup>341</sup>

2022 წლის 20 იანვარს ევროკომისიამ გადადგა გადამწყვეტი ნაბიჯი და მიიღო DSA „ციფრული სერვისების აქტი“, რომელიც შეიძლება გახდეს ახალი ოქროს სტანდარტი ციფრული რეგულირებისთვის, არა მხოლოდ ევროპაში, არამედ მთელ მსოფლიოში.

#### 4.1. DSA ციფრული სერვისების აქტი

---

<sup>341</sup>იქვე.

ციფრული სერვისების აქტი (DSA) განსაზღვრავს მკაფიო პასუხისმგებლობას და ანგარიშვალდებულებას შუამავალი სერვისების პროვაიდერებისთვის, განსაკუთრებით ონლაინ პლატფორმებისთვის, როგორცაა სოციალური მედია და ონლაინ ბაზრები.

DSA აყალიბებს „შეტყობინებისა და მოქმედების“ მექანიზმს, ისევე როგორც გარანტიებს არალეგალური პროდუქტების, სერვისების ან კონტენტის ონლაინ წაშლისთვის. ჰოსტინგის სერვისების პროვაიდერებმა უნდა იმოქმედონ ასეთი შეტყობინების მიღებისას შეფერხების გარეშე, იმის გათვალისწინებით, თუ რა სახის უკანონო კონტენტი ეცნობებათ და იმოქმედონ დაუყოვნებლივ.<sup>342</sup>

ევროპარლამენტარებმა ასევე შეიტანეს უფრო ძლიერი გარანტიები, რათა უზრუნველყონ შეტყობინებების დამუშავება არათვითნებური და არადისკრიმინაციული წესით და ფუნდამენტური უფლებების, მათ შორის გამომხატვის თავისუფლების პატივისცემით.

ძალიან დიდი ონლაინ პლატფორმები (VLOP) ექვემდებარებიან სპეციფიკურ ვალდებულებებს იმ განსაკუთრებული რისკების გამო, რასაც ისინი წარმოადგენენ როგორც უკანონო, ასევე მავნე კონტენტის გავრცელების თვალსაზრისით. DSA ხელს შეუწყობს მავნე კონტენტის (რომელიც შეიძლება არ იყოს უკანონო) და დეზინფორმაციის გავრცელების დაძლევის დებულებებით რისკის სავალდებულო შეფასების, რისკის შემცირების ღონისძიებების, დამოუკიდებელი აუდიტისა და ე.წ. „სარეკომენდაციო სისტემების“ გამჭვირვალობის შესახებ.

ციფრული სერვისების აქტის ძირითადი მნიშვნელობა არის ის, რომ იგი მიზნობრივ ონლაინ რეკლამასა და უკანონო კონტენტზე პასუხისმგებლობას

---

<sup>342</sup> European Parliament, Digital Services Act: regulating platforms for a safer online space for users, European Parliament, 20.01.2022 < <https://www.europarl.europa.eu/news/en/press-room/20220114IPR21017/digital-services-act-regulating-platforms-for-a-safer-online-space-for-users>>

აკისრებს პლატფორმის მფლობელს. ალგორითმის გამოყენება უფრო გამჭვირვალე უნდა იყოს და მკვლევრებს ასევე უნდა მიეცეთ წვდომა თავდაპირველ მონაცემებზე, რათა გაიგონ, როგორ ყალიბდება ონლაინ ზიანი. ასევე არსებობს პუნქტი საზედამხედველო სტრუქტურის შესახებ, რომელიც საშუალებას მისცემს ევროკავშირის ქვეყნებს არსებითად დაარეგულირონ ონლაინ პლატფორმები.<sup>343</sup>

ევროკომისია მიზნად ისახავს მკაფიო წესებს, რომელიც აყალიბებს ციფრული სერვისების მიმწოდებლების პასუხისმგებლობას, რათა მოხდეს იმ რისკებთან გამკლავება, რომლის წინაშეც არიან მომხმარებლები. სამართლებრივი პასუხისმგებლობა ხელს შეუწყობს თანამედროვე სისტემის განვითარებას პლატფორმებზე ზედამხედველობის მიზნით და ასევე იქნება გარანტი ეფექტიანი აღსრულების.

## 2. დეზინფორმაცია ონლაინ სივრცეში საქართველოში

საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-4 ქვეპუნქტის თანახმად, ინტერნეტზე წვდომისა და ინტერნეტით თავისუფლად სარგებლობის უფლება ძირითადი თავისუფლებაა. ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობა ყოველწლიურად იმატებს და შესაბამისად, ინტერნეტის მნიშვნელობა და გავლენაც იზრდება. კომუნიკაციების კომისიის 2019 წლის სექტემბრის მონაცემებით, ინტერნეტის აბონენტების რაოდენობა 930 ათასს აღემატება.<sup>344</sup>

---

<sup>343</sup> იქვე.

<sup>344</sup> ცეცხლაძე სალომე, მაჩაიძე რუსა, ანდლულაძე მამუკა, საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, ინტერნეტ მფლობელობა საქართველოში, 2019, <[https://transparency.ge/sites/default/files/internet\\_mplobeloba\\_sakartveloshi\\_0.pdf](https://transparency.ge/sites/default/files/internet_mplobeloba_sakartveloshi_0.pdf)>

CRRC-ის გამოკითხვებზე დაყრდნობით, თბილისის მცხოვრებთა 66% „ფეისბუქს“ კვირაში მინიმუმ ერთხელ ამოწმებს და იგივე მაჩვენებელი ურბანული და სოფლის რეგიონებისთვის 54% და 40%-ია. ქართველი მომხმარებლები ხშირად იყენებენ ისეთ ვებგვერდებს, როგორცაა: Facebook.com, Google.com, Youtube.com და Odnoklassniki.ru. სხვადასხვა მომხმარებელი განსხვავებული მიზეზებით იყენებს სოციალურ ქსელებს. ქართველი მომხმარებლისთვის მნიშვნელოვანია სოციალური ქსელების შემოწმება (72%), ისევე როგორც ინფორმაციის მოძიება (53%).<sup>345</sup>

არსებული ტრენდი მხოლოდ მზარდია, რადგან სოციალური ქსელების პოპულარობა უფრო და უფრო იზრდება ქართველ მომხმარებელში და ის მხარს უბამს თანამედროვე ტექნოლოგიურ განვითარებებს და ახალ პლატფორმებს, როგორცაა Snapchat, Tik Tok და „ინსტაგრამი“.

ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ ქართველი მომხმარებელი ხშირად დაუცველად გრძნობს თავს ინტერნეტში და მისი ფუნდამენტური უფლებები ილახება. განვითარებადი ქვეყნები, როგორც საქართველოა, განსაკუთრებით დიდი დარტყმის ქვეშ არიან. ქართული სოციალური მედიის სივრცე განსაკუთრებით ბინძურდება ყალბი პროპაგანდით, დეზინფორმაციით, დეფამაციური განცხადებებით, სიძულვილის ენით წინასაარჩევნო პერიოდში.

ამის ნათელი მაგალითი იყო ის დასკვნები, რაც გამოქვეყნდა ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის 2018 წლის ანგარიშში საქართველოში ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნების შესახებ.<sup>346</sup>

---

<sup>345</sup>ბერაია გიორგი, დაუშვებელი პროდუქციის რეგულირება საქართველოში - საკანონმდებლო ცვლილებების აუცილებლობა., ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, 1 სექტემბერი 2017, [https://idfi.ge/ge/regulating\\_inadmissible\\_internet\\_content\\_georgia\\_in\\_need\\_of\\_legal\\_changes](https://idfi.ge/ge/regulating_inadmissible_internet_content_georgia_in_need_of_legal_changes)

<sup>346</sup>დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი, ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო

საქართველოში „ფეისბუქის“ მომხმარებელთა გამოკითხვის მონაცემებით, სოციალური მედიის გამოყენებისას დაცულად არ გრძნობს თავს 48.6%. ამსთანავე, მომხმარებელთა 98.6%-მა იცის, რომ ადამიანის უფლებები (სიტყვის და გამოხატვის თავისუფლება, პირადი ცხოვრების უფლება, არადისკრიმინაცია ა.შ.), რომლებიც ვრცელდება რეალურ ცხოვრებაში, ასევე უნდა იყოს დაცული სოციალური მედიის გამოყენებისას.<sup>347</sup>

2019 წლის იანვარში საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა დააყენა ცილისწამების რეგულირების საკითხი. პრეზიდენტმა განსაკუთრებული ყურადღება სოციალურ ქსელებში გავრცელებულ ცილისწამებაზე გაამახვილა: „დღეს სოციალური ქსელები ქმნის ფონს, სადაც პასუხისმგებლობის განცდა ნაკლებია. როდესაც მხოლოდ მედიაზეა საუბარი, აღსანიშნავია, რომ მედიას აქვს თავისი ქცევის წესები და ამდენად, უფრო დაცულია მოქალაქე, მაგრამ, როდესაც საქმე გვაქვს სოციალურ ქსელებთან, რომელიც ზოგჯერ ანონიმურია, ზოგჯერ სხვა ქვეყნის მიერაა მართული, საჭიროა, ვიფიქროთ ამ მიმართულებით“.<sup>348</sup>

საკუთარი მსჯელობის გასამყარებლად, ზურაბიშვილმა საფრანგეთის მაგალითი მოიყვანა და აღნიშნა, რომ ქვეყანამ „არათუ მიიღო ასეთი კანონი ცილისწამების წინააღმდეგ, კერძოდ, საარჩევნო პერიოდში, არამედ საკონსტიტუციო სასამართლომაც დაამტკიცა, რომ ეს არ მოდიოდა წინააღმდეგობაში არც სიტყვის თავისუფლებასთან და არც ადამიანის მთავარ უფლებებთან, რომლებიც ასახულია ადამიანის უფლებათა დეკლარაციაში“.<sup>349</sup>

---

მისიის საბოლოო ანგარიში 2018 წლის 28 ოქტომბერის და 28 ნოემბერის საპრეზიდენტო არჩევნების შესახებ.

<sup>347</sup> შენგელია ნინო, 2022, სოციოლოგიური გამოკითხვა „ჩვენი უფლებები და სოციალური მედია“, Google Forms.

<sup>348</sup> ტყეუჩავა გიორგი, წინუკაშვილი მარიამ, „კანონი „ყალბი ინფორმაციის წინააღმდეგ“-რეალური საფრთხეების აღმოფხვრის შესაძლებლობა თუ ცენზურის დაკანონება საქართველოში“, 5/02/2019, <https://factcheck.ge/ka/story/37961>

<sup>349</sup> იქვე.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ს 2019 წლის საშობაო ეპისტოლეში, პატრიარქმა „სიტყვის თავისუფლების დამახინჯებული აღქმის გაბატონებაზე“ ისაუბრა. იმუამინდელმა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, ირაკლი კობახიძემ, ცილისწამებასთან დაკავშირებულ ინიციატივაზე კომენტარისას, რეგულირების საკითხი არ გამოორიცხა, თუკი ეს უკანასკნელი გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში მოწესრიგდებოდა.<sup>350</sup> რაც შეეხება მომხმარებლებს, მათი 66.7% თვლის, რომ სოციალურ მედიაში წარმოქმნილი პრობლემები უნდა გადაიჭრას სამართლებრივი რეგულირებით, როგორც ევროპის რამოდენიმე ქვეყანაში, 50% თვლის, რომ განათლებით, ხოლო 29.2% თვლის, რომ ნაწილობრივი რეგულირებით, თუმცა არსებობს ცენზურის რისკი.<sup>351</sup>

„ფეისბუქის“ მომხმარებელთა 44.4% ფიქრობს, რომ პოლიტიკური პარტიები ძალიან ხშირად იყენებენ სოციალურ მედიას დემინფორმაციის გასავრცელებლად. 29.2% თვლის, რომ უცხოეთის სპეცსამსახურები საშუალო სიხშირით იყენებენ სოციალურ მედიას დემინფორმაციისთვის.<sup>352</sup>

ხშირია სოციალურ ქსელებში დემინფორმაციის გავრცელება, რომელიც ხვდება სამოქალაქო სექტორის ანგარიშებში. აღსანიშნავია, კორონავირუსული ინფექციის COVID 19-ის პანდემიასთან დაკავშირებული მძლავრი კამპანია, რომლის მიზანი იყო საქართველოს სახელმწიფოს მიერ ვირუსის საწინააღმდეგოდ გატარებული პრევენციული ღონისძიებების და მათ შორის საგანგებო მდგომარეობის სანდოობის ეჭვქვეშ დაყენება.

როგორც აღნიშნულია „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ ISFED-ის 2020 წლის ანგარიშში, სხვადასხვა

---

<sup>350</sup> იქვე.

<sup>351</sup> შენგელია ნინო, 2022, სოციოლოგიური გამოკითხვა „ჩვენი უფლებები და სოციალური მედია“, Google Forms.

<sup>352</sup> იქვე.

გზავნილებს შორის იკითხებოდა, რომ საქართველო წარუმატებელი ქვეყანაა და ისიც კი უმკლავდება კორონავირუსს, მაშინ როცა განვითარებული ევროპა უძლურია. დეზინფორმაციული კამპანიის მიზანი იყო საქართველოს დასავლეთისგან დისტანცირების საჭიროების წარმოჩენა.

რუსული პროპაგანდისტული სააგენტო News Front Georgia 2020 წლის თებერვალსა და მარტში ინტენსიურად ავრცელებდა დეზინფორმაციულ სტატიებს ლუგარის ლაბორატორიისა და მისი ხელმძღვანელის დაავადებათა კონტროლის ცენტრის დირექტორის მოადგილის პაატა იმნაძის შესახებ. ამ სააგენტოს მიზანი ასევე იყო აშშ-ს დისკრედიტაცია საქართველოს მოქალაქეების თვალში.

გავრცელდა სტატიები სათაურებით: „იმნაძემ „რუსული ხელი“ ამჯერად არ ახსენა, თუმცა მისი პოზიცია არანაკლებ უსუსურია“; „ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო: აშშ-ს წამოსცდა, რომ COVID-19 მათთან გაჩნდა.“<sup>353</sup>

2020 წლის 30 აპრილს „ფეისბუქმა“ საკუთარი პლატფორმიდან წაშალა სააგენტო „News Front-ის“ „ფეისბუქის“ გვერდები ქართულ და სხვა ენებზე, რომელთა გამოცემა სხვადასხვა ქვეყანაში ხდებოდა.

როგორც წინა თავებში აღვნიშნეთ, ევროკავშირი და მისი წევრი სახელმწიფოების მთავრობები სულ უფრო მეტად სთხოვენ ონლაინ შუამავლებს, რომ მათ უფრო მეტი გააკეთონ კონფიდენციალობის შესახებ პრეტენზიებზე პასუხის გასაცემად თავიანთი მომხმარებლების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებასთან დაკავშირებით და ისეთი შინაარსების დასაბლოკად, რომლებიც მათ მიაჩნიათ საეჭვოდ ან არამართლზომიერად.<sup>354</sup>

---

<sup>353</sup>სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება, კრემლის 10 დეზინფორმაცია Covid 19-ის შესახებ საქართველოში, 26/03/2020, <<https://isfed.ge/geo/sotsialuri-mediis-monitoringi/kremlis-10-dezinformatsia-COVID-19-is-shesakheb-saqartveloshi>>

<sup>354</sup> Suzor, Nicolas P. "The responsibilities of platforms: a new constitutionalism to promote the legitimacy of decentralized governance." In Association of Internet Researchers Annual Conference (AoIR 2016). 2016.

რაც შეეხება ისეთ ახალბედა დემოკრატიას, როგორცაა საქართველო, აქ უფრო იშვიათია ან სულაც არ არის საერთაშორისო ონლაინ პლატფორმების კრიტიკა ან მათზე პასუხისმგებლობის დაკისრება. ტექნოლოგიური გიგანტების გადანყვეტილებები შინაარსის მოდერაციასთან დაკავშირებით აღიქმება, როგორც საბოლოო ვერდიქტი, როგორც მთავრობის, ისე პოლიტიკური პარტიების თუ გარკვეული ინდივიდების მიერ.

2020 წელს „ფეისბუქის“ მიერ პოლიტიკური პარტიების ანგარიშების დახურვა<sup>355</sup> არ აღძრავს ქართულ საზოგადოებაში კითხვებს „ფეისბუქის“ მიმართ. მნიშვნელოვანია იმის გაანალიზება, რომ კერძო კომპანიას, როგორც „ფეისბუქს“, აქვს უდიდესი გავლენა ქართულ პოლიტიკურ კლიმატზე. „ფეისბუქის“ გადანყვეტილების მიღების პროცესი ქართული ანგარიშების დახურვასთან დაკავშირებით არ არის გამჭვირვალე და დემოკრატიული.

გაუგებარია ის კრიტერიუმები, რასაც „ფეისბუქი“ იყენებს გადანყვეტილების მიღების პროცესში. შესაბამისად, პოლიტიკურად ანგაჟირებული ჯგუფები, მონინალმდევე პარტიები და მიკერძობული სამოქალაქო საზოგადოება სხვადასხვა გზებით ცდილობს ახსნას „ფეისბუქის“ ესა თუ ის გადანყვეტილება და ხშირად მანიპულაციას ეწევა იმისთვის, რომ პოლიტიკური აქტივი დააგროვოს.

2020 წლის აპრილის „კოორდინირებული არაავთენტური ქცევის შესახებ ანგარიშის“ თანახმად, „ფეისბუქის“ ადმინისტრაციამ მედიაპლატფორმა „ესპერსონასა“ და ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან დაკავშირებული ასობით გვერდი, ანგარიში და ჯგუფი გააუქმა. ეს გადანყვეტილება იმგვარად იქნა ინტერპრეტირებული, რომ დაპირისპირებულ პოლიტიკურ ძალებს მიეცათ ერთმანეთზე თავდასხმის საშუალება. მათ არ აღძვრიათ კითხვები თავად გადანყვეტილების მიმღები სოციალური ქსელის მიმართ.

---

<sup>355</sup>Facebook, April 2020 Coordinated Inauthentic Behavior Report.

საგულისხმოა, რომ თვით „დაზარალებული მომხმარებელიც“, რომელსაც გვერდები დაუხურეს, არ ცდილობს ამ გადანყვეტილების გასაჩივრებას და აცხადებს, რომ თავიდან გახსნის ანალოგიურ გვერდებს.

მას შემდეგ, რაც გაუქმდა მედიაპლატფორმა „ესპერსონასთან“ დაკავშირებული 511 გვერდი, 122 ჯგუფი, „ფეისბუქის“ 101 და „ინსტაგრამის“ 56 ანგარიში, ხოლო თავად ორგანიზაცია „ესპერსონა“ აიკრძალა „ფეისბუქის“ პლატფორმაზე, ორგანიზაციის დამფუძნებელმა, ჟურნალისტმა კოკა ყანდიაშვილმა განაცხადა: „ახლო მომავალში, ჩემს ახალგაზრდა და ძალიან ნიჭიერ გუნდთან ერთად, უფრო საინტერესო მედიაპროდუქტებს შევთავაზებთ ჩვენს საზოგადოებას. ასევე მჭიდრო თანამშრომლობას გავაგრძელებთ „ფეისბუქთან“, „გუგლთან“ და სხვა სოციალურ ქსელებთან, რათა ნამდვილად ეფექტური იყოს „ფეიკ ნიუსებთან“, რუსულ პროპაგანდასთან და საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მცდელობასთან ბრძოლა“.<sup>356</sup>

შესაბამისად, ღვება რეალობა, როცა „ფეისბუქის“ მომხმარებელი არ გრძნობს პასუხისმგებლობას, მაგრამ არც აპროტესტებს პლატფორმების გადანყვეტილებას. ორგანიზაციას, რომელსაც დაუხურეს ანგარიშები არ უჩნდება კითხვა ონლაინ პლატფორმის მიმართ ამ გადანყვეტილების გამო. ამის მიზეზი, შესაძლოა იყოს „ფეისბუქის“ განცხადებაში ნათქვამი სიტყვები, რომ ეს შეფასება „საქართველოში გაკეთებულ ადგილობრივ საჯარო ანგარიშს ეყრდნობოდა“.<sup>357</sup> შესაბამისად, მომხმარებელი მისთვის არასასურველი გადანყვეტილების მიღებაზე პასუხისმგებლად მიიჩნევს არა „ფეისბუქს“, არამედ არასამთავრობო ორგანიზაციას „საქართველოს ატლანტიკური საბჭო“.

„ფეისბუქმა“ ასევე გააუქმა პოლიტიკურ პარტია „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან“ დაკავშირებული ინდივიდუალური პირების 23 ანგარიში, 80

<sup>356</sup> რადიო თავისუფლება, კოკა ყანდიაშვილი განცხადებას ავრცელებს, 6/05/2020, <https://www.radiotavisupleba.ge/a/30597507.html>

<sup>357</sup>Facebook, April 2020 Coordinated Inauthentic Behavior Report.

გვერდი, 41 ჯგუფი და „ინსტაგრამის“ 9 ანგარიში.<sup>358</sup> მიუხედავად იმისა, რომ პარტიამ ოფიციალურ განცხადებაში უარყო გაუქმებულ ანგარიშებთან კავშირი, არც ამ შემთხვევაში პოლიტიკურ პარტიას არ გაუჩნდა კითხვები „ფეისბუქის“ მიმართ და კრიტიკა მიმართა ადგილობრივი ოპონენტების მისამართით.

საქართველოს „ფეისბუქის“ მომხმარებელთა გამოკითხვის შედეგად ჩატარებული მონაცემების მიხედვით, 61.1% სმენია "ფეისბუქის" "კოორდინირებულ არააუთენტურ ქცევაზე" რეპორტების შესახებ. მათ შორის, 61.8% თვლის, რომ „ფეისბუქი“ საშუალო სიზუსტით შლის გვერდებს/ჯგუფებს/ანგარიშებს. 20% თვლის, რომ „ფეისბუქის“ ალგორითმები და მოდერატორები გაურკვეველი კრიტერიუმებით შლიან გვერდებს, ხოლო 18% სრულად ეთანხმება „ფეისბუქის“ გადანყვეტილებებს.<sup>359</sup>

კიდევ ერთი მიზეზი, რის გამოც შეიძლება მომხმარებელს არ ჰქონდეს სურვილი „ფეისბუქს“ მოსთხოვოს პასუხი, არის ის, რომ პლატფორმის პასუხისმგებლობის საკითხი პრაქტიკულადაც გართულებულია, ვინაიდან ის დაკავშირებულია სასამართლოში სარჩელის შეტანასთან კონკრეტულ ქვეყანაში ან აშშ-ში, კალიფორნიის შტატში. „ჩვენს რეალობაში უფრო მოქნილი იქნებოდა სისტემა, სოციალური მედიის წამყვან საშუალებებს საქართველოში რომ ჰქონდეს წარმომადგენლობა (იურიდიული პირი ან ფილიალი). ასეთ შემთხვევაში შესაძლებელი გახდებოდა, მოქნილი ქმედებით მიეღწია მომხმარებელს სასურველი შედეგისთვის“.<sup>360</sup> რაც შეეხება გამოკითხულ „ფეისბუქის“ მომხმარებელთა აზრს, მათი ნახევარზე მეტი, 51.4% თვლის, რომ სახელმწიფო საერთოდ არ იცავს მათ უფლებებს ონლაინ სივრცეში, მხოლოდ 12.5% თვლის, რომ სახელმწიფო ზომიერად კარგად იცავს მათ უფლებებს.

<sup>358</sup> იქვე.

<sup>359</sup> შენგელია ნინო, 2022, სოციოლოგიური გამოკითხვა „ჩვენი უფლებები და სოციალური მედია“, Google Forms.

<sup>360</sup> ჯორბენაძე სერგი, სოციალური მედიის სამართალი, 2019, 78, თბ.

<sup>361</sup>ამავე დროს მომხმარებელთა 84.7% მიიჩნევს, რომ მათ უფლებებს არღვევენ სხვა მომხმარებლები, 27.8 სოციალური მედიის პლატფორმები და მხოლოდ 18.1% მიაჩნია, რომ სახელმწიფო არღვევს მათ უფლებებს.<sup>362</sup>

### 3. „ფეისბუქის“ საზედამხედველო საბჭო

დისკურსის საგანს წარმოადგენს, თუ რატომ არის კერძო კომპანია არბიტრი, როდესაც საქმე ეხება ადამიანის ძირითად უფლებებს, კერძოდ კი, გამოსატვის თავისუფლებას. ამ საკითხით თავად „ფეისბუქის“ დამფუძნებელი მარკ ცუკერბერგიც არის დაინტერესებული და სწორედ მისი ინიციატივაა „ფეისბუქის“ საზედამხედველო საბჭოს ე.წ. „უზენაესი სასამართლოს“ დაარსება,<sup>363</sup> საზედამხედველო საბჭო არის დამოუკიდებელი გადანყვეტილებების მიმღები ორგანო შინაარსის მოდერაციის საკითხებთან დაკავშირებით. მისი სანესდებო კაპიტალი არის 130 მილიონი აშშ დოლარი, საბჭო არის დამოუკიდებელი „ფეისბუქისგან“ და მას არ გამოიწვევენ 6 წლის განმავლობაში. მას უნდა ჰყავდეს 40 წევრი.

ჯერჯერობით საბჭო დაკომპლექტებულია 20 წევრისგან. მის შემადგენლობაში არიან სხვადასხვა პროფესიის და გამოცდილების მქონე ადამიანები. მათ შორისაა: დანიის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ჰელე ტორნინგ-შმიდტი, ნობელის პრემიის ლაურეატი ტავაკოლ კარმანი, სტენფორდის უნივერსიტეტის საკონსტიტუციო სამართლის პროფესორი მაიკლ მაქკონელი, ქუინსლენდის უნივერსიტეტის სამართლის პროფესორი ნიკოლას სუზორი.

---

<sup>361</sup> შენგელია ნინო, 2022, სოციოლოგიური გამოკითხვა „ჩვენი უფლებები და სოციალური მედია“, Google Forms.

<sup>362</sup> იქვე.

<sup>363</sup> Kelly Makena, Facebook's 'Supreme Court' can overrule Zuckerberg, per new charter, The Verge, 17th of September 2019, <https://www.theverge.com/2019/9/17/20870827/facebook-supreme-court-mark-zuckerberg-content-moderation-charter>

ასევე საბჭოს შემადგენლობაში არის რამდენიმე სამართლის პროფესორი, ადამიანის უფლებების დამცველი, ციფრული უფლებების და ანტი-ცენზურის ადვოკატი, ჟურნალისტი და სხვ. ეს ადამიანები არიან მაღალი კვალიფიკაციის და რეპუტაციის მქონე პირები. მათ უნდა შეასრულონ „მოსამართლეების“ როლი. ეს არის სერიოზული გამოწვევა, როგორც მათთვის, ასევე „ფეისბუქისტების“.

კრიტიკოსები საზედამხედველო საბჭოს საქმიანობას ფასადურ, კოსმეტიკურ ცვლილებად აფასებენ. საზედამხედველო საბჭოს თანათავმჯდომარე ჰელე ტორნინგ-შმიდტი აცხადებს:

„უმჯობესი იყო გაეროს საშუალებით გლობალურ საზოგადოებას შემოეთავაზებინა კონტენტის მოდერაციის სისტემა, მაგრამ ეს არ ხდება. ამ შემთხვევაში საზედამხედველო საბჭო არის მეორე საუკეთესო ვარიანტი. ორ წელიწადში ჩვენ დავამტკიცებთ, რომ უმჯობესია იყოს, ვიდრე არ იყოს ეს საბჭო.“<sup>364</sup>

„ფეისბუქი“ აცხადებს, რომ საზედამხედველო საბჭოს გადანყვეტილებები გამჭირვალე იქნება და ამ მხრივ, დემოკრატიულობის ელემენტებს შემოიტანს მსოფლიოს ყველაზე დიდ გლობალურ ქსელში. ბუნებრივად დგება საზედამხედველო საბჭოს ლეგიტიმაციის საკითხი, რადგან ის არ არის დემოკრატიულად არჩეული. სავარაუდოდ, ლეგიტიმაცია შეიძლება მოხდეს სამართლიანი პროცესის შედეგად, საზედამხედველო საბჭოს დამოუკიდებელი გადანყვეტილებებით, ასევე იმ ღირებულებებიდან და პრინციპებიდან გამომდინარე, რასაც დაეყრდნობა საზედამხედველო საბჭო თავის გადანყვეტილებებში და რაც მისაღები იქნება ფართო საზოგადოებისთვის, თუკი ეს ღირებულებები დაკავშირებული იქნება ადამიანის უფლებებთან, სამართლის

---

<sup>364</sup> Kelion Leo, Facebook ‘Supreme Court’ to begin work before US Presidential Vote, BBC News, Technology, 24th of September 2020, <https://www.bbc.com/news/technology-54278788>

უზენაესობასთან, რასაც ქვეყნების უმრავლესობა აღიარებს. სწორედ სამართლის უზენაესობის ფასეულობები ფლობს ენას, რომელიც საჭიროა არსებული წუხილების გამოსახატად.

საზედამხედველო საბჭოს ძალაუფლება მეტად შებლუდულია.

მას შეუძლია განიხილოს მხოლოდ არასწორად მოხსნილი პოსტების საქმეები და არა იმ პოსტების, რომელთა მოხსნას ითხოვენ მოსარჩელები. თუმცა, „ფეისბუქი“ აცხადებს, რომ ასეთ საქმეებს საბჭო მომავალში განიხილავს.

ამ ეტაპზე საზედამხედველო საბჭო მოახდენს „ფეისბუქის“ არსებული წესების ინტერპრეტაციას და თავად არ იქნება ახალი წესების შემქმნელი. კრიტიკოსების აზრით, ამ შებლუდული უფლებებით საზედამხედველო საბჭო ვერ გადაწყვეტს დეზინფორმაციის და სიძულვილის ენის იმ უზარმაზარ ნაკადთან დაკავშირებულ პრობლემებს, რაც აქვს „ფეისბუქს“.

„ფეისბუქის“ საზედამხედველო საბჭოს ალტერნატივად აქტივისტებმა შექმნეს „ნამდვილი „ფეისბუქის“ საზედამხედველო საბჭო“<sup>365</sup>, რადგან თვლიან, რომ „ფეისბუქის“ ანგარიშვალდებულება საზოგადოების მიმართ არ არის საკმარისი.

საქართველოში „ფეისბუქის“ მომხმარებელთა 52.8% აცხადებს, რომ აქვს ინფორმაცია „ფეისბუქის“ საზედამხედველო საბჭოს შესახებ, ხოლო 55.6% აცხადებს მზადყოფნას მიმართოს საზედამხედველო საბჭოს იმ შემთხვევაში, თუ შეიზღუდება მათი გამოხატვის თავისუფლება.<sup>366</sup>

---

<sup>365</sup> Newton Casey, 29/09/2020, How a fake “Real Oversight Board” is putting pressure on Facebook, The Verge <https://www.theverge.com/interface/2020/9/29/21472092/real-facebook-oversight-board-stunt-activism-limitations>

<sup>366</sup> შენგელაია ნინო, 2022, სოციოლოგიური გამოკითხვა „ჩვენი უფლებები და სოციალური მედია“, Google Forms.

### 3.1. საზედამხედველო საბჭოს მიერ განხილული შემთხვევები

#### 3.1.1.ეთიოპიის შემთხვევა

2021 წლის ივლისის ბოლოს, „ფეისბუქის“ ეთიოპიელმა მომხმარებელმა ამჰარულ ენაზე გამოაქვეყნა პოსტი, რომელშიც ის ბრალს სდებდა ტიგრის ხალხის განმათავისუფლებელ ფრონტს TPLF. მისი პოსტიდან გამომდინარე TPLF კლავდა და აუპატიურებდა ქალებს და ბავშვებს და ძარცვავდა მშვიდობიან მოსახლეობას. პოსტში ასევე აღნიშნული იყო, რომ TPLF-ს ეხმარებოდა ტიგრის მოსახლეობა. პოსტი მთავრდებოდა სიტყვებით: „ჩვენი ბრძოლით უზრუნველვყოფთ ჩვენს თავისუფლებას“.<sup>367</sup> ეთიოპიელი მომხმარებელი პოსტში აღნიშნავდა, რომ მან ეს ინფორმაცია მიიღო რაია კობოს ერთ-ერთი მცხოვრებისგან. აღსანიშნავია, რომ ეთიოპიაში 2020 წლიდან გაღვივებულია კონფლიქტი ტიგრის რეგიონსა და ეთიოპიის ფედერალურ მთავრობას შორის. მიუხედავად საერთაშორისო საზოგადოების მცდელობისა, კონფლიქტის მოგვარება და მშვიდობის დამყარება ვერ ხერხდება. ზემოაღნიშნული პოსტი მონიშნა ამჰარული ენების სისტემამ და კონტენტის მოდერატორის გადამოწმების შემდეგ ამოღებულ იქნა, როგორც სიძულვილის ენის შემცველი.

მომხმარებელმა გაასაჩივრა ეს გადაწყვეტილება „მეტაში“, (კომპანია „ფეისბუქის“ სახელი 2021 წლის ოქტომბრიდან), ხოლო შემდეგ მიმართა საზედამხედველო საბჭოს. მას შემდეგ, რაც საბჭომ აირჩია ეს საქმე განსახილველად, „მეტამ“ დაადგინა რომ მისი თავდაპირველი გადაწყვეტილება პოსტის წაშლის შესახებ იყო არასწორი და აღადგინა იგი 27 აგვისტოს თუმცა მომხმარებელს ამის შესახებ აცნობა 30 სექტემბერს. „მეტამ“ ასეთი

<sup>367</sup> Facebook Oversight Board, Case decision 2021-014-FB-UA, 14/12/2021.

დაგვიანებული პასუხი ახსნა, როგორც ადამიანური შეცდომა. პოსტი ნანახი იყო 5000-ჯერ, გაზიარებული 30-ჯერ და შეიცავდა ასეთ კომენტარებს: „ისლა დაგვრჩენია შური ვიძით“, „დებო და ძმებო, მზად ხართ, რომ გდავწყვიტოთ ეს საქმე“?<sup>368</sup>

### 3.1.1.1. ძირითადი დასკვნები

საბჭომ მიიჩნია რომ აღნიშნული კონტენტი არღვევს „ფეისბუქის“ „საზოგადოებრივ სტანდარტს ძალადობისა და წაქეზების შესახებ“.

მიუხედავად იმისა, რომ „მეტამ“ თავდაპირველად ნაშალა პოსტი სიძულვილის ენის საზოგადოებრივი სტანდარტის დარღვევისთვის, კომპანიამ აღადგინა შინაარსი. „მეტა“ ამტკიცებდა, რომ პოსტი არ ეხებოდა ტიგრის ეთნიკურობას და მომხმარებლის ბრალდებები არ წარმოადგენდა სიძულვილის ენას. საბჭომ ჩათვალა, რომ შინაარსის აღდგენის ეს განმარტება არის არასწორი.

საბჭომ გამოიყენა „ფეისბუქის“ „ძალადობისა და წაქეზების საზოგადოებრივი სტანდარტი“ ამ პოსტთან დაკავშირებით. ეს სტანდარტი კრძალავს „დებინფორმაციას და გადაუმონმებელ ჭორებს, რომლებიც ხელს უწყობს გარდაუვალი ძალადობის ან თიზიკური ზიანის რისკს“. <sup>369</sup> საბჭომ აღნიშნა, რომ შინაარსი ამ შემთხვევაში შეიცავდა გადაუმონმებელ ჭორს. ჭორები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ეთნიკური ჯგუფი მონაწილეობს მასობრივ სისასტიკეში, როგორც ეს მოცემულია ამ პოსტში, საშიშა და მნიშვნელოვნად ზრდის გარდაუვალი ძალადობის რისკს.

საბჭომ ასევე ჩათვალა, რომ პოსტის მოხსნა შეესაბამება „მეტას“, როგორც ბიზნესის, ადამიანის უფლებათა დაცვის პასუხისმგებლობას. ცხარე და მიმდინარე კონფლიქტის დროს გადაუმონმებელმა ჭორებმა შეიძლება გამოიწვიოს მძიმე

---

<sup>368</sup> იქვე.

<sup>369</sup> იქვე.

შედეგები. 2020-003-FB-UA გადანყვეტილებაში, საბჭომ განაცხადა, რომ საქმეში „განსაკუთრებით გამოხატულია შეიარაღებული კონფლიქტის სიტუაციებში, პლატფორმაზე სიძულვილის შემცველი, არაჰუმანური გამონათქვამების დაგროვებისა და გავრცელების რისკი, რაც გამოიწვევს ფიზიკურ ქმედებებს, რომლებიც გავლენას მოახდენს პიროვნების უსაფრთხოებაზე და პოტენციურად სიცოცხლეზე“.<sup>370</sup>

საბჭომ მიიღო გადანყვეტილება, იმის გათვალისწინებით, რომ არსებობს წინააღმდეგობა გამოხატვის თავისუფლების დაცვასა და სექტანტური კონფლიქტის საფრთხის შემცირებას შორის. საბჭომ ხაზი გაუსვა, რომ სისასტიკეების შესახებ ჭეშმარიტმა ანგარიშებმა შეიძლება გადაარჩინოს სიცოცხლე კონფლიქტის ზონებში, მაგრამ დაუსაბუთებელი პრეტენზიები სამოქალაქო მოძალადეებთან დაკავშირებით, სავარაუდოდ, გაზრდის ახლოვადიანი ძალადობის რისკებს.<sup>371</sup>

### 3.1.1.2 საზედამხედველო საბჭოს გადანყვეტილება

საზედამხედველო საბჭომ მხარი დაუჭირა „მეტას“ თავდაპირველ გადანყვეტილებას პოსტის მოხსნის შესახებ.

პოლიტიკის საკონსულტაციო განცხადებაში საბჭომ რეკომენდაცია გაუწია „მეტას“, რომ შეცვალოს „უსაფრთხოების“ მნიშვნელობა, რათა ასახოს, რომ ონლაინ სიტყვამ გარდა დაშინების, გარიყვისა და გაჩუმების რისკებისა, შესაძლოა საფრთხე შეუქმნას ადამიანების ფიზიკურ უსაფრთხოებას და სიცოცხლის უფლებებს; ასახოს საზოგადოებრივ სტანდარტებში, რომ ომისა და ძალადობრივი კონფლიქტის კონტექსტში, გადაუმონწმებელი ჭორები უფრო

---

<sup>370</sup> იქვე.

<sup>371</sup> იქვე.

დიდ საფრთხეს უქმნის პირთა სიცოცხლისა და უსაფრთხოების უფლებებს. ეს უნდა აისახოს მოდერაციის პროცესის ყველა დონეზე.<sup>372</sup>

### 3.1.2. ჰოლანდიის შემთხვევა

2020 წლის 5 დეკემბერს „ფეისბუქის“ მომხმარებელმა ჰოლანდიაში გააზიარა პოსტი, რომელშიც შედის ტექსტი ჰოლანდიურ ენაზე და 17 წამიანი ვიდეო. ვიდეოში ნაჩვენებია, რომ პატარა ბავშვი ხვდება სამ ზრდასრულს, ერთი ჩაცმულია "სინტერკლასის" ფორმაში, ხოლო ორი "ზვარტე პიეტის". ეს პერსონაჟები, წმინდა ნიკოლოზი და „შავი პიტი“ ჰოლანდიელი ბავშვების საყვარელი პერსონაჟები არიან, თუმცა ბოლო წლებში „შავი პიტი“ პოლიტიკურად არაკორექტულ პერსონაჟად მიიჩნევა ჰოლანდიის საზოგადოების ნაწილის მხრიდან. მიუხედავად იმისა, რომ „ზვარტე პიეტი“ წარმოადგენს კულტურულ ტრადიციას, რომელსაც ბევრი ჰოლანდიელი იზიარებს აშკარა რასისტული განზრახვის გარეშე, ის მოიცავს შავი სახის გამოყენებას, რომელიც ფართოდ არის აღიარებული, როგორც მავნე რასობრივი სტერეოტიპი.

ვიდეოში ორ ზრდასრულს, რომლებიც ასახავდნენ „ზვარტე პიეტს“, სახეები შავად ჰქონდათ შეღებილი, ეკეთათ აფრიკული პარიკები ქუდების ქვეშ და ეცვათ ფერადი რენესანსის სტილის ტანსაცმელი. ვიდეოში ყველა ადამიანი თეთრკანიანი ჩანს, მათ შორის ისინიც, რომელთა სახეები შავი ფერისაა. ვიდეოში სადღესასწაულო მუსიკა უკრავს და ერთი „ზვარტე პიეტი“ ეუბნება

---

<sup>372</sup> იქვე.

ბავშვს: „მოიხედე აქ, ვიპოვე შენი ქუდი. გინდა ჩაიცვი? და შენ ნამდვილ პიეტს დაემსგავსები!“<sup>373</sup>

### 3.1.2.1 ძირითადი დასკვნები

2020 წლის აგვისტოდან „ფეისბუქმა“ აკრძალა შავკანიანი ადამიანების კარიკატურები შავი სახით, როგორც მისი სიძულვილის ენის საზოგადოებრივი სტანდარტის ნაწილი. საბჭომ დაადგინა, რომ „ფეისბუქმა“ საკმარისად ნათლად განუცხადა მომხმარებლებს, რომ კონტენტი, რომელიც შეიცავს შავ სახეს, წაიშლებოდა, თუ შავი სახე არ იქნებოდა გამოქვეყნებული რასისტული პრაქტიკის დაგმობის ან ცნობიერების ამაღლების მიზნით.

საბჭოს უმრავლესობამ დაინახა ზიანის საკმარისი მტკიცებულება შინაარსის წაშლის გასამართლებლად. ისინი ამტკიცებდნენ, რომ შინაარსი მოიცავდა კარიკატურებს, რომლებიც განუყოფლად არის დაკავშირებული ნეგატიურ და რასისტულ სტერეოტიპებთან და ჰოლანდიური საზოგადოების ნაწილი მიიჩნევს, რომ ხელს უწყობს სისტემური რასიზმის შენარჩუნებას ჰოლანდიაში. მათ ყურადღება მიაქციეს შავკანიანთა რასობრივი დისკრიმინაციისა და ძალადობის დადასტურებულ შემთხვევებს ჰოლანდიაში, რომლებიც დაკავშირებულია „ზვარტე პიეტთან“. ეს მოიცავდა ინფორმაციას იმის შესახებ, რომ „სინტერკლაასის“ ფესტივალის დროს შავკანიანი ბავშვები თავს შეშინებულად და დაუცველად გრძნობდნენ და ეშინოდათ სკოლაში სიარული.

---

<sup>373</sup> Facebook Oversight Board, Case decision 2021-002-FB-UA, 13/04/2021.

საბჭოს უმრავლესობამ დაადგინა, რომ „ფეისბუქზე“ ასეთი პოსტების დაშვება ხელს შეუწყობს შავკანიანთათვის დისკრიმინაციული გარემოს შექმნას, რომელიც დამამცირებელი და შეურაცხმყოფელია. მათ ჩათვალეს, რომ კონტენტის წაშლა შეესაბამებოდა კომპანიის პასუხისმგებლობას ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებით.

თუმცა, საბჭოს წევრთა უმცირესობამ დაინახა არასაკმარისი მტკიცებულება, რომ პირდაპირ დაუკავშირდეს ეს კონტენტი ზიანს, რომელიც სავარაუდოდ შემცირდა მისი ამოღებით. მათ აღნიშნეს, რომ „ფეისბუქის“ მიერ ადამიანებისთვის მინიჭებული „ხმა“ იცავს ისეთ შინაარსს, რომელსაც ყველა არ ეთანხმება. და მიუხედავად იმისა, რომ შავი სახე შეურაცხმყოფელია, ფეისბუქზე გამოსახულება ყოველთვის ზიანს არ აყენებს სხვებს. ისინი ასევე ამტკიცებდნენ, რომ გამოხატვის შეზღუდვა კუმულაციური ზიანის საფუძველზე ძნელია განვასხვავოთ იმისგან, რომ ადამიანები დაცულ იქნან შეურაცხყოფის სუბიექტური გრძნობების მცდელობებისაგან.

საბჭომ დაადგინა, რომ კონტენტის წაშლა ადეკვატური ახსნა-განმარტების გარეშე შეიძლება აღიქმებოდეს უსამართლოდ მომხმარებლის მიერ. ამასთან დაკავშირებით, მან აღნიშნა, რომ მომხმარებელს არ უთხრეს, რომ მათი კონტენტი სპეციალურად წაიშალა „ფეისბუქის“ „შავი სახის“ პოლიტიკის შესაბამისად.<sup>374</sup>

### 3.1.2.2 სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილება და რეკომენდაცია

სამეთვალყურეო საბჭომ მხარი დაუჭირა გადაწყვეტილებას კონტენტის წაშლის შესახებ.

---

<sup>374</sup> იქვე.

საბჭომ რეკომენდაცია მისცა „ფეისბუქს“, რომ „სიძულვილის ენის საზოგადოებრივი სტანდარტის“ წესს, რომელიც კრძალავს „შავ სახეს“ დაურთოს მსჯელობა, რომელიც განმარტავს, თუ რა ზიანის თავიდან აცილებას ცდილობს კომპანია. ასევე მისცა რეკომენდაცია, რომ მომხმარებლებს ყოველთვის ეცნობოთ მათ წინააღმდეგ „საზოგადოებრივი სტანდარტების“ ნებისმიერი აღსრულების მიზეზების შესახებ. როდესაც „ფეისბუქი“ შლის კონტენტს „შავი სახის“ წესების დარღვევის გამო, მომხმარებელს უნდა გაეგზავნოს შეტყობინება ამ კონკრეტულ წესთან დაკავშირებით და მიენილოს რესურსები, რომლებიც განმარტავს იმ ზიანს, რომელსაც ეს წესი ცდილობს თავიდან აიცილოს.<sup>375</sup>

### 3.1.2.3 საბჭოს უმცირესობის აზრი

უმცირესობის აზრით, აუცილებლობისა და პროპორციულობის სტანდარტები არ იყო დაცული „ფეისბუქის“ მიერ. აღინიშნა, რომ წესი ზედმეტად ფართოა და უფრო ნიუანსური პოლიტიკა საშუალებას მისცემს „ფეისბუქს“ გაუმკლავდეს დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საფუძვლიან შემთხვევებს და თავიდან აიცილოს გამოხატვის ირიბი ზიანი. უმცირესობის აზრით, წარმოდგენილი მტკიცებულებები არასაკმარისი იყო იმისთვის, რომ ეჩვენებინა გამომწვევი კავშირი განსახილველ გამონათქვამს და ზიანის თავიდან აცილებას ან შემცირებას შორის ამ გამონათქვამის შეზღუდვით. „ფეისბუქის“ პოლიტიკა უნდა უშვებდეს შესაძლებლობას, რომ ასეთი გამოხატვა ყოველთვის არ აპირებს ან ხელს არ შეუწყობს ზიანის მიყენებას. უმცირესობამ აღნიშნა, რომ არსებული პოლიტიკის გადაჭარბებული აღსრულება, სავარაუდოდ, გამოიწვევს იმედგაცრუებას გამოხატვის თავისუფლებასთან მიმართებაში.

---

<sup>375</sup> იქვე.

საბჭომ ასევე დაადგინა, რომ კუმულაციური ზიანის ცნება კონტენტის წაშლასთან დაკავშირებით ართულებს ამ ტიპის შეზღუდვების გარჩევას წესებისგან, რომლებიც ცდილობენ ადამიანების დაცვას შეურაცხყოფის სუბიექტური გრძნობებისგან. ანალოგიურად, უმცირესობის აზრით, ამ შემთხვევაში ზოგადი ნეგატიური ფსიქოლოგიური ზემოქმედება ინდივიდებზე სოციალური შედეგებით არ იყო საკმარისად დემონსტრირებული და არ გამართლებდა ჩარევას, თუ ის არ მიაღწევდა ნაქვების ზღურბლს (მუხლი 20, პუნქტი 2, ICCPR), რაც დაცულია საერთაშორისო ადამიანის უფლებების კანონით.

უმცირესობამ ასევე გამოთქვა შეშფოთება, რომ „ფეისბუქის“ ძალაუფლება შეიძლება განხორციელდეს ისე, რომ ხელი შეუშალოს საკითხის ეროვნულ განხილვას და შეიძლება დაამახინჯოს ან თუნდაც ჩაანაცვლოს დისკრიმინაციის საწინააღმდეგო პროცესები დემოკრატიულ საზოგადოებაში.<sup>376</sup>

### 3.1.3 სომხეთ-აზერბაიჯანის შემთხვევა

2020 წლის ნოემბერში მომხმარებელმა გამოაქვეყნა ბაქოში არსებული ეკლესიების ფოტოები. ფოტოებს თან ერთვოდა ტექსტი რუსულ ენაზე, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ ეს ეკლესიები იყო განადგურებული, ხოლო ბაქო იყო სომხების აშენებული. მომხმარებელმა გამოიყენა ტერმინი „тазики“ („ტაზიკები“) აზერბაიჯანელების მიმართ. პოსტში ნათქვამი იყო, რომ აზერბაიჯანელები არიან მომთაბარეები და სომხებთან შედარებით მათ არ აქვთ ისტორია.

მომხმარებელმა პოსტს დაურთო ჰეშთეგი, რომლითაც ის მოუწოდებდა აზერბაიჯანული აგრესიის და ვანდალიზმის შეწყვეტისკენ. კიდევ ერთი ჰეშთეგი მოითხოვდა არცახის (მთიანი ყარაბაღის სომხური სახელი) აღიარებას. პოსტს

---

<sup>376</sup> იქვე.

ჰქონდა 45000-ზე მეტი ნახვა და გამოქვეყნდა სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის შეიარაღებული კონფლიქტის დროს.<sup>377</sup>

### 3.1.3.1 ძირითადი დასკვნები

„ფეისბუქმა“ წაშალა პოსტი სიძულვილის ენის შესახებ საზოგადოებრივი სტანდარტის დარღვევის გამო. „ფეისბუქის“ აზრით, პოსტით შეურაცხყოფა მიაყენეს ადამიანთა ჯგუფს დაცული მახასიათებლის (ეროვნული წარმოშობის) საფუძველზე.

პოსტში გამოყენებული იყო ტერმინი „тазики“ ანუ „სარეცხი თასები“. ეს გამონათქვამი ამავედროულად წარმოადგენს სიტყვების თამაშს გამოთქმაზე „азики“ („აზიკები“), რომელიც რუსულ ენაში დამკვიდრებულია, როგორც დამამცირებელი გამონათქვამი აზერბაიჯანელების მიმართ და განთავსებულია „ფეისბუქის“ შეურაცხყოფელი ტერმინების სიაში. საბჭოს სახელით შეკვეთილი დამოუკიდებელი ლინგვისტური ანალიზი ადასტურებს ფეისბუქის გაგებას „тазики“, როგორც არაჰუმანურს, შეურაცხყოფელს, რომელიც თავს ესხმის ადამიანის ეროვნულობას.

საბჭოს აზრით, „ფეისბუქის“ გადაწყვეტილება კონტენტის წაშლის შესახებ კომპანიის ღირებულებებს შეესაბამება. მიუხედავად იმისა, რომ „ფეისბუქი“ „ხმას“ უმთავრეს ღირებულებად თვლის, კომპანიის ღირებულებებში ასევე შედის „უსაფრთხოება“ და „ღირსება“.<sup>378</sup>

<sup>377</sup> Facebook Oversight Board, Case Decision 2020-003-FB-UA, 28/01/2021

<sup>378</sup> იქვე.

2020 წლის სექტემბრიდან ნოემბრის ჩათვლით, ბრძოლებმა მთიანი ყარაბაღის სადავო ტერიტორიის გამო რამდენიმე ათასი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, სადავო შინაარსი კი ცეცხლის შეწყვეტამდე ცოტა ხნით ადრე გამოქვეყნდა.

შეურაცხყოფის არაჰუმანური ხასიათისა და იმ საფრთხის გათვალისწინებით, რომ ასეთი შეურაცხყოფა შეიძლება გადაიზარდოს ფიზიკურ ძალადობაში, „ფეისბუქს“ უფლება მიეცა ამ შემთხვევაში პრიორიტეტი მიენიჭებინა ხალხის „უსაფრთხოებისა“ და „ღირსებისათვის“ მომხმარებლის „ხმასთან“ შედარებით.<sup>379</sup>

საბჭოს უმრავლესობამ დაადგინა, რომ ამ პოსტის მოხსნა შეესაბამება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებს გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის შესახებ. საბჭომ ჩათვალა, რომ მომხმარებლებისთვის აშკარაა, რომ ტერმინი „тазики“ აზერბაიჯანელების დასახასიათებლად გამოყენებულია გარკვეული ეროვნების ჯგუფის დეჰუმანიზაციის იარაღად და რომ „ფეისბუქს“ ჰქონდა ლეგიტიმური მიზანი ამ პოსტის წაშლით. საბჭოს უმრავლესობამ ასევე მიიჩნია „ფეისბუქის“ მიერ პოსტის წაშლა აუცილებლობად და პროპორციულად სხვათა უფლებების დასაცავად.

მიუხედავად ამისა, უმცირესობის აზრით, „ფეისბუქის“ პოსტის წაშლა არ იყო პროპორციული ზომა. უმრავლესობის მიერ მოყვანილი რისკები იყო ძალიან შორეული და არაპროგნოზირებადი. აქედან გამომდინარე, განხილული უნდა ყოფილიყო აღსრულების ალტერნატიული ვარიანტები. მაგალითად, კონტენტზე გამაფრთხილებელი სიმბოლოს მიმაგრება, მისი ვირუსულობის შემცირება, კონტრშეტყობინებების გავრცელების ხელშეწყობა ან სხვა ტექნიკა. უმცირესობის აზრით, მთელი პოსტის მოხსნას იმის გამო, რომ მასში გამოყენებული იყო სალანძღავი სიტყვები, მოჰყვა სიტყვის თავისუფლების

---

<sup>379</sup> იქვე.

შეზღუდვა, თუმცა არ იყო ამის აუცილებლობა და პროპორციულობა არ იყო დადგენილი.

უმცირესობის კიდევ ერთი შეხედულება იყო, რომ უსულო საგანზე მითითება იყო შეურაცხმყოფელი, მაგრამ არა არაჰუმანური. ასევე, უმცირესობის აზრით, შეურაცხყოფა ხელს არ უწყობდა სამხედრო ან სხვა ძალადობრივ ქმედებებს.<sup>380</sup>

### 3.1.3.2 საბჭოს მსჯელობა სტანდარტებთან შესაბამისობაზე

საბჭო თავის მსჯელობაში დაეყრდნო, როგორც „ფეისბუქის“ „საზოგადოებრივ სტანდარტებს“, ასევე „ფეისბუქის“ „ღირებულებებს“ და შესაბამის ადამიანის უფლებების სტანდარტებს. კერძოდ,

გამოხატვის თავისუფლება: სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის (ICCPR) მე-19 და მე-20 მუხლები; ადამიანის უფლებათა კომიტეტის №34 ზოგადი კომენტარის მიხედვით (2011); გაეროს სპეციალური მომხსენებელი აზრისა და გამოხატვის თავისუფლების საკითხებში, მოხსენება: A/69/335 (2014); A/HRC/38/35 (2018); A/73/348 (2018), A/74/486 (2019) და A/HRC/44/49 (2020); და რაბათის სამოქმედო გეგმა, OHCHR, (2012);

არადისკრიმინაციის უფლება: ICCPR-ის მე-2 და 26-ე მუხლები; საერთაშორისო კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (ICERD), მუხლები 1, 4 და 5; რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის განმარტებით, ზოგადი რეკომენდაცია No. 35 (2013) (GR35);

---

<sup>380</sup> იქვე.

სიცოცხლის უფლება: ICCPR მუხლი 6; როგორც არის განმარტებული ადამიანის უფლებათა კომიტეტის (2018) No. 36 ზოგადი კომენტარით (GC36);

პირის უსაფრთხოების უფლება: ICCPR მუხლი 9, პუნქტი 1; როგორც განმარტებულია No35 ზოგადი კომენტარით, პუნქტი. 9, ადამიანის უფლებათა კომიტეტი (2014).<sup>381</sup>

#### 4. მოდერაციის საერთაშორისო პრაქტიკა

ევროკავშირს აქვს ყველაზე უფრო სრულყოფილი მარეგულირებელი პოლიტიკა, თუმცა ევროკავშირის გარდა, მსოფლიოს ზოგიერთი ქვეყანაც ცდილობს დაარეგულიროს არალეგალური შინაარსი.

აშშ-ს, კანადის, ავსტრალიის და ლათინური ამერიკის ქვეყნებში არასამთავრობო სექტორი გამოდის ინიციატივებით ონლაინ შინაარსის დარეგულირებასთან დაკავშირებით. საუკეთესო პრაქტიკების რეკომენდაციები მოიცავს მოდერაციის სტანდარტების საბჭოს, სამოქალაქო საზოგადოების მიერ ონლაინ საზიანო სიტყვის წინააღმდეგ ორგანიზაციის შექმნას და ა.შ.

##### 4.1. შინაარსის მოდერაციის კერძო ინიციატივები - „მე-19 მუხლი“

საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია „მე-19 მუხლი“ მიიჩნევს,<sup>382</sup> რომ ონლაინ პლატფორმების მიერ შემოთავაზებული ინიციატივები მოკლებულია გამჭვირვალობას, არ სთავაზობს საკმარის პროცედურულ დამცავ

---

<sup>381</sup> იქვე.

<sup>382</sup> Article 19, <<https://www.article19.org/>> [Last Accessed: 09.08.2020].

საშუალებებს მომხმარებლებს, სათანადოდ არ იცავს სიტყვის თავისუფლებას და სხვა ფუნდამენტურ უფლებებს.

„მე-19 მუხლის“ მიხედვით სერვისის პირობები/გამოყენების პირობები და საზოგადოებრივი სტანდარტები /გაიდლაინები, რომელიც გააჩნიათ ონლაინ პლატფორმებს ზოგადად, უფრო მეტად ზღუდავს სიტყვის თავისუფლებას, ვიდრე სხვა საერთაშორისო ძირითად უფლებათა სტანდარტები. ამის მიზეზია ის, რომ ქსელების მიერ ადამიანის უფლებათა სტანდარტები შერჩეულია სხვადასხვა ეროვნულ კანონმდებლობათა შორის ყველაზე დაბალი ნიშნულის მიხედვით. ამ და სხვა პრობლემების გადაჭრის მიზნით „მე-19 მუხლი“ გამოდის სოციალური მედიის საბჭოს ჩამოყალიბების ინიციატივით, რომელიც შექმნის ღია, გამჭვირვალე, დამოუკიდებელ და პასუხისმგებელ პლატფორმას, რომელიც იმუშავებს კონტენტის მოდერაციის საუკეთესო პრაქტიკებზე.

საბჭოში უნდა გაერთიანდნენ ჟურნალისტები, ბლოგერები, აკადემიური სფეროს, ისევე როგორც სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები და კიდევ სხვა სტეიკჰოლდერები. ეს მექანიზმი შექმნილი უნდა იყოს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების დაცვით და სამართლებრივად მხოჭავი ვალდებულებების გარეშე. საბჭომ უნდა გადახედოს ინდივიდუალურ საქმეებს და ასევე შესაძლებელია, რომ გასცეს სარეკომენდაციო ხასიათის დოკუმენტები. საბჭოები უნდა შეიქმნას ეროვნულ დონეზე და იმართებოდეს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით შექმნილი გლობალური კოდექსით.

აგრეთვე განიხილება ჰიბრიდული საბჭოს მოდელიც, რომელიც გააერთიანებს გლობალურ საბჭოს და ეროვნული საბჭოების ქსელს. ნებისმიერი მოდელის შერჩევის შემთხვევაში საბჭო ანიჭებს უპირატესობას გლობალური და ლოკალური დონეების დაკავშირებას, იმისთვის, რომ უკეთ მოხდეს ადგილობრივი თავისებურებების (რელიგია, ენა, ისტორია, პოლიტიკა,

სოციალური ფონი, კულტურა) უკეთ აღქმა, როდესაც ხდება კონტენტის მოდერაციისთან დაკავშირებით საქმეების განხილვა. ეს ინიციატივა შესაძლოა კარგად შეერწყას „ფეისბუქის“ საზედამხედველო საბჭოს მოდელს, ვინაიდან საბჭოს ექნება ლოკალური კულტურის და ადგილობრივი თავისებურებების აღქმის შესაძლებლობა.<sup>383</sup>

#### 4.2. „ტვიტერის“ პროექტი დემინფორმაციასთან საბრძოლველად

დემინფორმაციასთან საბრძოლველად „ტვიტერმა“ 2022 წლის 25 იანვრიდან შექმნა ახალი სისტემა, რომელიც მომხმარებლებს საშუალებას აძლევს განიხილონ კონტექსტუალურად ტვიტები, რომლებიც მათ მიაჩნიათ, რომ არის შეცდომაში შემყვანი ან მცდარი. პროექტი, სახელწოდებით „ბერდვოჩი“, არის „ტვიტერის“ დამოუკიდებელი განყოფილება, რომელიც თავდაპირველად ხელმისაწვდომი იქნება მხოლოდ მომხმარებელთა მცირე ჯგუფისთვის, თუმცა პრიორიტეტი არ მიენიჭება მაღალი რანგის ადამიანებს ან ტრადიციულ ფაქტების შემმონმებლებს. მომხმარებლებს მოუწევთ გამოიყენონ ანგარიში, რომელიც დაკავშირებულია რეალურ ტელეფონის ნომერსა და ელ.ფოსტის მისამართთან. „ბერდვოჩი“ იქნება დამოუკიდებელი სექცია. მას შემდეგ, რაც მას გაუჩნდებიან ფართო და მრავალფეროვანი კონტრიბუტორები (ისევე, როგორც ჰყავს „ვიკიპედიას“), მათ შენიშვნებს იხილავს „ტვიტერის“ გლობალური აუდიტორია.<sup>384</sup>

---

<sup>383</sup> Article 19, Social Media Councils, <<https://www.article19.org/social-media-councils/>> [ Last Accessed: 12/12/2020].

<sup>384</sup> Twitter Help Centre, About Birdwatch on Twitter, <<https://help.twitter.com/en/using-twitter/birdwatch>> [Last Accessed: 10.04.2022].

## დასკვნა

ციფრული რევოლუცია გავლენას ახდენს სახელმწიფოთა სუვერენიტეტზე, მმართველობით რეჟიმებზე და დემოკრატიულ პროცესებზე. პერსპექტივების გაჩენასთან ერთად იგი ქმნის ახალ გამოწვევებს.

სოციალური ქსელები, რომელთაც უკანასკნელი 15 წლის მანძილზე უზარმაზარი ადგილი დაიკავეს ადამიანთა უმრავლესობის ცხოვრებაში, ამარტივებს დიალოგს და გაცვლის პროცესს. თავისუფალი, სწრაფი, ინტერაქტიული და ტრანსნაციონალური კავშირების წყალობით ტექნოლოგიური პლატფორმები ხელს უწყობს საზღვრების მოშლას, საზოგადოებების დაახლოებას, საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებისა და გამოხატვის ახალი სივრცეების შექმნას. ამავე დროს საფრთხის წინაშე დგება ადამიანის ძირითადი უფლებები. კანონები, რომელიც კარგად მუშაობს ფიზიკურ სამყაროში, ყოველთვის არ არის შედეგის მომტანი ციფრული სამყაროსთვის.

პრობლემას ამწვავებს ისიც, რომ სოციალური ქსელები, რომელთა დიდი ნაწილი ამერიკული კომპანიებია, თვითონვე მართავენ მომხმარებელთა მიერ გამოქვეყნებულ კონტენტს, მაშინ როდესაც მომხმარებელთა უდიდესი ნაწილი, სხვადასხვა სახელმწიფოს მოქალაქეები არიან და მათ ხშირ შემთხვევაში არ აქვთ საშუალება დაიცვან თავისი უფლებები.

ნაშრომში დასახული მიზნის მისაღწევად დამუშავებულ იქნა სამეცნიერო ლიტერატურა, გაეროს სპეციალური მომხსენებლის აზრის და გამოხატვის თავისუფლების ხელშეწყობისა და დაცვის საკითხებში ანგარიშები, ევროკავშირის დოკუმენტები სოციალური ქსელების რეგულირების საკითხებზე, სოციალური ქსელების ნორმატიული დოკუმენტები; ჩატარდა საქართველოში სოციალურ ქსელ „ფეისბუქის“ მომხმარებელთა შორის კვლევა, შედგა ინტერვიუები დუბლინის „სიტი უნივერსიტეტთან“ არსებული „ციფრული კონსტიტუციონალიზმის კვლევითი ჯგუფის“ ხელმძღვანელთან ედოარდო ჩელესტესთან, „ფეისბუქის“ საზედამხედველო საბჭოს წევრთან ნიკოლას სუზორთან, „ჰუმბოლდტის უნივერსიტეტის ინტერნეტის და საზოგადოების ინსტიტუტის“ მკვლევრებთან; გერმანიის დიგიტალური მედია სერვისის პროვაიდერების თვითრეგულირების ასოციაციის (FSM) პრეზიდენტთან მარტინ დრემლერთან, ბრიტანული საერთაშორისო ორგანიზაცია „მე-19 მუხლის“ მედიის თავისუფლების პროგრამის ხელმძღვანელთან პიერ დოკუირთან, ქართველ მკვლევრებთან და ექსპერტებთან.

შესწავლილი მასალა ცხადყოფს, რომ საკონსტიტუციო სამართალს აქვს უნარი მოახდინოს რეაგირება იმ საფრთხეებზე, რასაც ციფრულ სამყაროში კერძო კომპანიები ქმნის ადამიანის ძირითადი უფლებებისთვის. მიუხედავად ამისა, ამკარაა, რომ კერძო ტექნოლოგიური კომპანიები, რომელიც კვაზი-საჯარო ფუნქციას ასრულებს, აწესებს ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის

სტანდარტებს და ახორციელებს შინაარსის მოდერაციას მისი პრინციპების და ბიზნესინტერესების გათვალისწინებით.

დასკვნისათვის შეიძლება ითქვას შემდეგი:

1. სოციალური მედიის კომპანიები თანამედროვე საზოგადოებაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს გამოხატვის თავისუფლების უზრუნველყოფაში. ამავდროულად, დიდია მათი პასუხისმგებლობა, რადგან გამოქვეყნებული კონტენტის მართვა, სადავო შემთხვევებში მისი ამოღება ან დატოვება მთლიანად სოციალური ქსელების გადასაწყვეტია. გადანაცვებილების მიღებისას სოციალური ქსელები ეყრდნობიან მათ მიერვე შემუშავებულ ნორმებს, რომლებიც ციფრულ სამყაროში კანონების ფუნქციას ასრულებს. ხდება კანონების ჩანაცვლება ნორმატიული დოკუმენტებით, შესაბამისად სოციალური ქსელების „რეგულაცია უფრო ნორმატიულია, ვიდრე სამართლებრივი.“<sup>385</sup>
2. აქტუალურია დისკურსი თუ საიდან მოდის ციფრული პლატფორმების ლეგიტიმაცია და როგორ უნდა ითარგმნოს დემოკრატიული მმართველობის ლეგიტიმაცია კიბერსივრცეში. ამ საკითხზე არ არსებობს ერთგვაროვანი თვალსაზრისი. შეუძლებელია ლეგიტიმაციის ერთი წყაროს მოძიება. სოციალური ქსელების მიერ არის ლეგიტიმაციის ისეთი ფორმების გამოყენების მცდელობაც, როგორცაა სამოქალაქო მონაწილეობა ან დემოკრატიული პროცედურა. სამართლის უზენაესობის ღირებულებები, ადამიანის საერთაშორისო უფლებების დაცვა სოციალური მედიის ლეგიტიმაციის უმნიშვნელოვანესი წყაროა. ავტორიტეტული გლობალური სტანდარტი არის ადამიანის უფლებების კანონი და არა სახელმწიფოების განსხვავებული კანონები. ადამიანის

---

<sup>385</sup> Wilson, Richard Ashby. "The digital ethnography of law: Studying online hate speech online and offline." *Journal of Legal Anthropology* 3, no. 1 (2019): 1-20.

უფლებათა კანონი კომპანიებს აძლევს ინსტრუმენტებს, რათა ჩამოაყალიბონ და განავითარონ პოლიტიკა და პროცესები, რომლებიც პატივს სცემენ დემოკრატიულ ნორმებს და ეწინააღმდეგებიან ავტორიტარულ მოთხოვნებს.<sup>386</sup> ეს მიდგომა არის გადამწყვეტი სოციალურ მედიაში კონტენტის მართვასთან დაკავშირებით.

3. ნაშრომში განხილულია ციფრული კონსტიტუციონალიზმის კონცეფცია, რომელიც თვითრეგულირებასა და საჯარო სამართალს შორის არსებულ წინააღმდეგობებს ასახავს. ციფრული კონსტიტუციონალიზმის კონცეფციით, საჭიროა განისაზღვროს, თუ რა ფარგლებში უნდა მოხდეს კერძო აქტორების შებოჭვა და რამდენად უნდა იყოს თვითრეგულირებაში ჩართული საჯარო სამართლის პრინციპები.
4. ციფრული კონსტიტუციონალიზმის კონცეფცია უკავშირდება ძირითად უფლებათა გამჭოლ მოქმედებას კერძო სამართალზე. 21-ე საუკუნეში ძირითად უფლებათა დარღვევის საფრთხე არ მოდის მხოლოდ სახელმწიფოებიდან, არამედ მოდის კერძო გლობალური კომპანიებიდანაც. ძირითადი უფლებები არის კერძო სამართლის შინაგანი ლოგიკის ნაწილი. აუცილებელია ზოგიერთი დემოკრატიული უფლების გავრცელება კერძო სამართალში, რაც თავის მხრივ, უზრუნველყოფს ციფრული მედიის მომხმარებლების დაცულობას ციფრულ პლატფორმებთან ხელშეკრულების გაფორმებისას (ანგარიშის გახსნა სოციალურ მედიაში).
5. ევროპის წამყვან სახელმწიფოებში გერმანიასა და საფრანგეთში მიღებული სოციალური მედიის მარეგულირებელი კანონები, ისევე, როგორც ინგლისში შემუშავებული „ონლაინ უსაფრთხოების

---

<sup>386</sup> Kaye David, Report of the Special Rapporteur on the Promotion and Protection of the Right to Freedom of Opinion and Expression (2018) A/HRC/38/35, para. 70.

კანონპროექტი“ მიმართულია იქითკენ, რომ გაიზარდოს სოციალური მედიაკომპანიების პასუხისმგებლობა. ევროკავშირმა მიიღო „ციფრული სერვისების აქტი“, რაც კიდევ უფრო ზრდის სოციალური მედიაპლატფორმების პასუხისმგებლობას. აღნიშნული ღონისძიებები უფრო დაცულს ხდის ევროკავშირის წევრი ქვეყნების სოციალური მედიის მომხმარებლებს, თუმცა ისინი არ ვრცელდება სხვა ქვეყნების მომხმარებლებზე.

6. გამოკვლევული მასალა ადასტურებს, რომ საქართველოში, რომლის მოქალაქეების დიდი ნაწილი სოციალური ქსელების აქტიური მომხმარებელია, მომხმარებლები ნაწილობრივ ერკვევიან თავიანთ უფლებებში, მაგრამ არ აქვთ ჩამოყალიბებული პოზიცია არც სახელმწიფოსთან და არც სოციალური მედიის კომპანიებთან მიმართებაში, რათა მოითხოვონ თავიანთი უფლებების დაცვა. სოციალური მედიაკომპანიების მხრიდან არ ხდება საზოგადოებასთან კონსულტაციები და არც პოლიტიკის შემუშავებაში საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფა.
7. სოციალურ ქსელებში სიტყვის და გამოხატვის თავისუფლების ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა არის სიძულვილის ენა და დეზინფორმაცია. სიძულვილის ენის გამოვლენა და სოციალური პლატფორმებიდან ამოღება მთელ რიგ პრობლემებთან არის დაკავშირებული. მიუხედავად იმისა, რომ სიძულვილის ენა „ფეისბუქის“ საზოგადოებრივი სტანდარტების მიხედვით აკრძალულია, არ არსებობს სიძულვილის ენის საერთო განსაზღვრება და მისი გამოვლენა რთულდება სოციალური ქსელების ხელთ არსებული ინსტრუმენტებით. ხშირია სიძულვილის ენის შემცველი გამონათქვამების არასწორი იდენტიფიცირება და ამგვარად გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა. საქმეს ისიც ართულებს, რომ

სიძულვილის ენის განსხვავებული გაგება არსებობს აშშ-სა და ევროპაში. რაც შეეხება დანარჩენ ქვეყნებს, აქ არ არსებობს მკაფიო მიდგომა. მიუხედავად იმისა, რომ სიძულვილის ენის გამოყენებას სოციალურ ქსელში არცთუ იშვიათად აქვს ადგილი საქართველოს „ფეისბუქის“ მომხმარებელთა მიერ, მისი ამოღება სოციალური ქსელიდან დარეგულირების გარეშე არ ხდება, თუნდაც გამონათქვამი შეიცავდეს ძალადობისკენ ნაქმობას.

8. პრეცედენტული სამართალი არის ერთ-ერთი გამოსავალი სიძულვილის ენასთან დაკავშირებით. ამ მხრივ, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მიერ განხილული საქმეები შესაძლებელია იყოს პრეცედენტი, თუკი მოქალაქის უფლებები დაირღვევა სოციალურ ქსელში.
9. სოციალური ქსელების რეგულირების პარალელურად აქტუალურია თანარეგულირება და თვითრეგულირება. თანარეგულირების კარგი პრაქტიკაა ევროკომისიის მიერ დაწესებული „ქცევის კოდექსი დემინფორმაციის შესახებ“, რომელსაც ყველაზე დიდი ტექნოლოგიური კომპანიები აწერენ ხელს. რაც შეეხება თვითრეგულირებას, ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია „ფეისბუქის“ საზედამხედველო საბჭო, რომელმაც უკვე განიხილა 9 საქმე სიძულვილის ენის შემცველ კონტენტთან დაკავშირებით. ეს ფორმატები ახალ შესაძლებლობებს ქმნის, რათა დაძლეულ იქნეს ის გამოწვევები, რაც არსებობს სოციალური მედიაკომპანიების წინაშე ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის თვალსაზრისით.

## რეკომენდაციები

ნაშრომში გაანალიზებული მასალიდან გამომდინარე შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგი რეკომენდაციები:

1. საქართველოში შესაძლოა შემუშავდეს სტრატეგია ონლაინ ზიანის შემცველი კონტენტის რეგულირებასთან დაკავშირებით სოციალურ ქსელებთან თანამშრომლობით.

საქართველოს ისტორიული გამოცდილებიდან გამომდინარე ძალიან მგრძობიარე საკითხია სოციალური ქსელების რეგულირება და ის საზოგადოების აღქმაში უკავშირდება ცენზურას, რაც ბუნებრივია ქვეყნისთვის, რომელიც მხოლოდ 30 წლის წინ განთავისუფლდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური რეჟიმისგან. მიუხედავად ამისა, საჭიროა გაიმიჯნოს ცენზურით სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა სოციალური ქსელების რეგულირებისგან. ეს უკანასკნელი სწორედ დემოკრატიის უფრო მაღალი ხარისხით ფუნქციონირებისთვის უნდა იყოს გამიზნული. შესაბამისად ონლაინ ზიანის შემცველი სტრატეგია უნდა მოიცავდეს როგორც სოციალური ქსელების მარეგულირებელ კანონმდებლობას, ასევე ტექნოლოგიურ კომპანიებთან თანამშრომლობის ფორმატს.

2. მსოფლიოში ციფრული სამყაროს გაძლიერებით წარმოქმნილი გამოწვევების საპასუხოდ მიმდინარეობს, როგორც რეგულირების, ასევე თვითრეგულირების პროცესი. თვითრეგულირების არსებულ ფორმათაგან ყველაზე თვალსაჩინოა „ფეისბუქის“ საზედამხედველო საბჭო. ამასთანავე, ევროკავშირი გამოჰყოფს სხვადასხვა საერთაშორისო, თუ ლოკალური არასამთავრობო ორგანიზაციის ინიციატივას, რაც უკავშირდება სოციალური მედიის ადგილობრივი საბჭოების შექმნას. ერთი ასეთი ინიციატივა, რომელიც წამოაყენა საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია „მე-19 მუხლმა“ განხილულია ნაშრომში. აღნიშნულ ინიციატივებში ხაზგასმულია, რომ სოციალური ქსელების პლატფორმების თვითრეგულირება

კონტენტის მართვის თვალსაზრისით სრულყოფილი ვერ იქნება ლოკალური კონტენტის გათვალისწინების გარეშე. საქართველოში უნდა შეიქმნას სოციალური მედიის დაინტერესებული მხარეების: მთავრობის, სამოქალაქო საზოგადოების, მეცნიერთა, ჟურნალისტების მიერ დაკომპლექტებული „სოციალური ქსელების მართვის სტანდარტების საბჭო“, რომელიც კოორდინაციას გაუწევს ტექნოლოგიური პლატფორმების, სამოქალაქო საზოგადოების და სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების თანამშრომლობას საზოგადოების მოლოდინების და სახელმწიფოს მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად სოციალურ ქსელებში გამოქვეყნებული კონტენტის მართვის თვალსაზრისით. ეს ინიციატივა ხელს შეუწყობს კომუნიკაციას სოციალურ ქსელებსა და საქართველოს საზოგადოებას შორის.

3. სოციალური მედიის საზოგადოებრივი სტანდარტიდან გამომდინარე სიძულვილის ენა იკრძალება, თუმცა რიგ შემთხვევებში არ ხდება კონტენტის გააზრება. პოლიტიკა, რომელიც სოციალური მედიის კომპანიებმა შეიმუშავეს, განსაზღვრავს სიძულვილის ენას მხოლოდ შეტყობინების შინაარსის მიმართ. სინამდვილეში ენა არის ღრმად კონტენტური და მასში ჩადებული აზრის გაგება შესაძლებელია, მხოლოდ ლოკალური კულტურის, ისტორიის, სოციალური და პოლიტიკური რეალობის გათვალისწინებით. შესაბამისად, სოციალური მედიის კომპანიებმა უნდა ითანამშრომლონ არა მარტო ევროკავშირთან ან ცალკეულ კონსოლიდირებული დემოკრატიის ქვეყნებთან, არამედ სხვა სახელმწიფოებთან და რეგიონებთან, მით უმეტეს, რომ მათ მომხმარებელთა დიდი უმრავლესობა ნახევრად დემოკრატიულ და ავტორიტარულ რეჟიმებში ცხოვრობს და

ცდილობს ისარგებლოს გამოხატვის უფლებით, რომელსაც მას აძლევენ სოციალური მედიაპლატფორმები. ამ მიზნით, შესაძლებელია საპილოტე პროექტების შემუშავება, რომელიც სოციალური ქსელების, საერთაშორისო ორგანიზაციების (რომლებიც გამოხატვის თავისუფლების საკითხებზე მუშაობენ) და ლოკალური საზოგადოებების თანამშრომლობას შესაძლებელს გახდის.

4. „ფეისბუქის“ ინიციატივა საზედამხედველო საბჭოს შესახებ ადრეული რეალიზაციის ფაზაშია. საბჭომ უკვე განიხილა, რამოდენიმე საინტერესო შემთხვევა სიძულვილის ენასთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ საბჭო დაკომპლექტებულია ადამიანებით, რომელთაც აქვთ საინტერესო და მრავალფეროვანი გამოცდილება, მათ შორის არ არიან წარმომადგენლები მთელი რიგი რეგიონებიდან. მიუხედავად იმისა, რომ საბჭო ცალკეულ საკითხებზე თანამშრომლობს ექსპერტებთან, უფრო სამართლიანი და შედეგზე ორიენტირებული იქნება საბჭოს დაკომპლექტება რეგიონალური პრინციპით, რათა პრობლემური საკითხების გადანყვეტისას ლოკალური ხედვა იქნეს გათვალისწინებული.

## დანართები

დანართი 1 - აშშ-ს წესიერების კანონის 230-ე მუხლი

**(3) Joint board**

The Commission shall convene a Federal-State joint board to recommend appropriate changes to part 36 of the Commission's rules with respect to recovery of costs pursuant to charges, practices, classifications, and regulations under the jurisdiction of the Commission.

(June 19, 1934, ch. 652, title II, § 229, as added Pub. L. 103-414, title III, § 301, Oct. 25, 1994, 108 Stat. 4292.)

REFERENCES IN TEXT

The Communications Assistance for Law Enforcement Act, referred to in subsecs. (a) and (c), is title I of Pub. L. 103-414, Oct. 25, 1994, 108 Stat. 4279, which is classified generally to subchapter I (§1001 et seq.) of chapter 9 of this title. For complete classification of this Act to the Code, see Short Title note set out under section 1001 of this title and Tables.

This chapter, referred to in subsec. (d) and (e)(2), was in the original "this Act", meaning act June 19, 1934, ch. 652, 48 Stat. 1064, known as the Communications Act of 1934, which is classified principally to this chapter. For complete classification of this Act to the Code, see section 609 of this title and Tables.

**§ 230. Protection for private blocking and screening of offensive material**

**(a) Findings**

The Congress finds the following:

(1) The rapidly developing array of Internet and other interactive computer services available to individual Americans represent an extraordinary advance in the availability of educational and informational resources to our citizens.

(2) These services offer users a great degree of control over the information that they receive, as well as the potential for even greater control in the future as technology develops.

(3) The Internet and other interactive computer services offer a forum for a true diversity of political discourse, unique opportunities for cultural development, and myriad avenues for intellectual activity.

(4) The Internet and other interactive computer services have flourished, to the benefit of all Americans, with a minimum of government regulation.

(5) Increasingly Americans are relying on interactive media for a variety of political, educational, cultural, and entertainment services.

**(b) Policy**

It is the policy of the United States—

(1) to promote the continued development of the Internet and other interactive computer services and other interactive media;

(2) to preserve the vibrant and competitive free market that presently exists for the Internet and other interactive computer services, unfettered by Federal or State regulation;

(3) to encourage the development of technologies which maximize user control over what information is received by individuals, families, and schools who use the Internet and other interactive computer services;

(4) to remove disincentives for the development and utilization of blocking and filtering

technologies that empower parents to restrict their children's access to objectionable or inappropriate online material; and

(5) to ensure vigorous enforcement of Federal criminal laws to deter and punish trafficking in obscenity, stalking, and harassment by means of computer.

**(c) Protection for "Good Samaritan" blocking and screening of offensive material**

**(1) Treatment of publisher or speaker**

No provider or user of an interactive computer service shall be treated as the publisher or speaker of any information provided by another information content provider.

**(2) Civil liability**

No provider or user of an interactive computer service shall be held liable on account of—

(A) any action voluntarily taken in good faith to restrict access to or availability of material that the provider or user considers to be obscene, lewd, lascivious, filthy, excessively violent, harassing, or otherwise objectionable, whether or not such material is constitutionally protected; or

(B) any action taken to enable or make available to information content providers or others the technical means to restrict access to material described in paragraph (1).<sup>1</sup>

**(d) Obligations of interactive computer service**

A provider of interactive computer service shall, at the time of entering an agreement with a customer for the provision of interactive computer service and in a manner deemed appropriate by the provider, notify such customer that parental control protections (such as computer hardware, software, or filtering services) are commercially available that may assist the customer in limiting access to material that is harmful to minors. Such notice shall identify, or provide the customer with access to information identifying, current providers of such protections.

**(e) Effect on other laws**

**(1) No effect on criminal law**

Nothing in this section shall be construed to impair the enforcement of section 223 or 231 of this title, chapter 71 (relating to obscenity) or 110 (relating to sexual exploitation of children) of title 18, or any other Federal criminal statute.

**(2) No effect on intellectual property law**

Nothing in this section shall be construed to limit or expand any law pertaining to intellectual property.

**(3) State law**

Nothing in this section shall be construed to prevent any State from enforcing any State law that is consistent with this section. No cause of action may be brought and no liability may be imposed under any State or local law that is inconsistent with this section.

**(4) No effect on communications privacy law**

Nothing in this section shall be construed to limit the application of the Electronic Com-

<sup>1</sup> So in original. Probably should be "subparagraph (A)."

munications Privacy Act of 1986 or any of the amendments made by such Act, or any similar State law.

#### (f) Definitions

As used in this section:

##### (1) Internet

The term "Internet" means the international computer network of both Federal and non-Federal interoperable packet switched data networks.

##### (2) Interactive computer service

The term "interactive computer service" means any information service, system, or access software provider that provides or enables computer access by multiple users to a computer server, including specifically a service or system that provides access to the Internet and such systems operated or services offered by libraries or educational institutions.

##### (3) Information content provider

The term "information content provider" means any person or entity that is responsible, in whole or in part, for the creation or development of information provided through the Internet or any other interactive computer service.

##### (4) Access software provider

The term "access software provider" means a provider of software (including client or server software), or enabling tools that do any one or more of the following:

- (A) filter, screen, allow, or disallow content;
- (B) pick, choose, analyze, or digest content; or
- (C) transmit, receive, display, forward, cache, search, subset, organize, reorganize, or translate content.

(June 19, 1994, ch. 652, title II, § 230, as added Pub. L. 104-104, title V, § 509, Feb. 8, 1996, 110 Stat. 137; amended Pub. L. 105-277, div. C, title XIV, § 1404(a), Oct. 21, 1998, 112 Stat. 2681-739.)

#### REFERENCES IN TEXT

The Electronic Communications Privacy Act of 1986, referred to in subsec. (e)(4), is Pub. L. 99-508, Oct. 21, 1986, 100 Stat. 1848, as amended. For complete classification of this Act to the Code, see Short Title of 1986 Amendment note set out under section 2510 of Title 18, Crimes and Criminal Procedure, and Tables.

#### CODIFICATION

Section 509 of Pub. L. 104-104, which directed amendment of title II of the Communications Act of 1934 (47 U.S.C. 201 et seq.) by adding section 230 at end, was executed by adding the section at end of part I of title II of the Act to reflect the probable intent of Congress and amendments by sections 101(a), (b), and 151(a) of Pub. L. 104-104 designating §§ 201 to 229 as part I and adding parts II (§ 251 et seq.) and III (§ 271 et seq.) to title II of the Act.

#### AMENDMENTS

1996—Subsec. (d). Pub. L. 105-277, § 1404(a)(3), added subsec. (d). Former subsec. (d) redesignated (e).

Subsec. (d)(1). Pub. L. 105-277, § 1404(a)(1), inserted "or 231" after "section 229".

Subsecs. (e), (f). Pub. L. 105-277, § 1404(a)(2), redesignated subsec. (d) and (e) as (e) and (f), respectively.

#### EFFECTIVE DATE OF 1998 AMENDMENT

Amendment by Pub. L. 105-277 effective 30 days after Oct. 21, 1998, see section 1406 of Pub. L. 105-277, set out as a note under section 223 of this title.

#### § 231. Restriction of access by minors to materials commercially distributed by means of World Wide Web that are harmful to minors

##### (a) Requirement to restrict access

###### (1) Prohibited conduct

Whoever knowingly and with knowledge of the character of the material, in interstate or foreign commerce by means of the World Wide Web, makes any communication for commercial purposes that is available to any minor and that includes any material that is harmful to minors shall be fined not more than \$50,000, imprisoned not more than 6 months, or both.

###### (2) Intentional violations

In addition to the penalties under paragraph (1), whoever intentionally violates such paragraph shall be subject to a fine of not more than \$50,000 for each violation. For purposes of this paragraph, each day of violation shall constitute a separate violation.

###### (3) Civil penalty

In addition to the penalties under paragraphs (1) and (2), whoever violates paragraph (1) shall be subject to a civil penalty of not more than \$50,000 for each violation. For purposes of this paragraph, each day of violation shall constitute a separate violation.

##### (b) Inapplicability of carriers and other service providers

For purposes of subsection (a) of this section, a person shall not be considered to make any communication for commercial purposes to the extent that such person is—

(1) a telecommunications carrier engaged in the provision of a telecommunications service;

(2) a person engaged in the business of providing an Internet access service;

(3) a person engaged in the business of providing an Internet information location tool; or

(4) similarly engaged in the transmission, storage, retrieval, hosting, formatting, or translation (or any combination thereof) of a communication made by another person, without selection or alteration of the content of the communication, except that such person's deletion of a particular communication or material made by another person in a manner consistent with subsection (c) of this section or section 230 of this title shall not constitute such selection or alteration of the content of the communication.

##### (c) Affirmative defense

###### (1) Defense

It is an affirmative defense to prosecution under this section that the defendant, in good faith, has restricted access by minors to material that is harmful to minors—

(A) by requiring use of a credit card, debit account, adult access code, or adult personal identification number;

(B) by accepting a digital certificate that verifies age; or

## დანართი 2 – „ფეისბუქის“ განცხადება უფლებათა და მოვალეობათა შესახებ

### Statement of Rights and Responsibilities

This Statement of Rights and Responsibilities ("Statement," "Terms," or "SRR") derives from the [Facebook Principles](#), and is our terms of service that governs our relationship with users and others who interact with Facebook, as well as Facebook brands, products and services, which we call the "[Facebook Services](#)" or "[Services](#)". By using or accessing the Facebook Services, you agree to this Statement, as updated from time to time in accordance with Section 13 below. Additionally, you will find resources at the end of this document that help you understand how Facebook works.

Because Facebook provides a wide range of [Services](#), we may ask you to review and accept supplemental terms that apply to your interaction with a specific app, product, or service. To the extent those supplemental terms conflict with this SRR, the supplemental terms associated with the app, product, or service govern with respect to your use of such app, product or service to the extent of the conflict.

#### 1. Privacy

Your privacy is very important to us. We designed our [Data Policy](#) to make important disclosures about how you can use Facebook to share with others and how we collect and can use your content and information. We encourage you to read the [Data Policy](#), and to use it to help you make informed decisions.

#### 2. Sharing Your Content and Information

You own all of the content and information you post on Facebook, and you can control how it is shared through your [privacy](#) and [application settings](#). In addition:

1. For content that is covered by intellectual property rights, like photos and videos (IP content), you specifically give us the following permission, subject to your [privacy](#) and [application settings](#): you grant us a non-exclusive, transferable, sub-licensable, royalty-free, worldwide license to use any IP content that you post on or in connection with Facebook (IP License). This IP License ends when you delete your IP content or your account unless your content has been shared with others, and they have not deleted it.
2. When you delete IP content, it is deleted in a manner similar to emptying the recycle bin on a computer. However, you understand that removed content may persist in backup copies for a reasonable period of time (but will not be available to others).
3. When you use an application, the application may ask for your permission to access your content and information as well as content and information that others have shared with you. We require applications to respect your privacy, and your agreement with that application will control how the application can use, store, and transfer that content and information. (To learn more about Platform, including how you can control what information other people may share with applications, read our [Data Policy](#) and [Platform Page](#).)
4. When you publish content or information using the Public setting, it means that you are allowing everyone, including people off of Facebook, to access and use that information, and to associate it with you (i.e., your name and profile picture).
5. We always appreciate your feedback or other suggestions about Facebook, but you understand that we may use your feedback or suggestions without any obligation to compensate you for them (just as you have no obligation to offer them).

#### 3. Safety

We do our best to keep Facebook safe, but we cannot guarantee it. We need your help to keep Facebook safe, which includes the following commitments by you:

1. You will not post unauthorized commercial communications (such as spam) on Facebook.
2. You will not collect users' content or information, or otherwise access Facebook, using automated means (such as harvesting bots, robots, spiders, or scrapers) without our prior permission.
3. You will not engage in unlawful multi-level marketing, such as a pyramid scheme, on Facebook.
4. You will not upload viruses or other malicious code.
5. You will not solicit login information or access an account belonging to someone else.
6. You will not bully, intimidate, or harass any user.
7. You will not post content that: is hate speech, threatening, or pornographic; incites violence; or contains nudity or graphic or gratuitous violence.

8. You will not develop or operate a third-party application containing alcohol-related, dating or other mature content (including advertisements) without appropriate age-based restrictions.
9. You will not use Facebook to do anything unlawful, misleading, malicious, or discriminatory.
10. You will not do anything that could disable, overburden, or impair the proper working or appearance of Facebook, such as a denial of service attack or interference with page rendering or other Facebook functionality.
11. You will not facilitate or encourage any violations of this Statement or our policies.

#### 4. Registration and Account Security

Facebook users provide their real names and information, and we need your help to keep it that way. Here are some commitments you make to us relating to registering and maintaining the security of your account:

1. You will not provide any false personal information on Facebook, or create an account for anyone other than yourself without permission.
2. You will not create more than one personal account.
3. If we disable your account, you will not create another one without our permission.
4. You will not use your personal timeline primarily for your own commercial gain, and will use a Facebook Page for such purposes.
5. You will not use Facebook if you are under 13.
6. You will not use Facebook if you are a convicted sex offender.
7. You will keep your contact information accurate and up-to-date.
8. You will not share your password (or in the case of developers, your secret key), let anyone else access your account, or do anything else that might jeopardize the security of your account.
9. You will not transfer your account (including any Page or application you administer) to anyone without first getting our written permission.
10. If you select a username or similar identifier for your account or Page, we reserve the right to remove or reclaim it if we believe it is appropriate (such as when a trademark owner complains about a username that does not closely relate to a user's actual name).

#### 5. Protecting Other People's Rights

We respect other people's rights, and expect you to do the same.

1. You will not post content or take any action on Facebook that infringes or violates someone else's rights or otherwise violates the law.
2. We can remove any content or information you post on Facebook if we believe that it violates this Statement or our policies.
3. We provide you with tools to help you protect your intellectual property rights. To learn more, visit our [How to Report Claims of Intellectual Property Infringement](#) page.
4. If we remove your content for infringing someone else's copyright, and you believe we removed it by mistake, we will provide you with an opportunity to appeal.
5. If you repeatedly infringe other people's intellectual property rights, we will disable your account when appropriate.
6. You will not use our copyrights or Trademarks or any confusingly similar marks, except as expressly permitted by our Brand Usage Guidelines or with our prior written permission.
7. If you collect information from users, you will: obtain their consent, make it clear you (and not Facebook) are the one collecting their information, and post a privacy policy explaining what information you collect and how you will use it.
8. You will not post anyone's identification documents or sensitive financial information on Facebook.
9. You will not tag users or send email invitations to non-users without their consent. Facebook offers social reporting tools to enable users to provide feedback about tagging.

#### 6. Mobile and Other Devices

1. We currently provide our mobile services for free, but please be aware that your carrier's normal rates and fees, such as text messaging and data charges, will still apply.
2. In the event you change or deactivate your mobile telephone number, you will update your account information on Facebook within 48 hours to ensure that your messages are not sent to the person who acquires your old number.

3. You provide consent and all rights necessary to enable users to sync (including through an application) their devices with any information that is visible to them on Facebook.

#### **7. Payments**

If you make a payment on Facebook, you agree to our [Payments Terms](#) unless it is stated that other terms apply.

#### **8. Special Provisions Applicable to Developers/Operators of Applications and Websites**

If you are a developer or operator of a Platform application or website or if you use Social Plugins, you must comply with the [Facebook Platform Policy](#).

#### **9. About Advertisements and Other Commercial Content Served or Enhanced by Facebook**

Our goal is to deliver advertising and other commercial or sponsored content that is valuable to our users and advertisers. In order to help us do that, you agree to the following:

1. You give us permission to use your name, profile picture, content, and information in connection with commercial, sponsored, or related content (such as a brand you like) served or enhanced by us. This means, for example, that you permit a business or other entity to pay us to display your name and/or profile picture with your content or information, without any compensation to you. If you have selected a specific audience for your content or information, we will respect your choice when we use it.
2. We do not give your content or information to advertisers without your consent.
3. You understand that we may not always identify paid services and communications as such.

#### **10. Special Provisions Applicable to Advertisers**

If you use our self-service advertising creation interfaces for creation, submission and/or delivery of any advertising or other commercial or sponsored activity or content (collectively, the "Self-Serve Ad Interfaces"), you agree to our [Self-Serve Ad Terms](#). In addition, your advertising or other commercial or sponsored activity or content placed on Facebook or our publisher network will comply with our [Advertising Policies](#).

#### **11. Special Provisions Applicable to Pages**

If you create or administer a Page on Facebook, or run a promotion or an offer from your Page, you agree to our [Pages Terms](#).

#### **12. Special Provisions Applicable to Software**

1. If you download or use our software, such as a stand-alone software product, an app, or a browser plugin, you agree that from time to time, the software may download and install upgrades, updates and additional features from us in order to improve, enhance, and further develop the software.
2. You will not modify, create derivative works of, decompile, or otherwise attempt to extract source code from us, unless you are expressly permitted to do so under an open source license, or we give you express written permission.

#### **13. Amendments**

1. We'll notify you before we make changes to these terms and give you the opportunity to review and comment on the revised terms before continuing to use our Services.
2. If we make changes to policies, guidelines or other terms referenced in or incorporated by this Statement, we may provide notice on the Site Governance Page.
3. Your continued use of the Facebook Services, following notice of the changes to our terms, policies or guidelines, constitutes your acceptance of our amended terms, policies or guidelines.

#### 14. Termination

If you violate the letter or spirit of this Statement, or otherwise create risk or possible legal exposure for us, we can stop providing all or part of Facebook to you. We will notify you by email or at the next time you attempt to access your account. You may also delete your account or disable your application at any time. In all such cases, this Statement shall terminate, but the following provisions will still apply: 2.2, 2.4, 3-5, 9.3, and 14-18.

#### 15. Disputes

1. You will resolve any claim, cause of action or dispute (claim) you have with us arising out of or relating to this Statement or Facebook exclusively in the U.S. District Court for the Northern District of California or a state court located in San Mateo County, and you agree to submit to the personal jurisdiction of such courts for the purpose of litigating all such claims. The laws of the State of California will govern this Statement, as well as any claim that might arise between you and us, without regard to conflict of law provisions.
